



ფლობერის ჯუღიან ბარნხი თუთიყუში

სარჩევი

- 1 - ფლობერის თუთიყუში
- 2 - ქრონოლოგია
- 3 - მპოვნელები და შემნახველები
- 4 - ფლობერის სამხეცე
აქლები
მაიმუნი, ვირი, სირაქლემა,
თუთიყუში
ძაღლები
- 5 - ჩხაკ!
 1. განთიადი პირამიდებზე
 2. უკაცრიელი კუნძული
 3. კუბოების ბრახუნი
- 6 - ემა ბოვარის თვალეები
- 7 - ლა-მანშის გადაკვეთა
- 8 - ფლობერის გზამკვლევი - შედგენილი მატარებლების
მეთვალყურის მიერ
- 9 - ფლობერის აპოკრიფები
- 10 - სანინააღმდეგო მოსაზრებები
- 11 - ლუიზ კოლეს ვერსია
- 12 - ბრაითუეიტის მიღებული იდეების ლექსიკონი
- 13 - ნამდვილი ამბავი
- 14 - საგამოცდო ფურცელი
- განყოფილება ა: ლიტერატურული კრიტიკა
- 15 - თუთიყუში კი...

ფლობერის თუთიყუში

ჯულიან ბარნსი

1 -

ფლობერის თუთიყუჩ

როდესაც მეგობრის ბიოგრაფიას წერ, ისე უნდა წერო,

თითქოს მის გამო შურისძიება გინდოდეს.

გუსტავ ფლობერი, წერილი ერნესტ ფეიდოს, 1872

ექვსი ჩრდილოაფრიკელი boule-ს თამაშობდა ფლობერის ქანდაკებასთან. მანქანებით გაჭედილი ქუჩის ხმაურში დროდადრო იჭრებოდა ბურთულების წკრიალა, მჟღერი ხმა. ყავისფერმა ხელმა ერთხელაც დაატრიალა თითისწვერებში ვერცხლისფერი ბურთულა და მოისროლა. ისიც მიწაზე დაენარცხა, მერე მძიმედ გაგორდა და ნელა გაკლაკნა ზოლი მტვრიან ასფალტზე. მტყორცნელი მოხდენილი ქანდაკებასავით გაქვავდა: მუხლები - ოდნავ მოხრილი, მარჯვენა ხელი - ხალისიანად განვდილი. თვალში მომხვდა თეთრი პერანგის აკაპინებული სახელო, შიშველი მკლავი და ციცქნა ლაქა მაჯაზე. საათი ან სვირინგი კი არ იყო, როგორც თავიდან მეგონა, არამედ ფერადი, გადასაყვანი სურათი: რომელიღაც ბრძენი პოლიტიკოსი, უდაბნოში დიდ პატივს რომ სცემდნენ.

ნება მიბოძეთ, იმ ქანდაკებით დავიწყო, თავზე რომ წამოსდგომოდათ - უცვლელი, უსახური ქანდაკებით, რომელსაც ჩამოღვენთილი სპილენძის ზოლები ცრემლებივით სდის. მოშვებული ჰალსტუხი, ოთხკუთხა ყილეტი, ტომარასავით შარვალი, გაბურძგნული ულვაში, უნდო, უგულისყურო, დაღვრემილი სახე. ფლობერი შენს მზერას არ ჰასუხობს. კარმის მოედნიდან სამხრეთით იცქირება - ტაძრისკენ, იმ ქალაქის მიღმა, რომელსაც ტუჩს უბზუებდა, და რომელიც, თავის მხრივ, არაფრად აგდებდა. თავი ხაზგასმით მაღლა უჭირავს: მთელი სიგრძე-სიგანით მხოლოდ მტრედები თუ ხედავენ მწერლის სიქაჩლეს.

ეს ქანდაკება ორიგინალი არ არის. პირველი ფლობერი 1941 წელს წაიღეს გერმანელებმა - მესრებსა და კარებზე

დაკიდებულ ჩაქუჩებს გააყოლეს. ალბათ კოვარდებად გადაადნეს. დაახლოებით ათი წლის განმავლობაში კვარცხლბეკი ცარიელი იდგა. მერე ქანდაკებების მოტრფიალე რუანის მერმა ხელახლა აღმოაჩინა თავდაპირველი თაბაშირის ტვიფარი, ერთ რუსს, ლეოპოლდ ბერნსტამს რომ გაეკეთებინა, ქალაქის საბჭომ კი ახალი ქანდაკების დადგმის იდეა მოიწონა. რუანმა რიგიანი ლითონის ქანდაკება იყიდა - 93% სპილენძი და 7% კალა. ჩამომსხმელი რუდიე შატილიონ-სუ-ბანიოდან დაბეჭითებით აცხადებდა, ასეთი ნაზავი გარანტიაა კოროზიის წინააღმდეგო. ამ პროექტში კიდევ ორი ქალაქი მონაწილეობდა - ტრუვილი და ბარენტენი; ჰოდა, ქვის ქანდაკებები ერგოთ. ესენი ნაკლებად გამძლე გამოდგა. ტრუვილში ფლობერს თედო დასაკერებელი გაუხდა, ულვაშის ნაწილები ჩამოსცვივდა და ზედა ტუჩზე კარკასის მავთულები ისე გამოეჩარა, თითქოს ბეტონის კუნძს ყლორტები გამოუვიდაო.

შესაძლოა, ჩამომსხმელთა სიტყვა დასაკერებელი იყოს; შესაძლოა, ამ მეორადმა ქანდაკებამ დიდხანს გაძლოს. მაგრამ მე რატაც არ მჯერა ეგ ამბავი. რაც ფლობერს უკავშირდებოდა, დიდხანს არაფერი გაგრძელებულა. ას წელზე ცოტა მეტი გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან და ფურცლების გარდა არაფერი დარჩენია. ქალაქი, იდეები, ფრაზები, მეტაფორები, სტრუქტურული პროზა, რომელიც ბგერად იქცევა. რასაკვირველია, თვითონაც ასე ისურვებდა; მხოლოდ სენტიმენტებს აყოლილი თაყვანისმცემლები ბუზღუნებენ უკმაყოფილების ნიშნად. მწერლის სიკვდილის მერე მალევე დაანგრიეს მისი სახლი კრუასეში. იმ ადგილას უვარგისი ხორბლისგან ალკოჰოლის სახდელი ქარხანა ააშენეს. არც მისი გამოსახულების თავიდან მოშორება იქნებოდა ძნელი საქმე: თუკი ერთ მერს ქანდაკებები უყვარს და დგამს, მეორე - ვინმე წიგნიერი პარტიული აქტივისტი, ვისაც ფლობერის შესახებ სარტრის ნაწერისთვის გადაუვლია თვალი - თავგამოდებით ცდილობს, მწერლის ძეგლი ჩამოაგდოს.

ქანდაკებით ვინყებ, რადგან მთელი პროექტი სწორედ იქ დავინყე. რატომ გვაქეზებს ნაწერი, რომ მწერალს ავედევნოთ? რატომ ვერ ვეშვებით? წიგნებს რატომ ვერ ვკერდებით? ფლობერს უნდოდა, წიგნები გვეკმარა: სულ ერთი-ორი მწერალი თუ მოიძებნება, მასზე მეტად რომ სჯეროდეს ნაწერის

ობიექტურობა და მწერლის პიროვნების უმნიშვნელობა; თუმცა ჩვენ მაინც ვაკიუტობთ, თავს არ ვანებებთ. გამოსახულება, სახე, ხელმოწერა, 93%-იანი სპილენძის ქანდაკება და ნადარის ფოტოგრაფია, ტანსაცმლის ნაკუნი და თმის კულული. რატომ ვგიჟდებით რელიკვიებზე? სიტყვების ბოლომდე არ გვჭერა? გვგონია, რომ გაუმჟღავნებელი სიმართლე ცხოვრების წვრილმანებში იმალება? როცა რობერტ ლუის სტივენსონი გარდაიცვალა, მისმა ფხიანმა შოტლანდიელმა ძიძამ ჩუმიად თმის გაყიდვა დაიწყო. ამტკიცებდა, მწერალს ორმოცი წლის წინ მოვჭერიო. მიაძიებმა, მაძიებლებმა, მდევნელებმა იმდენი იყიდეს, რომ ერთი დივანი გაიტენებოდა.

გადავწყვიტე, კრუასე ბოლოსთვის შემომენახა. რუანში ხუთი დღით ვიყავი ჩასული. ბავშვური ინსტინქტით, საუკეთესოს დღემდე ბოლოსთვის ვიტოვებ ხოლმე. იქნებ მწერლებზეც იგივე იმპულსი მოქმედებს? გადადე, გადადე, საუკეთესო ჯერ კიდევ წინაა? თუ ასეა, რა მიმზიდველი უნდა იყოს დაუმთავრებელი წიგნები. ერთი-ორი დაუფიქრებლად გახსენდება: „ბუვარი და პეკიუშე“ - ფლობერი ესწრაფვოდა, ამ წიგნში მოექცია და გაეკიცხა მთელი სამყარო, ადამიანის ძალისხმევა, ადამიანის მანკიერება; და „ოჯახის იდიოტი“ - სარტრი ესწრაფვოდა, ამ წიგნში თავად ფლობერი მოექცია; დაემცირებინა დიდი მწერალი, დიდი ბურჟუა - ძრწოლისმომგვრელი ადამიანი, მტერი და ბრძენი. პირველი პროექტი ინსულტმა შეწყვიტა, მეორე სიბრმავემ შეკვეცა.

ერთხანს წიგნების წერაზე ვფიქრობდი. იდეები მქონდა, ჩანაწერებსაც კი ვაკეთებდი. მაგრამ ექიმი ვიყავი, ცოლ-შვილიანი. ადამიანს კარგად მართო ერთი რამის კეთება შეუძლია - ფლობერმა ეს

იცოდა. მე ექიმობა გამომდიოდა კარგად. ცოლი... გარდამეცვალა. შვილები დაიფანტნენ: მაშინ მწერენ, როცა სინდისი ქენჯნით. ბუნებრივია... თავისი ცხოვრება აქვთ. „ცხოვრება! ცხოვრება! წამოდგომის უნარი!“ ამასწინათ, ფლობერის წამოძახილი რომ წავიკითხე, თავი დაკემსილთეძოიანი ქვის ქანდაკება მეგონა.

დაუნერელი წიგნები? ამაზე გულის დაწყვეტა არ ღირს.

წიგნების მეტი რა არის! მახსენდება „გრძნობათა ალზრდის“ დასასრული. ფრედერიკი და მისი ამხანაგი დელორიე განვლილ ცხოვრებას იხსენებენ. საბოლოოდ, დაასკვნიათ, რომ ყველაზე კარგი მოგონება წლების წინ, მონაფეობისას, ბორდელში სტუმრობაა. მგზავრობა დეტალურად დაგეგმეს, ამ შემთხვევისთვის საგანგებოდ დაიკულულეს თმა, ყვავილებიც კი მოიპარეს გოგოებისთვის. მაგრამ ბორდელში რომ მივიდნენ, ფრედერიკს ნერვებმა უმტყუნა და ორივე გამოიქცა. ეს საუკეთესო დღე იყო მათ ცხოვრებაში. განა სიამოვნების ყველაზე უტყუარი ფორმა მოლოდინით მიღებული სიამოვნება არ არის? - კითხულობს ფლობერი. ვის სჭირდება კმაყოფილების უკაცრიელ სხვენში ნავარდი?

პირველი დღე რუანში ხეტიალში გავატარე - იმ ადგილებს ვეძებდი, სადაც 1944 წელს ვიყავი. მაშინ იქაურობა დაბომბილი და დაცხრილული დამხვდა. ორმოცი წელი გავიდა და ტაძრის შეკეთება დღემდე გრძელდება. ბევრი ვერაფერი ვნახე ერთფეროვანი მოგონებების გასაფერადებლად. მეორე დღეს დასავლეთით, კანისკენ გავეშურე და მერე - ჩრდილოეთით, სანაპიროსკენ. გზაზე საზოგადოებრივი შრომისა და ტრანსპორტის სამინისტროს დადგმული, ქარისა და წვიმისგან გახუნებული თუნუქის აბრები ჩამწკრივებულიყო, რომლებიც ტურისტულ მარშრუტებს მიანიშნებდა. არომანშის აღმოსავლეთით ბრიტანული და კანადური პლაჟებია: „ოქრო“, „იუნონა“, „დაშნა“. ამ სახელების ასარჩევად დიდი ფანტაზია არ გამოუჩენიათ - ისეთივე უსახური და ძნელად დასამახსოვრებელია, როგორც ომაჰა და იუტა. სიტყვებს ამბები გვამახსოვრებს და არა პირიქით.

გრაიე-სურ-მერი, კურსელ-სურ-მერი, ვერ-სურ-მერი, ასნელი, არომანში. პანანინა მოსახვევებით დაეშვები და უეცრად შემოგეფეთება აბრები: place des Royal Engineers ან place W. Churchill. სანაპიროზე ფარდულებს ჟანგმოდებული ტანკები დარაჯობენ. გეგების მილებს მიმსგავსებულ, ფილებით მოპირკეთებულ ძეგლებს ინგლისურად და ფრანგულად აწერია: „აქ, 1944 წლის 6 ივნისს, მოკავშირეთა ჯარმა ევროპა გაათავისუფლა“. მშვიდად, აუმღვრევლად. არომანშიში ორი ფრანკიანი მონეტა ჩავაგდე Telescope Panoramique-ში და მორბეს წყალობით გადავინაცვლე შორს, ზღვაში, მალბერის ნავმისადგომში. წერტილი-ტირე-

ტირე-ტირე კესონებით გაუყვა მდორე დინებას.
ომისდროინდელი ჯართის ნარჩენებში გაბურძგნული ხალხი
ჩასახლებულიყო.

ყურებე გადამდგარ Hôtel de la Marine-ში ვისაუბმე. ახლოს ვიყავი
იმ ადგილთან, სადაც ჩემი მეგობრები დაიხოცნენ - იმ წლებში
უეცრად შეძენილი მეგობრები - თუმცა გული არ შემტოვებია. 50-
ე სატანკო დივიზია, მეორე ბრიტანული არმია. მოგონებები
ამომიტივტივდა, გრძნობა არ მომძალებია, აღარც კი მახსოვს
ის გრძნობები. ნასაუბმევს მუხეუმში წავედი და ვუყურე ფილმს
ჯარის გადმოსხმაზე, მერე ათი კილომეტრი გავიარე მანქანით
ბაიოსკენ, რათა კიდევ ერთი შემოჭრა შემესწავლა - ლა-მანშის
გადმოკვეთა ცხრა საუკუნის წინ. დედოფალ მათილდას
გობელენი კინოს ჰგავს მიჭრილი, ჰორიზონტალური კადრებით.
ორივე მოვლენა ერთნაირად უცნაურია: ერთი ძალიან
შორეულია საიმისოდ, რომ სიმართლე იყოს, მეორე კი ძალიან
ახლოსაა. როგორ ვიხელთებთ წარსულს? ან ვახერხებთ კი
ამას? როცა სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი ვიყავი,
რამდენიმე ხუმარამ სემესტრის დასასრულს, საცეკვაო
საღამოზე, ტალახიანი გოჭი შემოაგდო დარბაზში. ისიც ფეხებს
შორის გაძვრა-გამოძვრა და ჭყვივით დაუსხლტა მდევრებს.
ვიღაცები ცდილობდნენ, ხელი ეტაცათ, ფეხი უსხლტებოდათ,
ეცემოდნენ და თავს სასაცილოდ იხდიდნენ. წარსული ხშირად
იმ გოჭს მაგონებს.

რუანში ყოფნის მესამე დღეს, ფეხით წავედი Hôtel-Dieu-ში -
საავადმყოფოში, სადაც გუსტავის მამა ქირურგი იყო. მწერალმა
ბავშვობა აქ გაატარა. გუსტავ ფლობერის გამზირის
გაყოლებზე Idპრიმერიე ფლაუბერტ-სა და სასაუბმე Le Flaubert-
ს ჩაუვლი: გუბანით გრძნობ, რომ სწორი მიმართულებით
მიდიხარ. საავადმყოფოსთან დიდი თეთრი „ჰეჟო“ იდგა,
ასახდელი უკანა კარი ლურჯი ვარსკვლავებით ჰქონდა
მოხატული, ზედ ტელეფონის ნომერი ეწერა და სიტყვები:
AMBULANCE FLAUBERT. მწერალი - მკურნალი? არა მგონია.
გამახსენდა, როგორ დარბაისლურად უსაყვედურა ჟორჟ
სანდმა ახალგაზრდა კოლეგას: „თქვენ უნუგეშობით ავსებთ
ადამიანებს, - წერდა ის, - მე კი მათ ნუგეშს ვაძლევ“. „ჰეჟოზე“
უნდა წაეწერათ: AMBULANCE GEORGE SAND.

Hôtel-Dieu-ში შემიშვა მოუსვენარმა, გაძვალტყავებულმა gardien-მა, რომლის თეთრმა სამოსმაც, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა. არც ექიმი იყო, არც pharmacien და არც კრიკეტის მსაჯი. თეთრი ტანსაცმელი სტერილურობასა და პატიოსნებაზე მიგვანიშნებს. რატომ უნდა ეცვას მუზეუმის მეთვალყურეს ასე - ბაქტერიებისგან გუსტავის ბავშვობის დასაცავად? ამიხსნა, მუზეუმი არც ფლობერს დალატობს და არც მედიცინის ისტორიასო, მერე ნაჩქარევად მომატარა იქაურობა - თითოეული დარბაზიდან გამოსვლისას კარს გულმოდგინედ, ხმაურით ხურავდა. მაჩვენა ოთახი, სადაც გუსტავი დაიბადა, მისი ოდეკოლონის ფლაკონი, სათუთუნე და პირველი საჟურნალო სტატია. მწერლის ნაირ-ნაირი სურათები ადასტურებდა, რომ ლამაზი, ახალგაზრდა კაცი ნაადრევად გამოცვლილიყო და ღიპიან, მელოტ ბიურგერად ქცეულიყო. ზოგი სიფილისს აბრალებს. სხვები ამბობენ, მე-19 საუკუნეში ყველა

ასე ბერდებოდაო. იქნებ, უბრალოდ, მისმა სხეულმა ქცევის წესები იცოდა: როცა გონებამ გადაწყვიტა, ნაადრევად დავბერდიო, ხორცმა თავი არ დაზოგა ამის დასამტკიცებლად. ჩემთვის, უხმოდ ვიმეორებდი, ფლობერი ქერა იყო-მეთქი. შეიძლებოდა, ეს იოლად დამვიწყებოდა: ფოტოებზე ხომ ყველა შავგვრემანი ჩანს.

სხვა ოთახებში მე-18 და მე-19 საუკუნეების სამედიცინო ხელსაწყოები გამოეფინათ: ლითონის მძიმე რელიკვიებით დაწყებული და ბასრი ნივთებით დამთავრებული. აქვე ელაგა ისეთი ვეება ოყნები, რომ მეც კი გაკვირვებული დავრჩი. მაშინ მედიცინა ამაღელვებელი, თავგანწირული, სასტიკი საქმე უნდა ყოფილიყო, დღეს კი აბები და ბიუროკრატიაა. ან იქნებ წარსული უფრო კოლორიტული გვეჩვენება? გუსტავის ძმის, აშილის სადოქტორო დისერტაცია წავიკითხე: „რამდენიმე მოსაზრება ჩაჭედილი თიაქარის ოპერაციის თაობაზე“. ძმების ერთსულოვნება: აშილის თეზისი მოგვიანებით გუსტავის მეტაფორად იქცა. „ჩემი ეპოქის სიბრიყვე ისეთ სიძულვილსა მგვრის, ლამისაა, სული შემეხუთოს. პირში განავალი ამომდის, როგორც ჩაჭედილი თიაქარის დროს. მაგრამ მინდა შევინახო, ფორმა მივცე, გავამაგრო; მინდა, მასა მოვზილო და მე-19 საუკუნეს გადავაფარო, ინდოელეზივით - ძროხის ნაკელით რომ

მოხატავენ ხოლმე პაგოდას“.

თავდაპირველად კავშირი ამ ორ მუზეუმს შორის უცნაური ჩანდა. აზრი მაშინ შეიძინა, როცა გავიხსენე ლემოს ცნობილი კარიკატურა, სადაც ფლობერი ემა ბოვარის ჰკვეთს. რომანისტი ჰაერში აქნევს უზარმაზარ ჩანგალზე წამოცმულ, სისხლით მწვეთავ გულს, ზარ-ზეიმით რომ ამოუგლეჯია თავისი გმირის სხეულიდან. ქირურგიულ გამოფენაზე მიღებული ჭილდოსავით აფრიალებს ამ ორგანოს, ნახატის მარცხენა მხარეს კი მწოლიარე, გათელილი ემას ფეხი მოჩანს. მწერალი - ყასაბი, მწერალი - მგრძნობიარე მხეცი.

მერე თუთიყუში დავინახე. პატარა ნიშაში იჯდა, უტიფარი თვალები მწვანედ უბრწყინავდა. ცნობისმოყვარეობის ნიშნად თავი გვერდზე გადაეხარა. ქანდარის ბოლოზე წარწერა ეკიდა: „Psittacus. ეს თუთიყუში გ. ფლობერმა რუანის მუზეუმიდან წამოიღო და თავის სამუშაო მაგიდაზე მიუჩინა ადგილი „უმანკო გულის“ წერისას. მოთხრობაში მას ლულუ ჰქვია და მთავარი გმირის, ფელისიტეს თუთიყუშია“. ფლობერის წერილის ქსეროასლი ამ ფაქტს ადასტურებდა: წერს, თუთიყუში სამი კვირა საწერ მაგიდაზე მეჯდა და მისი დანახვა უკვე წერვებს მიშლიდაო.

ლულუ მშვენიერ მდგომარეობაში იყო: ისეთივე ცინცხალი ბუმბული და გამაღიზიანებელი თვალები ჰქონდა, როგორც ასო წლის წინ უნდა ჰქონოდა. შევცქეროდი ჩიტს და ჩემდა გასაკვირად, ამაღელვებელ სიახლოვეს ვგრძნობდი მწერალთან, რომელმაც ქედმაღლურად აუკრძალა შთამომავლობას თავისი პიროვნებით დაინტერესება. მისი ქანდაკების ადგილას ასლი დადგეს, მისი სახლი დაანგრის. წიგნებს საკუთარი ცხოვრება ჰქონდათ - მათზე ნათქვამი მწერალს არ ეხებოდა. მაგრამ აქ ამ შესანიშნავმა მწვანე თუთიყუშმა, რომელიც ჩვეულებრივი, თუმცა იდუმალი სახით შემოენახათ, ისეთი გრძნობა გამიჩინა, თითქოს მწერალს პირადად ვიცნობდი. ამან ამაღელვა და გამახალისა კიდევ.

სასტუმროში დაბრუნებისას გზად „უმანკო გულის“ სასწავლო გამოცემა ვიყიდე. შეიძლება იცოდეთ ეს მოთხრობა. ღარიბი, გაუნათლებელი მოახლე ფელისიტე ნახევარი საუკუნე ერთ

ქალბატონს ემსახურება, უდრტვინველად უძღვნის სიცოცხლეს სხვა ადამიანებს. უყვარს ხეპრე საქმრო, ქალბატონის შვილები, თავისი ძმისწული, ბერიკაცი, მკლავზე სიმსივნე რომ აქვს. თანდათანობით ყველას კარგავს: კვდებიან ან მიდიან, ან უბრალოდ, ივინყებენ. რა გასაკვირია, რომ ამგვარ ყოფაში ცხოვრებისეული დარდისა და სასონარკვეთის გასაქარვებლად ერთადერთი ნუგეში შემორჩენია: რელიგია.

ფელისიტეს სიყვარულის საგანთა ჯაჭვი თანდათანობით ილევა, ბოლო რგოლი თუთიყუში ლულუა. თავის დროზე ისიც კვდება და ფელისიტე ფიტულს აკეთებს. სათაყვანებელ რელიკვიას გვერდიდან არ იშორებს, ლოცვისას მის წინ მუხლსაც კი იყრის. მარტივი გონება დოქტრინული აბდაუბდით ევსება: აინტერესებს, ხომ არ აჯობებდა, სულიწმინდა, რომელსაც, პირობითად, მტრედის სახით წარმოადგენენ ხოლმე, თუთიყუშად გამოესახათ. ლოგიკა, გარკვეულწილად, მის მხარესაა: თუთიყუშებსა და სულიწმინდას ლაპარაკი შეუძლიათ, მტრედებს კი - არა. მოთხრობის ბოლოს ფელისიტეც კვდება. „ტუჩებზე ღიმილი ეფინა. გულისცემა თანდათანობით შეუნელდა, ყოველ ჯერზე უფრო და უფრო აგვიანებდა ფეთქვას, ნელ-ნელა დაწყვეტილი შადრევანივით, ან მინავლებული ექოსავით; ბოლო ამოსუნთქვისას კი თითქოს დაინახა, როგორ გაიხსნა ზეცა და ვეება თუთიყუში აფროთხილდა მის თავზე“.

აქ მთავარი თავშეკავებული ინტონაციაა. წარმოიდგინეთ, ტექნიკურად რა ძნელი უნდა იყოს ისეთი მოთხრობის დაწერა, სადაც უხეიროდ გატენილი ჩიტი, სასაცილო სახელი რომ ჰქვია, საბოლოოდ წმინდა სამებაში წამოსკუპდება. ეს ჩანაფიქრი არც სატირულია, არც სენტიმენტალური და არც მკრეხელობა. წარმოიდგინეთ, როგორია უბირი მოხუცი ქალის თვალთ დანახული ამბის მოყოლა ისე, რომ არც დამამცირებელი გამოვიდეს და არც ქედმაღლური. მაგრამ „უმანკო გულის“ მიზანი სრულიად სხვაა: თუთიყუში მოქნილი და სრულყოფილი მაგალითია ფლობერისეული გროტესკისა.

თუ მოგვინდება (და თუ ფლობერს ყურს არ ვუგდებთ) შეგვიძლია, ჩიტის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოვიფიქროთ. მაგალითად, შეფარული პარალელები დავინახოთ ნაადრევად

დაბერებულ მწერალსა და ღრმად მოხუცებულ ფელისიტეს შორის. კრიტიკოსები უკვე შეესივნენ ქალაქებს. ორივე მარტოსული იყო; ორივეს ცხოვრება დანაკარგებით იყო დაღდასმული;

ორივეს დარდით ჰქონდა გული სავსე და მაინც არ ტყდებოდა. ვისაც გაბუქვა ემარჯვება, ვარაუდობს, რომ ის ეპიზოდი, სადაც ონფლერისკენ მიმავალ ფელისიტეს გზაზე საფოსტო კარეტა ეჭახება, შენიღბულად მიანიშნებს გუსტავის პირველ ეპილეფსიურ შეტევაზე, როცა ის ბურ-აშართან, შარაგზაზე დაეცა. არ ვიცი, ასეა თუ არა. რამდენად შენიღბული უნდა იყოს მინიშნება, რომ საბოლოოდ დაინთქეს და გაუჩინარდეს ხსოვნის მორევში?

სხვა მხრივ, ფელისიტე, რასაკვირველია, სრულიად განსხვავდება ფლობერისაგან: ის პრაქტიკულად უტყვია. შეგიძლიათ, არ დამეთანხმოთ, რადგან სწორედ აქ შემოდის ლულუ - თუთიყუში, მოლაპარაკე ფრინველი, იშვიათი არსება, რომელიც ადამიანურ ხმებს გამოსცემს. ტყუილ-უბრალოდ კი არ აიგივებს ფელისიტე ლულუს სულიწმინდასთან, ვინც ენა ამოგვადგმევინა.

ფელისიტე + ლულუ = ფლობერს? ვითომ? შეიძლება, ამტკიცოთ, რომ მწერალი ორივეშია. ფელისიტეში მისი ხასიათია, ლულუში მისი ხმაა. შეგეძლოთ გეთქვათ, რომ თუთიყუში, რომელიც წარმოგვიდგენს, თუ როგორ ჟღერს აზრი გონების ძალისხმევის გარეშე, წმინდა სიტყვა იყო. ფრანგი აკადემიკოსი რომ ყოფილიყავით, იტყოდით, რომ ის იყო un symbole du Logos. მე კი ინგლისელი ვარ და ხორციელისკენ მიმინევს გული: იმ კოხტა, უტიფარი არსებისკენ, Hôtel-Dieu-ში რომ მყავს ნანახი. წარმოვიდგინე, საწერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს დასკუპებული ლულუ ფლობერს თვალს თვალში რომ გაუყრის, ბაზრობის ატრაქციონების სარკიდან მომზირალი, გამომწვევი ანარეკლივით. რა გასაკვირია, რომ სამი კვირა მის პაროდულ საზოგადოებაში ყოფნა გამაღიზიანებელი იყო. ვითომ მწერალი რით სჯობს გაქეჟილ, განსწავლულ თუთიყუშს?

აქ კი, ალბათ, უნდა ვახსენოთ ოთხი მთავარი შეხვედრა რომანისტსა და თუთიყუშთა ოჯახის წარმომადგენელს შორის.

1830-იან წლებში ფლობერების ოჯახი ყოველ წელს ტრუვილში ისვენებდა და ხშირად სტუმრობდა გემის გადამდგარ კაპიტანს, პიერ ბარბის. როგორც გვითხრეს, კაპიტანს სახლში საუცხოო თუთიყუში ჰყოლია. 1845 წელს გუსტავი ანტიბის გავლით იტალიაში მიემგზავრებოდა, და სწორედ ანტიბში გადაეყარა ავადმყოფ, გრძელკუდა ფრინველს, რომელმაც მწერლის დღიურში მოხსენიება დაიმსახურა. ჩიტი პატრონის ორთვალაზე იყო ხოლმე წამოსკუპებული, ვახშმობისას კი სახლში შეჰყავდათ და ბუხრის თავზე სვამდნენ. დღიურში ავტორი აღნიშნავს, აშკარაა კაცისა და ჩიტის „უცნაური სიყვარული“. 1851 წელს ფლობერი აღმოსავლეთიდან ბრუნდებოდა, გზად ვენეციაში შეიარა და იქ გაიგონა, დიდი არხის გადაღმა, მოოქროვილი გალიიდან როგორ გაჰყვიროდა თუთიყუში გონდოლიერივით: „Fá eb, capo die!“ 1853 წელს, ისევ ტრუვილში ყოფნისას, pharmacien-თან ცხოვრობდა და გული ჰქონდა განვრილებული - თუთიყუში ხან ჭყიოდა: „As-tu déjeuné, Jako?“ და „Cocu, mon petit coco“, ხან კიდევ უსტვენდა: „J’ai du bon tabac“. ნეტავ ამ ჩიტებმა შთააგონეს ლულუს შექმნა მწერალს? ეგებ ყველამ? თუ რომელიმე მათგანმა? ნეტავ კიდევ თუ ნახა ფლობერმა ცოცხალი თუთიყუში 1853 წლიდან 1876 წლამდე, როცა რუანის მუზეუმიდან ფიტული ითხოვა? ასეთი ამბები პროფესიონალებისთვის დაბითმია.

საწოლზე ვიჯექი სასტუმროში. მეზობელ ნომერში ტელეფონი წიოკით ეხმიანებოდა სხვა ტელეფონებს. იმ თუთიყუშზე ვფიქრობდი, ნიშაში რომ იჯდა თითქმის ნახევარი მილის იქით. უტიფარი ჩიტი, რომელიც მარტო სიყვარულს კი არა, მონინებასაც იწვევდა. ნეტავ რა უყო ფლობერმა „უბანკო გულის“ დასრულების შემდეგ? განჯინაში შედო და დაივიწყა მისი გამაღიზიანებელი არსებობა, სანამ ერთ ცივ საღამოს საბნის დამატება არ დასჭირდა და ძებნა არ დაიწყო? რა მოხდა ოთხი წლის შემდეგ, როცა ინსულტმა დივანს მიაჯაჭვა სასიკვდილოდ? იქნებ მის თავზეც აფრთხილდა გოლიათი თუთიყუში - ოღონდ ამჯერად ეს სულიწმინდასთან შეგებება კი არა, სიტყვასთან გამოთხოვება იყო?

„შემანუხა აშკარად მოჭარბებულმა გატაცებამ მეტაფორით. შედარებები ტილებივით მჭიკგნიან და დროს უაზროდ ვფლანგავ მათ ჭყლეტაში“. სიტყვები ადვილად მოდიან

ფლობერთან, მაგრამ იგი სიტყვის ფარულ შეუსაბამობასაც ხედავს. გაიხსენეთ ნაღვლიანი განსაზღვრება „მადამ ბოვარიდან“: „ენა ძველ, გაბზარულ ჩაიდანსა ჰგავს, რომელზეც დათვის საცეკვაოს ვაკაკუნებთ, არადა, გვინდა, ვარსკვლავებს ავუჩუყოთ გული“. ასე რომ, შეგიძლიათ, რომანისტი ორგვარად წარმოიდგინოთ: შეუვალი და დასრულებული სტილისტი; ან კაცი, ვისთვისაც ენის არასრულყოფილება ტრაგედიაა. სარტრის მოყვარულებს მეორე ვარიანტი ურჩევნიათ: მათი აზრით, ის, რომ ლულუს ყურმოკრული, გაცვეთილი ფრაზების გამეორებაზე მეტი არაფერი შეუძლია, მწერლის მიერ საკუთარ მარცხზე მინიშნებაა. საეჭვოა, თუთიყუშისთვის/მწერლისთვის ენა იყოს ის, რასაც იღებ და ბაძავ - ინერტულად. სარტრი თავადაც საყვედურობდა ფლობერს პასიურობისთვის, რწმენისთვის (ან ვითომ რწმენისთვის), რომ on est parlé - სათქმელი ნათქვამია.

ეს ილუზიების მსხვრევა კიდევ ერთი მოსაზრების სასიკვდილო ხრიკს ხომ არ ჰგავდა? ვარაუდები მაშინ გეძალება, როცა წიგნში თავჩარგული გრძნობ, რა უძნეო ხარ - მარტოსული და შეიძლება, ბრიყვიც. იქნებ კრიტიკოსი ცდება, როცა ლულუს სიტყვის სიმბოლოდ მიიჩნევს? იქნებ მკითხველი - ყველაზე უარესი, სენტიმენტალური მკითხველი - ცდება, როცა ფიქრობს, რომ თუთიყუში Hôtel-Dieu-ში მწერლის ხმის სიმბოლოა? მეც ეგრე მომივიდა. ალბათ, ამიტომაც

ვარ ფელისიტესავით გონებაშეზღუდული.

მაგრამ ამბავს დაარქმევთ თუ ტექსტს, „უბანკო გულის“ ანარეკლი მეხსიერებაში მაინც შემონახულია. ნება მომეცით, მოვიყვანო კეთილბოხურნე დევიდ ჰოკნის საკმაოდ ბუნდოვანი ციტატა მისივე ავტობიოგრაფიიდან: „ამბავმა ჩემზე ნამდვილად იმოქმედა. ვიგრძენი, რომ ეს თემა შემეძლო გამეთავისებინა და გამომეყენებინა“. 1974 წელს მისტერ ჰოკნიმ რამდენიმე გრავიურა შექმნა: ფელისიტეს თვალთ დაწახული გარე სამყაროს კარიკატურული ვერსია (მაიმუნს მხარზე გადაუგდია მოტაცებული ქალი) და ლულუსთან ერთად მშვიდად მძინარე ფელისიტეს სცენა. დროთა განმავლობაში შესაძლოა, ის კვლავ მიუბრუნდეს ამ ამბავს.

რუანში ყოფნის ბოლო დღეს კრუასეში წავედი. ნორმანდიულად წვიმდა - წყნარად ცრიდა. სენის ნაპირას მწვანე გორაკების ფონზე გაშენებული შორეული სოფელი ახლა ვეება ნავსაშენებმა ჩაყლაპა. უროების ექო, თავს ზემოთ გადმოკიდებული ამწეების პორტალები, მთლიანად კომერციას დაქვემდებარებული მდინარე. რასაკვირველია, ბარ ლე ფლაუბერტ-იც აქვია. საბარგო მანქანების ჩავლისას ფანჯრები ზანზარებს.

გუსტავი საგანგებოდ აღნიშნავდა და იწონებდა აღმოსავლურ წესს - გარდაცვლილთა სახლები უნდა დაინგრეს. ასე რომ, საკუთარი სახლის დანგრევა ალბათ თავის მკითხველებზე, თავის მიმდევრებზე ნაკლებად დასწყვეტდა გულს. უვარგისი ხორბლისგან ალკოჰოლის სახდელი ფაბრიკაც დაშალეს. იმ ადგილას ახლა ქალაქის დიდი ფაბრიკა დგას და უფრო შეეფერება იქაურობას. ფლობერის სახლისგან პატარა, ერთსართულიანი პავილიონიღა დარჩა, რამდენიმე ასეული იარდის იქით - საზაფხულო სახლი, სადაც მწერალი თავს აფარებდა, როცა განსაკუთრებულად სჭირდებოდა განმარტოება. ახლა ის გაქუცული და უაზრო ნაგებობაა, მაგრამ სულ უარაფრობას მაინც სჯობს. გარეთ, ტერასაზე კართაგენში ამოთხრილი, ღარებიანი სვეტის ფრაგმენტი აღმართულა „სალამბოს“ ავტორის ხსოვნის პატივსაცემად. ჭიშკარს მივანეჭი, ნაგაზმა ყეფა ატეხა და ჭალარა gardienne გამოძეგება. ამას თეთრი ტანსაცმლის ნაცვლად კარგად მომდგარი ლურჯი ფორმა ეცვა. სანამ ჩემი ფრანგულით ვჭახირობდი, გამახსენდა კართაგენელი მთარგმნელების სავაჭრო დამლა „სალამბოში“: თითოეულ მათგანს, თავისი პროფესიის სიმბოლოდ, მკერდზე თუთიყუში ამოესვირინგებინა. დღეს კი ბურთულებით მოთამაშე აფრიკელს მათს გადასაყვანი გამოსახულება უმშვენებს მაჯას.

პავილიონი შედგება ერთი კვადრატული ოთახისგან, რომელსაც კარვისებური ჭერი აქვს. გამახსენდა ფელისიტეს ოთახი: „ერთდროულად სამრეკლოსა და ბაზრის შესახედაობა ჰქონდა“. იყო რაღაც ირონიული აქ თავმოყრილი ნივთების ერთიანობაში: წვრილ-წვრილი ხარახურა საზეიმო რელიკვიის გვერდით - ფლობერისეული გროტესკი. ექსპონატები ისე უშნოდ დაელაგებინათ, რომ დროდადრო ჩამუხლული

ვიჭყიტებოდი კარადებში: ღვთისმოსავის ან ძველმანების
მაღაზიაში საგანძურზე მონადირის პოზა.

ფელისიტეს ნუგეშს ჰგვრიდა თავისი გზააბნეული ნივთები,
მხოლოდ პატრონის სიყვარული რომ აერთიანებდათ.
ფლობერიც ასე იყო, სურნელებს მოგონებებით ინახავდა.
დედაბისის სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგაც ითხოვდა
ხანდახან მის ძველ შალს და ქუდს. მერე იჯდა ამ ნივთებით,
გარინდებული და ოცნებაში წასული. ეს კრუასეს პავილიონის
სტუმარსაც შეუძლია - გულზე გხვდება დაუდევრად
გამოლაგებული ექსპონატები: პორტრეტები, ფოტოები, თიხის
ბიუსტი, ჩიბუხები, სათუთუნე, წერილების გასახსნელი დანა,
პირდაფხენილი გომბეშო-სამელნე, ოქროს ბუდა, რომელიც
მწერლის სანერ მაგიდაზე იდგა და სულაც არ აღიზიანებდა,
თმის კულული, რასაკვირველია, უფრო ქერა, ვიდრე
ფოტოებზეა.

იოლად შეიძლება გამოგრჩეთ ორი ექსპონატი დაბალ
კარადაში: პატარა ბოკალი, საიდანაც ფლობერმა სიკვდილამდე
რამდენიმე წუთით ადრე უკანასკნელად მოსვა წყალი, და
დაჭმუჭნული, თეთრი ცხვირსახოცი, რომლითაც შუბლი
მოიწმინდა - იქნებ ეს მისი უკანასკნელი ჟესტი იყო. ამ უბრალო
რეკვიზიტებმა, რომლებიც თითქოს მოთქმას და მელოდრამას
კრძალავდნენ, უცებ წარმომადგენინა, რომ მეგობრის
სიკვდილს ვესწრებოდი. ცოტა არ იყოს, შევცბი: სამი დღით
ადრე გულგრილად, უძრავად ვიდექი სანაპიროზე, სადაც ჩემი
ამხანაგები დახოცეს. შესაძლოა, ესაა მკვდრებთან
დამეგობრების უპირატესობა: მათ მიმართ გული არასდროს
გიცივდება.

მერე ისიც დავინახე. მაღალი ბუფეტის თავზე კიდევ ერთი
თუთიყუში განაბულიყო. ისიც ელვარე მწვანე. gardienne-ისა და
ქანდარაზე მიმაგრებული იარლიყის თანახმად, სწორედ ის
თუთიყუში იყო, ფლობერმა რუანის მუზეუმიდან რომ წამოიღო
„უმანკო გულის“ დასაწერად. ნებართვა ვითხოვე, რომ მეორე
ლულუ ჩამომეღო, ფრთხილად დავსვი საექსპოზიციო კარადის
კუთხეში და მინის ხუფი ავხაადე.

როგორ შეადარებთ ორ თუთიყუშს, როცა ერთი უკვე

იდეალიზებულია ხსოვნისა და მეტაფორის მიერ, მეორე კი აჭყივლებული თვითმარქვია? თავდაპირველად გიპასუხებდით, რომ მეორე ნაკლებად ავთენტური უნდა ყოფილიყო, ძირითადად იმიტომ, რომ უფრო სანდომიანი ჩანდა. თავი სხეულზე უფრო სწორად ედგა და გამობეტყველება ნაკლებად გამაღიზიანებელი ჰქონდა, ვიდრე იმ ჩიტს Hôtel-Dieu-ში. მერე მივხვდი, რომ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყოდი: კაცმა რომ თქვას, ფლობერს თუთიყუშების დიდი არჩევანი არ ჰქონია. მეორე ჩიტი უფრო მშვიდი და უწყინარი კი ჩანდა, მაგრამ ერთი-ორი კვირის შემდეგ ალბათ ესეც გვარიანად აგიშლიდა ნერვებს.

Gardienne-ს ჩიტის წარმომავლობაზე გადავუკარი სიტყვა. გასაგებია, თავისი თუთიყუშის მხარეზე იყო, და მტკიცედ განაცხადა, Hôtel-Dieu-ს პრეტენზიები რა სახსენებელიაო. ვიფიქრე, ნეტავ ვინმემ თუ იცის პასუხი ან ამას რამე მნიშვნელობა თუ აქვს

ვინმესთვის ჩემ გარდა-მეთქი. იქნებ კიდევ გამოჩნდეს ისეთი კაცი, ჩემსავით წინდაუხედავად რომ გააზვიადებს პირველი თუთიყუშის მნიშვნელობას. მეორე თუთიყუში თითქოს მსაყვედურობდა, რამ გაფიქრებინა, რომ ასე იოლად შეიძლებოდა მწერლის ხმის მიგნებაო. სანამ ვიდექი და სავარაუდოდ, თვითმარქვია ლულუს შევცქეროდი, ოთახის იმ კუთხეს მზე მიადგა და ბუმბული ოქროსფრად აუელვარა. ჩიტი გადავდგი და გავიფიქრე: ახლა მე ფლობერზე უფროსი ვარ, მწერალმა ჩემს ასაკს ვერ მიაღწია-მეთქი... ეს რაღაც თავხედობას ჰგავდა, ნაღვლიან ამბავს, უსამართლობას, რომელიც მწერალს არ დაუმსახურებია.

განა ოდესმე დგება სიკვდილის შესაფერისი ჟამი? ფლობერისთვის არ დამდგარა და არც ჟორჟ სანდისთვის, რომელიც ვერ მოესწრო „უძანკო გულის“ წაკითხვას. „ამ მოთხრობის წერა მხოლოდ მის გამო დავიწყე, მხოლოდ მის გასახარებლად. მაშინ მოკვდა, როცა სამუშაო შუამდე მქონდა მიყვანილი. ასე სრულდება ყველა ჩვენი ოცნება“. იქნებ სჭობს, სულაც არ გქონდეს ოცნებები, სამუშაო და არც სასონარკვეთა გეუფლებოდეს დაუსრულებელი საქმის გამო? იქნებ ფრედერიკისა და დელორიესავით უნდა გვერჩივნოს ნუგეში

აუსრულებლისა: დაგეგმილი ვიზიტი ბორდელში, მოლოდინის სიამოვნება და მერე, წლების შემდეგ, მომხდარის ხსოვნა კი არა, არამედ ხსოვნა ჩავლილი მოლოდინისა? იქნებ ასე უფრო სუფთად და უმტკივნეულოდ შემოვინახავთ ყველაფერს?

შინ დაბრუნებულს ისევ ის ორი თუთიყუში მიფრთხიალებდა გონებაში: ერთი - თავაზიანი და უშუალო, მეორე - უტიფარი და არამკითხე. წერილები დავუგზავნე რამდენიმე აკადემიკოსს, ვისაც შეიძლებოდა სცოდნოდა, ამ თუთიყუშებიდან რომელიმეს ავთენტურობა თუ იყო საბოლოოდ დადგენილი. მივწერე საფრანგეთის საელჩოს და მიშლენის გზამკვლევეების გამომცემელს. ასევე მივწერე მისტერ ჰოკნის. ვუამბე ჩემი მოგზაურობის ამბავი და ვკითხე, რუანში თუ იყო ნამყოფი. ვკითხე, ფიქრობდა თუ არა რომელიმე თუთიყუშზე მძინარე ფელისიტეს პორტრეტის ხატვისას. იქნებ, თავის მხრივ, იმანაც მუზეუმიდან ითხოვა და მოდელად გამოიყენა თუთიყუში? ამ სახეობაში სიკვდილის შემდგომი პართენოგენეზის სახიფათო ტენდენციებზეც გავაფრთხილე.

იმედი მქონდა, პასუხებს მალე მივიღებდი.

2 -

ქრონოლოგია

I

1821რუანში დაიბადა გუსტავ ფლობერი - Hôtel-Dieu-ს მთავარი ქირურგის, აშილ-კლეოპას ფლობერისა და ან-ჟიუსტინ-კაროლინ ფლობერის (ქალწულობაში ფლერიოს) მეორე ვაჟი. ოჯახი განეკუთვნება წარმატებულ პროფესიონალთა საშუალო ფენას და ფლობს უძრავ ქონებას რუანის რეგიონში. სტაბილური, განათლებული, საიმედო და ზომიერად პატივმოყვარე ადამიანების გარემო.

1825ფლობერის ოჯახში აიყვანეს ძიძა, ჟიული, რომელიც გუსტავთან რჩება ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, მწერლის სიკვდილამდე. მსახურები ფლობერს არ აწუხებენ და ცხოვრებას არ ურთულებენ.

1830ხვდება ერნესტ შევალიეს, პირველ გულითად მეგობარს. ფლობერს მთელი სიცოცხლე მიჰყვებოდა და აძლებინებდა მგზნებარე, ერთგულებით გამორჩეული და მრავლისმომცემი ურთიერთობები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მეგობრობა ალფრედ დე პუატვენთან, მაქსიმ დიუ კამპთან, ლუი ბუიესთან და ჟორჟ სანდთან. გუსტავი იოლად უმეგობრდება ადამიანებს და ხუმრობანარევი სითბოთი განამტკიცებს ამ ურთიერთობებს.

1831-2შედის რუანის კოლეჯში და თავს გამოიჩენს, როგორც წარმატებული მოსწავლე; განსაკუთრებით კარგად სწავლობს ისტორიასა და ლიტერატურას. შემორჩენილია მისი ყველაზე ადრეული ნაწერი - 1831 წლით დათარიღებული ესე კორნელზე. სიყმაწვილეში ხშირად თხზავს დრამას, პროზას.

1836ტრუვილში გაიცნობს ელიზა შლეზინგერს, მუსიკალური ლიტერატურის გერმანელი გამომცემლის ცოლს და „უზარმაზარი“ ვნება დაატყვევებს. ეს ვნება ასხივოსნებს მის სიყმაწვილეს. ქალი დიდი სიკეთითა და გულითადობით

ეპყრობა. ერთმანეთი მომდევნო ორმოცი წლის განმავლობაშიც არ დაუკარგავთ. უკან მოხედვისას ფლობერი შვებით აღნიშნავს, რომ ქალი მის ვნებას არ ჰასუხობდა. „ბედნიერება სიფილისსა ჰგავს: უცებ აიკიდებ და ორგანიზმს გინადგურებს“.

1836გუსტავი სექსუალურ გამოცდილებას იძენს დედამისის ერთ-ერთ მოახლესთან. ესაა დასაწყისი აქტიური და ფერადოვანი ეროტიკული ცხოვრებისა - ბორდელიდან სალონამდე, კაიროს აბანოს ბიჭიდან პარიზელ ჰოეტ ქალამდე. სიტაბუკეში ქალებს გამორჩეულად იზიდავს და მისივე თქმით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს უშრეტი სექსუალური ენერგიით. თუმცა არც ხანდაზმულობაში აკლია ყურადღება დახვეწილი მანერების, გონიერებისა და პოპულარობის წყალობით.

1837პირველი პუბლიკაცია რუანის ჟურნალში Le Colibri.

1840აბარებს გამოცდებს ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. მიემგზავრება პირენეებში ოჯახის მეგობართან, ექიმ ჟიულ კლოკესთან ერთად. მართალია, ფლობერზე ხშირად ამბობენ, განდეგილიაო, მაგრამ, ფაქტობრივად, ბევრს მოგზაურობს: იტალიასა და შვეიცარიაში (1845), ბრეტანში (1847), ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, თურქეთში, საბერძნეთსა და იტალიაში (1849-51), ინგლისში (1851, 1865, 1866, 1871), ალჟირსა და ტუნისში (1858), გერმანიაში (1865), ბელგიაში (1871), შვეიცარიაში (1874). შეადარეთ მის alter ego-ს, ლუი ბუიეს, რომელსაც ინგლისიც კი არ ენახა და ჩინეთზე ოცნებობდა.

1843პარიზში, იურისპრუდენციის სწავლის პერიოდში, ვიქტორ ჰიუგოს ხვდება.

1844პირველი ეპილეფსიური შეტევა გუსტავს აიძულებს, ხელი აიღოს იურისპრუდენციის სწავლაზე. ამის გამო კრუასეში, თავისი ოჯახის ახალ სახლში გამოიკეტება. თუმცა იურისპრუდენციის მიტოვება დიდად არ ანაღვლებს, რაკი მის ტუსაღობას თან ახლავს წერისთვის აუცილებელი მარტოობა და სტაბილურობა. ეს შეტევა სასიკეთო გამოდგება შორეული მიზნის მისაღწევად.

1846 გაიგნობს ლუიზ კოლეს - „მუზას“, და იწყებს ყველაზე ღირსშესანიშნავ, გაჭიანურებულ, წინააღმდეგობრივ, ორნაწილიან სასიყვარულო ურთიერთობას (1846-8, 1851-4). მართალია, გუსტავი და ლუიზი ტემპერამენტიტაც შეუთავსებლები გამოდგნენ და ესთეტიკურადაც შეუფერებლები, მაგრამ მაინც გაცილებით მეტხანს გაძლეს ერთად, ვიდრე სავარაუდო იყო. ვითომ გულდასაწყვეტია მათი ურთიერთობის დასასრული? მხოლოდ იმის გამო, რომ ეს არის დასასრული გუსტავის ბრწყინვალე წერილებისა ამ ქალისადმი.

1851-7 „მადამ ბოვარის“ წერა, გამოცემა, სასამართლო და ზარ-ზეიმით გამართლება. ეს succès de scandale მოიწონეს ისეთმა განსხვავებულმა მწერლებმა, როგორებიც არიან ლამარტინი, სენტ-ბევი და ბოდლერი. 1846 წელს, როცა ეჭვობდა, ისეთს ვერაფერს დავწერ, დასაბეჭდად ღირდესო, გუსტავმა განაცხადა: „თუ ერთ დღეს სადმე გამოვჩნდი, თავით ფეხებამდე აბჯარში ვიქნები ჩამჭდარი“. ახლა ბექთარი უელავს, მის დაშნას ვერავინ ემალება. მეზობელი სოფლის, კანტელოს curé თავის მრევლს რომანის წაკითხვას უკრძალავს. 1857 წლის შემდეგ ლიტერატურულ წარმატებას, ცხადია, სოციალური წარმატება მოსდევს: ფლობერი მეტწილად პარიზშია. ხვდება გონკურებს, რენანს, გოტიეს, ბოდლერსა და სენტ-ბევს. 1862 წელს იწყება ლიტერატურული სადილები მანიესთან: ფლობერი დეკემბრიდან რეგულარულად ესწრება ამ თავყრილობებს.

1862 „სალამბოს“ პუბლიკაცია. Succés fou. სენტ-ბევი სწერს მეთიუ არნოლდს: „სალამბო“ ჩვენი დიდი მოვლენაა!“ რომანის თემაზე პარიზში რამდენიმე მასკარადი იმართება. იგი ახალ გალეტს, petit four-საც კი აძლევს სახელს.

1863 ფლობერი ხშირი სტუმარი ხდება ნაპოლეონ I-ის ძმისშვილის, პრინცესა მათილდას სალონისა. კრუასეს დათვი მაღალი საზოგადოების ლომის ტყავში ეხვევა. თვითონაც იღებს სტუმრებს კვირაობით, ნაშუადღევს. ეს წელიწადი აღსანიშნავია კიდევ იმით, რომ გუსტავი იწყებს მიმოწერას ჟორჟ სანდთან და ხვდება ტურგენევს. რუს რომანისტთან დამეგობრების შემდეგ ფლობერის სახელი უფრო ფართოდ

ხდება ცნობილი ევროპაში.

1864წარუდგენენ იმპერატორ ნაპოლეონ III-ს კომპინში.
გუსტავის საზოგადოებრივი წარმატების მწვერვალი.
იმპერატორის მეუღლეს კამელიებს უგზავნის.

1866გახდა chevalier de la Légion d'honneur.

1869ქვეყნდება „გრძნობათა აღზრდა“. ფლობერი ყოველთვის
ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ ეს არის un chef-d'oeuvre. მიუხედავად მისივე
გამოგონილი ლეგენდისა გმირულ ბრძოლაზე, წერა ფლობერს
იოლად გამოსდის. ბევრს წუწუნებს, მაგრამ წერილებში
წუწუნსაც კი საოცრად მსუბუქად ახერხებს. საუკუნის
მეოთხედში ქმნის დიდ, ვრცელ წიგნს, რომელიც ყოველ ხუთ-
შვიდ წელიწადში გულმოდგინე კვლევას ითხოვს. ალბათ
წვალობს სიტყვაზე, ფრაზაზე, ჟღერადობაზე, მაგრამ ჩიხში
არასოდეს შედის.

1874ქვეყნდება „წმინდა ანტუანის ცდუნება“. უცნაურობის
მიუხედავად, საამური კომერციული წარმატება.

1877ქვეყნდება „სამი მოთხრობა“. წარმატება კრიტიკოსთა
წრესა და საზოგადოებაში. Le Figaro-ში პირველად იბეჭდება
დადებითი რეცენზია ფლობერის ნაწარმოებზე. სამ წელიწადში
წიგნი ხუთჯერ გამოიცემა. ფლობერი იწყებს მუშაობას რომანზე
„ბუვარი და პეკიუშე“. ბოლო წლების განმავლობაში მომდევნო
თაობა აღიარებს მის უპირატესობას ფრანგ რომანისტთა
შორის. პატივს მიაგებენ და ეკრძაღვიან. მისი „კვირის
ნაშუადღევები“ სახელგანთქმული მოვლენა ხდება
ლიტერატურულ საზოგადოებაში. ოსტატს ჰენრი ჯეიმსი ეწვევა.
1879 წელს გუსტავის მეგობრები მის პატივსაცემად საფუძველს
უყრიან ყოველწლიური სადილების ტრადიციას „სენ-
პოლიკარში“. 1880 წელს „მედანის საღამოების“ ხუთი
თანაავტორი, მათ შორის ზოლა და მოჰასანი ავტოგრაფებიან
წიგნს მართმევენ ფლობერს. ეს საჩუქარი შეიძლება
სიმბოლოდ მივიჩნიოთ: სალამი რეალიზმს ნატურალიზმისგან.

1880გუსტავ ფლობერი - პატივდებული, საყოველთაო სიყვარულით გარემოცული და ენერგიულად მომუშავე - კრუასეში გარდაიცვლება.

II

1817გარდაიცვალა კაროლინ ფლობერი (ოცი თვის ასაკში), აშლილ-კლეოპას ფლობერისა და ან-ჟიუსტინ-კაროლინ ფლობერის მეორე შვილი.

1819გარდაიცვალა ემილ-კლეოპას ფლობერი (რვა თვის ასაკში), მესამე შვილი.

1821დაიბადა გუსტავ ფლობერი, მეხუთე შვილი.

1822გარდაიცვალა ჟიულ ალფრედ ფლობერი (სამი წლისა და ხუთი თვის ასაკში), მეოთხე შვილი. entre deux morts დაბადებული გუსტავი სუსტი აგებულებისაა და არ ელიან, რომ დღეგრძელი იქნება. ექიმი ფლობერი ყიდულობს საოჯახო ნაკვეთს Cimetière Monumental-ზე, სადაც ამოთხრილი და გამზადებული აქვს პატარა საფლავი გუსტავისთვის. ყველას გასაკვირად, ბიჭი გადარჩა. ზანტი ბავშვი გამოდგა: საათობით ზის კმაყოფილი, პირში თითით, „თითქმის ბრიყული“ გამომეტყველებით. სარტრის წარმოდგენით, ის „ოჯახის იდიოტია“.

1836დასაწყისი უიმედო, აკვიატებული ვნებისა ელიზა შლეზინგერისადმი, რაც გულს უნამლავს და ართმევს უნარს, ოდესმე ჭეშმარიტად უყვარდეს სხვა ქალი. უკან მოხედვისას წერს: „თითოეულ ჩვენგანს გულში პატარა წალკოტი აქვს ჩამალული. მე ჩემი წალკოტი აგურებით ამოვგმანე“.

1839გამოაძევეს რუანის კოლეჯიდან ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობისთვის.

1843პარიზში იურიდიული ფაკულტეტი აცხადებს პირველი გამოცდების შედეგებს. გამომცდელები საკუთარ თვალსაზრისს წითელი ან შავი ბურთულებით გამოხატავენ. გუსტავი ორ წითელს და ორ შავს იღებს, ასე რომ, იჭრება.

1844ეპილეფსიის პირველი, გამანადგურებელი შეტევა, რომელსაც სხვა შეტევები მოჰყვება. „ყოველი შეტევა, - წერს მოგვიანებით გუსტავი, - ნერვული სისტემის სისხლჩაქცევას ჰგავდა... თითქოს სულს წამებით გგლეჯდნენ სხეულიდან“. სისხლს უშვებენ და უსხამენ, აბებს ასმევენ, სპეციალურ დიეტას უნიშნავენ, უკრძალავენ ალკოჰოლსა და თამბაქოს. მკაცრი შეზღუდვების რეჟიმი აუცილებელია, თუ არ უნდა, რომ სასაფლაოზე დაიდოს ბინა. გუსტავი ტოვებს მათალ საზოგადოებას - შეუსვლელად. „მაშ, ქალიშვილივით გდარაჯობენ?“ - მწარედ ჰკბენს მოგვიანებით ლუიზ კოლე. სიცოცხლის ბოლო რვა წელიწადს თუ არ ჩავთვლით, გუსტავს სულს უხუთავს მადამ ფლობერი. დედა გამუდმებით თვალყურს ადევნებს ვაჟის კეთილდღეობას და მისი მოგზაურობის გეგმებს აკონტროლებს. თანდათანობით, ათწლეულების მერე, ისე დაუძღურდება, რომ ამ მხრივ შვილს გაასწრებს: იმ დროისთვის, როცა ფლობერი აღარ იყო დედის სადარდებელი, როლები შეიცვალა და ქალი ტვირთად ექცა გუსტავს.

1846გუსტავის მამის სიკვდილი მალევე მოჰყვა მისი საყვარელი დის, კაროლინის გარდაცვალებას (ოცდაერთი წლის ასაკში). გუსტავს დისწულის მეურვეობა დაეკისრა. მთელი ცხოვრება გამუდმებით გულს უკლავს ახლობლების გარდაცვალება. თუმცა მეგობრები სხვანაირადაც კვდებიან: ივნისში ალფრედ ლე პუატვენი ცოლს ირთავს. გუსტავს ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ეს მისი მესამე მძიმე დანაკარგი იყოს იმ წელიწადს: „რალაც არანორმალურს სჩადიხარ“, - საყვედურობს მეგობარს. ცოტა ხნის შემდეგ მაქსიმ დიუ კამპს სწერს: „გულისთვის ცრემლი იგივეა, რაც წყალი თევზისთვის“. ვითომ რა ნუგეშია იმავე წელს ლუიზ კოლესთან შეხვედრა? პედანტობა და დაუმორჩილებლობა ვერ ეგუება თავშეუკავებლობას და მესაკუთრეობას. მას შემდეგ, რაც ქალი მისი საყვარელი გახდა, სულ ექვსი დღე გავიდა და ურთიერთობის ფორმა უკვე გარკვეულია. „თავი შეიკავე და ნუ ყვირი, - საყვედურობს გუსტავი, - ამის ატანა ნამდვილი ტანჯვაა. რა გინდა, რომ გავაკეთო? ყველაფერი მივატოვო და ჰარიზში ვიცხოვრო? შეუძლებელია“. შეუძლებელი ურთიერთობები მაინც რვა წელიწადს გაინელა. ლუიზი დაბნეულია, ვერაფრით ვერ იგებს, რომ გუსტავს შეუძლია, უყვარდეს და ამავე დროს საერთოდ არ უნდოდეს მისი ნახვა. „ქალი რომ ვყოფილიყავი, - წერს

ფლობერი ექვსი წლის შემდეგ, - ჩემი თავი საყვარლად არ მენდომებოდა. ერთი ღამით, კი, ბატონო, მაგრამ ინტიმური ურთიერთობები - არა“.

1848ალფრედ ლე პუატვენის სიკვდილი, ოცდათორმეტი წლის ასაკში. „თურმე მასავით

არავინ არასდროს მყვარებია - არც კაცი, არც ქალი“. ოცდახუთი წლის შემდეგ: „დღე არ გავა, რომ მასზე არ ვიფიქრო“.

1849გუსტავი ორ უახლოეს მეგობარს, ბუიესა და დიუ კამპს უკითხავს მონიფულობისას დაწერილ პირველ მოზრდილ ნამუშევარს, „წმინდა ანტუანის ცდუნებას“. კითხვას ოთხ დღეს ანდომებენ: ყოველდღე - რვა საათს. თათბირის შემდეგ დარცხვენილი მსმენელები ეუბნებიან, გირჩევნია, ცეცხლში ჩაუძახო.

1850ეგვიპტეში გუსტავს სიფილისი ემართება. თმა უთხელდება, სუქდება. მომდევნო წელს, რომში შეხვედრისას, მაჟამ ფლობერი ძლივს ცნობს ვაჟიშვილს, და მიიჩნევს, რომ ის ძალიან არის გაუხეშებული. შუა ხნის ასაკი აქ იწყება. „გაფუჭება ღამის დაბადებიდან იწყება“. თანდათანობით კბილები სცვივა, ყველა ერთის გარდა. ნერწყვი გამუდმებით გაშავებული აქვს - ვერცხლისწყლით მკურნალობის გამო.

1851-7„მაჟამ ბოვარი“. მუშაობა უძძიმს - „ამ წიგნის წერისას იმ კაცს ვგავარ, ვისაც პიანინოზე დაკვრისას ტყვიის ბურთულები ჰკიდია თითებზე“. სასამართლოს შიში. წლების შემდეგ ფლობერს აღიზიანებს თავისი შედეგის უცვლელი დიდება - ადამიანებისთვის იგი ერთი წიგნის ავტორად იქცა. დიუ კამპს ეუბნება, საფონდო ბირჟაზე ბედმა რომ გამიღიმოს, „ნებისმიერ ფასად“ ვიყიდი „მაჟამ ბოვარის“ ყველა ეგზემპლარსო. „ცეცხლში ჩაუძახებდი და მის სახელსაც აღარასოდეს გავიგონებდი“.

1862ელიზა შლეზინგერს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებენ, „მწვავე მელანქოლიის“ დიაგნოზით. „სალამბოს“ პუბლიკაციის შემდეგ ფლობერი მდიდარ მეგობრებს იჩენს, მაგრამ ფინანსურ საკითხებში ისევ ბავშვივითაა. დედამისი

იძულებულია, უძრავი ქონება გაყიდოს ვალების გასასტუმრებლად. 1857 წელს ფინანსური საქმეების მართვას საიდუმლოდ გადააბარებს დისწულის მეუღლეს, ერნესტ კომანვილს. მომდევნო ცამეტ წელიწადში მფლანგველობის, არაკომპეტენტური მართვისა და უიღბლობის გამო ფლობერი ფულს მთლიანად კარგავს.

1869გარდაიცვალა ლუი ბუიე, რომელზეც ერთხელ თქვა: „ჩემთვის მინერალური წყალია, მაგან მომანელეობინა ცხოვრება. ბუიეს დაკარგვით ძიძა დავკარგე - კაცი, რომელიც ჩემზე ღრმად იხედებოდა ჩემსავე ფიქრებში“. სენტ-ბევიც გარდაიცვალა. „კიდევ ერთი წავიდა! პატარა ჯგუფი ქრება! ვინლა დამრჩა ლიტერატურაზე სალაპარაკოდ?“ ქვეყნდება „გრძნობათა აღზრდა“. მარცხი - კრიტიკოსთა შორის და კომერციულ ასპარეზზე. 150 ეგზემპლარი დაეგზავნა მეგობრებსა და ნაცნობებს. მათგან ოცდაათიოდემ თუ გადაუხადა მადლობა.

1870ჟიულ დე გონკურის სიკვდილი. ახლა სამიღა დარჩა იმ შვიდი მეგობრიდან, ვინც 1863 წელს მანიეს სადილები წამოიწყო. საფრანგეთ-პრუსიის ომისას მტერი კრუასეს იკავებს. ფლობერს რცხვენია, რომ ფრანგია, Légion d'honneur-ის ორდენის ტარებაზე უარს ამბობს და გადაწყვეტს, ტურგენევს ჰკითხოს, რა უნდა გააკეთოს რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად.

1872მადამ ფლობერის სიკვდილი: „ბოლო ორ კვირაში მივხვდი, რომ ჩემი საწყალი, ძვირფასი დედა ყველაზე მეტად მიყვარდა. თითქოს გულის ნაწილი ამომგლიჯეს“. გარდაიცვალა გოტიეც. „წავიდა ჩემი უკანასკნელი უახლოესი მეგობარი. სია დაიხურა“.

1874ფლობერი „კანდიდატით“ წარმოადგენს თავის თეატრალურ დებიუტს. სრული მარცხი: მსახიობები თვალცრემლიანები გადიან სცენიდან. სპექტაკლი ოთხი წარმოდგენის შემდეგ იხსნება. „ნმინდა ანტუანის ცდუნების“ პუბლიკაცია. „ნაკუნ-ნაკუნ დამგლიჯეს, - აღნიშნავს ფლობერი, - ყველამ, Figaro-თი დაწყებული და Revue des deux mondes-ით დამთავრებული... გასაკვირია ამ კრიტიკული წერილებით

ხაზგასმული სიძულვილი - სიძულვილი ჩემ მიმართ, ჩემი პიროვნების მიმართ - გამიზნული ცილისწამება... ნიაღვარივით წამოსული შეურაცხყოფა მთრგუნავს“.

1875ერნესტ კომანვილის ფინანსური განადგურება ფლობერსაც ღუპავს. ყიდის თავის ფერმას დოვილში. იძულებულია, დისშვილს ეხვეწოს, კრუასედან არ გამაგდო. ცოლ-ქმარი ფლობერს მეტსახელად „მომხმარებელს“ არქმევს. 1879 წელს ისეთ შავ დღეშია, რომ სახელმწიფო პენსიის მიღებაზე თანხმდება, რომელიც მეგობრებმა გაუხერხეს.

1876ლუიზ კოლეს სიკვდილი. ჟორჟ სანდის სიკვდილი. „ჩემი გული სასაფლაოდ იქცა“. გუსტავის ბოლო წლები უფერული და მარტოობით სავსეა. დისშვილს ეუბნება, ვნანობ, რომ ცოლი არ შევირთეო.

1880გალატაკებული, მარტოდმარტო დარჩენილი, ღონემიხდილი გუსტავ ფლობერი კვდება. ზოლა ნეკროლოგში შენიშნავს, რომ იგი უცნობი იყო რუანის ოთხი მეხუთედისთვის და საძულველი - დანარჩენი მეხუთედისთვის. „ბუვარი და პეკიუშეს“ დაუსრულებელს ტოვებს. ამბობენ, რომანზე შრომამ მოკლათ. სანამ დაიწყებდა, ტურგენევა ურჩია, მოთხრობად უკეთესი გამოვყო. დაკრძალვის შემდეგ მგლოვიარეთა ჯგუფი, პოეტ ფრანსუა კოპესა და თეოდორ დე ბანვილის ჩათვლით, გარდაცვლილი მწერლის პატივსაცემად სადილს მართავს რუანში. სუფრას რომ მიუსხდებიან, აღმოაჩენენ, რომ ცამეტნი არიან. ცრუმორწმუნე ბანვილი დაიჟინებს, კიდევ ერთი სტუმარი უნდა ვიპოვოთო, და გოტიეს სიძეს, ემილ ბერჟერას ქუჩაში გზავნიან ვინმეს შემოსაყვანად. რამდენიმე კაცი უარს ეტყვის, ბოლოს ბრუნდება და ერთი დათხოვნილი ჯარისკაცი მოჰყავს. ჯარისკაცს ფლობერის სახელი არც გაუგონია, მაგრამ კოპეს გაცნობა მთელი გულით უნდა.

III

1842მე და ჩემი წიგნები ერთ ბინაში: კიტრის მწნილივით ჩაჭეჭილები.

1846ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მქონდა ჩემი ცხოვრების

სრულყოფილი წინათგრძნობა. თითქოს კერძების მომზადებისას სავენტილაციო მილიდან გამოსულ სუნს ყნოსავ: უჭმელადაც იცი, რომ გულს აგირევს.

1846შენც ის გიყავი, რასაც მანამდე ვუშვრებოდი ყველაზე საყვარელ ადამიანებს: ჩემს გუდაში ვახედებდი, მის ძირს

ვაჩვენებდი და იქიდან ამოსული მახრჩობელა სუნი სულს უხუთავდათ.

1846ჩემი ცხოვრება სხვა (მადამ ფლობერის) ცხოვრებაზეა მიბმული და მანამდე გასტანს, სანამ ის მეორე ცხოვრება გაძლებს. ქარში აფრიალებული წყალმცენარის ნაგლეჯივით კლდეზე მხოლოდ გამძლე ძაფით ვარ მიმაგრებული. თუ განყდა, საით გაფრინდება ეს სანყალი, უსარგებლო მცენარე?

1846ხის გასხვლა გინდა. ურჩი, გაფოთლილი ტოტები ყველა მიმართულებით მიიწევენ, რომ ჰაერი ჩაისუნთქონ, მზეს მიეგებონ. მაგრამ შენ გინდა, მომხიბვლელ შპალერად გადამაკეთო, კედელს რომ მისწებებია და თვალწარმტაც ხილს ისხამს, რომელსაც ბავშვიც კი მისწვდება კიბის გარეშე.

1846არ იფიქრო, რომ კაცების იმ უხამს მოდგმას ვეკუთვნოდე, ვინც ზიზღსა გრძნობს სიამოვნების შემდეგ და ვისთვისაც სიყვარული მხოლოდ ვნებაა. არა, ჩემში რაც იღვიძებს, ასე სწრაფად არ ნავლდება. ჩემი გულის ციხე-კოშკებს აგებისთანავე ხავსი ედება, მაგრამ გარკვეული დრო უნდა გავიდეს, სანამ ნანგრევებად იქცევა, თუკი, საბოლოოდ, ასე მოხდა.

1846სიგარას ვგავარ: უნდა მომქაჩო, რომ კარგად ავენთო.

1846ზღვაში გასულებს შორის არიან ზღვაოსნები, რომლებიც ახალ სამყაროებს აღმოაჩენენ, დედამიწას ამდიდრებენ კონტინენტებით და ზეცას - ვარსკვლავებით: ოსტატები, ძლიერები, მარად მოკაშკაშეები. არიან ისეთებიც, ვინც თავისი იარაღით ყველას შიშის ზარს სცემს, ვინც ძარცვავს და ვინც მდიდრდება და სუქდება. სხვები ოქროსა და აბრეშუმს ეძებენ უცხო ცის ქვეშ. ისეთებიც არიან, ორაგულს რომ იჭერენ გურბანებისთვის, ან ვირთევზას - დარიბებისთვის. მე ერთი

უბრალო მარგალიტის მაძიებელი ვარ, რომელიც ზღვის ფსკერზე ყვინთავს და ხელცარიელი, სახეგალურჯებული ამოდის ნაპირზე. რაღაც საბედისწერო მიზიდულობა მითრევს ქვემოთ, ფიქრის უფსკრულში, ყველაზე სანუკვარ, იდუმალ თავშესაფარში, რომელიც მუდამ ხიბლავს ძლიერ ადამიანებს. სხვები მოგზაურობენ ან იბრძვიან, მე კი მთელ სიცოცხლეს ხელოვნების ოკეანის ცქერაში გავატარებ. დროდადრო ყვინთვით თავს შევიქცევ და მწვანე და ყვითელ ნიჟარებს ამოვიტან, რომლებსაც არავინ მოინდომებს. ასე რომ, დავიჭოვებ და ჩემი ქოხის კედლებს ამ ნიჟარებით მოვრთავ.

1846მე მხოლოდ ლიტერატურული ხვლიკი ვარ, რომელიც მთელი დღე მშვენიერების დიად მზესაა მიფიცხებული. სულ ეს არის.

1846ჩემში ღრმად არის გამჭდარი უსაზღვრო, შინაგანი, მტანჯველი და გაუნელებელი მონყენილობა, რომელიც სულს მიხუთავს და არ მანებებს, შევირგო რამე. ისევ და ისევ ჩნდება ნებისმიერი საბაბით, დამხრჩვალის ძალის გასივებული ლეშივით, წყლის ზედაპირზე რომ ამოხტება ხოლმე, კისერზე შებმული ქვების მიუხედავად.

1847ადამიანები საჭმელებივით არიან. ბევრ მოქალაქეს მოხარშულ ხორცს ვამსგავსებ: ორთქლი ასდის, მაგრამ არც წვენი აქვს და არც გემო (უცებ ანაყრებს და უმეტესად ტეტიები ჭამენ). სხვები ჰგვანან თეთრ ხორცს, ახალ თევზს, წაგრძელებულ ვირთევზას მდინარის შლამიანი კალაპოტიდან, ხამანწკებს (სხვადასხვანაირი სიმლაშისას), ხბოს თავს და დაშაქრულ ფაფას. მე? მე დარბილებულ, აქოთებულ სამაკრონე ყველს ვგავარ, რომელიც კარგა ხანს უნდა ჭამო, სანამ გემოს გაუგებ. ბოლოს მოგეწონება კიდეც, ოღონდ მანამდე გულს ბევრჯერ აგირევს.

1847ზოგიერთს ნაზი გული და უხეში გონება აქვს. მე პირიქითა ვარ: ნაზი გონება მაქვს, მაგრამ უხეში გული. ქოქოსს ვგავარ, რომელსაც რძე ნაჭუჭის რამდენიმე ფენის ქვეშ ჩაუკეტავს. მის გასახსნელად ცული გჭირდება, და მერე რას პოულობ? რაღაც არაუნისმაგვარს.

1847იმედი გქონდა, ჩემში იმ ცეცხლს იპოვიდი, რომელიც ყველაფერს გადაწვავდა, ააგიზგიზებდა და ააელვარებდა, მხიარულ შუქს მოჰფენდა და გააშრობდა ხით მოპირკეთებულ, ნესტიან კედლებს, ჰაერს გააჯანსაღებდა და ცხოვრებას გზნებით აავსებდა. ვაი, რომ მე მხოლოდ ერთი საწყალი ღამის ჭრაქი ვარ და წითელ, სუსტ ნაპერწკლებს ვფანტავ უვარგისი ზეთის ტბაში, რომელიც სავსეა წყლითა და მტვრის ნაწილაკებით.

1851ჩემთვის მეგობრობა აქლემივითაა: ერთი თუ დაიდრა, ველარ გააჩერებ.

1852როცა ბერდები, გულს ხესავით სცვივა ფოთლები. ყველანაირ ქარს ვერ გაუძლებ. ყოველი დღე კიდევ რამდენიმე ფოთოლს გგლეჯს. ხან კი ისეთი ქარიშხალი დაგატყდება, რომ ერთ ჯერზე რამდენიმე ტოტს მოგტეხს. გაზაფხულზე ბუნება ისევ მწვანით იმოსება, გული კი ველარასოდეს გაიფოთლება.

1852რა საშინელი რამაა ცხოვრება, არა? სუჰსა ჰგავს. ზედაპირზე უამრავი ბენვი დაცურავს და მაინც უნდა შეჭამო.

1852ყველაფერს დავცინი, იმასაც კი, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. არ არსებობს ფაქტი, საგანი, გრძნობა ან პიროვნება, რომელზეც არხეინად არ გადაამევლოს მასხარაობით - იმ უთოსავით, ტანსაცმელს რომ აპრიალეებს.

1852მიყვარს ჩემი საბუშაო - გიჟური და უკუღმართი სიყვარულით, როგორც ასკეტს უყვარს თავისი ჯვალო, მუცელს რომ უფხაჭნის.

1852ჩვენ, ნორმანდიელებს, ყველას სიდრი გვიდგას ძარღვებში. მწარე, მაჭარივით სასმელია და ხანდახან ჭურჭლიდან საცობებს აძრობს.

1853რაც შეეხება პარიზში ჩემს დაუყოვნებლივ გადასვლას, ან უნდა გადავდოთ, ან სჯობს, აქვე და ახლავე გადავწყვიტოთ. თუმცა ახლა ვერაფრით ვერ შევძლებ... საკუთარ თავს საკმაოდ კარგად ვიცნობ: გადასვლა თუ მოვინდომე, მთელ ზამთარს დავკარგავ და შეიძლება, წიგნიც

ხელიდან წამივიდეს. ბუიეს რა ენაღვლება: მაგას ყველგან უხარია წერა. უკვე თორმეტი წელია, გამუდმებით ფორიაქშია და მაინც მუშაობს... მე კი ჩამწკრივებულ რძის ქილებს ვგავარ: თუ გინდა, რომ ნალები დაიყენონ, ადგილიდან არ უნდა დაძრა.

1953თვალის მომჭრა თქვენმა შესაძლებლობებმა. ათ დღეში ექვს მოთხრობას დაწერე! არ მესმის... მე ძველ აკვედუკებს ვგავარ: იმდენი ნაგავი მოგროვილა ჩემი ფიქრის ნაპირებზე, რომ აზრები ზოხინით მოედინება და წვეთ-წვეთად იღვრება კალმის წვერიდან.

1854ჩემი ცხოვრება ყოველმხრივ გავაანალიზე და ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინე. სავსე ვარ უჭრებით და განყოფილებებით, როგორც ძველი სამგზავრო ჩემოდანი, მთლიანად გაკოჭილი და შეკრული სამი დიდი, ტყავის ღვედით.

1854სიყვარულსა მთხოვ, ჩივი, რომ ყვავილებს არ გიგზავნი? ჰო, აბა, ყვავილები! ეგ თუ გინდა, იპოვე ვინმე ცხვირმოუხოცავი ბიჭი, კარგი მანერებითა და სწორი აზრებით გამოტენილი თავით. მე კი იმ ვეფხვსა ვგავარ, ასოზე ამოსული ჯაგრით მდებდრს რომ ფლეთს.

1857წიგნები ბავშვებით როდი კეთდება: მათ პირამიდებით აგებენ. დიდხანს ნაფიქრი გეგმები ან უხარმაზარი ქვის ბლოკები ერთიმეორეზე ლაგდება. წელმოსაწყვეტი, ოფლისსაღვრელი, ხანგრძლივი სამუშაო. და ყველაფერი სულ ტყუილად! უბრალოდ, უდაბნოში დგას! საოცარია, კოშკივით აღმართულა და ზემოდან გადმოჰყურებს არემარეს. ძირში ტურები აფსამენ, წვერისკენ ბურჟები მიფოფხავენ და ა.შ. განაგრძეთ ეს შედარება.

1857არის ერთი ლათინური ფრაზა, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, ნიშნავს „განავლიდან გროშის კბილით ამოღებას“. ეს სიძუნწის რიტორიკული სახე იყო. მეც ეგრე ვარ: არაფერს დავერიდები ოქროს საპოვნელად.

1867მართლაც ბევრი რამე მაცოფებს. იმ დღეს კი, როცა

აღშფოთება გამინელდება, მიწას სახით დავენარცხები, საყრდენგამოცლილი თოჭინასავით.

1872ჩემი გული უძრავი რჩება, მაგრამ გრძნობები, ერთი მხრივ, გამახვილებულია და მეორე მხრივ, დაბლაგვებული - ძველი დანასავით, რომელსაც მეტისმეტად ხშირად ლესავდნენ, ახლა კი ჭდეები აქვს და ადვილად ტყდება.

1872არასოდეს ყოფილა სულიერება ასე გაუფასურებული. არასოდეს გაცხადებულა ასე აშკარად დიდებულის სიძულვილი - სილამაზეს ცხვირს უბზუებენ, ლიტერატურა ეზიზღებათ. მუდამ ვცდილობდი, სპილოს ძვლის კოშკში მეცხოვრა, მაგრამ მის კედლებს უნძინდურობის ტალღა ეხეთქება და ძირის გამოთხრით ემუქრება.

1873ისევ და ისევ ვამუშავებ წინადადებებს, როგორც სხვენში დაზგაზე დახრილი ბურჟუა ამუშავებს ხოლმე ხელსახოცის გასაყრელ რგოლებს. ეს საქმესაც მიჩენს და გარკვეულ სიამოვნებასაც მანიჭებს.

1875შენი რჩევის მიუხედავად, ვერ ვახერხებ „გამაგრებას“... მგრძნობელობა უკიდურესად გამიმძაფრდა, შიგნით ყველაფერი მიცახცახებს - ნერვები და ტვინი დაავადებული მაქვს, მძიმედ დაავადებული. ვგრძნობ, რომ ასეა. აი, ისევ ვწუნუნებ, თან არ მინდა, რომ გული დაგიმძიმო. ვეცდები, სულ შენს ნათქვამზე ვიფიქრო, „ლოდი“ რომ ახსენე. ოღონდ იცოდე, ძველისძველი გრანიტი ხანდახან თიხად იქცევა ხოლმე.

1875თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ფესვებიანად ამომგლიჯეს და ახლა, გამხმარი წყალმცენარის ბლუჭასავით, ტალღები აქეთ-იქით მაბურთავებს.

1880როდის დამთავრდება წიგნი? საკითხავი, აი, ეს არის. თუკი ზამთარში უნდა გამოვიდეს, დღეიდან მოყოლებული ერთი წუთიც არა მაქვს დასაკარგი. მაგრამ ხანდახან ისეთი დაღლილი ვარ, რომ მგონია, ვდნები - ძველი კამამბერივით.

3 - მკოვნელები და შემნახველები

ბადის განსაზღვრება ორნაირად შეგიძლია, შენივე თვალსაზრისის მიხედვით. ჩვეულებრივ, იტყობი, რომ ეს არის თევზის დასაჭერად შექმნილი ნასვრეტებიანი მონყობილობა. მაგრამ ლოგიკას დიდად არ აზარალებდი, თუკი ნათქვამს შეატრიალებდი და ბადეს ერთი ენაკვიმატი ლექსიკოგრაფივით აღწერდი - იმან ბადეს ერთმანეთზე თოკით გადაბმული ნასვრეტების ნაკრები დაარქვა.

ბიოგრაფიაც ასეა. ბადე ივსება, მერე ბიოგრაფი ამოათრევს, დაახარისხებს, ნაწილს ისევ წყალში გადაყრის, რაღაცას დაიტოვებს, გამოშიგნავს და გაყიდის. გაითვალისწინეთ, რომ ნადავლის უმეტესი ნაწილი ყოველთვის ხელიდან უსხლტება. თაროზე სქელი ბიოგრაფია დევს - ბურჟუას ღირსების შესაფერისი წიგნი, სატრაბახო და თავმოსანონი: შილინგიანი ცხოვრება ფაქტებს მოგანვდით, ათფუნტიანი - ყველა ჰიპოთეზასაც თან მოაყოლებს. მაგრამ იფიქრეთ, რამდენი რამ გამოგვეპარა. იფიქრეთ იმაზე, რაც გაგვიფრინდა სასიკვდილო სარეცელზე მთავარი გმირის უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად. როგორ გამოიდებს თავს თუნდაც ყველაზე განაფული ბიოგრაფი - ვინ არის დარწმუნებული, რომ მომაკვდავმა მისი დანახვისას გართობა არ გადაწყვიტა?

ედ უინტერტონი მაშინ გავიცანი, როცა სასტუმრო „ევროპაში“ ხელზე ხელი დამადო. ეს ისე ვთქვი, ხუმრობით, თუმცა მართლა ეგრე მოხდა. პროვინციელ წიგნით მოვაჭრეთა ბაზრობა იყო და ტურგენევის „ლიტერატურული რემინისცენციებისკენ“ ხელის განვდენა დავასწარი. ხელებით შეკახებას დაუყოვნებელი ბოდიშები და ორმხრივი უხერხულობა მოჰყვა. როცა ორივე მივხვდით, რომ ხელების შეხება მხოლოდ ბიბლიოფილურმა ვნებამ გამოიწვია, ედმა ნამჩურჩულა:

- გარეთ გავიდეთ, დავილაპარაკოთ.

ნელთბილი ჩაის სმისას ერთმანეთს გავემხილეთ, როგორ მივედით განსხვავებული ბილიკებით ერთი და იმავე წიგნთან. მე ფლობებრზე მოვუყევი. იმან მითხრა, გოსი და გასული საუკუნის მიწურულის ინგლისური ლიტერატურული საზოგადოება მაინტერესებსო. ამერიკელ აკადემიკოსს ხშირად არ შევხვედრივარ და სასიამოვნოდ გამაკვირვა იმან, რომ მას ბლუმსბერი მოსწყენოდა და სიხარულით გადაულოცავდა ამ თანამედროვე მოძრაობას უფრო ახალგაზრდა, უფრო პატივმოყვარე კოლეგებს. თუმცა მაშინ ედ უინტერტონს თავი ხელმოცარულად მიაჩნდა. ორმოც წელს გადაცილებული იყო, მელოტდებოდა. ვარდისფერი, ქოსა პირისახე ჰქონდა და ოთხკუთხა, უჩარჩოო სათვალე ეკეთა. ბანკირის ტიპის პროფესორი, წინდახედული და მათალბზნეობრივი. ინგლისურ ტანსაცმელს ყიდულობდა და ინგლისელს სულაც არ ჰგავდა. ისევ იმ ამერიკელად დარჩა, ვისაც ლონდონში ყოველთვის მაკინტოში აცვია, რადგან იცის, რომ ამ ქალაქში მონმენდილი ციდანაც კი წვიმს. აქაც, სასტუმრო „ევროპას“ ჰოლშიც კი მაკინტოში ეცვა.

ხელმოცარულის შეხედულება კი ჰქონდა, მაგრამ სასონარკვეთილს არ ჰგავდა. იმას უფრო იფიქრებდით, ეს კაცი საზრდოობს უწყინარი შეგნებით, რომ წარმატებისთვის არ არის დაბადებული და მხოლოდ ის ევალება, სწორად და მისაღებად მოეცაროს ხელიო. ერთი პირობა, როცა ამტკიცებდა, გოსის ბიოგრაფიას არათუ ვერ გამოვაქვეყნებ, ვერც კი დავასრულებო, შეყოვნდა და ხმას დაუნია:

- მაგრამ ხანდახან მაინც მაინტერესებს, მისტერ გოსი თუ მოიწონებდა, რასაც ვაკეთებ.

- გულისხმობთ, რომ... - გოსზე ბევრი არაფერი ვიცი და გაფართოებული თვალეებით ალბათ ცხადად მივანიშნე გაშიშვლებულ მრეცხავებზე, შერეული რასის ბუშებსა და დანანევრებულ სხეულებზე.

- ოჰ, არა, არა, არა. უბრალოდ მინდა, გოსზე დავწერო. თვითონ კი ალბათ იფიქრებდა, ეს... ზურგში დანის ჩაცემას ჰგავსო.

რასაკვირველია, ტურგენევი დავუთმე - ოღონდ კი

კუთვნილების ზნეობრიობაზე მსჯელობისთვის თავი ამერიდებინა. არ მესმოდა, რა შუაში იყო ეთიკა, როცა ნახმარი წიგნის კუთვნილებაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ედს ესმოდა. შემპირდა, შეგატყობინებ, თუ სადმე გადავაწყდიო. მერე მოკლედ განვიხილეთ, რამდენად მართებული იქნებოდა, ჩაის საფასური მე რომ გადამეხადა.

აღარ მეგონა, თუ კიდევ შემეხმიანებოდა, მით უმეტეს, იმ თემაზე, რაზეც ერთი წლის შემდეგ მომწერა. „გაინტერესებთ ჯულია ჰერბერტი? მასალის მიხედვით, მომხიბვლელი ურთიერთობა ჩანს. აგვისტოში ლონდონში ჩამოვალ, თუ თქვენც იქ იქნებით. საუკეთესო სურვილებით, ედი (უინტერტონი)“.

ნეტავ რას გრძნობს საცოლუე, როცა ტვაცუნით ხსნის კოლოფს და მენამულ ხავერდში ჩასმულ ბეჭედს ხედავს? ჩემი ცოლისთვის არასდროს მიკითხავს. ახლა კი დაგვიანებულია. ნეტავ რას გრძნობდა ფლობერი, ალიონს რომ ელოდებოდა დიდი პირამიდის წვერზე და ბოლოს ოქროსფერმა შუქმა ზოლად რომ ამოანათა ღამის მენამული ხავერდიდან? გოცებით, კრძალვით და დაუოკებელი სიხარულით ამევსო გული, როცა ედის წერილში ის ორი სიტყვა წავიკითხე. არა, „ჯულიეტ ჰერბერტი“ კი არა, სხვა ორი სიტყვა: პირველი - „მომხიბვლელი“ და მეორე - „მასალა“. კიდევ რა შეიძლება მოჰყვეს სიხარულს, თავაუღებელი მუშაობის მოლოდინს? სამარცხვინო ფიქრი საპატიო ხარისხზე?

ჯულიეტ ჰერბერტი ბანრით შემოსაზღვრული დიდი ნასვრეტია. ეს ქალი სადღაც 1850-იანი წლების შუაში ფლობერის დისშვილის, კაროლინის აღმზრდელი გახდა. კრუასეში რამდენიმე წელიწადს დარჩა, შემდეგ კი ლონდონში დაბრუნდა. ფლობერი წერილებს სწერდა, ისიც ვასუხობდა. დროდადრო ერთმანეთს სტუმრობდნენ. ამის მეტი არაფერი ვიცით. მათი მიმოწერიდან არც ერთი წერილი არ გადარჩენილა. თითქმის არაფერი ვიცით მის ოჯახზე. ისიც კი არ ვიცით, როგორ

გამოიყურებოდა. არც მისი აღწერილობა შემორჩენილა და არც ფლობერის რომელიმე მეგობარს მოსვლია აზრად მისი ხსენება, როცა მწერლის სიკვდილის შემდეგ მის ცხოვრებაში

სხვა ქალების მნიშვნელობას პატივი მიაგეს.

ბიოგრაფები ჯულიეტ ჰერბერტის თაობაზე ვერ თანხმდებიან. ზოგიერთისთვის მონაცემების ნაკლებობა იმაზე მიანიშნებს, რომ ქალი ფლობერის ცხოვრებაში ბევრს არაფერს ნიშნავდა. სხვები ამას საპირისპიროდ ხსნიან და ამტკიცებენ, რომ კეკლუცი აღმზრდელი აშკარად მწერლის ერთ-ერთი საყვარელი უნდა ყოფილიყო, შესაძლოა, მისი ცხოვრების დიდი, უცნობი ვნება და იქნებ მისი საცოლევც კი. ჰიპოთეზები ბიოგრაფის ტემპერამენტით იქსოვება. იქნებ ჯულიეტ ჰერბერტის სიყვარულის ნიშნად ის ფაქტი ჩავთვალოთ, რომ გუსტავმა თავის მწევარს ჯულიო დაარქვა? ეგებ ვინმე ასე ფიქრობს. ამგვარი ვარაუდი, ცოტა არ იყოს, ტენდენციური მეჩვენება. და თუ ამ გზას დავადგებით, მაშინ რა დასკვნამდე მიგვიყვანს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა წერილში გუსტავი თავის დისშვილს „ლულუს“ უძახის - სახელს, რომელსაც მოგვიანებით ფელისიტეს თუთიყუშს დაარქმევს? ან ის ფაქტი, რომ ჟორჟ სანდს ჰყავდა ცხვარი, სახელად გუსტავი?

ფლობერი ერთხელ ახსენებს ჯულიეტ ჰერბერტს ბუიესადმი მიწერილ წერილში. ბარათი ამ უკანასკნელის კრუასეში სტუმრობის შემდეგაა დაწერილი:

მას მერე, რაც დაგინახე, როგორი აღტაცება მოგგვარა აღმზრდელმა, შენი გრძნობა გადმომედო. სუფრასთან სიამოვნებით ჩავეყვი მზერით მისი მკერდის ნატიფ ხაზს. დარწმუნებული ვარ, ამას თვითონაც ამჩნევს - ყოველ ჯერზე და ამ დროს ისეთი სახე აქვს, თითქოს მზე მიადგა. მშვენიერი შედარება გამოვა მკერდის დამრეც ხაზსა და ციხე-სიმაგრის ბრუსტვერს შორის, საიდანაც კუპიდონები ცვივიან, როცა ციტადელს უტევენ (აქ ჩვენი შეიხის ხმით უნდა ითქვას): „დანამდვილებით ვიცი, არტილერიის რომელ ნაწილს დავუმიზნებ“.

ახლავე გამოვიტანოთ დასკვნა? რაღა დაგიმალოთ და ეს ერთ-ერთი ნიმუშია იმ მეტიჩრული, შემაგულიანებელი აბდაუბდისა, ფლობერი რომ წერდა მეგობარ კაცებს. ჩემთვის ეს დამაჯერებელი არ არის: ნამდვილი სურვილი ასე იოლად არ იქცევა მეტაფორად. მაგრამ ყველა ბიოგრაფი ხომ გულში

საიდუმლოდ ატარებს სურვილს - მოიხელთოს და განავრცოს საკუთარი სუბიექტების სექსუალური ცხოვრება. თქვენთვის მომინდვია განსჯა - ჩემიც და ფლობერისაც.

ვითომ მართლა აღმოაჩინა ედმა მასალა ვინმე ჯულიეტ ჰერბერტზე? ვაღიარებ, რომ დასაკუთრების სურვილმა წინასწარ ამაფორიაქა. წარმოვიდგინე, როგორ გამოვაქვეყნებდი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ჟურნალში. იქნებ TLS-ისთვის მიმეცა. „ჯულიეტ ჰერბერტი: ამოხსნილი საიდუმლო. ავტორი ჯეფრი ბრაითუეიტი“. მასალის საილუსტრაციოდ ისეთი ფოტო სჭობდა, სადაც წესიერად ვერც ამოიკითხავდი ხელით მიწერილს. იმასაც ვდარდობდი, ედმა თავისი აღმოჩენის ამბავი უნივერსიტეტში არ წამოაყრანტალოს და გულუბრყვილოდ არ დაუთმოს საიდუმლო ნადავლი ვინმე პატივმოყვარე, ასტრონავტიკით გაკრეჭილ ფრანგული კულტურის სპეციალისტს-მეთქი.

მაგრამ ეს უკადრისი და იმედი მაქვს, შემთხვევითი გრძნობები იყო. ყველაზე მეტად გუსტავის და ჯულიეტის ურთიერთობის საიდუმლოს აღმოჩენაზე ფიქრი მაფორიაქებდა (სხვა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სიტყვას „მომხიბვლელი“ ედის წერილში?). ასევე მალეღვებდა, რომ მასალა კიდევ უფრო ზუსტად წარმომადგენინებდა, თუ როგორი იყო ფლობერი. ბადე მოზიდული მქონდა. იქნებ ისიც გამეგო, როგორ იქცეოდა მწერალი - თუნდაც ლონდონში?

ეს განსაკუთრებით მაინტერესებდა. XIX საუკუნეში კულტურული ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, საუკეთესო შემთხვევაში, პრაგმატული გახლდათ. ფრანგი მწერლები ინგლისელ კოლეგებთან ესთეტიკაზე დისკუსიისთვის როდი გადაკვეთდნენ ხოლმე ლა-მანშს. ისინი ან მართლმსაჯულებას გაურბოდნენ, ან სამუშაოს ეძებდნენ. ჰიუგო და ზოლა დევნილებად ჩამოვიდნენ, ვერლენი და მალარმე - სკოლის მასწავლებლებად. ქრონიკულად ლატაკი, მაგრამ უსაშველოდ პრაქტიკული ვილიე დე ლ'ილ-ადანი მდიდარი ვაცის გასათხოვარი მეძვიდრის საძებნელად ჩამოვიდა. ამ ექსპედიციისთვის პარიზელმა მაჭანკალმა ბენვის ქურქით, მალვიძარიანი მაჭის საათით და კბილების ახალი

პროტეზით მოამარაგა. ის ყველაფრის საფასურს მაშინ მიიღებდა, როცა მწერალი მზითევს ჩაიგდებდა ხელში. მაგრამ მუდამ უიღბლო ვილიეს არშიყოზა ჩაუფლავდა, მემკვიდრემ უარი უთხრა. მაჭანკალიც გამოეცხადა, ქურქი და საათი დამიბრუნეო, და უარყოფილი ვილიე, კბილებით სავსე პირითა და ცარიელი ჯიბით, ბედის ანაბარა დარჩა ლონდონში.

ფლობერის საქმე როგორღაა? ბევრი არაფერი ვიცით მის ოთხ მოგზაურობაზე ინგლისში. ვიცით, რომ 1851 წელს მოულოდნელად ძალიან მოეწონა დიდი გამოფენა: „საუცხოო რამაა, იმის მიუხედავად, რომ ყველას მოსწონს“. მაგრამ ამ პირველი ვიზიტისას გაკეთებული მისი ჩანაწერები სულ შვიდი გვერდია: ორი - ბრიტანულ მუზეუმზე, ხუთი - ბროლის სასახლის ჩინურ და ინდურ განყოფილებებზე. როგორი იყო მისი პირველი შთაბეჭდილებები ჩვენზე? ამას ალბათ ჯულიეტს ეტყოდა. მართლა ისე ვცხოვრობდით, როგორც აღწერს ფლობერი თავის „მიღებული იდეების ლექსიკონში“ (ინგლისელი კაცები: ყველა მდიდარია. ინგლისელი ქალები: გასაკვირია, რომ ლამაზ ბავშვებს აჩენენ.)? მომდევნო ვიზიტებზე რაღას იტყვით, როცა ყბადაღებული „მადამ ბოვარის“ ავტორი გახდა? ინგლისელი მწერლები თუ მოძებნა? ინგლისური ბორდელები? იქნებ შინ დარჩა, სიმუდროვებში, ჯულიეტთან ერთად. სადილობისას თვალს არ

აცილებდა... და მერე მის ციხე-სიმაგრეს შეუტია? იქნებ (მცირე იმედს მაინც ვიტოვებდი) მხოლოდ მეგობრები იყვნენ? ინგლისურს მართლა ისე ამტკრევდა, როგორც წერილებში ჩანს? თუ მხოლოდ შექსპირის ენით ლაპარაკობდა? და ნისლის გამო წუწუნებდა?

რესტორანში შეხვედრისას ედი უნინდელებზე უფრო ხელმოცარული მომეჩვენა. მელაპარაკა ბიუჯეტის შემცირებაზე, ავბედით სამყაროსა და თავისი პუბლიკაციების სიმცირეზე. პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ სამსახურიდან დაითხოვეს. მერე მითხრა, ჩემი დათხოვნა ბედის ირონია იყო: მიზეზი საქმისადმი ერთგულება გამხდარა - ის, რომ არ უნდოდა, გოსისტვის რამე მოეკლო და აპირებდა, საქვეყნოდ წარდგენისას ყველაფერი სამართლიანად ეთქვა. უფროსმა აკადემიკოსებმა მიიჩნიეს,

რომ ედმა საქმე მიაფუჩეჩა. აბა, მაგას იზამდა? მომეტებული პატივისცემით ეკიდებოდა წერას და მწერლებს.

- ვალში ვართ ამ ბიჭების წინაშე და არ უნდა გადავუხადოთ? - დაასკვნა ედმა.

იქნებ ოდნავ მეტ თანაგრძნობას ელოდა ჩემგან. მაგრამ ხელიდან იღბალს ვინ გაუშვებს? მე მხოლოდ ერთხელ გამიღიმა ბედმა. სადილი სწრაფად შევუკვეთე, დიდად არ მანაღვლებდა, რას ვჭამდი. ედმა იმდენი იფიქრა მენიუზე, თითქოს ვერლენი იყო და იმ თვეში პირველად უკვეთდა ნოყიერ კერძს. ვუსმენდი მის გულისგამაწვრილებელ წუნუნს, შევცქეროდი, რა ნელ-ნელა უღებდა ბოლოს თევზს და თანდათანობით მოთმინება მელეოდა, თუმცა მღელვარება არ გამნელებია.

- ესეც ასე, - ვთქვი, როცა მთავარ კერძს შევუდექით, - ახლა ჭულიეტ ჰერბერტი.

- ოჰ, - ამომხედა ედმა, - აბა, რა.

ვხედავდი, რომ დაწყება უჭირდა.

- უცნაური ისტორიაა.

- ეტყობა.

- ჰო, - ცოტა შეწუხებული ჩანდა, დარცხვენილიც კი. - იცით, დაახლოებით ექვსი თვის წინ აქ ვიყავი, მისტერ გოსის ერთ შორეულ შთამომავალს ვეძებდი. ბევრს არაფერს ველოდი. უბრალოდ, რამდენადაც ვიცოდი, ამ ქალბატონთან არავის ელაპარაკა, და ვიფიქრე, ჩემი... მოვალეობაა მისი მოძებნა-მეთქი. იქნებ რამე საოჯახო ლეგენდა სმენოდა წინაპრებისგან - ისეთი რამ, რაც არ ვიცოდი...

- მერე?

- მერე? ოჰ, არაფერი. არა, ნამდვილად არაფრით დამხმარებია. თუმცა მშვენიერი დღე იყო. კენტი... - ისევ შეწუხებული სახე ჰქონდა; თითქოს მაკინტოშზე დარდობს, ცოტა ხნის წინ

მიბტანმა უგულოდ რომ ააცალაო. - აჰ, მესმის, რას გულისხმობთ. ის ქალი ფიქრობდა, რომ ცუდი ამბავი დაატყდა თავს ამ წერილების სახით. ნება მიბოძეთ, დავაზუსტო. იმედია, თუ შედეგადაა, შემიხსნორებთ. ჯულიეტ ჰერბერტი სადღაც 1909 წელს გარდაიცვალა, არა? ჰო, ერთი ბიძაშვილი ჰყავდა, ქალი. ამ ქალმა წერილები იპოვა, მისტერ გოსს მიუტანა და ჰკითხა, რამე ფასეულობა აქვთ თუ არაო. მისტერ გოსმა იფიქრა, ფულზე მელაპარაკებო, ჰოდა, უთხრა, საინტერესოა, მაგრამ არაფერიც არ ღირსო. ამის მერე ბიძაშვილმა, როგორც ჩანს, წერილები გადასცა და უთხრა, თუ არაფერი ღირს, თქვენ წაიღეთო. ისიც ასე მოიქცა.

- თქვენ საიდან იცით?

- წერილებს მისტერ გოსის ხელით დაწერილი ბარათი ახლდა.

- მერე?

- მერე ამ ქალბატონთან აღმოჩნდა, კენტში. ვშიშობ, მეც იმას მეკითხებოდა - რამედ თუ ღირსო. ძალიან ვნანობ - უზნეოდ მოვიქეცი. ვუთხარი, როცა გოსმა ნახა, ღირებული იყო, მაგრამ ახლა აღარ არის-მეთქი. ვუთხარი, ნამდვილად საინტერესოა, მაგრამ ბევრი არაფერი ღირს, რადგან ნახევარი ფრანგულადაა დაწერილი-მეთქი. მერე ავდექი და ორმოცდაათ ფუნტად ვიყიდე.

- ღმერთო დიდებული!

რა გასაკვირია, რომ ცქმუტავდა.

- ცუდად მოვიქეცი, არა? საკუთარი თავისთვის ვერ მიჰატიებია. თუბცა იმ ამბავმა, რომ წერილების ხელში ჩაგდებისას თვით მისტერ გოსიც კი ტყუოდა, ამ საქმეს დაღი დაასვა. აქ უკვე ეთიკის საინტერესო საკითხი ჩნდება, არა? ფაქტია, რომ საკმაოდ დათრგუნული ვიყავი სამუშაოს დაკარგვის გამო და ვიფიქრე, წერილებს შინ წავიღებ, გავყიდი და წიგნის გაგრძელებასაც შევძლებ-მეთქი.

- რამდენი წერილი იყო?

- სამოცდათხუთმეტამდე. დაახლოებით სამი დუჟინი ორივე მხრიდან. ფასზეც ეგრე შევთანხმდით - თითო ფუნტი ინგლისურად დაწერილ თითო წერილში და ორმოცდაათი პენსი - ფრანგულად დაწერილებში.

- ღმერთო დიდებულო... - გავიფიქრე, ნეტავ სინამდვილეში რა ეღირება-მეთქი. ალბათ ათასჯერ მეტი, ვიდრე ედმა გადაიხადა. ან უფრო მეტი.

- დიახ.

- კარგი, განაგრძეთ, მიაბზეთ ამ წერილებზე.

- აჰ, - შეყოვნდა და ისე გადმომხედა, თვინიერი და პედანტი რომ არ ყოფილიყო, იფიქრებდით, ყალთაბანდობსო. იქნებ ჩემი აფორიაქება ართობდა. - კარგი, კარგი. რა გაინტერესებთ?

- წაიკითხეთ?

- აბა რა.

- მერე... მერე... - არ ვიცოდი, რა მეკითხა. ედი აშკარად თავს იქცევდა - მერე... რომანი ჰქონდათ? ჰქონდათ, არა?

- დიახ, უეჭველად.

- როდის დაიწყო? ქალი რომ კრუასეში ჩავიდა, მალევე?

- ჰო, ძალიან მალე.

ესეც ბუიესადმი მიწერილი წერილის ახსნა: ფლობერი თამაშობდა, მეგობარს ვითომ აქეზებდა, თავს

იკატუნებდა, თითქოს აღმზრდელთან ბევრი არაფრის იმედი ჰქონდა - თავისი მეგობარივით, არადა, სინამდვილეში...

- და სულ გრძელდებოდა, სანამ ქალი იქ იყო?

- აბა, რა.

- და როცა ფლობერი ინგლისში ჩამოვიდა?

- ჰო, მაშინაც.

- ეს ქალი საცოლე იყო?

- ძნელი სათქმელია. ჩემი ვარაუდით, ეგრე უნდა ყოფილიყო. ორივეს წერილებში მინიშნებებია - უმეტესად, სახუმარო ფრაზები პატარა ინგლისელ აღმზრდელზე, მახეში რომ გააბა სახელოვანი ფრანგი მოკალმე; ციხეში რომ ჩაგსვან საზოგადოებაში მიღებული ზნეობრივი ნორმების დარღვევისთვის, რას იზამო. რაღაც ასეთი რამეებია.

- კარგი, კარგი, კარგი. და იმასაც გავიგებთ, როგორი იყო?

- როგორი იყო? ოჰ, გარეგნობას გულისხმობთ?

- ჰო, რამე ხომ არ იყო... - მიხვდა, რისი იმედი მქონდა: - ...რამე ფოტოსურათი?

- ფოტოსურათი? ჰო, იყო, რამდენიმე - ჩელსის რომელიღაც სტუდიაში გადაღებული, სქელ მუყაოზე დაბეჭდილი. ეტყობა, კაცმა სთხოვა, რამდენიმე გამომიგზავნეო. ეგ საინტერესოა?

- წარმოუდგენელია. შესახედავად როგორია?

- სანდომიანი. ისეთი ქალია, დასამახსოვრებელი რომ არაფერი აქვს. მუქი ფერის თმა, ძლიერი ნიკაპი, სწორი ცხვირი. კარგად არ დამითვალაიერებია, ეგეთი ქალები მაინცდამაინც არ მომწონს.

- ერთმანეთს ეწყობოდნენ? - აღარ ვიცოდი, რა მეკითხა. გულში ვიძეორებდი: ფლობერის ინგლისელი საცოლე. ავტორი - ჯეფრი ბრაითუეიტი.

- ჰო, როგორც ჩანს... ეტყობოდათ, რომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ბოლოს ფლობერი ისე დაოსტატდა, ინგლისური სააღერსო სიტყვები აღარ ელეოდა.

- ესე იგი, ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობდა?

- არა, წერილებში ინგლისურად დაწერილი რამდენიმე გრძელი

პასაჟი აქვს.

- ლონდონი მოსწონდა?

- მოსწონდა. აბა, არ მოეწონებოდა? მისი საცოლის ქალაქი იყო.

- ძვირფასი, ბებერი გუსტავი, - ნავიჩურჩულე ჩემთვის. გული სინაზით ამევსო. საუკუნისა და რამდენიმე წლის წინ აქ იყო, ამ ქალაქში, ჩემს თანამემამულესთან ერთად, იმ ქალთან ერთად, ვინც გული მოსტაცა...

- ნისლის გამო ჩიოდა?

- რასაკვირველია. რაღაც ამგვარს წერდა - როგორ ახერხებთ ასეთ ნისლში ცხოვრებასო? როცა ჯენტლმენი ნისლიდან გამოსულ ლედის იცნობს, ქუდის მოხდა უკვე დაგვიანებულიაო. საკვირველია, როგორ არ გადაშენდით ასეთი გაძნელებული არშიყოზის პირობებშიო.

დიახ, ასეთი ტონი ჰქონდა - ელეგანტური, გამაღიზიანებელი, ოდნავ ავხორცული.

- და დიდი გამოფენა? დაწვრილებით აღწერს? დაგენიძლავებით, მოეწონებოდა.

- მოეწონა. რასაკვირველია, ეგ რამდენიმე წლით ადრე იყო, სანამ ერთმანეთს გაიცნობდნენ, მაგრამ სენტიმენტალურად ახსენებს - ნეტავ როცა არ გიცნობდი, იმ ბრბოში გვერდით ხომ არ ჩაგიარეო. ეს საშინელი და თან დიადი რამ იქნებოდაო. ეტყობა, ყველა ექსპონატს ისე უყურებდა, თითქოს ამ უზარმაზარ გამოფენაზე სათავისო მასალას ათვალიერებს და არჩევსო.

- და... ჰმმმ... - კარგი, რაც არის, არის: - ალბათ ბორდელებიც არ წასულა.

ედმა ბრაზიანად შებომხედა.

- რას ამბობთ, შეყვარებულს სწერდა, მაგით ტრაბახს ხომ არ

მოჰყვებოდა.

- არა, რასაკვირველია, არა. - ვიგრძენი, რომ დამტუქსეს. ველარ ვისვენებდი. ჩემი წერილები. ჩემი წერილები. უინტერტონი ხომ გამომაქვეყნებინებდა?

- აბა, როდის მაჩვენებთ? თანა გაქვთ?

- ოჰ, არა.

- არა? - ჰო, უეჭველად გონივრული იყო უსაფრთხო ადგილას შენახვა. მოგზაურობას თავისი ხიფათები ახლავს. თუ... თუ რამე ისეთი არაა, რასაც ვერ მივხვდი. იქნებ... ფული ხომ არ უნდოდა? უეცრად გავაცნობიერე, რომ სრულიად არაფერი ვიცოდი ედ უინტერტონზე, გარდა იმისა, რომ ჩემი წიგნის - ტურგენევის „ლიტერატურული რემინისცენციების“ მფლობელი იყო.

- ერთი ცალიც კი არ მოიტანეთ?

- არა. იცით რა... დავწვი.

- რაო? რა ქენით?

- ჰო. ამიტომაც ვამბობ, უცნაური ისტორიაა-მეთქი.

- ახლა კრიმინალურ ისტორიას უფრო ჰგავს.

- დარწმუნებული ვარ, გამიგებთ, - მითხრა ჩემდა გასაკვირად, მერე კი გულიანად გაიღიმა. - თქვენ ყველაზე უკეთ გამიგებთ. თავიდან გადავწყვიტე, საერთოდ არავისთვის არაფერი მეთქვა, მაგრამ მერე თქვენ გამახსენდით. ვიფიქრე, ამ საქმით დაკავებულმა ერთმა კაცმა მაინც უნდა იცოდეს-მეთქი. უბრალოდ, ცნობისთვის.

- განაგრძეთ. - ეს კაცი აშკარად მანიაკი იყო. რა გასაკვირია, რომ უნივერსიტეტიდან გამოაჰანდურეს. ნეტავ ეგ ერთი წლით ადრე ექნათ.

- იცით რა, იმ წერილებში ბევრი რამე მოგხიბლავდათ. ძალიან

ვრცლად და მრავალმხრივად მსჯელობდა მწერლებზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ეგეთ რამეებზე. სხვა, ჩვეულებრივ წერილებთან შედარებით გაცილებით უშუალოდ წერდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ უცხოეთში გზავნიდა და თავს მეტი გულწრფელობის უფლებას აძლევდა. - იცოდა კი ამ ბოროტმოქმედმა, ამ ფარისეველმა, ამ ხელმოცარულმა, ამ მკვლელმა, ამ მელოტმა ჰარანოიკმა, რას მიკეთებდა? ალბათ იცოდა. - იმ ქალის წერილებიც ძშვენიერი იყო. თავისი ცხოვრების ამბავს ჰყვებოდა. ბევრს რამეს ამჟღავნებდა ფლობერის შესახებ. მონატრებით აღწერდა კრუასეს ყოველდღიურ ცხოვრებას. აშკარად ძალიან კარგი

თვალი ჰქონდა. გაგაოცებდათ, ისეთ რაღაცებს ამჩნევდა.

- განაგრძეთ. - მიმტანს პირქუშად დავუქნიე თავი. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ აქ კიდევ დიდხანს გავძლებდი. მინდოდა, უინტერტონისთვის მეტქვა, როგორ მსიამოვნებდა, რომ თავის დროზე ბრიტანელებმა თეთრი სახლი ნაცარტუტად აქციეს.

- უეჭველია, გაინტერესებთ, რატომ გავანადგურე წერილები. გეტყობათ, რაღაცამ გაგალიზიანათ. ბოლო წერილში ფლობერი ამბობს, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში ქალს წერილები უკან გადაეგზავნება, მან კი მთელი მიმოწერა უნდა დაწვას.

- მიზეზს ამბობს?

- არა.

მართლაც უცნაური ამბავი იყო - თუკი ეს მანიაკი მართალს ამბობდა. თუმცა გუსტავმა დიუ კამპთან მიმოწერის დიდი ნაწილი თვითონვე დაწვა. იქნებ მასში დროებით გაიღვიძა საკუთარი ოჯახის წარმომავლობით სიამაყემ და არ უნდოდა, მსოფლიოს გაეგო, რომ კინალამ ინგლისელი აღმზრდელი შეირთო ცოლად. ან იქნებ არ უნდოდა, გაგვეგო, რომ მის სახელგანთქმულ ერთგულებას მარტოობისა და ხელოვნებისადმი ბზარი ჰქონდა გაჩენილი. მაგრამ მსოფლიო მაინც გაიგებს - მე ვეტყვი.

- ხომ ხედავთ, არჩევანი არ მქონდა. ვგულისხმობ, რომ... თუ

მწერლებთან გაქვს საქმე, მათ პატიოსნად უნდა მოექცე, არა? დანაბარები უნდა შეუსრულო, გინდაც სხვები ამას არ აკეთებდნენ. - ერთი გონებაშეზღუდული ნაბიჭვარი იყო, იდგა და მორალს მიკითხავდა. ეთიკას ისე იყენებდა, როგორც კახპა - კოსმეტიკას; და იმასაც ახერხებდა, ერთ გამოძეტყველებაში მოექცია წუხილიც და თვითკმაყოფილებაც. - სხვა რამეც იყო უკანასკნელ წერილში. მის ჰერბერტს რომ სთხოვდა, მიმოწერა დაეწვა, ბოლოს არიგებდა, თუ ვინმე გკითხავს, რა ეწერა ჩემს წერილებში, ან როგორი იყო ჩემი ცხოვრება, ძალიან გთხოვ, სიმართლე არ უთხრაო. თუმცა, არა, ყველას მოტყუებას ვერ გთხოვ, ამიტომ, უბრალოდ, ის უპასუხე, რისი მოსმენაც, შენი აზრით, ენდომებათო.

თავს ვილიე დე ლ'ილ-ადანივით ვგრძნობდი: თითქოს ვიღაცამ რამდენიმე დღით მათხოვა ქურქი და საათი, მერე კი გაშმაგებით გამომგლიჯა და წაიღო. იღბალზე, სწორედ ამ დროს ოფიციალტი მოვიდა. თუმცა უინტერტონი არც ეგეთი ბრიყვი გამოდგა: გვარიანად დასწია სკამი უკან და თითები მაგიდაზე აათამაშა.

- სამწუხარო ისაა, - მითხრა მან, როცა საკრედიტო ბარათი ამოვაძრე, - რომ ალბათ ვერ შევძლებ მისტერ გოსის დაფინანსებას. თუმცა დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით: ეს საინტერესო ზნეობრივი გადაწყვეტილება იყო.

ვფიქრობ, იმ ფრაზას, რომელიც მერე ვუთხარი, მისტერ გოსი, როგორც მწერალი და მამაკაცი, არ იმსახურებდა, მაგრამ არ მესმის, თავი როგორ უნდა შეძეკავებინა.

4 - ფლობერის სამხეცე

გიჟებსა და ცხოველებს ვიზიდავ.

წერილი ალფრედ ლე ჰუატვენს, 26 მაისი, 1845

დათვი

გუსტავი დათვი იყო, მისი და, კაროლინი - ვირთხა. წერილებს ხელს ასე აწერდა: „შენი საყვარელი ვირთხა“, „შენი ერთგული ვირთხა“. ძმა კი ასე მიმართავდა: „პატარა ვირთხა“, „აჰ, ვირთხა, კარგი ვირთხა, ბებერი ვირთხა“, „ბებერი ვირთხა, საძაგელი ბებერი ვირთხა, საწყალი ბებერი ვირთხა“. გუსტავი დათვი იყო. მხოლოდ ოცი წლისა იყო, როცა ხალხი ამბობდა, უცნაური ყმაწვილია, ნამდვილი დათვია, სულ სხვანაირი ვინმეაო. ეპილეფსიის შეტევამდე და კრუასეში გამოკეტვამდე გათავისებული ჰქონდა ეს სახე: „დათვი ვარ და დათვად მინდა დავრჩე - ჩემს თავშესაფარში, ჩემს ბუნაგში, ჩემს ტყავში, ბებერი დათვის ტყავში; მშვიდი ცხოვრება მინდა ბურჟუებისა და ბურჟუაზიისგან მოშორებით“. შეტევის შემდეგ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხეცია: „მარტოდმარტო ვცხოვრობ, დათვივით“ (ამ წინადადებაში სიტყვა „მარტოდმარტო“ გულისხმობს: „მარტოდმარტო, თუ არ ჩავთვლით მშობლებს, დას, მსახურებს, ჩვენს ძაღლს, კაროლინს, თხას და ალფრედ ლე ჰუატვენის ხშირ სტუმრობას“).

როცა გამოჰანძრთელდა, მოგზაურობის ნება დართეს. 1850 წლის დეკემბერში დედამისს კონსტანტინოპოლიდან წერილი მისწერა და დათვის სახე განავრცო. ეს ფრაგმენტი არა მარტო მის ხასიათს განმარტავს, არამედ ლიტერატურულ სტრატეგიასაც:

თუკი ცხოვრებაში მონაწილეობ, მას ნათლად ვეღარ ხედავ: ან მეტისმეტად გტანჯავს, ან მეტისმეტად გახალისებს. ხელოვანი, ჩემი აზრით, ურჩხულისმაგვარი, ცხოვრების მიღმა დარჩენილი არსებია. ყველა უიღბლობა, რასაც ბედისწერა თავს დაატეხს, ამ

სენტენციის ჯიუტი უარყოფიდან მოდის... ჰოდა (ეს ჩემი დასკვნაა), განწირული ვარ, ვიცხოვრო ისე, როგორც ვცხოვრობ: მარტოდმარტო, ჩემი დიდებული ადამიანების, უახლოესი მეგობრების ჯგუფთან ერთად - დათვი ვარ, ჩემი ტყავიანად.

ზედმეტია აღნიშვნა, რომ „უახლოესი მეგობრების ჯგუფი“ ოჯახში მოსული სტუმრები კი არა, ბიბლიოთეკის თაროებიდან ჩამოღებული თანამოაზრეები არიან. რაც შეეხება დათვის ტყავს, მასზე ფიქრი არ შორდებოდა: დედამისს ორჯერ მისწერა აღმოსავლეთიდან (კონსტანტინოპოლი, 1850 წლის აპრილი; ბენი-სუეიფი, 1850 წლის ივნისი), სთხოვდა, ტყავს მიხედო. მისი დისშვილი კაროლინიც იხსენებს მწერლის კაბინეტის მთავარ დეტალს. გოგონა იქ გაკვეთილების შემდეგ, პირველ საათზე შეჰყავდათ: დარაბები დახურული ჰქონდათ, რომ სიცხე არ შემოსულიყო, ჩაბნელებულ ოთახში ჩინური ჩხირებისა და თამბაქოს სურნელი იდგა. „ერთი ნახტომით ვეფლობოდი დათვის ვეება, თეთრ ტყავში, რომელზეც ვგიჟდებოდი, და მის დიდ თავს კოცნას ვუწყებდი“.

მაკედონიური ანდაზაა: დათვს თუ დაიჭერ, გიცეკვებს კიდევ. გუსტავი არ ცეკვავდა, ფლობერი არავის დათვი არ იყო (ამას ფრანგულად როგორ შემოაბრუნებთ? ალბათ ასე: Gourstave).

დათვი: საზოგადოდ, მარტინს არქმევენ. მაგალითისთვის - ამბავი ბებერი ჯარისკაცისა, რომელმაც დაინახა, რომ დათვის ორმოში საათი ჩავარდა, თვითონაც ჩაძვრა და დათვმა შეჭამა.

„მიღებული იდეების ლექსიკონი“

გუსტავი არც სხვა ცხოველებს იწუნებს. ახალგაზრდობაში ხან რომელი მხეცია და ხან - რომელი: ერნესტ შევალიეს ნახვას მონატრებული „ლომი ან ვეფხვი - ინდოეთის ვეფხვი, ან ბოა კონსტრიქტორია“ (1841); ძალის იშვიათ მოზღვავენას გრძნობს და არის „ხარი, სფინქსი, წყლის ბულა, ვეშაპი“ (1841). შემდგომში ერთ-ერთს ირჩევს ხოლმე. ხამანწკაა თავის ნიჟარაში (1845); ლოკოკინა თავის ნიჟარაში (1845); მაჩვზღარბა, თავის დასაცავად რომ ირკალება (1853, 1857). ლიტერატურული ხვლიკია, მშვენიერების მზეს რომ ეფიცება (1846); მგალობელი

ჩიტია, გულის გამგმირავად რომ გაჰკვივის და უღრან ტყეში დამალულს საკუთარი ხმა მხოლოდ თვითონ ესმის (ესეც 1846). ძროხასავით დამყოლი და ნერვიული ხდება (1867); ვირივით ქანცგანყვეტილია (1867) და მაინც სენაში დგაფუნობს დელფინივით (1870). ისეთი ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც სამ მარტორქას მოუღებდა ბოლოს (1872); ხარივით მუშაობს (1878); თუმცა ლუიზ კოლეს ურჩევს, მუშაობისას სადმე თხუნელასავით ჩაძვერი ხოლმეო (1853). ლუიზი გუსტავს „ამერიკული პრერიების ველურ ბიზონს“ ამსგავსებს (1846). თუმცა, ჟორჟ სანდის აზრით, „ბატკანივით თვინიერი“ ჩანს (1866), რასაც გუსტავი არ ეთანხმება (1869) და გაუთავებლად ლაქლაქებენ - ენას არ აჩერებენ კაჭკაჭებივით (1866). ათი წლის შემდეგ ჟორჟ სანდის დაკრძალვაზე ხბოსავით ბლავის. თავის კაბინეტში ჩაკეტილი ასრულებს მოთხრობას, საგანგებოდ ამ ქალისთვის რომ წერდა - მოთხრობას თუთიყუშზე, და „გორილასავით“ ღრიალებს (1876).

დროდადრო, საკუთარი თავის აღწერისას, მარტორქებისა და აქლებების სახეებს ეკეკლუცება, მაგრამ ამას საიდუმლოდ ინახავს. თავისი არსით, დათვია: ჭიუტი დათვი (1852), დათვი, რომელსაც ეპოქის სიბრიყვე უფრო ღრმად ითრევს დათვობაში (1853) - გაქუცული დათვი (1854), ნახერხით გატენილი დათვიც კი (1869), და ასე შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე, როცა ისევ „ბუნაგში აღრიალებული დათვივით ხმაბალლა ბლავის“ (1880). ყურადღება მიაქცിയეთ, რომ „ჰეროდიადაში“, ფლობერის უკანასკნელ დასრულებულ ნაწარმოებში, როცა დატუსაღებულ წინასწარმეტყველს, იოქანანს უბრძანებენ, შეწყვიტოს გარყვნილი ქვეყნიერების მამხილებელი გოდება, ის პასუხობს, არ მოვეშვები „დათვივით“ ღრიალსო.

„ენა ძველ, გაბზარულ ჩაიდანსა ჰგავს, რომელზეც

დათვის საცეკვაოს ვაკაკუნებთ, არადა, გვინდა, ვარსკვლავებს ავუჩუყოთ გული“.

„მადამ ბოვარი“

გუსტავის დროს ჯერ კიდევ იყვნენ დათვები: მურა დათვები ალპებში, წითური დათვები სავოიში. დამარილებული

პროდუქტების საუკეთესო მოვაჭრეებთან დათვის შაშხის შოვნაც შეიძლებოდა. 1832 წელს ალექსანდრე დიუმა დათვის ბიფშტექსს მიირთმევდა მარინიში, Hôtel de la Poste-ში. მოგვიანებით, „სამზარეულოს დიდ ლექსიკონში“ (1870) აღნიშნავს: „ახლა დათვის ხორცს მთელ ევროპაში ჭამენ“. მისი უდიდებულესობის, პრუსიის მეფის უფროსმა მზარეულმა დიუმას დათვის თათების მოსკოვური რეცეპტი მისცა. იყიდეთ განმენდილი თათები. გარეცხეთ, დაამარილეთ და დაამყავეთ საბი დღით. ჩაშუშეთ ღორთან და ბოსტნეულთან ერთად შვიდი-რვა საათის განმავლობაში. სითხე გადაუწურეთ, მოაყარეთ წინაკა, მოასხით გამდნარი ღორის ქონი. ამოავლეთ ორცხობილას ფხვნილში და ნახევარი საათის განმავლობაში შეწვით ცხაურზე. სუფრაზე მიიტანეთ პიკანტურ სოუსთან და ორ სუფრის კოვზ წითელი მოცხარის ჟელესთან ერთად.

არ ვიცით, ფლობერს ოდესმე გაუსინჯავს თუ არა თავისი სეხნიის ხორცი. 1850 წელს, დამასკოში, ცალკუზიანი აქლემის ხორცი უჭამია. ალბათ დათვი რომ ეჭამა, ასეთ იფსოფაგიას უკომენტაროდ არ დატოვებდა.

მაინც რა ჯიშის დათვი იყო ფლობერი? შეგვიძლია, მის კვალს წერილებში მივყვეთ. თავდაპირველად უბრალოდ ours არის - დათვი (1841). ჯერ კიდევ გაურკვეველი სახეობისაა, თუმცა ბუნაგის მესაკუთრეა 1843 წელს, 1845 წლის იანვარში და 1845 წლის მაისში (ამ დროისთვის უკვე ტრაბახობს ბენვის სამმაგი ფენით). 1845 წლის ივნისში თავისი ოთახისთვის დათვის სურათის ყიდვა უნდა, რომელსაც „გუსტავ ფლობერის პორტრეტს“ დაარქმევს - „ჩემი მორალური სახისა და სოციალური ტემპერამენტის აღსანიშნავად“. მანამდე ჩვენ (და შეიძლება, ისიც) მუქი ფერის ცხოველს წარმოვიდგენდით: ამერიკულ მურა დათვს, რუსულ შავ დათვს, წითურ დათვს სავოიდან. მაგრამ 1845 წლის სექტემბერში გუსტავი მტკიცედ განაცხადებს, „თეთრი დათვი“ ვარო.

რატომ? იქნებ იმიტომ, რომ დათვი კი არის, მაგრამ თან თეთრი ევროპელია? ან იქნებ მისი კაბინეტის იატაკზე დაფენილი თეთრი დათვის ტყავის გავლენით (რომელსაც პირველად 1846 წლის აგვისტოში ახსენებს - ლუიზ კოლეს სწერს, მიყვარს მთელი დღე ზედ გაშოტილს გდებაო. იქნებ ამ ჯიშს იმიტომ

ირჩევს, რომ მის ტყავში ჩამალულმა იმასხარაოს)? თუ ეს შეფერილობა ადამიანურობისგან დაშორებასა და დათვობის უკიდურესობებთან დაახლოებაზე მიგვანიშნებს? მურა, შავი, წითური დათვები ისე შორს არ არიან ადამიანისგან, ადამიანის ქალაქებისგან, თუნდაც ადამიანის მეგობრობისგან. ფერადი დათვების განვრთნა, საზოგადოდ, შესაძლებელია. მაგრამ თეთრი, პოლარული დათვი? ის კაცის სიამოვნებისთვის არ ცეკვავს, ტყის კენკრას არ ჭამს, თაფლზე სული არ წაუვა და ხაფანგში არ გაებმება.

სხვა დათვებს ადამიანები იყენებენ. რომაელებს დათვები ბრიტანეთიდან მიჰყავდათ თავიანთი თამაშებისთვის. კამჩატკელები, აღმოსავლეთ ციმბირის ბინადრები, დათვის ნაწლავებისგან ნიღბებს იკეთებდნენ კაშკაშა მზისგან თავდასაცავად; ალესილ ლავინის ძვალს ბალახის საჭრელად ხმარობდნენ. მაგრამ თეთრი დათვი, *Thalarctos maritimus*, დათვების არისტოკრატია. ქედმაღალი, თავშეკავებული, მოხდენილად ყვინთავს თევზის დასაჭერად, უსაფრდება და დაუნდობლად ესხმის თავს სელაპებს, როცა ჰაერის ჩასასუნთქად ზემოთ ამოდიან. ზღვის დათვი. ესენი ყინულის ლოდებზე შემოსხდებიან და გრძელ მანძილზე მოგზაურობენ. გასულ საუკუნეში ერთ ზამთარს ოცი ვეება თეთრი დათვი ისე შორს წამოვიდა სამხრეთით, რომ ისლანდიას მოადგა. წარმოიდგინეთ, როგორ მოჰყვებოდნენ დინებას თავიანთი ტახტრევენებით, თანდათან რომ უდნებოდათ. თავზარდამცემი, ღმერთების საკადრისი სანახაობა იქნებოდა. არქტიკის მკვლევარი, უილიამ სქორსბი აღნიშნავდა, დათვის ღვიძლი შხამიანიო - ოთხფეხა ცხოველის ერთადერთი ორგანოა ასეთი. ზოოპარკის მომვლელებმა არ იციან, როგორ დაადგინონ, მაკეა თუ არა პოლარული დათვი. უცნაური ფაქტებია, თუმცა ფლობერს ალბათ უცნაურად არ ეჩვენებოდა.

ციმბირის ხალხი, იაკუტები, დათვთან შეხვედრისას ქუდს იხდიან, ესალმებიან; ბატონს, ბერიკაცს, ბაბუას უძახიან და ჰპირდებიან, თავს არ დაგესხმით, უფრო მეტიც, აუგად არასოდეს გახსენებთო. მაგრამ თუკი შეატყვეს, რომ თავდასასხმელად ემზადება, ესვრიან. თუ მოკლეს, დაჭრიან, შეწვავენ და ქეიფობენ, თან გამუდმებით იმეორებენ: „რუსები

გჭამენ, ჩვენ კი არა“.

ა. ფ. ოლანიე,

„კვების პროდუქტებისა და სასმელების ლექსიკონი“

იქნებ სხვა მიზეზებიც იყო, რის გამოც დათვობა აირჩია? Ours-ის გადატანითი მნიშვნელობა დიდად არ განსხვავდება ინგლისური მნიშვნელობისგან: ტლანქი, ველური, გაუთლელი ჭეელი. Ours, ჟარგონით, პოლიციის საკანს ნიშნავს. Avoir ses ours - საკუთარი დათვების ყოლა - მენსტრუაციას გულისხმობს (ალბათ იმიტომ, რომ ასეთ დროს ქალი, სავარაუდოდ, თავგატეხილი დათვივით იქცევა). ეტიმოლოგები ამ ფრაზას საუკუნის დასაწყისს მიაკუთვნებენ (ფლობერი მას არ ხმარობს, „ნითელმუნდირიანების შემოსევა“ და სხვა იუმორისტული ვარიაციები ურჩევნია. ერთგან ლუიზ კოლეს მოუწესრიგებლობაზე წუხს და ბოლოს შენიშნავს, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ლორდი პალმერსტონიც მობრძანდაო). Un ours mal léché - ცუდად გალოკილი დათვი: გაუთლელი ადამიანი და მიზანთროპი. ფლობერისთვის un ours უფრო მისაღები იყო

XIX საუკუნის ჟარგონით - თამაში, რომელიც დროდადრო ვრცელდებოდა და მერე ისევ იკარგებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოიკიდა ფეხი.

ფლობერს უთუოდ ეცოდინებოდა ლა ფონტენის იგავ-არაკი დათვსა და მებაღეზე. იყო ერთი დათვი, უშნო და დაგვაჭული. ქვეყნიერებას ემალებოდა და მარტოდმარტო ცხოვრობდა ტყეში. გავიდა დრო, დათვი დანალვლიანდა და გაბოროტდა - „რადგან გონიერება იშვიათად ეგუება განდეგილობას“. ჰოდა, დაადგა გზას და შეხვდა მებაღეს. ისიც კარჩაკეტილი ცხოვრობდა და იმასაც ხმის გამცემი ენატრებოდა. დათვი მებაღის ქოხში გადაბარგდა. მებაღე განდეგილად იმიტომ ცხოვრობდა, რომ სულელების ატანა არ შეეძლო. დათვი კი მთელი დღის განმავლობაში სულ სამ სიტყვას თუ იტყოდა, მებაღეს არც თავის საქმეს აცდენდა და არც აწუხებდა. დათვი სანადიროდ დადიოდა და ორივესთვის ნანადირევი მოჰქონდა. როცა მებაღე დასაძინებლად წვებოდა, დათვი ერთგულად ეჭდა

გვერდით და ბუბებს უგერიებდა, სახეზე რომ არ დასხდომოდნენ. ერთ დღესაც ერთი ბუბი ცხვირის წვერზე დააჭდა კაცს და ჭიუტად არ იძვროდა. დათვი ბუბის უსაქციელობამ გააცოფა, დასტაცა ხელი ლოდს და ბუბს სული გააცხებინა. თუმცა, საუბედუროდ, მეზადესაც ტვინი დაანთხევინა.

ალბათ ლუიზ კოლემაც იცოდა ეს ამბავი.

აქლები

დათვი რომ არა, გუსტავი შეიძლებოდა, აქლები ყოფილიყო. 1852 წლის იანვარში ლუიზს სწერს და კიდევ ერთხელ უხსნის, ჩემი გამოსწორება არ იქნებაო: რაც არის, ეგ არის, ვერ შეიცვლება და ამ საკითხზე სათქმელი არაფერი აქვს, საგნების მიზიდულობაზეა დამოკიდებული - იმ მიზიდულობაზე, „რომელიც პოლარულ დათვს ყინულოვან რეგიონებში აცხოვრებს და აქლებს ქვიშაზე დაატარებს“. აქლები რა შუაშია? იქნებ ეს ფლობერისეული გროტესკის მშვენიერი მაგალითი იყოს: სხვაგვარად ვერ ახერხებს, ერთდროულად სერიოზულიცაა და კომიკურიც. კაიროდან იტყობინება: „აქ ერთ-ერთი უმშვენიერესი რამ აქლებია. არასოდეს მომბეზრდება ამ უცნაური ცხოველის ყურება, ინდაურივით დატორტმანებს და კისერს გედივით მიიქნევს. ისე გულმოდგინედ ვცდილობ, მის ყვირილს მივბადო, რომ ძალა გამომელია. იმედი მაქვს, თქვენც მოგასმენინებთ, მაგრამ ძნელი საქმეა - გრუხუნი გამომდის, უსაშველო ბუყბუყის თანხლებით“.

ცხოველებისადმი ინტერესი გუსტავის დამახასიათებელ თვისებებზე მეტყველებს: „მე, ჩემი ფიზიკური და მენტალური აქტივობით, ცალკუზიან აქლებს ვგავარ, რომელსაც ძნელად დაძრავ ადგილიდან, და თუ დაიძრა, ველარ გააჩერებ. მე უწყვეტობა მჭირდება, გინდ დასვენებისას და გინდ მოძრაობისას“. 1853 წლის ეს ანალოგია - ერთი თუ დაიძრა, ველარ გააჩერებ - ჯერ კიდევ 1868 წელს ჟორჟ სანდისთვის მიწერილ წერილში გვხვდება.

Chameau, აქლები, ჟარგონით, ბებერ კურტიზანს აღნიშნავდა. არა მგონია, ამ ასოციაციას ფლობერის ზიზღი გამოეწვია.

ცხვარი

ფლობერს ბაზრობები უყვარდა: აკრობატები, გოლიათი ქალები, გონჯები, მოცეკვავე დათვები. მარსელში პორტის ბალაგანს ეწვია, სადაც „ცხვარი-ქალების“ აფიშა გამოეკიდათ.

ეს არსებები აქეთ-იქით დარბოდნენ, მეზღვაურები კი ბენვს ჰქაჩავდნენ, რომ გაეგოთ, ნამდვილი იყო თუ არა. დახვეწილი წარმოდგენა არ ყოფილა: „უფრო სულელურს და ბინძურს ვერაფერს ნახავს კაცი“, - წერდა გუსტავი. გაცილებით მძაფრი შთაბეჭდილება დატოვა ბაზრობამ გერანდში, ძველ, საფორტიფიკაციო ქალაქში, სენ-ნაზარის ჩრდილო-დასავლეთით. ამ ქალაქს ფლობერი 1847 წელს ეწვია, როცა დიუ კამპთან ერთად ფეხით მოიარა ბრეტანი. ბალაგანი ერთ ცბიერ გლეხს მოეწყო, პიკარდიის კილოზე რომ აქებდა „ახალგაზრდა ფენომენს“: ეს ხუთფეხა ცხვარი გამოდგა, მილისმაგვარი კუდით. ფლობერი მახინჯმა ცხვარმაც გაახალისა და პატრონმაც. აღტაცებითა და აპლოდისმენტებით შეხვდა ცხოველს. პატრონი სასადილოდ წაიყვანა, არწმუნებდა, ბედს ეწევო, და ურჩია, ეს ამბავი მეფე ლუი ფილიპეს მისწერეო. დღის ბოლოს, დიუ კამპის აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად, გუსტავი და ცხვრის პატრონი ერთმანეთს შენობით ელაპარაკებოდნენ.

„ახალგაზრდა ფენომენმა“ ფლობერი მოაჯადოვა - ეს ფრაზა მისი სახუმარო ლექსიკის ნაწილად იქცა. როცა ის და დიუ კამპი დაეხეტებოდნენ, გუსტავი მეგობარს ვითომდა დიდის ამბით წარუდგენდა ხეებსა და ბუჩქებს: „ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალგაზრდა ფენომენი!“ ბრესტში გუსტავი კიდევ ერთხელ გადაეყარა ცბიერ პიკარდიელსა და მის მახინჯ ცხვარს. გლეხთან ერთად ისადილა, კარგადაც გამოთვრა და ქება-დიდებით ლამის ცაში აიყვანა ცხოველი. ხშირად აჰყვებოდა ხოლმე ასეთ ქარაფშუტულ ახირებებს. დიუ კამპს სხვა რაღა დარჩენოდა - უცდიდა, როდის გადაუვლიდა, ციებ-ცხელებასავით.

მომდევნო წელს, პარიზში, დიუ კამპი ავად იყო და იწვა. ნაშუადღევს, ოთხ საათზე, გარედან რაღაც ფაციფუცი შემოესმა. კარი ხმაურით, ფართოდ გაიღო და ფლობერმა შემოალაჯა, უკან ხუთფეხა ცხვარი და ლურჯ ბლუზაში გამონყობილი შოუპენი მოჰყვებოდნენ. ინვალიდებზე თუ შანზელიზებზე რომელიღაც ბაზრობას ამოენტხია ეს წყვილი და ფლობერს ერთი სული ჰქონდა, მეგობარი მათი ხელახალი აღმოჩენით გაეხარებინა. დიუ კამპი მშრალად შენიშნავს, ცხვარი „კარგად ვერ იქცეოდაო“. ვერც გუსტავი იქცეოდა

კარგად - გაჰყვიროდა, ღვინო მოიტანეთო, ცხოველს ოთახში დაატარებდა და მის ღირსებებს ბლავილით აღწერდა:
„ახალგაზრდა ფენომენი სამი წლისაა, სამედიცინო აკადემიაში ბრძანდებოდა, რამდენიმე გვირგვინოსანმა პატივი დასდო სტუმრობით და ა.შ.“ თხუთმეტ წუთში ავადმყოფ დიუ კამპს მოთმინების ფიალა აევსო. „ცხვარი და მისი პატრონი დავითხოვე და ოთახი გავასუფთავებინე“.

ცხვარმა კურკლი ფლობერის მეხსიერებაშიც დატოვა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ისევ ახსენებდა დიუ კამპს თავის სიურპრიზს - როგორ იყო, ახალგაზრდა ფენომენი რომ მოგიყვანო, და იმდღევანდელივით სიცილით კვდებოდა.

მაიმუნი, ვირი, სირაქლემა,

მეორე ვირი და მაქსიმ დიუ კამპი

ერთი კვირის წინ ქუჩაში ვნახე, როგორ დაახტა მაიმუნი ვირს და როგორ ცდილობდა მის აღგზნებას - ვირი ყროყინებდა და ტლინკებს ყრიდა, მაიმუნის პატრონი ყვიროდა, თვითონ მაიმუნი ჭყიოდა, ორი-სამი ბავშვი სიცილით კვდებოდა. მეც სახალისოდ მივიჩნიე ეს სანახაობა. სხვას არავის მიუქცევია ყურადღება ამ ამბისთვის. საკონსულოს მდივანს, მუსიე ბელინს რომ მოვუყევი, მითხრა, მე ნანახი მაქვს, სირაქლემა როგორ ცდილობდა ვირის გაუპატიურებასო. იმ დღეს მაქსმა თვითონაც დაანძრია მოფარებულ ადგილას, რაღაც ნანგრევებში, და თქვა, ძალიანაც კარგი იყო.

წერილი ლუი ბუიეს, კაირო, 15 იანვარი, 1850

თუთიყუში

ჯერ ერთი, თუთიყუშები ადამიანები არიან - ეტიმოლოგიურად ასეა. Perroquet არის ვინობითი Pierrot; parrot მოდის Pierre-ისგან; ესპანური perico წარმოიქმნა Pedro-სგან. თუთიყუშების ლაპარაკის უნარი ერთ-ერთი საკითხი იყო ბერძნების ფილოსოფიურ დებატებში ადამიანებსა და ცხოველებს შორის განსხვავებაზე მსჯელობისას. ელიანუსი აღნიშნავს, რომ „ბრაჰმანები მათ დიდ პატივს სცემენ, ფრინველებს შორის უპირატესად მიიჩნევენ და დასძენენ, ასეც უნდა იყოსო; რადგან მხოლოდ თუთიყუშს შეუძლია, კარგად მიბაძოს ადამიანის ხმას“. არისტოტელე და პლინიუსი შენიშნავენ, რომ ეს ჩიტი უკიდურესად გარყვნილია სიმთვრალეში. უფრო მართებულია ბუფონის დაკვირვება - თუთიყუშს მიდრეკილება აქვს ეპილეფსიისკენო. ფლობერმა იცოდა თანამოდძის სისუსტის ამბავი: თუთიყუშებზე ცნობები „უმანკო გულზე“ მუშაობისას მოიძია და მათი სწეულებების სიაც კი შეადგინა: ნიკრისის ქარი, ეპილეფსია, რძიანა და ყელის წყლული.

შევაჯამოთ. ჯერ ლულუ, ფელისიტეს თუთიყუში. მერე ორი ფიტული - მეტოქეები, ერთი Hôtel-Dieu-ში და მეორე - კრუასეში. კიდევ სამი ცოცხალი თუთიყუში: ორი ტრუვილში და ერთი - ვენეციაში. ამას დავუმატოთ ავადმყოფი, გრძელკუდა თუთიყუში ანტიბში. ლულუს შესაძლო პროტოტიპებიდან, ჩემი აზრით, შეგვიძლია, გამოვრიცხოთ „საძაგელი“ ინგლისური ოჯახის დედა, რომელსაც გუსტავი ალექსანდრიიდან კაიროში მიმავალ ბორანზე გადაეყარა: ქალს ქუდზე მწვანე ვუალი ჰქონდა მიმაგრებული და „ბებერ, ავადმყოფ თუთიყუშს“ ჰგავდა.

კაროლინი თავის „სანუკვარ მოგონებებში“ აღნიშნავს, რომ „ფელისიტე და მისი თუთიყუში მართლაც არსებობდნენ“ და ტრუვილის თუთიყუშზე მიგვითითებს, კაპიტან ბარბეის რომ ჰყავდა - ლულუს ნამდვილი წინაპარი ეგ არისო. უპასუხოდ რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ და სად გადაიქცა 1830-იან წლებში ერთი უბრალო (ან საუცხოო) ჩიტი 1870-იანი წლების რთულ, ტრანსცენდენტურ თუთიყუშად? ამას

ალბათ ვერასოდეს გავიგებთ, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, სად დაიწყებოდა ტრანსფორმაცია.

„ბუვარი და პეკიუშეს“ მეორე, დაუსრულებელი ნაწილი, ძირითადად, უნდა ყოფილიყო La Copie - ჩანაწერები უცნაურობებსა თუ იდიოტობებზე და თვითკრიტიკული ციტატები, რომლებიც ორ კლერკს დიდის ამბით უნდა ამოეწერა ჭკუის სასწავლებლად, ფლობერს კი დამცინავად უნდა მოეთხრო. ათასობით საგაზეთო მასალიდან არჩევდა დოსიეში გამოსადეგ ჩანარებს. მათ შორისაა 1863 წლის 20 ივნისს L'Opinion nationale-დან ამოჭრილი ამბავი:

„ჟერუვილში, არლონის მახლობლად, ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც საუცხოო თუთიყუში ჰყავდა. ჩიტი მისი ერთადერთი სიყვარული იყო. ახალგაზრდობაში უიღბლო სიყვარულის მსხვერპლი გახდა. ამან მიზანთროჰად აქცია და ახლა მარტო ცხოვრობდა თავის თუთიყუშთან ერთად. ჩიტს თავისი დაკარგული სიყვარულის სახელი ასწავლა და ეს სახელი დღეში ასკერ გაისმოდა. ფრინველს სხვა ნიჭი არ გააჩნდა, მაგრამ პატრონის, ბედკრული ანრი კ.-ს თვალში, ასეთი ტალანტი ყველა სხვა უნარს ახუნებდა. უცნაური ხმით წარმოთქმული სალოცავი სახელის ყოველ გაგონებაზე ანრი სიხარულისგან თრთოდა; საფლავიდან ამოსულ ხმას ამსგავსებდა - იდუმალსა და ზეადამიანურს.

მარტოობამ ანრი კ.-ს წარმოსახვა გაუმძაფრა და თანდათანობით თუთიყუშმა გამორჩეული ადგილი დაიკავა მის ფიქრებში. კაცისთვის ერთგვარ წმინდა ფრინველად იქცა: დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, საათობით იჯდა და შეჰყურებდა - აღტაცებული და გარინდებული. მერე თუთიყუში, რომელიც თვალგაშტერებული პასუხობდა პატრონის მზერას, კაბალისტურ სიტყვას დაიჩურჩულებდა და ანრის დაკარგული ბედნიერების ხსოვნით ევსებოდა სული. ეს უცნაური ცხოვრება რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. თუმცა ერთ დღესაც ადამიანებმა შენიშნეს, რომ ანრი კ. ჩვეულებრივზე უფრო მოღუშული იყო და თვალები უცნაურად უელავდა. თუთიყუში მომკვდარიყო.

ანრი კ. ისევ მარტო ცხოვრობდა - ახლა უკვე მარტოდმარტო.

გარე სამყაროსთან არაფერი აკავშირებდა. სულ უფრო და უფრო იკეტებოდა თავის ნაჭუჭში. ბოლოს ისეც ხდებოდა, რომ ოთახიდან რამდენიმე დღე არ გამოდიოდა. რასაც მიუტანდნენ, იმას ჭამდა, მაგრამ ყურადღებას არავის აქცევდა. თანდათან დაიჭერა, რომ თვითონაც თუთიყუშად იქცა. თითქოსდა მკვდარი ჩიტის მიბაძვით ამოიჭყიპინებდა ხოლმე იმ სახელს, რომლის გაგონებაც ასე უყვარდა. თუთიყუშით სიარულს ცდილობდა, ხან რაზე ჩამოჯდებოდა და ხან რაზე - აქაოდა, ქანდარაზე ვზივარო; მკლავებს ისე შლიდა, თითქოს ფრთები უნდა ააფართქუნოსო.

ხანდახან ცუდ გუნებაზე დგებოდა და ავეჯის მტვრევას ინყებდა. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, გილში გაეგზავნათ, maison de santé-ში. თუმცა გზაში, ღამით, გაეპარათ. მეორე დილით ხეზე დასკუპებული იპოვეს. ვერაფრით ვერ დაიყოლიეს, ჩამოსულიყო, სანამ ვიღაცამ არ მოიფიქრა და ხის ძირას თუთიყუშის ვეება გალია არ დაუდგა. ამის დანახვაზე უბედური მონომანიაკი ჩამოცოცდა და დაიჭირეს. ახლა გილის maison de santé-შია“.

ვიციტ, რომ ფლობერი გააოგნა ანრი კ.-ს ისტორიამ. ამ სტრიქონის - „თანდათანობით თუთიყუშმა გამორჩეული ადგილი დაიკავა მის ფიქრებში“ - შემდეგ მიუწერია: „შევცვალე: თუთიყუშის მაგივრად - ძაღლი“. უეჭველია, ეს მომდევნო ნაწარმოების მოკლე გეგმაა. მაგრამ ბოლოს, როცა ლულუსა და ფელისიტეს ამბავი დაინერა, თუთიყუში თავის ადგილზე დარჩა, პატრონი კი შეიცვალა.

თუთიყუშები „უბანკო გულის“ დაწერამდეც დაფრთხილებდნენ

ფლობერის ნაწერებსა და წერილებში. 1846 წლის 11 დეკემბერს გუსტავი ლუიზს უხსნის, რატომ მიუწევს გული უცხო ქვეყნებისკენ და წერს: „ბავშვობაში ყველას თუთიყუშებისა და ტკბილი ფინიკების ქვეყანაში გვინდა ცხოვრება“. ნაღვლიან, გულგატეხილ ლუიზს ანუგეშებს (27 მარტი, 1853) და შეახსენებს, ყველანი გალიაში გამომწყვდეული ჩიტები ვართ და ცხოვრება ყველაზე მძიმედ იმას აწევს, ვისაც დიდი ფრთები აქვსო: „მეტ-ნაკლებად ყველანი არწივები თუ იადონები, თუთიყუშები თუ სვავეები ვართ“. უარყოფს ლუიზის ნათქვამს, პატივმოყვარე

ხარო (9 დეკემბერი, 1852), და ერთმანეთისგან განასხვავებს სიამაყესა და პატივმოყვარეობას: „სიამაყე მხეცია, რომელიც გამოქვაბულებში ცხოვრობს და უდაბნოში დაეხეტება, პატივმოყვარეობა კი თუთიყუშია, რომელიც ტოტიდან ტოტზე დახტის და ყველას დასანახად ჭყიპინებს“. ლუიზს უამბობს, რა გმირულად ეძებდა „მადამ ბოვარიში“ წარმოდგენილ სტილს (19 აპრილი, 1852) და უხსნის: „რამდენჯერ დავნარცხებულვარ სახით, როცა მეგონა, ცოტაც და სასურველს მოვიხელთებ-მეთქი. თუმცა ვგრძნობ: არ უნდა მოვკვდე, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ჩემს გონებაში გახმიანებული სტილი ღრიალით გამოვარდება გარეთ და თუთიყუშებისა და ჭრიჭინების ხმაურს ჩაახშობს“.

„სალამბოში“, როგორც ვთქვი, კართაგენელ მთარგმნელებს მკერდზე თუთიყუშის სვირინგი ჰქონდათ (ალბათ უფრო შესაძლო, ვიდრე უტყუარი დეტალი?). ამავე რომანში ბარბაროსებს „ხელში საჩრდილობლები უკავიათ, ან მხრებზე თუთიყუშები ასხედან“. სალამბოს ტერასაზე დგას სპილოს ძვლის პატარა საწოლი, რომლის ბალიშებიც თუთიყუშის ბუმბულითაა გატენილი - „რადგან ეს იყო წინასწარმეტყველი, ღმერთების მიერ კურთხეული ჩიტი“.

„მადამ ბოვარიში“ და „ბუვარი და პეკიუშეში“ თუთიყუშები არ არიან. არც „მიღებული იდეების ლექსიკონშია“ განმარტებული PERROQUET. „წმინდა ანტუანის ცდუნებაში“ ეს ფრინველი მხოლოდ ერთი-ორჯერაა გაკვრით ნახსენები. „წმინდა ჟულიენ სტუმართმოყვარეში“ სულ რამდენიმე ჭიშის ფრინველი თუ გადაურჩება ჟულიენის პირველ ნადირობას - ქანდარაზე ჩამომსხდარ როჭოებს ფეხებს დააჭრიან, დაბლა მფრინავ წეროებს მონადირე მათრახით ჩამოყრის - მაგრამ თუთიყუში ნახსენებიც არაა. იგი უვნებელი რჩება. თუმცა მეორე ნადირობისას, როცა ჟულიენს მოკვლის ჟინი ჩაუცხრება და ცხოველები მოუქნელი მდევრის მოუხელთებელ, სახიფათო მოთვალთვალეებად იქცევიან, თუთიყუში გამოჩნდება. ტყეში მოციმციმე ნაპერწკლები, ჟულიენს ცის დასალიერში დაკიდებული ვარსკვლავები რომ ჰგონია, ჩასაფრებული ცხოველებისა და ფრინველების - ფოცხვერების, ციყვების, ჭოტების, თუთიყუშებისა და მაიმუნების თვალები გამოდგება.

ნუ დავივინყებთ თუთიყუშს, რომელიც იქ არ ყოფილა.
„გრძნობათა ალბრდაში“ ფრედერიკი 1848 წლის აჯანყების
დროს გაპარტახებულ პარიზში დაეხეტება. დანგრეულ
ბარიკადებს ჩაუვლის, შავ გუბებს ხედავს - ალბათ სისხლია.
სახლებს ერთადერთ ლურსმანზე ჩამოკონწიალებული
დარაბები ძონძებივით ჰკიდიათ. ამ ქაოსში აქა-იქ შემთხვევით
გადარჩენილა ნატიფი ნივთები. ფრედერიკი ერთ ფანჯარაში
შეიხედავს. თვალს შეავლებს საათს, რამდენიმე გრავიურას და
თუთიყუშის ქანდარას.

ადამიანისთვის უცხო არ არის ასე ხეტიალი წარსულში.
გზააბნეულები, მოუწესრიგებლები, შეშინებულები მივყვებით
შემორჩენილ ნიშნებს, ქუჩების დასახელებებს ვკითხულობთ,
მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით, სადა ვართ. გარშემო
ყველაფერი დანგრეულია. აქ ბრძოლებს ბოლო არ უჩანდა.
ვხედავთ სახლს - ალბათ მწერლის სახლს. კედელზე აბრაა
მიმაგრებული: „გუსტავ ფლობერი (1821-1880), ფრანგი მწერალი,
ამ სახლში ცხოვრობდა...“ მერე ასოები ისე პატარავდება,
თითქოს ოფთალმოლოგის ცხრილი იყოს. უფრო ახლოს
მივდივართ. ფანჯარაში ვიხედავთ. ჰო, მართალია:
გააფთრებული ბრძოლების მიუხედავად, რამდენიმე ნატიფი
ნივთი გადარჩენილა. საათი ისევ წიკწიკებს. თვალში გვხვდება
თუთიყუშის ქანდარა. თუთიყუშს ვეძებთ. სად არის თუთიყუში?
მისი ხმა ისევ გვესმის, მაგრამ მხოლოდ ცარიელ ხის ქანდარას
ვხედავთ. ჩიტი გაფრენილა.

ძაღლები

1 რომანტიკული ძაღლი. დიდი ნიუფაუნდლენდი, ელიზა შლეზინგერის საკუთრება. დიუ კამპს თუ დავუჭერებთ, ნერო ერქვა, გონკურს თუ დავუჭერებთ - თაბორი. მადამ შლეზინგერი გუსტავმა ტრუვილში გაიცნო: თვითონ თოთხმეტნახევარი წლისა იყო, ქალი - ოცდაექვსისა. ქალი ლამაზი იყო, მისი ქმარი - მდიდარი. ელიზას უზარმაზარი ჩალის ქუდი ეხურა, მუსლინის კაბაში მისი კოხტა მხრები ილანდებოდა. ნერო თუ თაბორი ყველგან თან დაჰყვებოდა. გუსტავი ხშირად მალულად აედევნებოდა ხოლმე. ერთხელ, დიუნებზე, ქალმა კაბა გაიხსნა და ბავშვს ძუძუ მოაწოვა. ბიჭი კი იდგა დაბნეული, უძნეო, გატანჯული, გულგატეხილი. კარგა ხნის მერეც ამტკიცებდა, 1836 წლის მოკლე ზაფხულმა გული მომიკლა და დაღი დამასვაო (რასაკვირველია, ჩვენი ნებაა, დავუჭერებთ თუ არა. გონკურები რაღას ამბობდნენ? „უაღრესად წრფელი ბუნების მიუხედავად, ბოლომდე გულახდილად არასდროს ამბობს, რას გრძნობს, რა სტანჯავს და რა უყვარს“). პირველად ვის გაუმხილა თავისი ვნების ამბავი? თანაკლასელებს? დედამისს? თავად მადამ შლეზინგერს? არა: ნეროს (თუ თაბორს) უთხრა.

ნიუფაუნდლენდს სასეირნოდ ატარებდა ტრუვილის ქვიშებში, თბილ დიუნებს ამოფარებული მუხლებზე ეცემოდა და ძაღლს ხელებს შემოხვევდა ხოლმე. მერე იმ ადგილებს უკოცნიდა, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ქალბატონის ბაგეები ეხებოდა (კოცნის სამიზნეები დებატების საგნადაა ქცეული: ზოგი ამბობს, დრუნჩიო, ზოგი - კეფაო). ნეროს (თუ თაბორს) ჩასჩურჩულებდა ბანჯგვლიან ყურში იმ საიდუმლოებებს, რისი ჩურჩულიც მთელი გულით ეწადა მუსლინის კაბასა და ჩალის ქუდს შორის მოქცეულ ყურში; და ცრემლებად იღვრებოდა.

მადამ შლეზინგერის ხსოვნა, მისი ლანდი სიცოცხლის ბოლომდე თან სდევდა ფლობერს. ძაღლს რა დაემართა, არავინ იცის.

2 პრაქტიკული ძაღლი. ჩემი აზრით, კრუასეში მცხოვრები შინაური ცხოველები წესიერად არავის შეუსწავლია. ცოტა ხნით

თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ზოგს სახელი აქვს, ზოგს - არა. კარგად არ ვიცით, როდის ან როგორ ჩნდებოდნენ, ან როდის და როგორ კვდებოდნენ. მოდი, თავი მოვუყაროთ:

1840 წელს გუსტავის დას, კაროლინს, ჰყავდა თხა, სახელად სუვი.

1840 წელს ოჯახს ჰყავდა შავი ნიუფაუნდლენდი, ძუკნა, სახელად ნიუ (შეიძლება, ამ სახელის გავლენით ახსენებდა დიუ კამპი მადამ შლეზინგერის ნიუფაუნდლენდს).

1853 წელს გუსტავი მარტო სადილობს კრუასეში უსახელო ძაღლთან ერთად.

1854 წელს გუსტავი სადილობს ძაღლთან ერთად, რომელსაც დაკნო ჰქვია; შეიძლება, ზემოთ ნახსენები ცხოველიც სწორედ ეს იყოს.

1856-7 წლებში მწერლის დისშვილს, კაროლინს ბოცვერი ჰყავს.

1856 წელს მდელოზე გამოჰფენს აღმოსავლეთიდან ჩამოტანილ ნიანგის ფიტულს: შესაძლებლობას აძლევს, ბოლო 3000 წლის განმავლობაში პირველად მიეფიცხოს მზეს.

1858 წელს ბაღში კურდღელი იდებს ბინას; გუსტავი მის მოკვლას კრძალავს.

1866 წელს გუსტავი მარტო სადილობს აკვარიუმში ჩასმულ ოქროს თევზთან ერთად.

1867 წელს შინაური ძაღლი (არც სახელი ვიცით, არც ჯიში) კვდება ვირთხებისთვის დაყრილი სანამლავით.

1872 წელს გუსტავი შეიძენს მწევარს, სახელად ჯულიოს.

შენიშვნა: თუკი გვინდა, რომ გუსტავის მიერ შეფარებული შინაური არსებების სია სრულყოფილი იყოს, უნდა ჩავწეროთ, რომ 1842 წლის ოქტომბერში მწერალს ტილები დაესია.

ზემოთ ჩამოთვლილი შინაური ცხოველებიდან მხოლოდ ჯულიოზე გვაქვს რიგიანი ინფორმაცია. 1872 წლის აპრილში მადამ ფლობერი გარდაიცვალა. გუსტავი მარტო დარჩა დიდ სახლში, „საკუთარ თავთან tête-à-tête“ სადილობდა დიდ მაგიდასთან. სექტემბერში მისმა მეგობარმა, ედმონდ ლაპორტმა მწევარი შესთავაზა. ფლობერი ყოყმანობდა, ცოფისა ეშინოდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. ძაღლს ჯულიო დაარქვა (იქნებ ჯულიეტ ჰერბერტის პატივსაცემად?) და ძალიან მალე შეუყვარდა. თვის ბოლოს (ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ, რაც მადამ შლეზინგერის ნიუფაუნდლენდს ეკიდებოდა ყელზე) დისშვილს სწერდა, გულის გადასაყოლებლად მხოლოდ ჩემი pauvre chien-ის ხვევნაღა დაძრჩაო. „შესაშურია მისი სიმშვიდე და სილაბაზე“.

მწევარი მის საბოლოო კომპანიონად იქცა კრუასეში. სრულიად განსხვავებული წყვილი: ჩაფსკვნილი, მუდამ მჭდომარე რომანისტი და განკეპილი მწევარი. ჯულიოს პირადი ცხოვრება ფლობერის მიმოწერაში აისახა: თურმე ძაღლი „მორგანატიკულად დაწყვილდა“ მეზობლად მცხოვრებ ერთ „ჭაბუკთან“. პატრონი და ცხოველი ერთდროულად გახდნენ ავად: 1879 წლის გაზაფხულზე ფლობერს რევმატიზმისგან ფეხი შეუშუპდა, ჯულიოს კი დაუდგენელი ძაღლური დაავადება შეეყარა. „ადამიანსა ჰგავს, - წერდა გუსტავი, - ნამდვილი ადამიანური ჟესტები აქვს“. ორივე მომჯობინდა და რის ვაი-ვაგლახით გაათრიეს ის წელიწადი. 1879-80 წლებში განსაკუთრებით მკაცრი ზამთარი დადგა. ფლობერის მწე ქალმა ჯულიოს ძველი შარვლისგან პალტო მოუბლანდა. ის ზამთარი ერთად გაიტანეს. ფლობერი გაზაფხულზე გარდაიცვალა.

ძაღლს რა დაემართა, არავინ იცის.

3 ძაღლი გადატანითი მნიშვნელობით. მადამ ბოვარის ძაღლი ჰყავს - მისმა ქმარმა ერთ მეტყვევს ფილტვების ანთება მოურჩინა და იმან აჩუქა. Une petite levrette d'Italie: პატარა იტალიური მწევარი, ძუკნა. ნაბოკოვი, რომელიც უკიდურესად აგდებულად ეკიდება ფლობერის ყველა მთარგმნელს, ამბობს, ეგ მეძებარიო. ზოოლოგიურად სწორია თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ

ცხოველის სქესს არ აზუსტებს, მე კი ეს მნიშვნელოვანი მგონია. ამ ძაღლს გადატანითი მნიშვნელობა აქვს, როგორც... სიმბოლოს კი არა... არც სულ მთლად მეტაფორას. მოდი, ამას სახე დავარქვათ. ემას მწევარს მაშინ მიუყვანენ, როცა შარლთან ერთად ჯერ კიდევ ტოსტში ცხოვრობს. ესაა პერიოდი ადრინდელი, თავდაპირველი სულიერი მღელვარებისა და უკმარისობისა; პერიოდი მოწყენილობისა და უკმაყოფილებისა, მაგრამ არა გარყვნილებისა. სასეირნოდ რომ მიდის, თავისი მწევარიც თან დაჰყავს, და ცხოველიც სხვა მნიშვნელობას იძენს - ტაქტიანად, წამიერად, სულ ნახევარი აზხაცით - უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ, ძაღლი. „თავიდან, ფიქრი უმიზნოდ გაურბოდა, თავისი მწევარით, რომელიც წრეებზე დარბოდა, ყვითელ პეპლებს უყეფდა, ზაზუნებს დასდევდა და ხორბლის ყანის კიდეებზე ამოსულ ყაყაჩოებს წინწნიდა. მერე ქალი ნელ-ნელა აზრებს თავს უყრიდა, მინდორში ჩამომჯდარი ბალახს ქოლგის წვერს ურტყამდა და თავისთვის იმეორებდა: „ოჰ, ღმერთო, რატომ გავთხოვდი?“

აქ პირველად ჩნდება ძაღლი - დელიკატური განაცხადი. შემდეგ ემას მისი თავი უჭირავს და კოცნის (როგორც გუსტავი – ნეროს/თაბორს). ძაღლს სევდიანი გამომეტყველება აქვს და ქალი ისე ელაპარაკება, თითქოს ანუგეშებსო. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავის თავს ელაპარაკება - ასეც შეიძლება. ძაღლი მეორედ და უკანასკნელადაც გამოჩნდება. შარლი და ემა ტოსტიდან იონვილში გადადიან - ეს მოგზაურობა ნიშნავს ემას გადანაცვლებას ოცნებებიდან და ფანტაზიიდან რეალობასა და გარყვნილებაში. ნიშანდობლივია, რომ მათი თანამგზავრი არის კაცი ირონიული გვარით - მუსიე ლერო, წვრილმანებით მოვაჭრე, რომელიც დროდადრო არც მევახშეობაზე ამბობს უარს. ბოლოს სწორედ ეს კაცი შეიტყუებს ემას ხაფანგში (მის დაცემას ფინანსური გარყვნილება ისევე ახლავს, როგორც სექსუალური). მოგზაურობისას ემას მწევარი გაუჩინარდება. თხუთმეტიოდე წუთი სტვენით უდახიან, მერე ხელს ჩაიქნევენ. მუსიე ლერო ემას ყალბი თანაგრძნობით ამშვიდებს: სანუგეშო ამბებს უყვება დაკარგულ ძაღლებზე, სიშორის მიუხედავად მაინც რომ უბრუნდებიან პატრონებს; რატომაც არა, ერთმა ძაღლმა კონსტანტინოპოლიდან პარიზში ჩააღწია. რას ამბობდა ემა ამ ამბებზე, ცნობილი არ არის.

ძალღს რა დაეღარტა, არავინ იცის.

4 დამბრჩვალი ძაღლი და ფანტასტიკური ძაღლი. 1851 წლის იანვარში ფლობერი და დიუ კამპი საბერძნეთში იყვნენ. მართონს, ელეუსსა და სალამისს ეწვივნენ. შეხვდნენ გენერალ მორანდის, დაქირავებულ ჯარისკაცს, რომელიც მისოლონგში იბრძოდა და აღშფოთებული უარყოფდა ბრიტანული არისტოკრატის მიერ გავრცელებულ ცილისწამებას, თითქოს ბაირონი საბერძნეთში ყოფნისას ზნეობრივად დაეცა. „არაჩვეულებრივი იყო, - ამბობდა გენერალი, - აქილეუსს ჰგავდა“. დიუ კამპი ჩანანერებში ჰყვება, როგორ ეწვივნენ თერმოპილესს და ბრძოლის ველზე როგორ კითხულობდნენ პლუტარქეს. 12 იანვარს ელეფტერიისკენ გაემართნენ: ორი მეგობარი, თარჯიმანი და მცველად ნაქირავები, შეიარაღებული პოლიციელი. ამინდი აირია. თავსხმა წვიმა წამოვიდა, გზად გასავლელი ვაკე ადგილი დაიტბორა. პოლიციელის შოტლანდიური ტერიერი უეცრად ნიაღვარმა წაიღო და ადიდებულ წყალში დაიხრჩო. წვიმა თოვლმა შეცვალა და წყვდიადი ჩამონვა. ვარსკვლავებს ღრუბელი გადაეფარა. დარჩნენ მარტოდმარტო ამ უკაცრიელ ადგილას.

გავიდა ერთი საათი, მერე - მეორე. ტანსაცმლის ნაკეცები თოვლით აევსოთ. გზა აებნათ. პოლიციელმა რამდენჯერმე გაისროლა ჰაერში, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. გალუმპულები და გათოშილები დარჩნენ უჟმურ ადგილას. ღამე პირქუში მხედარივით შემოჰყურებდათ. პოლიციელი თავის შოტლანდიურ ტერიერს გლოვობდა, თარჯიმანი კი - დიდი, ასთაკვივით გადმოკარკლულთვალეებიანი ჯეელი - მგზავრობაში დიდი უსუსური ვინმე გამოდგა; საჭმლის მომზადებაც კი არ შეეძლო. ფრთხილად მიდიოდნენ, დაძაბული მზერით ეძებდნენ შორს მოციმციმე შუქს. უეცრად პოლიციელმა წამოიყვირა: „გაჩერდით!“ სადღაც შორს ძაღლი ყეფდა. სწორედ მაშინ გამოიჩინა თარჯიმანმა ერთადერთი უნარი: თურმე ძაღლივით ყეფა შეეძლო. სასონარკვეთილი მთელი ხმით აყეფდა. როცა გაჩუმდა, მიაყურადეს და საპასუხო ყეფა გაიგონეს. თარჯიმანი ისევ აყბუვლდა. ასე მიიწევდნენ წინ ნელ-ნელა, დროდადრო ჩერდებოდნენ, იყეფებოდნენ. პასუხიც არ აყოვნებდა და ამ ხმას მიჰყვებოდნენ. ნახევარი საათი იარეს. სოფლიდან

ძაღლის ყეფა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, და ბოლოს ღამის გასათევიც იპოვეს.

თარჯიმანს რა დაემართა, ცნობილი არ არის.

შენიშვნა: ვითომ სამართლიანობის გამო უნდა დავძინოთ, რომ გუსტავის დღიურში ამ ამბის სხვა ვერსიაა ჩაწერილი? ამინდი ემთხვევა, თარიღი ემთხვევა. ისიც ემთხვევა, რომ თარჯიმანს კერძის მომზადება არ შეეძლო (გაუთავებლად ცხვრის ხორცსა და მაგრად მოხარშულ კვერცხს სთავაზობდათ და ბოლოს ფლობერი იძულებული გახდა, ხმელა პურით ესაუზმა). თუმცა უცნაურია: საერთოდ არ ახსენებს პლუტარქეს კითხვას ბრძოლის ველზე. პოლიციელის ძაღლი (ფლობერის ვერსიაში ჭიში დაუდგენელია) ნიადვარს არ წაუღია, უბრალოდ, ღრმა წყალში ჩაიხრჩო. რაც შეეხება აყეფებულ თარჯიმანს, გუსტავს უწერია, შორიდან სოფლის ძაღლის ხმა რომ გავიგეთ, პოლიციელს ვუბრძანე, ჰაერში ესროლაო. პასუხად ძაღლი ისევ აყეფებულა. პოლიციელს კიდევ უსვრია, და ასე, სულ უბრალოდ და მარტივად მისდგომიან თავშესაფარს.

სიბართლე სად დაიკარგა, არავინ იცის.

ინგლისურ საზოგადოებაში, საშუალო ფენის შედარებით წიგნიერ წრეებში, რაიმე დამთხვევისას ერთი კაცი მაინც აუცილებლად შენიშნავს: „ზუსტად ისეა, როგორც ენტონი ჰაუელთან“. ხშირად დამთხვევები სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდება ხოლმე: როგორც წესი, ეს მოულოდნელი შეხვედრას - წლების უნახავი სკოლის ან უნივერსიტეტის ნაცნობები სადმე რომ გადაეყრებიან ერთმანეთს. მაგრამ ჰაუელის სახელის ხსენება თითქოს კანონიერებას სძენს ამ ამბავს, მანქანის საკურთხებლად მღვდლის მიყვანასავით.

დამთხვევები დიდად არ მანაღვლებს. მოჩვენებების სტუმრობას ჰგავს: დაუყოვნებლივ გახსენდება, როგორი უნდა იყოს ცხოვრება მოწესრიგებულ, ღვთის ხელით მართულ სამყაროში, სადაც თავად უფალი გადმოგყურებს მხარს იქიდან და თავაზიანად განვდის აშკარა მინიშნებებს კოსმიურ წესრიგზე. მე ქაოტურობა მირჩევნია, თავისუფალი ნება, მუდმივი თუ დროებითი სიგიჟე. მირჩევნია, ვგრძნობდე ადამიანური უვიცობის, სისასტიკისა და უგნურების უეჭველობას. „რაც არ უნდა მოხდეს, - წერდა ფლობერი, როცა საფრანგეთ-პრუსიის ომი დაიწყო, - მაინც ბრწყინებდა დავრჩებით“. უბრალოდ, მეტიჩრული პესიმიზმია? თუ იმედგაცრუების აუცილებლობა, სანამ რამეზე რიგიანად დაფიქრდები, ან გააკეთებ, ან დაწერ?

არც უწყინარ, კომიკურ დამთხვევებს ვაქცევ ყურადღებას. ერთხელ სადილზე წავედი და აღმოვაჩინე, რომ იქ მყოფ შვიდივე ადამიანს ერთდროულად დაესრულებინა წიგნი „ცეკვა დროის მუსიკაზე“. ეს ამბავი გულზე არ გამკარებია - საერთოდ არა. ამიტომაც კრინტიც არ დამიდრავს, სანამ ყველი არ შემოიტანეს.

რაც შეეხება დამთხვევებს წიგნებში, არის ამაში რაღაც იაფფასიანი და სენტიმენტალური. შეუძლებელია, ეს ესთეტიკურ ზიზილ-პიპილოდ არ მოგეჩვენოს. ტრუბადური, რომელიც სწორედ იმ დროს ჩაივლის, როცა შარაგზაზე გაწევ-

გამონევაა და გოგონას გადარჩენა სჭირდება; დიკენსისეული უეცარი, მაგრამ დროულად გამოჩენილი კეთილისმყოფელები; უცხო სანაპიროსთან დაღეწილი გემი, რომელიც ერთად შეჰყურის დედმამიშვილებსა და შეყვარებულებს. ზარმაცების ამგვარი ეშმაკობა ერთ პოეტთან ვადაგე, რომელიც, როგორც ჩანს, დახელოვნებული იყო რითმების დამთხვევაში.

- იქნებ მეტისმეტად პროზაული გონება გაქვთ? - მიპასუხა ზომიერი ქედმაღლობით.

- კი მაგრამ, - არც დავიბენი და საკუთარი საზრიანობაც მესიამოვნა, - განა პროზაული გონება არ არის პროზის საუკეთესო მსაჯული?

პროზის დიქტატორი რომ ვიყო, საერთოდ ავკრძალავდი დამთხვევებს. ჰო, კარგი, ყველგან არა. დამთხვევები ნებადართული იქნებოდა სათავგადასავლო ნაწარმოებებში. სწორედ იქ არის მათი ადგილი. მიდით, გაიხარეთ: მფრინავი, რომლის პარაშუტიც არ გაიხსნა, თივის ზვინში ჩავარდეს; კეთილმა მათხოვარმა, რომელსაც ფეხზე განგრენა აქვს, მიწაში ჩამარხული განძი იპოვოს - კი, ბატონო, მაგას ნამდვილად არა უშავს...

დამთხვევათა დაკანონების ერთ-ერთი გზა, რასაკვირველია, ის არის, რომ მათ ირონია დაარქვა. საზრიანი ხალხი ასე იქცევა. ბოლოს და ბოლოს, ირონია თანამედროვე ფორმაა, მისი თანხლებით ერთი-ორი ჭიქის გადაკვრაც შეიძლება, განსჯაც და მახვილგონივრული საუბარიც. ამის წინააღმდეგი ვინ შეიძლება იყოს? თუმცა ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ყველაზე მახვილგონივრული, ყველაზე შთამბეჭდავი ირონია, უბრალოდ, კარგად დავარცხნილი და კარგად აღზრდილი დამთხვევა ხომ არ არის?

არ ვიცი, რას ფიქრობდა ფლობერი დამთხვევაზე. იმედი მქონდა, რამე სახასიათო ჩანაწერს წავაწყდებოდი უშრეტი ირონიით სავსე „მიღებული იდეების ლექსიკონში“, მაგრამ ის მრავალმნიშვნელოვნად ხტება cognac-იდან coitus-ზე. და მაინც, ირონიის სიყვარული აშკარაა. სწორედ ამითაა იგი თანამედროვე. ეგვიპტეში აღტაცებული დარჩა, როცა

აღმოაჩინა, რომ სიტყვამ almeb, რომელიც ნასწავლ, პედანტ ქალს აღნიშნავდა, თანდათანობით თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და იმხანად უკვე „კახპას“ ნიშნავდა.

იქნებ ირონია მართლა ხავსივით ედება ენამწარე კაცს? ფლობერი ასე ფიქრობდა. 1878 წელს ვოლტერის გარდაცვალებიდან ასი წლის აღნიშვნა მენიეს შოკოლადის ფირმამ იკისრა. „საბრალო ბებერი გენიოსი, - შენიშნა გუსტავმა, - ირონია მუდამ თან სდევს“. ეს აზრი მასაც არ აძლევდა მოსვენებას. როცა წერდა, გიჟებსა და ცხოველებს ვიზიდავო, ალბათ, ირონიაც უნდა დაემატებინა.

თუნდაც „მადამ ბოვარი“ ავიღოთ. ეს წიგნი უხამსობის გამო გაასამართლეს. ბრალმდებელი იყო ადვოკატი ერნესტ პინარი, რომელსაც საეჭვო სახელი ჰქონდა გავარდნილი „ბოროტების ყვავილების“ წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესის შემდეგ. „მადამ ბოვარის“ გამართლებიდან რამდენიმე წელში გამჟღავნდა, რომ პინარი ფალიკური ლექსების ანონიმური ავტორი ყოფილა. რომანისტი სახტად დარჩა.

რაც შეეხება თავად წიგნს, აქ ორი ყველაზე დასამახსოვრებელი ადგილია: ემას ადიულტერული ხეტიალი ფარდებჩამოფარებული კარეტით (ეს პასაჟი სწორად მოაზროვნე ადამიანებმა განსაკუთრებით სკანდალურად მიჩნიეს) და რომანის უკანასკნელი სტრიქონი - „ახლახან საპატიო ლეგიონის ორდენი მიიღო“ - რაც აფთიაქარ ომეს ბურჟუაზიულ აპოთეოზს ადასტურებს. როგორც ჩანს, ფარდებჩამოფარებული კარეტის იდეა ფლობერს საკუთარმა ექსცენტრულმა ქცევამ შთააგონა: პარიზში ყოფნისას ნერვიულობდა, ლუიზ კოლეს არ გადავეყაროო და ვინმეს რომ არ ეცნო, ყველგან დახურული კარეტით დადიოდა. ასე რომ, კეთილგონიერება იმ გზით შეინარჩუნა, რომელსაც მოგვიანებით თავისი გმირის სექსუალური სურვილების დაკმაყოფილების გასაადვილებლად გამოიყენებს.

ომეს Legion d'honneur სულ სხვა საქმეა: ცხოვრება ხელოვნებას ბაძავს და აქილიკებს. სულ რაღაც ათიოდე

წელი გავიდა მას მერე, რაც „მადამ ბოვარის“ უკანასკნელი

სტრიქონი დაინერა და ფლობერმა, ბურჟუაზიის დაუდგრომელმა მონინააღმდეგემ და მთავრობების მედგარმა მოძულემ, თავს უფლება მისცა, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი გამხდარიყო. მწერლის ცხოვრების უკანასკნელმა მონაკვეთმა თუთიყუშივით გაიმეორა მისი შედევრის უკანასკნელი სტრიქონი: დაკრძალვაზე ჯარისკაცების ქვედანაყოფმა ზალპით გააცილა კუბო და სახელმწიფო, ტრადიციულად, საზეიმოდ გამოეთხოვა ლეგიონის ორდენის ერთ-ერთ ყველაზე აუტანელ და დამცინავ კავალერს.

ეს ირონიული ამბები თუ არ მოგწონთ, სხვებიც მაქვს.

1. განთიადი პირამიდებზე

1849 წლის დეკემბერში ფლობერი და დიუ კამპი ხეოფსის დიდ პირამიდაზე აცოცდნენ. წინა ღამეს მის ძირას ეძინათ და ხუთ საათზე ადგნენ, რომ მზის ამოსვლისთვის პირამიდის წვერზე ასვლა მოესწროთ. გუსტავმა პირი სათლში დაიბანა. ტურა აკივლდა. კაცმა ჩიბუხს მოუკიდა. მერე არაბების დახმარებით - ორი ზემოთ ექაჩებოდა და ორი ქვემოდან აწვებოდა - მაღალ ლოდებზე აფოფხდა და ნელ-ნელა პირამიდის წვერამდეც მიაღწია. დიუ კამპი - პირველი ადამიანი, ვინც სფინქსს ფოტოსურათი გადაუღო - იქ დახვდა. მათ წინაშე ნილოსი გადაშლილიყო, ბურუსში გახვეული თეთრ ზღვას ჰგავდა. იმის იქით ბნელი უდაბნო იყო - მენამული ოკეანესავით გაქვავებული. კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთით, ნარინჯისფერი სინათლის ზოლი გამოჩნდა და თანდათანობით თეთრი ზღვა მათ თვალწინ თვალუწვდენელ სიბნელედ გადაიშალა, მენამული ოკეანე კი თეთრად აციმციმდა. ამომავალმა მზემ გააცისკროვნა ქვები პირამიდის წვერზე და ფლობერმა ფეხებთან ქინძისთავით ჩარჭობილი სავიზიტო ბარათი დაინახა. „Humbert, Frotteur“ - ეწერა ზედ და რუანის მისამართიც მითითებული იყო.

რა მომენტი! უხადოდ დამიზნებული ირონია! მოდერნისტული მომენტი: ამაღლებულის ჩანაცვლება ყოველდღიური თაღლითობით. ჩვენ კი, როგორც მესაკუთრეს შეეფერება, გვირჩევნია, ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს ახასიათებს ჩვენს მრუდე და გაქეჩილ ეპოქას. მაღლობა უნდა გადავუხადოთ ფლობერს ამ ბარათის აღებისთვის. სანამ ქალაქის ნაგლეჯს შენიშნავდა, ირონიის ნასახიც არ ყოფილა. სხვებს ალბათ სავიზიტო ბარათი სანაგვეში გადასაგდები ნაკუნი ეგონებოდათ. შეიძლება, იქ წლობით დარჩენილიყო, ქინძისთავს თანდათან ჟანგი მოსდებოდა. ფლობერმა კი მას ფუნქცია შესძინა.

თუ ინტერპრეტატორობის სურვილი მოგვეძალება, შეგვიძლია, უფრო ღრმად ჩავიხედოთ ამ მოკლე ამბავში. იქნებ ღირსშესანიშნავი ისტორიული დამთხვევა იყოს, რომ XIX

საუკუნის უდიდესი ევროპელი რომანისტი პირამიდებზე უნდა წარუდგეს XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მხატვრულ პერსონაჟს? ფლობერს ჯერ კიდევ არ შეშრობია კაიროს აბანოების ორთქლი და ყურში ისევ იქაური ბიჭების ხითხითი უდგას. რაღა მაინცდამაინც ამ დროს უნდა წაწყდომოდა ნაბოკოვის პერსონაჟის - ამერიკელი გოგონების შემცდენლის სახელს? და კიდევ, რა პროფესია აქვს ჰუმბერტ ჰუმბერტის ამ პირველხარისხოვან ვარიანტს? ის არის frotteur. სიტყვასიტყვით: ფრანგი იატაკის მწმენდავი, მაგრამ ასევე ერთგვარი სექსუალური მანიაკი, რომელსაც ბრბოში ხახუნი უყვარს.

ეს კიდევ ყველაფერი არ არის. ახლა ირონიაზეც ვთქვათ - ირონიით. ფლობერის სამგზავრო ჩანაწერების მიხედვით, სავიზიტო ბარათი იმ ადგილას თავად მუსიე იატაკის მწმენდავს არ დაუმაგრებია. ბარათი იქ მოუთავსებია გაიძვერა და საზრიან მაქსიმ დიუ კამპს, რომელიც თავქუდმოგლეჯილი დაწინაურებულა მეწამულ ღამეში და პატარა ხაფანგი დაუგია მგრძნობიარე მეგობრისთვის. ამის ცოდნა ჩვენი პასუხის ბალანსს ცვლის: ფლობერი ზანტი ჩანს, მის საქციელს იოლად იწინასწარმეტყველებ, დიუ კამპი კი გონებამახვილია - დენდი, მოდერნისტულად მოთამაშე მაშინ, როცა ჯერ მოდერნიზმის ხსენებაც არ არის.

განვაგრძოთ კითხვა. ფლობერის წერილებს თუ მივუბრუნდებით, შევიტყობთ, რომ ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ დედამისს sublime surprise-ზე სწერს: „წარმოგიდგენია, ის ბარათი საგანგებოდ წამოვიღე კრუასედან და თავის ადგილზე დადეზაც კი ვერ მოვახერხე! იმ ნაძირალამ ჩემი გულმავიწყობით ისარგებლა, მშვენივრად გამოიყენა სხვა სავიზიტო ბარათი და ცილინდრში ჩამიდო“. ჰოდა, მარადიული უცნაურობა: ფლობერი სახლიდან გასვლისას უკვე ამზადებდა საგანგებო ეფექტებს. მოგვიანებით გამოჩნდება, რომ ეს ამბავი ზუსტად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა იგი სამყაროს. ირონია ყვავის, რეალობა კლებულობს. ისე, კაცმა რომ თქვას, საინტერესოა, რისთვის წაიღო ცილინდრი პირამიდებზე?

2. უკაცრიელი კუნძული

გუსტავი ხშირად იხსენებდა კაპიტან ბარბეის თუთიყუშთან და მადამ შლეზინგერის ძალღმობას ერთად ტრუვილში გატარებულ საზაფხულო არდადეგებს, როგორც თავისი ცხოვრების გამორჩეულად მშვიდ პერიოდს. ერთხელ ლუიზ კოლესთან გაიხსენა ის შემოდგომა, როცა ოცდახუთი წლისა იქნებოდა, და ქალს უთხრა: „ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები იყო: ფიქრი, კითხვა, ხანდახან მზის ჩასვლის ყურება ზღვის პირას, ტრუვილში და ხუთ-ექვსსაათიანი საუბარი ცხენით სეირნობისას მეგობართან (ალფრედ ლე პუატვენთან) ერთად... ის მეგობარი ახლა ცოლიანია და ჩემთვის დაკარგულია“. ტრუვილში გაიცნო გერტრუდ და ჰარიეტ კოლერები, ბრიტანეთის საზღვაო ატაშეს ქალიშვილები. როგორც ჩანს, ორივეს შეუყვარდა. ჰარიეტმა თავისი პორტრეტი აჩუქა, რომელიც ბუხრის თავზე ეკიდა კრუასეში. მაგრამ გუსტავს გერტრუდი ერჩია. ყმანვილი ქალის გრძნობები შეიძლება ვივარაუდოთ იმ ტექსტზე დაყრდნობით, რომელიც მან ათწლეულების მერე, გუსტავის სიკვდილის შემდეგ დაწერა. ქალს რომანტიკული პროზის ენა გადმოუღია, სახელებს ცვლის და ტრაბახობს: „ვნებიანად მიყვარდა, ვალმერთებდი. წლებმა დამათოვა, მე კი ასე აღარავინ გამიღმერთებია, აღარასდროს მიგრძნია ისეთი სიყვარული და თუნდაც შიში, როგორიც მაშინ დაეუფლა ჩემს სულს. რაღაც მეუბნებოდა, რომ მისი არასდროს ვიქნებოდი... მაგრამ გულის კუნჭულში ვიცოდი, რარიგ ჭეშმარიტად შემიძლო მისი სიყვარული, პატივისცემა და მორჩილება“.

გერტრუდის ბოზოქარი მემუარები წარმოსახვის ნაყოფს ჰგავს: ბოლოს და ბოლოს, რა შეიძლება იყოს უფრო სენტიმენტალურად მაცდური, ვიდრე გარდაცვლილი გენიოსი და მოზარდობისას სანაპიროზე გატარებული არდადეგებია? მაგრამ იქნებ არც არაფერი ყოფილა. გუსტავსა და გერტრუდს ათწლეულების განმავლობაში შორიდან ჰქონდათ ურთიერთობა. კაცმა „მადამ ბოვარის“ ეგზემპლარი გაუგზავნა. ქალმა მადლობა გადაუხადა, რომანზე თქვა, საზიზღრობააო და

გუსტავს „ფესტუსის“ ავტორის, ფილიპ ჯეიმზ ბეილის ციტატა მოუყვანა - მწერალი მოვალეა, ზნეობრივი დარიგებები მისცეს მკითხველსო. ორმოცი წელი გავიდა ტრუვილში მათი პირველი შეხვედრიდან და გერტრუდი მწერალს კრუასეში ეწვია. ყმაწვილქალობის ლამაზი, ქერა კავალერის ნაცვლად მელოტი, აჭარხლებული კაცი დახვდა, რომელსაც ორად ორი კბილიღა შერჩენოდა. მაგრამ გალანტურობას დრომ ვერაფერი დააკლო. „ჩემო ძველო მეგობარო, ჩემო ახალგაზრდობავ, - წერდა შემდეგ გუსტავი, - წლების განმავლობაში ისე ვიცხოვრე, შენი არაფერი ვიცოდი, და ალბათ ერთი დღეც არ ყოფილა, შენზე რომ არ მეფიქრა“.

ამ წლებში (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 1847-ში, ერთი წლის მერე, რაც ფლობერი ლუიზ კოლესთან იხსენებდა ტრუვილურ მზის ჩასვლებს) გერტრუდი სხვას - ინგლისელ ეკონომისტს, ჩარლზ ტენანტს შეჰპირდა სიყვარულს, პატივისცემასა და მორჩილებას. სანამ ევროპაში ფლობერი ნელ-ნელა იხვეჭდა რომანისტის სახელს, გერტრუდმა თვითონაც გამოსცა წიგნი - ბაბუამისის ჩანაწერები სათაურით: „საფრანგეთი დიდი რევოლუციის გარიჟრაჟზე“. ქალი 1918 წელს გარდაიცვალა, 99 წლის ასაკში. დარჩა ქალიშვილი, დოროთი, რომელიც მკვლევარ ჰენრი მორტონ სტენლის გაჰყვა ცოლად.

აფრიკაში სტენლის ერთ-ერთი მოგზაურობისას მისი რაზმი გასაჭირში ჩავარდა. მკვლევარი იძულებული გახდა, თანდათანობით ყველაფერი მოეშორებინა და მხოლოდ აუცილებელი ნივთები დაეტოვებინა. ასე რომ, ყველაფერი უკუღმა გამოვიდა - გემი „უკაცრიელი კუნძული“ ცხოვრებას შეეჭახა. ისეთი ნივთების გარდა, რაც ტროპიკულ ტყეებში ცხოვრებას ასატანს გახდიდა, სტენლის კიდევ ბევრი რამ უნდა მოეშორებინა თავის გადასარჩენად. წიგნები აშკარად ურიცხვი ჰქონდათ და იძულებული გახდა, ბორტიდან გადაეყარა. ბოლოს იმ ორ წიგნს მიადგა, „უკაცრიელ კუნძულზე“ ყველა სტუმარს რომ ჰქონდა. ცივილიზებული სამყაროს მინიმალური ნაშთი: ბიბლია და შექსპირი. სტენლის მესამე წიგნი - ის, რომელიც სულ ბოლოს გადააგდო - „სალამბო“ იყო.

3. კუბოების ბრახუნი

ქანცგანყვეტილი, ავადმყოფი კაცის ტონი, რომლითაც ფლობერი ლუიზ კოლესადმი მიწერილ წერილში მზის ჩასვლას იხსენებს, პოზა არ ყოფილა. 1846 ხომ ის წელიწადია, როცა ჯერ მამამისი გარდაიცვალა და მერე - მისი და, კაროლინი. „ეს რა სახლია! - წერდა იგი, - რა ჯოჯოხეთია!“ გუსტავი მთელი ღამე დის ცხედარს ეჯდა. იწვა საპატარძლო კაბაში გამოწყობილი კაროლინი, მისი ძმა კი იჯდა და მონტენს კითხულობდა. დაკრძალვის დილას გამოეთხოვა - უკანასკნელად ეამბორა შუბლზე კუბოში ჩაწოლილს. ბოლო სამი თვის განმავლობაში მეორედ გაიგონა ხის კიბეზე ამომავალი, დაჭედილი ჩექმების ბრაგაბრუგი - ცხედრის გასატანად მოდიოდნენ. გლოვა იმ დღეს არ გამოვიდოდა: საქმეები იყო მოსაგვარებელი. კაროლინისთვის კულული უნდა მოეჭრათ, სახისა და ხელების თაბაშირის ნიღბები უნდა აეღოთ: „ვხედავდი, ვიღაც ტეტიები ვეება ტორებით რომ ეხებოდნენ და სახეს თაბაშირით უფარავდნენ“. ვეება ტეტიების გარეშე დაკრძალვა არ გამოდის.

სასაფლაოს უკვე ნაცნობ გზას დაადგნენ. სამარის პირას კაროლინის ქმარს თავშეკავებამ უმტყუნა. გუსტავი შესცქეროდა, როგორ უშვებდნენ ცხედარს მიწაში. უეცრად კუბო გაიჭედა: ვიწრო ორმო ამოეთხარათ. მესაფლავეები კუბოს აჭანჭლარებდნენ, ცდილობდნენ, ამოეძროთ. ოდნავ გადახარეს, ბარი დაიხმარეს, მერე ძალაყინებით სცადეს ამოგდება, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. ბოლოს ერთ-ერთმა სახურავს ფეხი დააბჯინა, სწორედ იქ, სადაც კაროლინის სახე უნდა ყოფილიყო, დაჰკრა და კუბო საფლავეში ჩააგდო.

გუსტავმა დის ბიუსტი გააკეთებინა და თავის კაბინეტში დადგა. ამ ოთახში ჩაიარა მისმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ. ბიუსტი მწერლის სიკვდილამდე იქ იდგა. გუსტავი ამავე სახლში გარდაიცვალა 1880 წელს. მაშინ ცხედრის გაპატიოსნებაში მოკასანი ეხმარებოდათ. ფლობერის დისშვილმა ითხოვა,

მწერლის ხელის ასლი აეღოთ - ტრადიციულად, თაბაშირით. ეს შეუძლებელი გამოდგა: ბოლო ამოსუნთქვისას მუშტი მაგრად შეეკრა.

პროცესია ჯერ კანტელიეს ეკლესიისკენ გაემართა, მერე - Cimetière Monumental-ისკენ, სადაც ჯარისკაცების რაზმმა ზალპით სასაცილოდ დაუსვა წერტილი „მადამ ბოვარის“ ბოლო წინადადებას. რამდენიმე სიტყვა ითქვა, მერე კი კუბო მიწაში ჩაუშვეს. ამჯერად სიგანე სწორად გაეზომათ, მაგრამ მესაფლავეებს სიგრძე მოეკლოთ. იმ ტექტიების ვაჟები ამოდ ეჭაჭგურებოდნენ კუბოს: ვერც ჩაჭედეს და ველარც ამოიღეს. რამდენიმე უხერხული წუთის შემდეგ ჭირისუფლები ნელ-ნელა გაიკრიფნენ და ფლობერი მიწაში ირიბად ჩაჭედილი დატოვეს.

ნორმანდიელები წუნურაქობით არიან განთქმული და უეჭველია, არც მესაფლავეები იქნებოდნენ გამონაკლისი. ალბათ აღშფოთებას ჰგვრიდათ მოჭრილი მიწის ყოველი ზედმეტი გოჭი. 1846 წლიდან 1880 წლამდე ეს აღშფოთება თაობიდან თაობაში გადადიოდა, როგორც პროფესიული ტრადიცია. შესაძლოა, ნაბოკოვს ფლობერის წერილები ჰქონდა ნაკითხული, სანამ „ლოლიტას“ დაწერდა. შესაძლოა, ფლობერის აფრიკული რომანით ჰ. მ. სტენლის აღტაცება სულაც არ იყოს გასაკვირი. შესაძლოა, ის, რაც კითხვისას უაზროდ დამთხვევად, შემჰარავ ირონიად თუ მოდერნიზმის გაბედულ წინასწარმეტყველებად გვეჩვენება, იმ დროს სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ფლობერმა მთელი გზა ატარა მუსიე ჰუმბერტის სავიზიტო ბარათი რუანიდან პირამიდებამდე. იქნებ საკუთარი მგრძნობიარობის სიცილ-ხითხითით რეკლამირება უნდოდა - ხუმრობით მიწიშენება უდაბნოს ქვიშიან, ხეშეშ ზედაპირზე? იქნებ, უბრალოდ, ჩვენ დაგვცინოდა?

6 -

ემა ბოვარის თვალეი

ნება მიბოძეთ, აგიხსნათ, რატომ არ მიყვარს კრიტიკოსები. არა იმიტომ, რომ შემოქმედებაში ხელი მოეცარათ (სინამდვილეში ასე არ არის; შეიძლება, ხელმოცარულ კრიტიკოსებად მივიჩნიოთ, მაგრამ ამაზე სხვა დროს); არც იმიტომ, რომ ბუნებით კირკიტები, ეჭვიანები და პატივმოყვარეები არიან (სინამდვილეში ასე არ არის; უფრო მოჭარბებულ დიდსულოვნებაში შეიძლება დავადანაშაულოთ, ან მდარე ნაწარმოებების ისეთ ქება-დიდებაში, რომ ჩვენს ნატიფ გემოვნებას უფრო და უფრო აკნინებენ.). არა, მიზეზი, რის გამოც კრიტიკოსები მძულს - კარგი, კარგი, ხანდახან მძულს - ის არის, რომ ამგვარ წინადადებებს წერენ:

ფლობერი ისე არ წარმოგვიდგენს თავის პერსონაჟებს, როგორც ბალზაკი - ობიექტური, გარეგნული აღწერილობით. ისეთი დაუდევარია მათი გარეგნობის მიმართ, რომ ემას ხან ყავისფერი თვალები აქვს (14), ხან - უძირო შავი თვალები (15) და ხან - ლურჯი თვალები (16).

ეს ზუსტი და დამთრგუნველი საბრალდებო დასკვნა განსვენებულმა დოქტორმა ენიდ სტარკიმ წარმოადგინა, ფრანგული ლიტერატურის საპატიო ლექტორმა ოქსფორდის უნივერსიტეტში და ფლობერის ყველაზე აღიარებულმა ინგლისელმა ბიოგრაფმა. იგი ტექსტში რიცხვებით აღნიშნავს სქოლიოებს, სადაც მოჰყავს ციტატები ნაწარმოებიდან.

სტარკის ლექცია ერთხელ მოვისმინე და სიამოვნებით მოგახსენებთ, რომ საშინელი ფრანგული აქცენტი ჰქონდა; დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ქალებისთვის დამახასიათებელი, თავდაჯერებული, სრულიად უსმენო ადამიანის გამოთქმები; ხშირად ერთსა და იმავე სიტყვაში სასაცილო შეცდომებით სავსე, სიზუსტეს აცდენილი მეტყველება. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას ხელი არ შეუშლია, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტში ესწავლებინა, რადგან ბოლო დროს თანამედროვე ენებს ისეთი ადგილი მიაკუთვნეს, თითქოს მკვდარი ენები იყოს: ეს მათ რესპექტაბელურობას

შესძენს და უფრო დაახლოებს ლათინურისა და ბერძნულის შორეულ სრულყოფილებასთანო. ამის მიუხედავად, მაინც გაოგნებული დავრჩი - უცნაური იყო, რომ ადამიანი, რომელიც ფრანგული ლიტერატურით ცხოვრობდა, ასე უსაშველოდ ამტკრევდა ძირითად სიტყვებს, რომლებსაც მისი მსჯელობის ობიექტები, მისი გმირები (გნებავთ, მარჩენლები) წარმოთქვამდნენ.

შეიძლება, ეს წვრილმან შურისძიებად ჩამითვალოთ გარდაცვლილი კრიტიკოსი ქალბატონის შენიშვნის გამო - ფლობერს მტკიცე წარმოდგენა არ ჰქონდა ემა ბოვარის თვალეზუო. მაგრამ მე არ მივდევ წესს *de mortuis nil nisi bonum* (ბოლოს და ბოლოს ექიმი ვარ). ძნელია, დაიოკო გაღიზიანება, როცა კრიტიკოსი ასეთ რამეზე გიმახვილებს ყურადღებას. დოქტორ სტარკიზე კი არ ბრაზობ - როგორც ამბობენ, ის მხოლოდ თავის საქმეს აკეთებდა - არამედ ფლობერზე. ასეთმა გულმოდგინე გენიოსმა როგორ ვერ შეძლო, რომ ყველაზე სახელოვანი გმირისთვის თვალის ფერი არ შეეცვალა? მერე, რაკი არ შეგიძლია, მას დიდხანს უბრაზდებოდე, გაღიზიანება კრიტიკოსზე გადაგაქვს.

უნდა ვაღიარო, რომ „მადამ ბოვარი“ ბევრჯერ წამიკითხავს და არც ერთხელ არ შემინიშნავს გმირი ქალის ცისარტყელასავით თვალეზუი. უნდა შემენიშნა? ან თქვენ უნდა შეგენიშნათ? იქნებ ისე გამიტაცა კითხვამ, რომ გამომრჩა ის, რაც დოქტორმა სტარკიმ დაინახა (თუმცა ვერ გამიგია, ეს რა უნდა ყოფილიყო)? მოდი, სხვაგვარად შემოვაბრუნოთ: არსებობს კი უზადო მკითხველი, სრულყოფილი მკითხველი? დოქტორ სტარკის იმავე გრძნობებს აღუძრავს „მადამ ბოვარის“ კითხვა, რასაც მე? იქნებ ის გაცილებით მეტს იღებს ამ რომანისგან და ჩემი კითხვაა უაზრო? იმეღია, არა. შეიძლება ჩემი კითხვა უაზრო იყოს ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ ის უაზრო არ არის სიამოვნების თვალსაზრისით. მე ვერ დავამტკიცებ, რომ კითხვა ჩვეულებრივ მკითხველს მეტ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე პროფესიონალ კრიტიკოსს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რა უპირატესობა გვაქვს კრიტიკოსებთან შედარებით. ჩვენ დავინწყება შეგვიძლია. დოქტორი სტარკი და მისნაირები კი დაწყევლილები არიან - ამ ადამიანებმა მეხსიერების ჭვარი უნდა ზიდონ: წიგნები,

რომლებსაც ასწავლიან და რომლებზეც წერენ, ვერასოდეს გახუნდებიან მათ მეხსიერებაში. ისინი ოჯახს ემსგავსებიან. შესაძლოა, ამიტომაც უჩნდება ზოგიერთ კრიტიკოსს ოდნავ მფარველური ტონი თავისი თემების მიმართ. ისე იქცევიან, თითქოს ფლობერი, მილტონი ან უორდსუორთი სარწვევლასავარძელში მოკალათებული მოსაწყენი დეიდები იყვნენ, რომლებსაც დაძველებული ჰუდრის სუნი ასდით, მხოლოდ წარსული აინტერესებთ და წლებია, ახალი არაფერი უთქვამთ. დიახაც! ეს მათი სახლია, მცხოვრებლები კი ქირას არ იხდიან. ეგ კი ეგრეა, მაგრამ მაინც... დროს თავისი მიაქვს...

ამ დროს ჩვეულებრივ, მაგრამ გულანთებულ მკითხველს უფლება აქვს, დაივიწყოს. შეუძლია, წავიდეს, სხვა მწერლებთან უღალატოს, მერე უკან მობრუნდეს და კარს არავინ მიუკეტავს. ოჯახურ ცხოვრებაში სხვა, გარე ურთიერთობები არ უნდა ერეოდეს. შეიძლება, შემთხვევით რაღაც მოხდეს, ოღონდ აუცილებლად ღირსეულად. იქ, სადაც ადამიანები მცოხნავი ცხოველებივით ცხოვრობენ, ყოველდღიურ ანჩხლობას გასაქანი არა აქვს. არასოდეს მომიყოლია დაღლილი ხმით, თუ როგორ ვიდებდა გასაშრობად სააბაზანოს საფენს ფლობერი, ან როგორ ხმარობდა უნიტაზის ჯაგრისს. დოქტორი სტარკი კი ამას ვერ მოიშლის. ასეთ დროს მინდა, წამოვიძახო: იცით რა, მწერლები სრულყოფილები არ არიან! ცოლების ან ქმრების არ იყოს. ჭეშმარიტებაა: შეიძლება,

ვინმე უნაკლო ჩანდეს, მაგრამ ეგეთი ვერ იქნება. არასდროს მიფიქრია, რომ ჩემი ცოლი სრულყოფილი იყო. მიყვარდა, მაგრამ თავს არ ვიტყუებდი. მახსოვს... თუმცა ამას სხვა დროისთვის შემოვინახავ.

ამის ნაცვლად გავიხსენებ სხვა ლექციას, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დავესწარი ჩელტნემის ლიტერატურულ ფესტივალზე. ლექცია წაიკითხა პროფესორმა კემბრიჯიდან, ქრისტოფერ რიკსმა. ეს იყო ელვარე სპექტაკლი. მელოტი თავი ულაპლაპებდა, შავი ფეხსაცმელები ულაპლაპებდა და ლექციაც ნამდვილად ელვარე გამოუვიდა. თემა იყო: „შეცდომები ლიტერატურაში და აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა მათ“. მაგალითად, ევტუშენკოს თურმე ყოვლად სულელური შეცდომა დაუშვია ერთ ლექსში ამერიკულ ბულბულზე. პუშკინი მწარედ

სცდებოდა იმ სამხედრო ტანსაცმლის აღწერისას, რომელიც მეკლისებზე ეცვათ. ჯონ უეინს ჰიროშიმას მფრინავის ამბავი შეეშალა. ნაბოკოვს ეშლებოდა - ეს კი საკვირველია - ლოლიტას სახელის ფონეტიკა. იყო სხვა მაგალითებიც: კოლრიჯი, იეიტსი და ბრაუნინგი მათ შორის იყვნენ, ვინც გამოიჭირეს, რომ არ იცოდნენ, რა განსხვავებაა ქორსა და ყანჩას შორის, ან საერთოდ არც კი იცოდნენ, რა იყო ყანჩა.

ორმა მაგალითმა განსაკუთრებით გამაოგნა. პირველი იყო ღირსშესანიშნავი აღმოჩენა „ბუბთა ბატონის“ შესახებ. ცნობილ სცენაში, სადაც ღუტას სათვალეს ცეცხლის დასანთებად იყენებენ, უილიამ გოლდინგი ოფთალმოლოგიაში ჩაფლავდა. ყველაფერი უკუღმა გამოუვიდა. ღუტა ახლომხედველია, მისი სათვალე ცეცხლის გასაჩაღებლად ვერ გამოდგებოდა - როგორც არ უნდა დაგეჭირათ, მზის სხივებს ვერაფრით მოუყრიდა თავს.

მეორე მაგალითი ეხებოდა ლექსს „მსუბუქი კავალერიის შეტევა“. „სიკვდილის ველზე / გავიდა ექვსასი“. ტენისონმა ეს ლექსი ძალიან სწრაფად დაწერა მას მერე, რაც „ტაიმში“ წაიკითხა რეპორტაჟი, სადაც ასეთი ფრაზაც იყო: „ვიღაცა მწარედ შეცდა“. პოეტი ეყრდნობოდა უფრო ადრინდელ შეტყობინებას, სადაც ნახსენები იყო „607 ხმალი“. ასეა თუ ისე, კამილ რუსეს მიერ ce terrible et sanglant steeplechase-ად, მოხსენიებული ბრძოლის მონაწილეთა რიცხვი შემდგომში ოფიციალურად გადასწორდა 673-ად. „სიკვდილის ველზე / გავიდა ექვსას სამოცდაცამეტი“? რა ბედენაა? შვიდასამდე დამრგვალებაც შეიძლებოდა - ზედმინევნით სიზუსტეზე ვერ გამოვიდებდით თავს, მაგრამ ეს უფრო სწორი იქნებოდა. ტენისონმა აწონ-დაწონა და გადაწყვიტა, ისე დაეტოვებინა, როგორც დაწერა: „მეტრიკის თვალსაზრისით, ექვსი ასეული სჯობს შვიდს (ჩემი აზრით), ასე რომ, დატოვეთ“.

არა მგონია, ღირდეს, შეცდომად მივიჩნიოთ 600-ის 673-ით ან 700-ით ჩანაცვლებაზე უარის თქმა. მეორე მხრივ, გოლდინგის ოფთალმოლოგიური გადაცდომა ნამდვილად შეცდომად უნდა ჩაითვალოს. შემდეგი კითხვაა: ამას რამე მნიშვნელობა აქვს? როგორც პროფესორ რიკსის ლექციიდან მახსოვს, მისი აზრით, თუკი ლიტერატურის ფაქტობრივი მხარე საეჭვო გახდება,

მაშინ ძალიან გაჭირდება ისეთი ხერხების გამოყენება, როგორცაა ირონია და ფანტაზია. თუ არ იცი, რა არის ან რა უნდა იყოს სიმართლე, მაშინ უფასურდება ის, რაც არ არის ან არ უნდა იყოს სიმართლე. ეს ძალიან მტკიცე არგუმენტად მიმაჩნია; თუმცა მაინტერესებს, ლიტერატურული შეცდომების რამდენ ნიმუშზე შეიძლება ამის თქმა. ღუტას სათვალესთან დაკავშირებით უნდა ვიფიქრო, რომ ა) ამას სულ რამდენიმე კაცი შეამჩნევდა ოფთალმოლოგების, ოპტიკოსების ან სათვალეიანი ინგლისელი პროფესორების გარდა; და ბ) როცა შეამჩნევდნენ, ამ შეცდომას ისე უბრალოდ მოისვრიდნენ, როგორც პატარა ყუმბარას - განზრახ რომ აფეთქებენ ხოლმე. მეტსაც გეტყვით, ეს აფეთქება (რომელიც შორეულ სანაპიროზე განხორციელდებოდა და მხოლოდ ერთი ძაღლი ეყოლებოდა მონმედ) ცეცხლს ვერ წაუკიდებდა რომანის დანარჩენ ნაწილებს.

ისეთი შეცდომები, როგორც გოლდინგმა დაუშვა, „გარეგნული შეცდომებია“ - შეუსაბამოები წიგნში გაცხადებულ ამბებსა და ჩვენს რეალობას შორის. ხშირად ამგვარი შეცდომები, უბრალოდ, მწერლის სპეციფიკური, ტექნიკური ცოდნის ნაკლებობაზე მეტყველებს. მისატევებელი ცოდვაა. მაგრამ რა ვუყოთ სხვაგვარ „გარეგნულ შეცდომებს“ - როცა მწერალი ორ შეუსაბამო რამეს აცხადებს საკუთარ ქმნილებასთან დაკავშირებით? ემას თვალეები ყავისფერია, ემას თვალეები ცისფერია. ეს კი, სამწუხაროდ, ავტორის არაკომპეტენტურობას ან ლიტერატურულ დაუდევრობას უნდა მივანეროთ. ამასწინათ დიდად ნაქები დებიუტანტის რომანი წავიკითხე, სადაც მთხრობელი - რომელიც სექსუალურად გამოუცდელიცაა და ფრანგული ლიტერატურის მოყვარულიც - კომიკურად იმეორებს, როგორ სჯობს გოგოს კოცნა, რომ ხელი არ გკრან: „ნელა, მგრძნობიარედ, თავბრუდამხვევი ძალით მიიზიდე, ისე უყურე თვალეებში, თითქოს ეს წუთია, „მადამ ბოვარის“ პირველი, აკრძალული გამოცემა ჩაიგდე ხელში“.

ვიფიქრე, რომ სავსებით მკაფიოდ გადმოცემული, თუმცა სასაცილო აზრია. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს „მადამ ბოვარის“ „პირველი, აკრძალული გამოცემა“. ჩემი აზრით, ყველამ იცოდა, რომ რომანი პირველად ნაწილ-ნაწილ გამოჩნდა Revue de Paris-ში, რასაც მოჰყვა სასამართლო

უხამსობის ბრალდებით და მხოლოდ გამართლების შემდეგ გამოიცა წიგნად. ჩემი ვარაუდით, ახალგაზრდა რომანისტი (უნესკოად მეჩვენება მისი გვარის დასახელება) „ბოროტების ყვავილების“ „პირველ, აკრძალულ გამოცემას“ გულისხმობს. უეჭველია, ამას მეორე გამოცემაში დროულად გაასწორებს, თუ ასეთი გამოცემა საერთოდ იქნება.

ყავისფერი თვალები, ცისფერი

თვალები. აბა, რა მნიშვნელობა აქვს? არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუკი ავტორი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. არა, არა, მაინც რა მნიშვნელობა აქვს თვალების ფერს? მეცოდება რომანისტები, როცა ქალის თვალებზე უწევთ ლაპარაკი: დიდი არჩევანი არცა აქვთ... და რა ფერზეც არ უნდა შეჩერდნენ, თავს ვერ აარიდებენ ბანალურ ქვეტექსტს. ცისფერი თვალები: გულუბრყვილობა და პატიოსნება. შავი თვალები: ვნება და სიღრმე. მწვანე თვალები: ბობოქრობა და ეჭვიანობა. ყავისფერი თვალები: სიმტკიცე და გონიერება. იისფერი თვალები: რაიმონდ ჩანდლერის რომანი. როგორ გაართმევთ თავს ამ ყველაფერს, ზურგზე გუდა თუ არ აიკიდეთ და თხრობისას დროდადრო თუ არ ამოალაგეთ ფრჩხილებში ჩასმული განმარტებები ქალის ხასიათებზე? აბა, ტალახისფერი თვალები აქვს; იმისი თვალები საკონტაქტო ლინზების მიხედვით იცვლის ელფერს; კაცს მის თვალებში არასდროს ჩაუხედავს. აბა, აარჩიეთ. ჩემს ცოლს მომწვანო-ლურჯი თვალები ჰქონდა, ამიტომ მისი ცხოვრების ისტორიაც უფრო გრძელია. ერთი სიტყვით, ეჭვი მაქვს, რომ გულახდილობისას მწერალი თვალების აღწერის უაზრობას აღიარებს. იგი დინჯად წარმოიდგენს პერსონაჟს, მერე ფორმას აძლევს და ალბათ სულ ბოლოს ჩაუსკუპებს შუშის თვალებს ცარიელ ბუდეებში. თვალები? ჰო, აბა რა, თვალები უნდა ჰქონდეს, - ფიქრობს დაქანცული მწერალი.

ბუვარი და პეკიუშე ლიტერატურული ძიებისას ხვდებიან, რომ დაკარგეს ავტორის პატივისცემა, როცა ამ უკანასკნელს თავგზა აერია და შეცდომებში გაიხლართა. მე კი ის უფრო მაკვირვებს, რა ცოტა შეცდომას უშვებენ მწერლები. ჰოდა, ლიეჟის ეპისკოპოსიც თხუთმეტი წლით ადრე კვდება, ვიდრე უნდა მომკვდარიყო. განა ეს აუფასურებს „ქვენტინ დორვარდს“? ეს

წვრილ-წვრილი გადაცდომებია, მიმოხილველებისთვის მიგდებული ლუკმა. თვალწინ მიდგას ლა-მანშზე გადამავალი ბორნის კიჩოზე მდგომი რომანისტი, სენდვიჩის ნამცეცებს რომ უყრის შორიახლოს აბორიალებულ თოლიებს.

შორიდან ვერ ვხედავდი, რა ფერის თვალები ჰქონდა ენიდ სტარკის. მხოლოდ ის მახსოვს, რომ matelot-ივით ეცვა, ისე დადიოდა, თითქოს გზას მუჭლუგუნებით მიიკვლევსო, და საშინელი ფრანგული აქცენტით საუბრობდა. ახლა სხვა რამე უნდა გითხრათ. ოქსფორდის უნივერსიტეტში ფრანგული ლიტერატურის საპატიო ლექტორმა, სომერვილის კოლეჯის საპატიო წევრმა, რომელმაც „სახელი გაითქვა გამოკვლევებით ისეთი მწერლების შესახებ, როგორებიც იყვნენ ბოდლერი, რემბო, გოტიე, ელიოტი და ჟიდი“ (ციტატა მისი წიგნის პირველი გამოცემის სუპერიდან); ადამიანმა, რომელმაც ორი მოზრდილი წიგნი და ცხოვრების მრავალი წელი მიუძღვნა „მადამ ბოვარის“ ავტორს, თავისი პირველი ტომის ფრონტისპისად აირჩია პორტრეტი „გუსტავ ფლობერი, უცნობი მხატვრის ავტორობით“. ესაა პირველი, რასაც ვხედავთ. ესაა, თუ გნებავთ, მომენტი, როდესაც დოქტორი სტარკი ფლობერს წარმოგვიდგენს. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ეს ფლობერი არ არის. ეს არის ლუი ბუიეს პორტრეტი, ამას ნებისმიერი gardienne გეტყვით კრუასეში - რომელსაც ხელს დაადებთ. აბა, რა ვქნათ, ხითხითს რომ მოვრჩებით?

იქნებ მაინც ფიქრობთ, რომ, უბრალოდ, სამაგიეროს ვუხდი გარდაცვლილ სწავლულს, რომელიც ვერ მიპასუხებს, თავს ვერ დაიცავს? შეიძლება ეგრეც იყოს. მაგრამ quis custodiet ipsos custodes? კიდევ ერთ რამეს გეტყვით. ახლახან გადავიკითხე „მადამ ბოვარი“.

ემას ხან ყავისფერი თვალები აქვს (14), ხან - უძირო შავი თვალები (15) და ხან - ლურჯი თვალები (16).

მორალი, ჩემი ვარაუდით, ასეთია: არასოდეს შეგაშინოთ სქოლიოებმა. აქ ექვსი ციტატაა, სადაც ფლობერი ემა ბოვარის თვალებს ახსენებს. აშკარად მნიშვნელოვანი თემაა რომანისტიკისთვის.

1 (ემას პირველი გამოჩენა) „თუკი ლამაზი ეთქმოდა, მისი მშვენება თვალები იყო: მართალია, ყავისფერი ჰქონდა, მაგრამ წამწამების გამო შავი უჩანდა...“

2 (როგორ ხედავდა ემას შეყვარებული ქმარი მათი ცოლ-ქმრობის დასაწყისში) „ქალის თვალები უფრო დიდრონი ეჩვენებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იღვიძებდა და ქუთუთოები აუთრთოლდებოდა ხოლმე; ჩრდილში შავი ჰქონდა, კაშკაშა დღის სინათლეზე - მუქი ლურჯი; ფერები თითქოს ფენებად ედო, სიღრმეში უმუქდებოდა, ზედაპირი კი გამჭვირვალე მინანქარს ჰგავდა“. (24)

3 (მეჭლისზე, სანთლების შუქზე) „მისი შავი თვალები კიდევ უფრო შავი ჩანდა“.

4 (ლეონთან პირველი შეხვედრისას) „მომნუსხველად შესცქეროდა დიდრონი, ფართოდ გახელილი შავი თვალებით...“

5 (სახლში, როცა პირველად შეხვდა როდოლფს) „ქალის შავი თვალები...“

6 (ემა სარკეში იხედება, სახლში, საღამოს; ის-ისაა, შეაცდინა როდოლფმა) „მისი თვალები არასოდეს ყოფილა ასეთი დიდრონი, ასეთი შავი, არც ასეთი სიღრმე ჰქონია“.

როგორ წერს ამაზე კრიტიკოსი? „ფლობერი ისე არ წარმოგვიდგენს თავის პერსონაჟებს, როგორც ბალზაკი - ობიექტური გარეგნული აღწერილობით. ისეთი დაუდევარია მათი გარეგნობის მიმართ, რომ...“ საინტერესო იქნებოდა შედარება - რამდენი დრო მოანდომა ფლობერმა, რომ დაბეჭითებით ეთქვა, ჩემს გმირს ტრაგიკული, მოღალატე ცოლის იშვიათი და მოუხელთებელი ფერის თვალები ჰქონდაო; და რამდენი დრო მოანდომა დოქტორმა სტარკიმ, რომ დაუდევრად მოეხსენიებინა მწერალი.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ, საეჭვო რომ აღარაფერი იყოს. ყველაზე ადრეული

მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ფლობერზე ცნობებს

გვანჯდის, არის მაქსიმ დიუ კამპის „ლიტერატურული მოგონებები“ (Hachette, პარიზი, 1882-3, 2 ტომი): ჭორებით სავსე, ქედმაღლური მოგონებები, სადაც ავტორი მუდამ საკუთარ თავს ამართლებს. ამ წიგნს ვერ ენდობი, თუმცა ისტორიულად ფასეულია. პირველი ტომის 306-ე გვერდზე (Remington & Co., ლონდონი, 1893, მთარგმნელი მითითებული არ არის) დიუ კამპი დეტალურად აღწერს ქალს, რომელიც ემა ბოვარის პროტოტიპი გახდა. დიუ კამპის თქმით, იგი რუანთან ახლოს, ბონ-ლეკურში ცხოვრობდა; სამხედრო სამედიცინო სამსახურის ოფიცრის მეორე ცოლი იყო:

ამ მეორე ცოლს ლამაზი არ ეთქმოდა. პატარა ტანის ქალი იყო, გახუნებული ქერა თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა. პრეტენზიებით სავსე გახლდათ და ცხვირს უბზუებდა თავის ქმარს, რომელიც სულელად მიაჩნდა. ძვალწვრილი კი ჩანდა, მაგრამ ხორცი არ აკლდა, გველთევზასავით მოქნილი, ტალღისებური მიმოხვრა და თავდაჭერა ჰქონდა. ნორმანდიული აქცენტი აუბრალოებდა მის დაბალ, მოალერსე ტონებით სავსე ხმას. თვალები გაურკვეველი ფერისა ჰქონდა: მწვანე, რუხი თუ ლურჯი - განათების მიხედვით, და მზერაში მუდამ ვედრება ედგა.

აუბღვრეველ უცოდინრობაში გარინდულმა დოქტორმა სტარკიმ, ეტყობა, არ იცოდა ეს პასაჟი, რომელიც ჩვენს თემას ნათელს ჰფენს. ბოლოს და ბოლოს, ეს ერთგვარი ავტორიტარული დაუდევრობაა იმ მწერლის მიმართ, რომელიც, გარკვეულწილად, ეხმარება გაზის გადასახადის დიდი ნაწილის დაფარვაში. მოკლედ, ეს მაცოფებს. ახლა ხვდებით, რატომ არ მიყვარს კრიტიკოსები? შემძებლო, ამწუთას ჩემი თვალების გამომეტყველების აღწერა მეცადა, მაგრამ არ ღირს - რისხვისგან გამიუფერულდა.

ყური უგდეთ. რატარატარატარატა. მერე - შუშუ - აი, იქ, ფატაფატაფატაფატა. და ისევ. რატარატარატარატა - ფატაფატაფატაფატა. ნოემბრის რბილმა ტალღამ გემბანზე ბარს გადაუარა, ლითონის მაგიდეები ერთიმეორის მიყოლებით, ცახცახით დაძრა ადგილიდან და ააბრახუნა. ნელ-ნელა უახლოვდებიან ერთმანეთს, შეყოვნდებიან - წამით აღარაფერი გესმის - მერე კი გემბანს თრთოლა გადაუვლის და მეორე მხრიდან მოგუდული ჰასუხი ისმის. ძახილი - ჰასუხი, ძახილი - ჰასუხი - გალიაში ჩასმული მექანიკური ჩიტების წყვილივით. უსმინე: რატარატარატარატა ფატაფატაფატაფატა რატარატარატარატა ფატაფატაფატაფატა. თანმიმდევრულობა, სტაბილურობა, ურთიერთნდობა; თუმცა ქარის ან ტალღის ცვალებადობამ შეიძლება ყველაფერი დაასრულოს. კიჩოს კაბინის ილუმინატორები შხეფებითაა დანინწკლული. ერთ-ერთი ფანჯრიდან ჩანს მსხვილი ჯალამბარი და გალუმპული თოკი - გადაგდებული მაკარონივით. თოლიებმა დიდი ხნის წინ აიღეს ხელი ამ ბორანზე. ნიუჰევენიდან ყიყინით გამოგვაცილეს, ისიც შენიშნეს, რომ ამ უამინდობაში ხალხი კანტი-კუნტად იყო გემზე და სენდვიჩებიც არსად ჩანდა, ჰოდა, უკან გაბრუნდნენ. აბა, რა ექნათ? შეიძლებოდა, ოთხსაათიან გზაზე გამოგვყოლოდნენ დიეჰამდე, იმ იმედით, რომ უკან დასაბრუნებელ საგზალსაც იშოვიდნენ, მაგრამ ეგრე ათსაათიანი დღე გამოუვიდოდათ. ახლა ალბათ მატლებს ჩიჩქნიან წვიმით გაჟღენთილ საფეხბურთო მოედანზე როტინგდენში.

ფანჯრის ქვეშ, სანაგვეზე, ორენოვანი წარწერაა ორთოგრაფიული შეცდომით. პირველ ხაზზე წერია PAPIელმ (რა ოფიციალურად ჟღერს ფრანგულად: „მართვის მოწმობა! პირადობის მოწმობა!“ თითქოს ბრძანება გასცეს). ქვეშ ინგლისურად მიუწერიათ LIთთელმ. როგორ ცვლის სიტყვას ერთი ასო... როცა ფლობებმა პირველად ნახა რეკლამაში თავისი გვარი, როგორც „მადამ ბოვარის“ ავტორისა, მალე სერიებად რომ უნდა დაბეჭდილიყო Revue de Paris-ში, მას ასეთი

ფორმა ჰქონდა: ფობერი. „თუ სადმე გამოვჩნდი, თავით ფეხებამდე აბჯარში ვიქნები ჩამჯდარი“, - ეს ისე, სატრაბახოდ თქვა. მაგრამ სრული აღჭურვილობაც ვერ გიშველის - იღლიები და საზარდული ყოველთვის დაუცველი დაგრჩება. ბუიეს უთხრა, Revue-ს ჩემი გვარიდან მხოლოდ ერთი ასო მოუშორებია და უსიამოვნო რეკლამა-კალამბური გამოუვიდაო: ფობერი ერთი ბაყალი იყო rue Richelieu-დან, ზუსტად Comedie Francaise-ის პირდაპირ ცხოვრობდა. „გამოჩენილიც არ ვიყავი და უკვე ცოცხლად მატყავებდნენ“.

მიყვარს ლა-მანშზე გადასვლა მკვდარი სეზონის დროს. ახალგაზრდობაში ბანალური თვეები გირჩევნია, ხალხმრავალი სეზონი. წლები რომ გემატება, თანდათან აფასებ შუალედური პერიოდის მომხიბვლელობას, ეს თვეები გეგმებს არ აგირევს, გადაწყვეტილებას არ შეგაცვლევინებს. იქნებ სწორედ აქ აღიარებ, რომ ურყევი და უცვლელი ქვეყნად არაფერია. იქნებ აქ აღიარებ, რომ ცარიელი ბორნები გირჩევნია.

ბარში თორმეტობად ადამიანზე მეტი არასდროს არის. მათ შორის ერთ-ერთი banquette-ზე გაშხლართულა, მაგიდების ბრახუნი იავნანასავით ესმის - პირველ ამოხვრინვასაც გამოსტყუებს. წლის ამ დროს არ არის სასკოლო წვეულებები, ვიდუოთამაშები, დისკოთეკა და კინო; ბარმენებიც კი არ ლაქლაქებენ.

წელს მესამედ ვმგზავრობ. ნოემბერი, მარტი, ნოემბერი. სულ რამდენიმე ლამით ვრჩები დიეკში, თუმცა ხანდახან მანქანას ვქირაობ და რუანში ვეშვები. შორი არ არის, მაგრამ ცვლილებისთვის საკმარისია. განსხვავება ნამდვილად იგრძნობა. მაგალითად, ლა-მანშის თავზე გარინდული შუქი ფრანგული მხრიდან სულ სხვანაირად ჩანს: უფრო სუფთაა, უფრო მოუხელთებელიც კი. ზეცა შესაძლებლობათა თეატრია. ზედმეტი რომანტიკის გარეშე. შეიარეთ ხელოვნების გალერეებში ნორმანდიის სანაპიროებზე და ნახავთ, რისი ხატვა უყვარდათ ადგილობრივ მხატვრებს: ჩრდილოეთის ხედის. სანაპირო ზოლი, ზღვა და მუდამ ცვალებადი ზეცა. ინგლისელ მხატვრებთან ამას ვერ ნახავთ. ესენი ჰასტინგსში, მარგიტსა თუ ისტბორნში იყრიდნენ ხოლმე თავს მოღუშული, ერთფეროვანი ლა-მანშის საცქერლად.

მარტო შუქისთვის არ დავდივარ. იმისთვის დავდივარ, რაც გავინყდება და რასაც ხელახლა დანახვისას იხსენებ - იხსენებ, როგორ ჭრიან ხორცს, როგორი სერიოზულები არიან pharmacies-ში, როგორ იქცევიან ბავშვები რესტორნებში. იხსენებ საგზაო ნიშნებს (საფრანგეთის გარდა არ ვიცი სხვა ქვეყანა, სადაც მძღოლებს აფრთხილებენ, ჭარხალს ერიდეთო: BETTERAVებ. ერთხელ წითელ გამაფრთხილებელ სამკუთხედში ჩასმული მანქანაც ვნახე - მოსრიალებული, უმართავი); ქალაქის beaux-arts-ის დარბაზებს; ღვინის დეგუსტაციას ცარცის სუნით სავსე გამოქვაბულებში, გზისპირებზე. შემეძლო, გამეგრძელებინა, მაგრამ საკმარისია, თორემ ცოტაც და ენად გავიკრიფები - გიამბობთ ცაცხვის ხეებზე, pétanque-სა და მუქ წითელ ღვინოში ჩამბალ პურზე, რომელსაც ფრანგები la soupe à perroquet - თუთიყუშის სუპს უძახიან. ყველა ადამიანს თავისი ჩამონათვალი აქვს, და სხვებზე ფიქრობს, რა პატივმოყვარეები და სენტიმენტალურები არიანო. ამასწინათ წავიკითხე სია სათაურით „რა მომწონს“. ჩამოთვლილი იყო: „სალათი, დარიჩინი, ყველი, წითელი წინაკა, მარციპანი, ახლად მოთიბული თივის სურნელი (განაგრძობთ კითხვას?)... ვარდები, პიონები, ლავანდა, შამპანური, ცვალებადი პოლიტიკური შეხედულებები, გლენ გულდი...“ როლან ბარტის სია მენიუსავითაა ჩამოწერილი. ერთ პუნქტს მოიწონებთ, მეორე გაგაღიზიანებთ. „მედოკის ღვინისა“ და „ცვლილებების“ მერე ბარტი ასახელებს „ბუვარი და პეკიუშეს“. კარგია, მშვენიერია. განვაგრძობთ კითხვას. მერე რა მოდის? „სანდლებით სიარული სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ვიწრო გზებზე“. წავიკითხავ და მოგინდება, მანქანით წახვიდე

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში და გზებზე ჭარხალი მიმოფანტო.

ჩემს სიაში წახსენებია pharmacies. საფრანგეთში აფთიაქარები უფრო წესიერები ჩანან. გასაყიდად არ ალაგებენ პლაჟის ბურთებს, ფერად ფირებს, წყალში ყვინთვის აღჭურვილობას ან სიგნალიზაციის მექანიზმს ქურდებისგან თავდასაცავად. იციან, რას აკეთებენ და არ ცდილობენ, გამოსვლისას საწუნნი კანფეტები მოგყიდონ. და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ ამ ადამიანებს ენდობი, რჩევას ეკითხები.

ერთხელ მე და ჩემი ცოლი შევედით pharmacie-ში, მონტობანში, და ბინტი მოვითხოვეთ. გვკითხეს, რისთვის გინდათო. ელენმა ქუსლზე დაიტყაპუნა ხელი - ახალი სანდლის ზონარმა გაუხეხა და ბუშტულა გაუჩინა. Pharmacien დახლიდან გამოვიდა, დაჯდა, ჩემს ცოლს ფეხსაცმლის დიდი დამფასებლის სინაზით გახადა სანდალი, ქუსლი დაუთვალა და დოლბანდის ნაჭრით გაუსუფთავა. მერე ადგა, სერიოზული სახით მომიბრუნდა, თითქოს რაღაც ისეთი ხდებოდა, რაც ჩემი ცოლისთვის არაფრის დიდებით არ უნდა გაგვემხილა, და ხმადაბლა მითხრა: „ეს ბებერაა, მუსიე“. როცა ბინტის შეკვრა მოგვყიდა, ვიფიქრე, აქ ისევ ომეს სული ტრიალებს-მეთქი.

ომეს სული: პროგრესი, რაციონალიზმი, მეცნიერება, თაღლითობა. ფლობერი ხშირად ამბობდა: „საუკუნეს ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ“. მართლაც ფეხდაფეხ გაიარა მთელი გზა Legion d'honneur-ისკენ. ემა ბოვარის ცხედართან ორი ადამიანი რჩება: მღვდელი და pharmacien ომე. ძველი და ახალი ორთოდოქსიის წარმომადგენლები. XIX საუკუნის ალეგორიულ ქანდაკებას ჰგავს: „რელიგია და მეცნიერება ერთად დაჰყურებენ ცოდვილის სხეულს“. გ. ფ. უოტსის სურათია. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ორივემ - სასულიერო პირმაც და მეცნიერმაც - მოახერხა ცხედართან ჩაძინება. თავიდან მხოლოდ ფილოსოფიური შეცდომა აერთიანებთ, მერე კი სწრაფად ამყარებენ უფრო ღრმა კავშირს ერთობლივი ხვრინვით.

ფლობერს არ სჯეროდა პროგრესის: განსაკუთრებით, მორალური პროგრესის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. ბრიყვულ ეპოქაში ცხოვრობდა. საფრანგეთ-პრუსიის ომით მოტანილი ახალი ეპოქა კიდევ უფრო ბრიყვული უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, რაღაცები შეიცვლებოდა: ომეს სული გაიმარჯვებდა. მალე ყველა ფეხმრუდი მიიღებდა უფლებას, გაუმართლებელი ოპერაცია ჩაეტარებინა, რომელიც ფეხის ამპუტაციამდე მიიყვანდა. მაგრამ ეგ რას ნიშნავს? „დემოკრატიის დიდი ოცნებაა, - ნერდა ფლობერი, - აიყვანოს პროლეტარიატი სიბრიყვის იმ დონემდე, რომელსაც მიაღწია ბურჟუაზიამ“.

ეს წინადადება ხშირად აღიზიანებს ადამიანებს. განა სრულიად

სამართლიანად არ არის ნათქვამი? ბოლო ასი წლის განმავლობაში პროლეტარიატი ბურჟუაზიულ კრეტენზიებში გამოიწვრთნა. ამასობაში ბურჟუაზია, რომელსაც უკვე აეჭვებდა საკუთარი ძლევამოსილება და გავლენა, კიდევ უფრო ცბიერი და მატყუარა გახდა. ეს არის პროგრესი? სულელების თანამედროვე გემის ნახვა თუ გინდათ, ლა-მანშზე გადამსვლელ ბორანს დააკვირდით. ყველა აქ არის: duty-free-ში სარგებელს დახარბებული ხალხი ირევა; ბარში მეტს სვამენ, ვიდრე უნდათ; სათამაშო ავტომატებთან თამაშობენ; უაზროდ უვლიან გარშემო გემბანს; ვერ გადაუწყვეტიათ, პატიოსნად გაიარონ საბაჟო შემონმება თუ იცუღლუტონ; ელოდებიან მეზღვაურთა რაზმის შემდგომ ბრძანებას, თითქოს წითელ ზღვაზე გადადიოდნენ. არ ვკიცხავ, უბრალოდ, თვალყურს ვადევნებ. ნამდვილად არ ვიცი, რას ვიფიქრებდი, ყველა რომ ჩამწვრივებულიყო და ალტაცებით ეცქირა წყალზე შუქის თამაშისთვის, ან ყველას ბუდენზე საუბარი რომ დაეწყო. სხვათა შორის, მეც იმათნაირი ვარ: მეც გვარიანად ვიტვირთები duty-free-ში საყიდლებით და დანარჩენებთან ერთად მეც ველოდები ბრძანებებს. ოღონდ ეგაა, ხანდახან ვფიქრობ, რომ ფლობერი მართალი იყო.

საბარგო მანქანის მსუქანი მძღოლი ძელსკამზე წამოწოლილა და ფაშასავით ხვრინავს. კიდევ ერთი ვისკი მოვიტანე ჩემთვის. იმედია, არ დამძრახავთ. უბრალოდ, გამბედობას ვიკრებ, რომ გაიბზოთ... რა? ვისზე? სამი ამბავი ებრძვის ერთმანეთს: ერთი - ფლობერზე, ერთი - ელენზე, ერთიც - საკუთარ თავზე. ჩემი ამბავი ამ სამიდან ყველაზე მარტივია - ბევრს არაფერს ნიშნავს, მხოლოდ ჩემს არსებობას ადასტურებს. და მაინც, ამის დაწყება ყველაზე მეტად მეძნელება. ჩემი ცოლის ამბავი უფრო რთულია, უფრო გადაუდებელი და მნიშვნელოვანი. თუმცა ამასაც გადავდებ. საუკეთესოს ბოლოსთვის მოიტოვებენ ხოლმე - ადრეც ხომ მითქვამს? მე ეგრე არა მგონია, უფრო პირიქით მირჩევნია. მაგრამ სანამ ჩემი ცოლის ისტორიას გაიბზობდეთ, წინასწარ მინდა მოგამზადოთ: რაღაცები უნდა იცოდეთ წიგნებზე, თუთიყუშებზე, დაკარგულ წერილებზე, დათვებზე, დოქტორ ენიდ სტარკის მოსაზრებებსა და დოქტორ ჯეფრი ბრაითუეიტის მოსაზრებებზეც კი. წიგნები ცხოვრება არ არის, როგორც არ უნდა გვინდოდეს, რომ ასე იყოს. ელენის ამბავი ნამდვილია - ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ მის მაგივრად ფლობერის ამბავს გიყვებით.

თქვენც კი რაღაცას ელით ჩემგან, არა? დღეს ასე ხდება. ადამიანები იჭერებენ, რომ შენი ნაწილი მათი საკუთრებაა, გინდაც შორიდან გიცნობდნენ; რადგან თუკი ისეთი თავზეხელაღებული ხარ, რომ წიგნს წერ, ეს სამუდამოდ გადააქცევს პუბლიკის საკუთრებად შენს საბანკო ანგარიშს, სამედიცინო ჩანაწერებს, ოჯახურ მდგომარეობას. ფლობერს ეს არ მოსწონდა. „ხელოვანმა უნდა დააჭეროს შთამომავლობა, რომ არასოდეს უარსებია“. რელიგიაში სიკვდილი ანადგურებს სხეულს და ათავისუფლებს სულს. ხელოვნებაში სიკვდილი ანადგურებს

პიროვნებას და ათავისუფლებს ნამუშევარს. თუმცა ეს თეორიაა. რასაკვირველია, ხშირად სხვაგვარად ხდება. ნახეთ, რა დაემართა ფლობერს: მისი სიკვდილიდან ერთი საუკუნის მერე სარტრი, ვიღაც დაკუნთული, შლეგი მაშველივით, ათი წლის განმავლობაში მკერდზე უბრაგუნებდა და ხელოვნური სუნთქვის სეანსებს უტარებდა; ათი წელი ჭაჭგურით ცდილობდა, გონს მოეყვანა, იქნებ როგორმე ქვიშაზე წამოჭდეს და პირში ვუთხრა, რას ვფიქრობ მასზეო.

ახლა რაღას ფიქრობს ხალხი ფლობერზე? როგორი წარმოდგენია? უღვაშებჩამოშვებული ძელოტი? განდეგილი კრუასედან? კაცი, რომელმაც თქვა „Madame Bovary, c'est moi“? გამოუსწორებელი ესთეტი, ბურჟუაზობი ბურჟუა? განდობილი სიბრძნის ნამცეცები, სახელდახელო რეზიუმე სულსწრაფებისთვის. ფლობერს ვერ გააკვირვებდა ზანტი ადამიანების მცდელობა, რამეს მიმხვდარიყვნენ. ამან დააწერინა წიგნი (ან თუნდაც დამატება): „მიღებული იდეების ლექსიკონი“.

უმარტივეს დონეზე მისი ლექსიკონი კატალოგია კლიშეებისა: (ძალდი: შექმნილია საგანგებოდ თავისი პატრონის სიცოცხლის გადასარჩენად. ძალდი ადამიანის საუკეთესო მეგობარია) და მატყუარა განსაზღვრებებისა (ასთაკვი: დედალი ხამანწკა). გარდა ამისა, ეს სახელმძღვანელოა, რჩევები კი ხან თაღლითურია - როგორც ყოფითი (შუქი: სანთლის ანთებისას ყოველთვის თქვი: Fiat lux!), ასევე ესთეტიკური (რკინიგზის სადგურები: ყოველთვის მგზნებარედ გამოხატე აღტაცება: მოიხსენიე, როგორც არქიტექტურის ნიმუშები); ხან

შემპარავად, დამცინავად განვდის განმარტებებს; სხვაგან ისე გამომწვევად მოგახლის რამეს, რომ საკუთარ თავს დაიჭერ - მაინცდამაინც არ გჯერა (მაკარონი: თუკი იტალიურადაა მომზადებული, ხელით იჭმევა). თან ისე იკითხება, როგორც კონფირმაციის საჩუქარი, რომელსაც მავნე, გარყვნილი ბიძა მართმევს სერიოზულ მოზარდს, საზოგადოებაში გამოსვლა რომ სწადია. ყურადღებით წაიკითხეთ - აუგს არასდროს იტყვიოთ, თუმცა არც გაითვალისწინებთ (ალებარდა: სქელ ღრუბელს რომ დაინახავთ, არ დაგავინყდეთ თქმა: „ალებარდასავით წვიმა წამოვა“. შვეიცარიაში ალებარდას ყველა კაცი ატარებს. აბსენტი: განსაკუთრებულად ძლიერი შხამი: ერთი ჭიქა და მკვდარი ხარ. ძირითადად ჟურნალისტები სვამენ სტატიების წერისას. მეტი ჯარისკაცი ჰყავს მოკლული, ვიდრე ბედუინებს.).

ფლობერის ლექსიკონი ირონიის კურსს გვთავაზობს: გადადიხარ ერთი ჩანაწერიდან მეორეზე და ხედავ მწერალს, რომელიც სხვადასხვა სიმბაფრის ირონიას მიმართავს, თითქოს ლა-მანშის გადაკვეთისას მხატვარი კიდევ ერთი ფენით ამუქებდეს ზეცას. ეს მაგულიანებს, დავწერო „მიღებული იდეების ლექსიკონი“ თავად გუსტავის შესახებ. ოღონდ მოკლე: ჭიბის წიგნაკი-სატყუარას მსგავსი გზამკვლევი - პირდაპირი, თუმცა ცოტა მატყუარა. აბების ფორმით მიღებული სიბრძნე. ზოგიერთი აბი მონამლულია. ამითაა ირონია მიმზიდველიც და სახიფათოც: მწერალს საშუალებას აძლევს, არ გამოჩნდეს თავის ნაწარმოებში - ვითომც არ ყოფილა - და მაინც, ახლომახლო იტრიალოს. თქვენ კი შეგიძლიათ თქვენი ნამცხვარი მიირთვათ; ოღონდ ეგაა, რომ სუქდებით.

რას ვიტყოდით ფლობერზე ამ ახალ ლექსიკონში? ალბათ ასეთ განმარტებას მივუწერდით: „ინდივიდუალისტი ბურჟუა“ - ჰო, საკმაოდ თავშეკავებულად ჟღერს, საკმაოდ ყალთაბანდურად. ამ დახასიათებას სამუდამოდ უმაგრებს ზურგს ის ფაქტი, რომ ფლობერს ბურჟუაზია სძაგდა. „ინდივიდუალისტიზე“ ან მის ეკვივალენტზე რატას იტყვიოთ? „მე ვფიქრობ, რომ იდეალურ ხელოვნებაში ადამიანმა საკუთარი თავი არ უნდა აჩვენოს. ხელოვანი არ უნდა გამოჩნდეს თავის ნაწარმოებში უფრო მეტად, ვიდრე ღმერთი ჩანს ბუნებაში. ადამიანი არაფერია,

ხელოვნების ნაწარმოები ყველაფერია... ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, მეთქვა, რას ვფიქრობ და ამგვარი გამონათქვამებით გამეცოცხლებინა მუსიე გუსტავ ფლობერის გრძნობები, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რა თქვა ჯენტლმენმა?“

ავტორის არყოფნის ამ მოთხოვნას მაინც უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი მწერალი ვითომდა ეთანხმება ამ პრინციპს, თუმცა უკანა კარიდან შეიპარება და თავში კეტივით ჩასცხებს ხოლმე მკითხველს მაღალ ინდივიდუალურ სტილს. მკვლელობა სრულყოფილადაა აღსრულებული. ერთი კია: დანაშაულის ადგილას დატოვებული ბეისბოლის კეტი თითების ანაბეჭდებით არის აჭრელებული. ფლობერი სხვანაირია. მას სჯეროდა სტილისა - სხვა მწერლებზე მეტად. ჭიუტად მუშაობდა, რომ მიეღწია მშვენიერებისთვის, კეთილხმოვანებისთვის, სიზუსტისთვის, სრულყოფილებისთვის - თუმცა არა უაილდისებური მონოგრამიანი სრულყოფილებისთვის. სტილი თემის ფუნქციაა. სტილი სიუჟეტისთვის თავსმოხვეული კი არ არის, არამედ სიუჟეტიდან მოდის. სტილი აზრის სიმართლეა. სწორი სიტყვა, ნამდვილი ფრაზა, უზადო წინადადება ყოველთვის სადღაც „აქვია“. მწერლის საქმეა, დაადგინოს მათი მდებარეობა ნებისმიერი ხერხით. ზოგიერთისთვის ეს მხოლოდ სუპერმარკეტში შესვლა და ლითონის კალათის პირთამდე გავსებაა; სხვებს ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს საბერძნეთში, ტრიალ მინდორზე დაიკარგნენ სიბნელეში, თოვლში, წვიმაში, და რასაც ეძებენ, იმას მხოლოდ იშვიათი ხრიკით თუ მიაგნებენ - თუნდაც ისეთი ხრიკით, როგორც ძალღივით ყეფაა.

ჩვენს პრაგმატულ და განათლებულ საუკუნეში, ალბათ, ასეთ ამბიციას ცოტა პროვინციულად მივიჩნევთ (ტურგენევი ფლობერს naïve-ს უძახდა). ჩვენ აღარ გვჯერა, რომ ენა და რეალობა ასე ჰარმონიულად „წყვილდება“. ალბათ ვფიქრობთ, რომ სიტყვები წარმოშობს საგნებს, ისევე, როგორც საგნები წარმოშობს სიტყვებს. მაგრამ თუ ფლობერს naïve-ად, უფრო სწორად, ხელმოცარულად მივიჩნევთ, ცხვირი არ უნდა აკუბზუოთ მის სერიოზულობასა თუ ხაზგასმულ მარტოობას. ბოლოს და ბოლოს, ეს ბალზაკისა

და ჰიუგოს საუკუნე იყო, ერთი მხრივ - ორქიდეებით სავსე რომანტიზმი და მეორე მხრივ - აფორისტული სიმბოლიზმი. უბედი ჰიროვნებებისა და მყვირალა სტილების საუკუნეში ფლობერისეული დაგეგმილი უჩინარობის დასახასიათებლად ორიდან ერთ-ერთი გზა უნდა ავირჩიოთ: ან კლასიკად უნდა მივიჩნიოთ, ან მოდერნად. ან უკან მივიხედოთ, XVII საუკუნისკენ, ან წინ გავიხედოთ, XX საუკუნის ბოლოსკენ. თანამედროვე კრიტიკოსები, რომლებიც პომპეზურად ცდილობენ ხელახალ კლასიფიკაციას და ყველა რომანის, პიესის, ლექსისა თუ პოემის ტექსტებად გადაქცევას - ავტორი გილიოტინაზე! - ფლობერს იოლად ვერ აუვლიან გვერდს. ის საუკუნით ადრე ქმნიდა ტექსტებს და უარს ამბობდა საკუთარი ჰიროვნების მნიშვნელოვნებაზე.

„ავტორი თავის წიგნში ისე უნდა იყოს, როგორც ღმერთი თავის სამყაროში, ყველგან უნდა იყოს და არსად ჩანდეს“.
რასაკვირველია, ეს სრულიად არასწორად გაიგეს ჩვენს საუკუნეში. შეხედეთ სარტრსა და კამიუს. ღმერთი მოკვდა, - გვითხრეს მათ. ეს ღმერთისდარ რომანისტსაც ეხება. ყოვლისმცოდნე არავინაა, ადამიანის ცოდნა შეზღუდულია. ამდენად, რომანიც შეზღუდულია. ეს მარტო საუცხოოდ კი არა, ლოგიკურადაც ჟღერს. მაგრამ მართლა ასეა? ბოლოს და ბოლოს, რომანი უფლის რწმენასთან ერთად არ წარმოშობილა. თუ ამაზე მიდგა საქმე, განა რა კავშირია იმ მწერლებს შორის, ვისაც ყოვლისმცოდნე მთხრობლის სწამდათ და ვისაც ყოვლისმცოდნე შემოქმედის სწამდათ? აქ ფლობერთან ერთად ჯორჯ ელიოტსაც ვიშველიებ.

უფრო ახლოს საქმესთან - XIX საუკუნის რომანისტის ღვთაებრიობა მხოლოდ ტექნიკური ხერხი იყო, თანამედროვე რომანისტის არასრულყოფილება კი მხოლოდ გასართობია. როცა თანამედროვე მთხრობელი ყოყმანობს, ეტყობა, რომ რაღაცაში ვერ გარკვეულა, რაღაცას ვერ იგებს, თამაშობს და ამ თამაშში შეცდომებს უშვებს. რას ფიქრობს მკითხველი? რომ რეალობა უფრო დამაჯერებლადაა გადმოცემული? და როცა მწერალი გვთავაზობს თავისი რომანის ორ, სხვადასხვაგვარ დასასრულს (რატომ ორს? რატომ არა ასს?), მკითხველი სერიოზულად წარმოიდგენს, რომ „არჩევანს სთავაზობენ“ და რომ ნაწარმოები ცხოვრების ცვალებად შედეგებს ასახავს?

ამგვარი „არჩევანი“ არასდროს არის რეალური, რადგან მკითხველს ავალებენ, გამოიყენოს ორივე დასასრული. ცხოვრებაში გადაწყვეტილება ჩვენზეა დამოკიდებული, ან ჩვენ ვართ დამოკიდებული გადაწყვეტილებაზე და გარკვეული გზით მივდივართ. სხვა გადაწყვეტილება რომ მიგველო (როგორც ვუთხარი ერთხელ ჩემს ცოლს, თუმცა იმ მდგომარეობაში არ იყო, რომ ჩემი სიბრძნე მოსწონებოდა), სადმე სხვაგან ვიქნებოდით. რომანი ორი დასასრულით არ ასახავს რეალობას: ის, უბრალოდ, ორ გზაზე გვაყენებს. ჩემი აზრით, ეს კუბიზმის ფორმაა. კი, ბატონო, მაგრამ მოდი, ასეთი ხრიკებით თავს ნუ მოვიტყუებთ.

ბოლოს და ბოლოს, თუ რომანისტს ნამდვილად უნდოდა ცხოვრების მრავალგვარი შესაძლებლობების მოდელირება, აი, რა უნდა გაეკეთებინა: წიგნის უკანა ყდაზე ფერად-ფერადი, დაბეჭდილი კონვერტები უნდა მიემაგრებინა. თითოეულ მათგანზე მკაფიოდ უნდა დაეწერა: ტრადიციული ბედნიერი დასასრული; ტრადიციული უბედური დასასრული; ტრადიციული ორაზროვანი დასასრული; Deus ex Machina; მოდერნისტული, თვითნებური დასასრული; სამყაროს დასასრულის დასასრული; თავბრუდამხვევი დასასრული; საოცნებო დასასრული; ბუნდოვანი დასასრული; სიურეალისტური დასასრული და ასე შემდეგ. მხოლოდ ერთის არჩევის უფლება გექნებოდათ, დანარჩენი კონვერტები უნდა გაგენადგურებინათ. ამას ვუძახი მკითხველისთვის დასასრულის არჩევის შეთავაზებას, მაგრამ შეიძლება, სრულიად უგნურ, გონებაშეზღუდულ ადამიანად ჩამთვალოთ.

რაც შეეხება გაუბედავ მთხრობელს - აჰა, შემომხედეთ - ვშიშობ, რომ სწორედ იმას გადაეყარეთ. შეიძლება, იმიტომ, რომ ინგლისელი ვარ. ამას ისედაც მიხვდებოდით - რომ ინგლისელი ვარ - არა? მე... მე... ახედეთ იმ თოლიას. აქამდე არც შემიძინებია. კვალდაკვალ მოგვყვება და სენდვიჩის ნამცეცებს ელოდება. იცით რა... იმედია, უხეშობაში არ ჩამომართმევთ, გემბანზე უნდა მივბრუნდე, ბარი ძალიან ჩაიხუთა. იქნებ სჯობდეს, უკან დაბრუნებისას ბორანზე შევხვდეთ? ორსაათიან ბორანზე, ხუთშაბათს? დარწმუნებული ვარ, მაშინ უკეთ ვიგროძნობ თავს. კარგი? ბატონო? არა, არა, გემბანზე ნუ წამომყვებით. ღვთის გულისათვის. თან ჯერ ტუალეტში

მივდივარ. იქ ხომ ვერ გაგიყოლებთ, მეზობელი კაბინიდან ხომ არ დამინწყებთ ყურებას.

ბოდიშს ვიხდი, ეგ არ მიგულისხმია. ორ საათზე, ბარში, ბორანზე? ოჰ, ბოლოს ერთსაც გეტყვით. ყველის მაღაზია Grande Rue-ზე - არ გამოტოვოთ. მე მგონი, Leroux ჰქვია. გირჩევთ, Brillat-Savarin აიღოთ. ინგლისში თქვენ თვითონ თუ არ წაიღეთ, კარგს ვერ იშოვით. იქ ძალიან აცივებენ, ან ქიმიურ ნივთიერებებს ამატებენ ინექციით, რომ დიდხანს შეინახოს. ასე რომ, თუ ყველი გიყვართ...

როგორ ვიხელთებთ წარსულს? როგორ ვიხელთებთ უცხო ქვეყნების წარსულს? ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვითხვებთ ვსვამთ, ვიმახსოვრებთ, მოკრძალებულად ვიქცევით; მერე კი ერთი უბრალო დეტალი ყველაფერს ცვლის. ამბობდნენ, ფლობერი გოლიათი იყო. ყველას კომპივით გადმოჰყურებდა, გალების ზორბა ბელადივითო. თუმცა მხოლოდ ექვსი ფუტი სიმაღლისა ყოფილა - ამას თვითონვე ადასტურებს. მაღალი იყო, მაგრამ გოლიათი ნამდვილად არა. ფაქტიურად, ჩემზე დაბალი გამოდის, და საფრანგეთში ყოფნისას არასდროს მომსვლია აზრად, გალების ბელადივით ხალხს თავზე

კომპივით ვადგავარ-მეთქი.

ერთი სიტყვით, გუსტავი ექვსფუტიანი გოლიათი იყო, და ამის გათვალისწინებით, ქვეყნიერება, ცოტა არ იყოს, დაჰატარავდა. გოლიათები არც ისე მაღლები ყოფილან (ამდენად, ჯუჯებიც უფრო დაბლები იქნებოდნენ?). რაც შეეხება მსუქნებს: უფრო მსუქნები იმიტომ ჩანდნენ, რომ ტანმორჩილები იყვნენ და პატარა ღივიც საკმარისი იყო, რომ მსუქნად გამოჩენილიყვნენ? თუ იმიტომ, რომ ღივები ჩვეულებრივი ჰქონდათ, ტანი კი - გაცილებით პატარა? ასე დაწვრილებით საიდან გვეცოდინება მნიშვნელოვანი დეტალები? შეიძლება, ათწლეულების განმავლობაში ვსწავლობდეთ არქივებს, მაგრამ ხშირად დიდია ცდუნება, აღვაპყროთ ხელები და გამოვაცხადოთ, რომ ისტორია ლიტერატურის კიდევ ერთი ჟანრია: წარსული ავტობიოგრაფიული პროზაა, რომელსაც თავი საპარლამენტო

მოხსენებად მოაქვს.

კედელზე მიკიდია ართურ ფრედერიკ პეინის (დაიბადა ნიუარკში, ლეიკესტერში, 1831 წელს, მუშაობდა 1849-74 წლებში) დახატული რუანის პატარა აკვარელი. ბონსეკურის ეკლესიის ეზოდან, სასაფლაოდან გადაშლილი ხედი დაუხატავს: ხიდები, შპილები, მდინარე, კრუასეს რომ გვერდს უვლის და იკარგება. დახატულია 1856 წლის 4 მაისს. ფლობებრმა 1856 წლის 30 აპრილს დაასრულა „მადამ ბოვარი“ - იქ, კრუასეში. შემიძლია, ის ადგილი გაჩვენოთ - თითო დავადებ აკვარელის ორ გადღაბნილ ლაქას შორის. ასე ახლოს და მაინც ასე შორს. მაშ, ეს არის ისტორია - თავდაჯერებული მოყვარულის სწრაფი მონასმებით დახატული აკვარელი?

დარწმუნებული არა ვარ, რომ წარსულთან დაკავშირებით არაფერი მეშლება. უბრალოდ, მინდა ვიცოდე - მსუქნები მაშინ უფრო მსუქნები იყვნენ? გიჟები - უფრო გიჟები? რუანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო ერთი მთვარეული, სახელად მირაბო, რომელიც Hôtel-Dieu-ს ექიმებსა და სტუდენტებს შორის განსაკუთრებული ტალანტის გამო იყო პოპულარული: ფინჯანი ყავის სანაცვლოდ შეედლო საპროცედურო მაგიდაზე ქალის გვამი გაეუპატიურებინა (ფინჯანი ყავა კიდევ უფრო აგიჟებდა თუ აწყენებდა?). თუმცა ერთ დღეს მირაბომ ილაჩრა: ფლობერი აღწერს, როგორ დაიხია უკან გილიოტინაზე თავმოკვეთილი ქალის სხეულის დანახვისას. ეჭვგარეშეა, ამჯერად ორი ფინჯანი ყავა შესთავაზეს, მეტი შაქარი და ერთი ყლუპი კონიაკიც (ეს რაზე მეტყველებს - ჭკუათმყოფლობასა თუ სიგიჟეზე? რას ნიშნავს, რომ სახე სჭირდებოდა, თუნდაც მკვდრისა?).

დღეს სიტყვა „გიჟი“ აკრძალულია. რა უაზრობაა. რამდენიმე ფსიქიატრი, ვისაც დიდ პატივს ვცემ, ხშირად ლაპარაკობს გიჟებზე. ვიხმაროთ მოკლე, მარტივი, ნამდვილი სიტყვები. ვამბობ: მკვდარი, მომაკვდავი, გიჟი, ლალატი. არ ვამბობ: განსვენებული, ხელიდან გვეცლება ან დაგვტოვა (ოჰ, დაგვტოვა? სად წავიდა? იუსტონში, სენ-პანკრასში თუ სენ-ლაზარეს სადგურში?); არ ვამბობ: პიროვნული აშლილობა, ან ვიღაც ჰყავს, გვერდზე იხედება, რქებს ადგამს. მე ვამბობ: გიჟი, ლალატი, დიახ, ასე ვამბობ. გიჟი სწორედ შესაფერისად ჟღერს.

უბრალო სიტყვაა, რომელიც გვეუბნება, როგორ შეიძლება მოვიდეს შეშლილობა და დაგვიდახოს - შეკვეთების დამტარებელი ფურგონით. საშინელი რამეებიც ჩვეულებრივია. იცით, რა თქვა ნაბოკოვმა ცოლ-ქმრული ღალატის თაობაზე თავის ლექციაში „მადამ ბოვარიზე“? თქვა, რომ ეს იყო „ბანალურზე ამაღლების ყველაზე ბანალური გზა“.

ადიულტერის ნებისმიერი ისტორია უეჭველად მოიხსენიებს ემას შეცდენას ქალაქში მოხეტიალე ეკიპაჟში: XIX საუკუნის პროზაში ეს, ალბათ, ღალატის ყველაზე ცნობილი სცენაა. თქვენ იტყვით, მკითხველისთვის იოლია ასე დაწვრილებით აღწერილი სცენის წარმოდგენა და სწორად გაგებო. დიახ, ნამდვილად. მაგრამ საკმაოდ იოლია მისი ოდნავ მცდარად გაგებაც. მოვიშველიებ ჯ. მ. მასგრეივს, მხატვარს, მოგზაურს, მემუარისტს და კენტის საგრაფოში ქალაქ ბორდენის ვიკარიუსს. იგი ავტორია წიგნებისა „მღვდელი, კალამი და ფანქარი, ანუ მოგონებები და ილუსტრაციები პარიზში მოგზაურობისა 1847 წელს, რამდენიმე ჩანაწერთურთ ფრანგულ ფერმერობაზე“ (Richard Bentley, ლონდონი, 1848) და „ხეტიალი ნორმანდიაში, ანუ სცენები, ხასიათები და ჩანახატები კალვადოსში მოგზაურობისა“ (David Bogue, ლონდონი, 1855). ამ უკანასკნელი ნაშრომის 522-ე გვერდზე ღირსი მასგრეივი სტუმრობს რუანს - როგორც თვითონ უწოდებს, „საფრანგეთის მანჩესტერს“. ეს ის დროა, როცა ფლობერი ჯერ კიდევ „ბოვარის“ ეჭიდავება. ქალაქის აღწერისას ავტორი შენიშნავს:

ახლახან ეკიპაჟების სადგომი ვახსენე. იქ გაჩერებული კარეტებიდან უმეტესობა, ჩემი ვარაუდით, ამ სახეობის ყველაზე პატარა ტრანსპორტია ევროპაში. გზაზე მათ გვერდით თუ დავდგებოდი, სულ ადვილად შემეძლო, მკლავი სახურავზე ჩამომედო. მარჯვედ შეკრული, კოხტა, სუფთა, პატარა ეტლებია, ორი კარგი ლამპრით; ქუჩებს ცეროდენა ტომის ეკიპაჟით „სერავდნენ“.

ასე რომ, ჩვენი თვალსაზრისი უეცრად საორტოფო ხდება: სახელოვანი ცდუნება კიდევ უფრო შებოჭილი და ნაკლებად რომანტიკული იქნებოდა, ვიდრე წინასწარ ვვარაუდობდით.

ინფორმაციის ეს ნაწილი, რამდენადაც ვიცი, დღემდე არავის ჩაუწერია რომანზე მიბმულ ვრცელ ანოტაციებში. ახლა კი დიდი მოკრძალებითა და თავმოდრეკით ვთავაზობ გამოსაყენებლად პროფესიონალ სწავლულებს.

მათალი, მსუქანი, გიჟი. და კიდევ ფერები. „მადამ ბოვარიზე“ მუშაობისას ფლობერი ფერადი მინის ნატეხებით აკვირდებოდა არემარეს. ერთხელ ამ საქმეს მთელი ნაშუადღევი მოანდომა. ისიც იმას დაინახავდა, რასაც ახლა ჩვენ ვხედავთ? ალბათ. მაგრამ არ დაგვაკვიწყდეს: 1853 წელს,

ტრუვილში, როცა ზღვაში ჩამავალ მზეს გაჰყურებდა, თქვა, წითელი მოცხარის ჯემის დიდ დისკოს ჰგავსო. ცოცხალი შედარებაა. მაგრამ ვითომ 1853 წელს, ნორმანდიაში, წითელი მოცხარის ჯემი იმავე ფერის იყო, რა ფერისაც ახლაა? (ერთი ქილა მაინც არის შემორჩენილი, რომ შედარება შეგვეძლოს? რა ვიცი, რომ წლების განმავლობაში ფერი არ შეუცვლია?) ამაზე ფიქრი არ მასვენებს. გადავწყვიტე, ამ საკითხზე საკვები პროდუქტების მწარმოებელი კომპანიისთვის მიმეწერა. სხვა ადრესატებისგან განსხვავებით, სწრაფად მიპასუხეს. მარწმუნებდნენ, წითელი მოცხარის ჯემი ყველაზე სუფთაა, თუმცა 1853 წლის რუანული ქილა, არარაფინირებული შაქრის გამო, შეიძლება, ისეთი კრიალა ვერ ყოფილიყო, როგორც ახლაა, მაგრამ ზუსტად ასეთივე ფერის იქნებოდაო. ასე რომ, ეს საკითხი მოვაგვარეთ: ახლა შეგვიძლია, გავაგრძელოთ და უყოყმანოდ წარმოვიდგინოთ დაისი. ხომ ხვდებით, რას ვგულისხმობ? (რაც შეეხება ჩემს სხვა შეკითხვებს: ჯემის ქილას ნამდვილად შეიძლებოდა ჩვენამდე მოეღწია, მაგრამ უთუოდ გაყავისფრდებოდა, თუ გულმოდგინედ დაბეჭდილს არ შეინახავდნენ მშრალ, განიავებულ, ბნელ ოთახში).

ღირსი ჯორჯ მასგრეივი თემიდან თემაზე კი ხტებოდა, მაგრამ დაკვირვებული კაცი იყო. გული მაღალფარდოვნებისკენ მიუწევდა („მოვალე გახლავართ, დიდი ხოტბა შევასხა რუანის ლიტერატურულ რეპუტაციას“). დეტალებზე გამუდმებული ზრუნვა მას სასარგებლო ინფორმატორად აქცევს. აღნიშნავს, როგორ უყვართ ფრანგებს პრასი და როგორ ეჭავრებათ წვიმა. ყველას გამოკითხავს: რუანელ ვაჭარს, რომელიც სახტად ტოვებს იმით, რომ პიტნის სოუსი არ გაუგია; ევრეს მღვდელს,

რომელიც აცნობებს, რომ საფრანგეთში კაცები მეტისმეტად ბევრს კითხულობენ, ქალები კი - თითქმის არაფერს (ემა ბოვარიზე უფრო ნაკლებს!). რუანში ყოფნისას Cimetière Monumental-ს ეწვევა - გუსტავის მამისა და დის დაკრძალვიდან ერთი წლის შემდეგ - და იწონებს ინოვაციურ გადაწყვეტილებას ოჯახებისთვის საფლავების ნაკვეთების ყიდვის ნებართვაზე. იკვლევს სასუქის ქარხანას, ბაიოს გობელენებს, ფსიქიატრულ საავადმყოფოს კანში, სადაც 1840 წელს გარდაიცვალა ბო ბრიუმელი (ბრიუმელი გიჟი იყო? მომსახურე პერსონალს კარგად ახსოვდა - un bon enfant-ს უძახდნენ; მხოლოდ ქერის წყალს სვამდა, სულ ცოტა ღვინოსთან ურევდაო).

მასგრეივი გიბრეის ბაზრობაზეც წავიდა. იქ გონჯების წარმოდგენაზე ნახა ყველაზე მსუქანი ბიჭი საფრანგეთში. „საყვარელი ჟუვენი“ 1840 წელს დაბადებულია ერბლეში. იმჟამად თოთხმეტი წლისა ყოფილა - მის სანახავად ერთ ფარტინგად შეგიშვებდნენ. მართლა ასე მსუქანი იყო ის ბიჭი? სამწუხაროდ, ჩვენი მოხეტიალე მხატვარი თავად არ შესულა და ფანქრით არ ჩაუხატავს ახალგაზრდა ფენომენი; მაგრამ შორიახლოს იდგა, როცა ფრანგმა კავალერისტმა ფარტინგი გადაიხადა, ჩარდახიან ეტლში შევიდა და იქიდან გამოსული ალაპარაკდა „სრულიად გამორჩეული ნორმანდიული ფრაზეოლოგიით“. მართალია, მასგრეივმა ვერ მოახერხა, ჯარისკაცისთვის ეკითხა, რა ნახეო, მაგრამ შეატყო, რომ „იმ საყვარელ ვინმეს მნახველი გაეწილებინა“.

კანში მასგრეივი რეგატაზე წასულა, სადაც შვიდი ათასი მაყურებელი გამწკრივებულიყო ნავმისადგომთან. კაცები ჭარბობდნენ, გამოირჩეოდნენ გამოსასვლელ ცისფერ ბლუზებში გამონყობილი გლეხები. იქაურობა გაჩახახებული იყო, ყველაზე მეტად ხასხასა ლურჯი ბრწყინავდა. სწორედ ის განსაკუთრებული ფერი გახლდათ, მასგრეივს მხოლოდ ერთხელ რომ ჰქონდა ნანახი ინგლისის ბანკის საგანგებო დეპარტამენტში, სადაც ბრუნვიდან ამოღებულ ბანკნოტებს წვავდნენ. მაშინ ბანკნოტების ქალაქს გასაფერადებლად ამუშავებდნენ სპეციალური ნივთიერებით, რომელსაც ამზადებდნენ კობალტისგან, კაჟმინისგან, მარილისა და კალიუმისგან: ფულის შეკვრას ცეცხლს თუ წაუკიდებდი, ფერფლი იმ უჩვეულო ელფერს მიიღებდა, მასგრეივმა რომ

ნახა კანის ნავმისადგომთან - საფრანგეთის ფერს.

მოგზაურობას განაგრძობდა. ეს ფერი და მისი უხეში ტონები სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდა თვალში. კაცებს ლურჯი ბლუზები და წინდები ეცვათ; ქალებს უმთავრესად - ლურჯი კაბები. ცხენებს ლურჯი უნაგირები და კისრის მოსართავები ჰქონდათ. ლურჯი ურიკები, აბრები სოფლების დასახელებებით, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ურბები და წყლის კასრები. ბევრ ქალაქში სახლებს ლაჟვარდისფერი ედო - გარედანაც და შიგნიდანაც. მასგრეივი იძულებული გახდა, ერთი შემხვედრი ფრანგისთვის ეთქვა, ამდენი ლურჯი მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მინახავსო.

მზეს დაბინდული მინით შევყურებთ. წარსულს ფერადი მინით უნდა გავხედოთ.

გმადლობთ. Santè. იმედია, ყველი შეიძინეთ. ნება მომეცით, ერთი რამე გირჩიოთ: მიირთვით. ცელოფნის პარკით მაცივარში ნუ შეინახავთ სტუმრებისთვის - მოხედვასაც ვერ მოასწრებთ, რომ გაფუჭდება, სამჯერ მოიმატებს ზომაში და ქიმიური ქარხნის სუნი აუვა. პარკს გახსნით და მიხვდებით, რა შარში გაეხვიეთ.

„საკუთარი თავის შესახებ დეტალების საჯაროდ გამოფენა ბურჟუაზიული ცდუნებაა, რომელსაც ყოველთვის გავურბოდი“ (1879). მაგრამ ახლა შეიძლება. ჩემი სახელი და გვარი, რასაკვირველია, იცით: ჯეფრი ბრაითუეიტი. „ლ“ არ გამოგრჩეთ, თორემ პარიზელ ბაყლად გადამაქცევთ. გეხუმრებით. ყური მიგდეთ. ხომ იცით, პირადი განცხადებები რომ იბეჭდება New Statesman-ისნაირ ჟურნალებში? ალბათ ასე დავწერდი:

60+ ქვრივი ექიმი, ზრდასრული შვილებით, აქტიური, მხიარული, თუმცა მელანქოლიისკენ მიდრეკილი; კეთილი, არამწველი, ფლობერის მოყვარული მკვლევარი; უყვარს კითხვა, საჭმელ-სასმელი, მოგზაურობა ნაცნობ ადგილებში,

ძველი ფილმები; ჰყავს მეგობრები, მაგრამ ეძებს...

საქმეც ეგაა. მაგრამ ეძებს... ვითომ? ვის ვეძებ? ორმოცი წლის ალერსიან ქალს, ქმარს გაშორებულს ან ქვრივს - მეგობრული ურთიერთობისთვის, ბოლოს ქორწინებას რომ გულისხმობს? არა. მონიფულ ქალს ქალაქგარეთ სასეირნოდ და დროდადრო სავახშმოდ? არა. ბისექსუალ წყვილს სამეულში სახალისოდ? ნამდვილად არა. ყოველთვის ვკითხულობ ჟურნალების დამატებებს, თუმცა ჰასუხის გაცემის სურვილი არასოდეს მიჩნდება. ახლახან მივხვდი, რატომ. იმიტომ, რომ არც ერთისა არ მჯერა. არ ცრუობენ - ნამდვილად არა. ცდილობენ, სრულიად გულწრფელად დაწერონ, მაგრამ სიძარტლეს არ ამბობენ. საგაზეთო სვეტი შინაარსს უმახინჯებს განცხადებების ავტორების მიერ შედგენილ ტექსტებს. თავის თავზე არავინ იფიქრებდა, ბელანქოლიისკენ მიდრეკილი არამწვეველი ვარო, თუ ამას ფორმა არ მოითხოვდა. აქედან ორი დასკვნა: პირველი - საკუთარი თავის დასახასიათებლად სარკეში ჩახედვა არ კმარა; და მეორე - რომ ფლობერი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო. სტილს შინაარსი წარმოიშობს. განმცხადებლებს, რაც არ უნდა მოინდომონ, ყოველთვის ფორმა ამარცხებს - როცა საჭიროა, ერთხელ მაინც გულწრფელად ილაპარაკონ პირადულზე, მაშინაც კი ძალით ახვევენ თავს არასასურველ უსახურობას.

ბოლოს და ბოლოს ჩემი თვალების ფერს მაინც ხომ ხედავთ. ემა ბოვარის თვალის ფერივით მოუხელთებელი მაინც ხომ არ არის? მაგრამ თქვენთვის რა შელავათია? მაინც შეუძლიათ თქვენი შეცდომაში შეყვანა. მე მორცხვი ადამიანი არა ვარ. ვცდილობ, სასარგებლო ვიყო. იცით ფლობერის თვალების ფერი? არა, არ იცით - იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ საკითხს განგებ ავარიდე თავი რამდენიმე გვერდის წინ. არ მინდა, იაფფასიანმა მოსაზრებებმა თავგზა აგირიოთ. ხომ ხედავთ, როგორი რუდუნებით ვზრუნავ თქვენზე. არ მოგწონთ? ვიცი, რომ არ მოგწონთ. კეთილი, გეტყვით. დიუ კამპის თანახმად, გუსტავს, გალების ბელადს, ექვსფუტიან გოლიათს, საყვირივით ხმა ჰქონდა და „დიდრონი, ზღვასავით რუხი თვალები“.

იმ დღეს მორიაკის „შინაგან მეშუარებს“ ვკითხულობდი, სიცოცხლის მიწურულს რომ დაწერა. ეს არის დრო, როცა პატივმოყვარეობის ბოლო ნამცეცები გუნდასავით გროვდება და ადამიანი უკანასკნელად იწყებს პათეტიკურ ჩურჩულს: „არ

დამივიწყო, არ დამივიწყო...“ ესაა დრო, როცა იქმნება ავტობიოგრაფიები, როცა უკანასკნელად ტრაბახობენ, და ყველასგან მივიწყებული მოგონებები კიდევ ერთხელ იწერება იმ ყალბი იდეით, თითქოს მათ რაიმე ღირებულება ჰქონდეთ.

მაგრამ მორიაკი სწორედ ამაზე ამბობს უარს. „მემუარებს“ კი წერს, მაგრამ ეს მისი მოგონებები არ არის. გვზოგავს და არ გვიაბობს ბავშვობის გათვლებსა და ბატიფეხურზე, ნესტიან სხვენში მოხელთებულ პირველ მოახლე გოგოზე, ლითონისკბილებიან ეშმაკ ბიძაზე, გუდაში ამბები რომ არ ელევა და სხვა ასეთ რამეებზე. ამის ნაცვლად, მორიაკი გვიყვება ნაკითხულ წიგნებზე, ნანახ სპექტაკლებზე, მხატვრებზე, რომლებიც მოსწონდა. ის საკუთარ თავს სხვების ნაწარმოებებთან ზიარებით ჰოულობს. საკუთარ რწმენას ლუციფერიანელი ჟიდის მიმართ გულმოსულობით განსაზღვრავს. მისი „მემუარების“ კითხვა მატარებელში შეხვედრას ჰგავს იმ კაცთან, რომელიც ამბობს: „მე ნუ მიყურებ, თავგზა აგებნევა. თუ გინდა იცოდე, როგორი ვარ, მოიცადე, სანამ გვირაბში შევალთ, მერე კი ფანჯარაში ჩემს ანარეკლს დააკვირდი“. იცდი, შეჰყურებ და უეცრად გაჭვარტლული კედლების, კაბელებისა და აგურის ცვალებად ფონზე სახეს თვალს მოჰკრავ. გამჭვირვალე გამოსახულება რამდენიმე ფუტის იქით გაიელვებს, ხტის. შენც ეჩვევი მის არსებობას, მისი მოძრაობებით მოძრაობ, და თუმცა იცი, რომ მისი იქ ყოფნა პირობითია, ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს მარადიული იყოს. მერე მოთქმასავით კივილი და თვალწინ აფეთქებული შუქი. სახე სამუდამოდ ქრება.

კარგი, იცით, რომ ყავისფერი თვალები მაქვს. რაც გინდათ, ისა თქვით. სიმაღლე - ექვსი ფუტი. ჭაღარაშერეული, ჯანმრთელი. მაგრამ მნიშვნელოვანი რა შემიძლია გითხრათ ჩემ შესახებ? მხოლოდ ის, რაც ვიცი, რაც მჭერა, რისი თქმაც შემიძლია თქვენთვის. რა არის ჩემი მთავარი თვისება? პატიოსნება. ყოველთვის სიმართლის თქმა მირჩევნია, თუმცა შეცდომები ყველას მოგვდის. თუ რამეში ვცდები, კარგ გარემოცვაში მაინცა ვარ. The Times, ნეკროლოგის სვეტში, 1880 წლის 10 მაისს აცხადებს, რომ ფლობერმა დაწერა წიგნი „ბუვარი და პეკიუშე“ და რომ მან „თავდაპირველად მამამისის პროფესია - ქირურგობა აირჩია“. ჩემს Encyclopaedia Britannica-ს მერვე

(როგორც ამბობენ, საუკეთესო) გამოცემაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ შარლ ბოვარი რომანისტის მამის პორტრეტია. სტატიის ავტორი, ვინმე ე.გ. ედმუნდ გოსი აღმოჩნდა. ეს რომ წავიკითხე, ჩამეცინა. ედ უინტერტონთან შეხვედრის შემდეგ „მისტერ“ გოსზე გული აღარ მიმდის.

ალალი კაცი ვარ, სანდო. ექიმობისას ერთი პაციენტიც კი არ მომიკლავს და ეს უფრო სატრაბახოა, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. ადამიანები მენდობოდნენ, ისევ და ისევ მიბრუნდებოდნენ - ნებისმიერ შემთხვევაში. მომაკვდავებს კარგად ვექცეოდი. არ ვთვრებოდი, ანუ ძალიან არასდროს ვთვრებოდი; წარმოსახვით პაციენტებს დანიშნულებებს არ ვუწერდი; საოპერაციოში ქალებს არ ვეარშიყებოდი. ისე გამომივიდა, თითქოს

თაბაშირის წმინდანი ვიყო. არც ეგრეა საქმე.

არა, ჩემი ცოლი არ მომიკლავს. უნდა მცოდნოდა, რომ ეგრე იფიქრებდით. ჯერ იგებთ, რომ მკვდარია. ცოტა ხნის შემდეგ ვამბობ, რომ ერთი პაციენტიც კი არ მომიკლავს. აჰა, მაშ ვინ მოგიკლავს? ეს კითხვა უეჭველად ლოგიკური ჩანს. რა იოლია, ხალხს სალაპარაკო მისცე. იყო ერთი კაცი, გვარად ლედუ, რომელიც ბოროტი განზრახვით აცხადებდა, ფლობერმა თვითმკვლელობა ჩაიდინაო, და უამრავ ადამიანს დააკარგვინა დრო. ამ კაცზე მოგვიანებით გიამბობთ. ხსენებული ამბავი ჩემს თვალსაზრისს ადასტურებს: რისი ცოდნაა სასარგებლო? რომელი ცოდნაა ნამდვილი? ან იმდენი რამე უნდა გითხრათ ჩემ შესახებ, რომ იძულებული გახდეთ, აღიაროთ: ისევე არ შემეძლო ცოლის მოკვლა, როგორც ფლობერს არ შეეძლო თვითმკვლელობის ჩადენა; ან, უბრალოდ, უნდა ვთქვა: „მორჩა, საკმარისია“. მეტი არაფერი. J'y suis, j'y reste.

ალბათ შემეძლო, მორიაკის თამაშს ავყოლოდი. მომეყოლა თქვენთვის, როგორ აღვიზარდე უელსის, ჰაქსლისა და შოუს წიგნებზე; როგორ მიჩვენია დიკენსს ჯორჯ ელიოტი და თეკერეიც კი; როგორ მომწონს ორუელი, ჰარდი და ჰაუსმანი, და არ მომწონს ოდენ-სპენდერ-იშერვუდის რაზმი (სოციალიზმს რომ ქადაგებს ჰომოსექსუალიზმის შესახებ კანონის რეფორმის სახით); როგორ ვინახავ ვირჯინია ვულფს იმ

დროისთვის, როცა აღსასრული მომიახლოვდება. უფრო ახალგაზრდები? დღევანდლები? თითოეულმა ერთი რამე მაინც გააკეთა კარგად, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიხვდა, რომ ლიტერატურა დამოკიდებულია რამდენიმე რამის კარგად კეთებაზე - ერთდროულად. შემეძლო, უსასრულოდ გამეგრძელებინა სიტყვა ამ საკითხებზე. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, მეტქვა, რას ვფიქრობ და ასე გამოძეგანა სამზეობზე მუსიე ჯეფრი ბრაითუეიტის გრძნობები. მაგრამ რითაა მნიშვნელოვანი ხსენებული ჯენტლმენი?

მირჩევნია, სხვა ვერსია გავათამაშო. ერთხელ ერთმა იტალიელმა დაწერა, კრიტიკოსი არ ამხელს, მაგრამ მწერალი მოსაკლავად უნდაო. მართლა ასეა? ალბათ - გარკვეული თვალსაზრისით. ოქროს კვერცხები ყველას გვძულს. ისევ ეს ოხერი ოქროს კვერცხები, - ბუზღუნებენ კრიტიკოსები, როცა კარგი რომანისტი კიდევ ერთ კარგ რომანს დაწერს, - ნელს აღარ გვეყო ომლეტი?

ეგ რომ არა, ბევრ კრიტიკოსს მოეწონებოდა ლიტერატურის დიქტატორობა - წარსულსაც დაალაგებდა და ხელოვნების მომავალ მიმართულებასაც მშვიდად და თავდაჯერებულად დაადგენდა. ამ თვეში ყველამ ამაზე და ამაზე უნდა წეროს. მომავალ თვეში ამაზე და ამაზე წერა აკრძალულია. ესა და ეს ჩვენი ნებართვის გარეშე ხელახლა არ უნდა გამოიცეს. ამ მაცდური, ცუდი რომანის ყველა ასლი მყისვე უნდა განადგურდეს (თქვენ გგონიათ, ვხუმრობ? 1983 წლის მარტში გაზეთი Libération მოითხოვდა, რომ საფრანგეთში ქალთა უფლებების დაცვის მინისტრს „სექსისტური სიძულვილის დამწერგავი საჯარო პროვოკაციების“ სიაში შეეტანა შემდეგი ნაწარმოებები: „ჰანტაგრუელი“, „უჩინარი ჯუდი“, ბოდლერის ლექსები, კაფკა - მთლიანად, „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“... და „მადამ ბოვარი“). და მაინც, მოდი, ვითამაშოთ. პირველი სვლა ჩემია.

1 აღარ იქნება რომანები, სადაც გარემოებების გამო იზოლირებულ ადამიანთა ჯგუფი უბრუნდება „ბუნებრივ მდგომარეობას“ - თავდაპირველ, უქონელ, შიშველ, გაორებულ არსებობას. ეს ყველაფერი შეიძლება მოვაქციოთ ერთ მოთხრობაში, რომელიც ამ ჟანრის უკანასკნელი ნიმუში,

ბოთლში ჩარჭობილი საცობი იქნება. მე დაგიწერთ. მოგზაურთა ჯგუფი გემის ან თვითმფრინავის კატასტროფის შემდეგ ერთ ადგილას აღმოჩნდება - რასაკვირველია, კუნძულზე. ერთ-ერთ მათგანს, ზორბა, ღონიერ, უამურ კაცს იარაღი აქვს. დანარჩენებს აიძულებს, ქვიშაში ორმო ამოთხარონ და იქ იცხოვრონ. დროდადრო ერთ-ერთი ტუსადი - კაცი ან ქალი - ამოჰყავს, გასროლით კლავს, გამოშიგნავს და ჭამს. საკვები გემრიელია და სუქდება. უკანასკნელ ტუსადს რომ მოკლავს და შეჭამს, აფორიაქდება, ახლა რაღა მეშველება, რა ვჭამო. საბედნიეროდ, ამ დროს თვითმფრინავი მოვა და გადაარჩენს. მსოფლიოს ეუბნება, კატასტროფაში ყველა დაიღუპა, მხოლოდ მე გადავრჩი და კენკრით, ფოთლებითა და ფესვებით გავიტანე თავიო. მსოფლიო აღფრთოვანებულია მისი მშვენიერი ფიზიკური მდგომარეობით. პლაკატი ამ კაცის ფოტოსურათით ვეგეტარიანული საკვების მალაზიების ვიტრინებშია გამოფენილი. ვერაფერიც ვერ გაუგეს.

ხედავთ, რა ადვილია წერა? ხედავთ, რა სახალისოა? აი, რატომ აკრძალავდი ამ ჟანრს.

2 აღარ იქნება რომანები ინცესტზე. არა! როგორი უგემოვნოც არ უნდა იყოს.

3 არავითარი რომანები, სადაც მოქმედება საქონლის სასაკლაოზე ხდება. ვალიარებ, დღესდღეობით ეს მცირე ჟანრია, მაგრამ ბოლო დროს შევამჩნიე, რომ მოთხრობებში სასაკლაოს სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ. ეს ჩანასახშივე უნდა აღიკვეთოს.

4 ოცი წლით უნდა აიკრძალოს რომანები, სადაც მოქმედება ოქსფორდში ან კემბრიჯში ვითარდება, და ათი წლით - სხვა საუნივერსიტეტო პროზა. არ უნდა დაწესდეს აკრძალვა ისეთ პროზაზე, სადაც მოქმედება პოლიტექნიკურ სასწავლებლებში ხდება (თუმცა არც სუბსიდიებით არ უნდა წახალისდეს). არ უნდა აიკრძალოს რომანები, სადაც მოქმედება დაწყებით სკოლებში ვითარდება. ნაწილობრივი აკრძალვა უნდა დაწესდეს საშუალო სკოლების ამსახველ პროზაზე (თითო ავტორისთვის ნებადართული იქნება

თითო ნაწარმოები). ნაწილობრივი აკრძალვა უნდა დაწესდეს უახლეს ისტორიაზე დაწერილ რომანებზე (აქაც თითო წიგნი ერთ ავტორზე). სრულად უნდა აიკრძალოს რომანები, სადაც მთავარი გმირი ჟურნალისტი ან ტელეწამყვანია.

5 სამხრეთ ამერიკაში განვითარებული მოვლენების ამსახველი პროზისთვის კვოტური სისტემა უნდა შემოვიღოთ. ამის მიზანი ტურისტული ბაროკოსა და შავი ირონიის მოთოვვაა. აჰ, რარიგ ახლოსაა ერთმანეთთან იაფფასიანი ცხოვრება და ძვირადღირებული პრინციპები, რელიგია და ბანდიტიზმი, გასაოცარი კეთილშობილება და უნებლიე სისასტიკე. აჰ, ჩიტი-დაიკირი, რომელიც კვერცხებს საკუთარ ფრთაზე აზის; აჰ, ფრედონას ხე, რომელსაც ფესვები ტოტემის ბოლოებიდან ეზრდება, და რომლის ბოჭკოების დახმარებით კუზიანმა ტელეპათიით გაანაყოფიერა მემამულის ქედმაღალი ცოლი; აჰ, საოპერო თეატრი, გაბურდულმა ჯუნგლებმა რომ გადაუარა!.. ნება მომეცით, ხელი მაგიდაზე დავკრა და ვთქვა: „არა!“ განვითარების გრანტს მიიღებენ რომანები, სადაც მოქმედება არქტიკასა და ანტარქტიდაში ხდება.

6ა. არავითარი სცენები ადამიანსა და ცხოველს შორის ავხორცული ურთიერთობის აღწერით. მაგალითად, ქალისა და ზღვის გოჭის ნაზი კავშირი იმ ძაფების გაძლიერების სიმბოლოდ იქცევა, რომლებიც ოდესღაც მთელ ქვეყნიერებას აბლაბუდასავით ეფარა და მშვიდობიანი თანაარსებობით აკავშირებდა. არა, არც ეგ შეიძლება.

ბ. არავითარი სცენები, სადაც აღწერილია საშხაპეში მამაკაცსა და ქალს (შეგიძლიათ, თქვათ - ზღვის გოჭისნაირებს) შორის ავხორცული ურთიერთობა. ჩემი მოსაზრებების საფუძველი, პირველ ყოვლისა, ესთეტიკურია, და კიდევ სამედიცინოც.

7 არავითარი რომანები პატარა, ამჟამად მივინყებულ ომებზე ბრიტანეთის იმპერიის მივარდნილ ნაწილებში. მათი გულმოდგინე შესწავლისას შევითვისეთ, რომ, ჯერ ერთი, ბრიტანელები ზომიერად ბოროტები არიან; და მეორეც - რომ ომი ნამდვილად სისაძაგლეა.

8 არავითარი რომანები, სადაც მთხრობელი ან რომელიმე

პერსონაჟი აღნიშნულია, უბრალოდ, ინიციალით. თუმცა ამას მაინც ვერ მოიშლიან!

9 აღარ უნდა იყოს სხვა რომანებზე დანერგილი რომანები. არავითარი „თანამედროვე ვერსიები“, გადამუშავებები, გაგრძელებები ან მინაწერები. არავითარი წარმოსახვითი დასასრულები იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც ავტორის გარდაცვალების გამო დაუსრულებელი დარჩა. ამის ნაცვლად, ყველა მწერალმა ბუხრის თავზე უნდა ჩამოიკიდოს ნაქსოვის ნიმუში, რომელზეც ფერადი შალით ეწერება: თვითონ მოქსოვე.

10 ოცი წლით უნდა აიკრძალოს ღმერთი, უფრო სწორად, ღმერთის ალეგორიული, მეტაფორული, გადატანითი, ფარული, ბუნდოვანი და ორაზროვანი გამოყენება. წვეროსანი მთავარი მეზაღე, რომელიც ყველაზე კარგად ვაშლის ხეს უკლის; ბრძენი, ბებერი გემის კაპიტანი, რომელსაც განაჩენის გამოტანა არ ეჩქარება; პერსონაჟი, რომელსაც წესიერად არც კი იცნობ, მაგრამ შიშის ზარს გცემს წიგნის მეოთხე ნაწილში... ესენი სადმე შორს შეინახე. უკლებლივ ყველა. ღმერთი ნებადართულია, ოღონდ როგორც გადამონმეებული ზეციური არსება, რომელსაც ძალიან აბრაზებს ადამიანის ცოდვები.

მაშ, როგორ ვიხელთებთ წარსულს? რაც უფრო უკან იხევს, მით უფრო მკაფიოდ ჩანს კონტურები? ზოგს ასე ჰგონია. ვიბდიდრებთ ცოდნას, აღმოვაჩინთ დამატებით საბუთებს, ვიყენებთ ინფრანითელ სხივებს კორესპონდენციაში წაშლილი ადგილების აღსადგენად, და არ გვამძიმებს თანამედროვე ცრურწმენები. ჰოდა, უკეთ გვესმის. ასეა? ვინ იცის. აიღეთ თუნდაც გუსტავის სექსუალური ცხოვრება. წლების განმავლობაში ირწმუნებოდნენ, რომ კრუასეს დათვი მხოლოდ ლუიზ კოლესთან ამბობდა უარს დათვობაზე. „ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი სენტიმენტალური ეპიზოდი იყო ფლობერის ცხოვრებაში“, - განაცხადა ემილ ფაგემ. მაგრამ მერე აღმოაჩინეს ელიზა შლეზინგერი - გუსტავის გულში ამოგმანული წალკოტი, ნელი ცეცხლი, ჭაბუკური, განუხორციელებელი ვნება. სხვა წერილებს და ეგვიპტურ დღიურებსაც მიაგნეს. მსახიობი ქალების სუნი დატრიალდა. გაცხადდა, რომ ბუიესთან იწვა. ფლობერი თვითონაც აღიარებს

კაიროს აბანოში ბიჭებით გატაცებას. ბოლოს მისი ავხორცობა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგება. ის ამბისექსუალია - ყველაფერი გამოუცდია.

მაგრამ ნუ ჩქარობთ. სარტრი აცხადებს, გუსტავი ჰომოსექსუალი არასდროს ყოფილა, უბრალოდ, თავისი ფსიქოლოგიით, პასიური და ქალური იყო. ბუიესთან დაკავშირებული ეპიზოდი მხოლოდ მასხარაობა იყო - მძაფრი მამაკაცური მეგობრობის უკიდურესი ზღვარი. გუსტავს ერთი ჰომოსექსუალური აქტიც კი არ ჰქონია ცხოვრებაში. ამბობს, მქონდაო, მაგრამ ეგ ცარიელი ბაქიბუქია: ბუიემ აიხირა, აბა, სად არის კაიროს უხამსობებიო და გუსტავმაც გაუხერხა (დამაჯერებელია? სარტრი ფლობერს ბრალს სდებს, რაც უნდოდა, ის იფიქრაო. იქნებ სარტრსაც იგივე დავაბრალოთ? ხომ არ ერჩია ფლობერი - უსუსური ბურჟუა, იმ ცოდვის ზღვარზე რომ მასხარაობს, რომლის ჩადენისაც ეშინია, სხვაგვარ - თავზეხელაღებულ, დამღუპველ სურვილებს აყოლილ ფლობერს?). ამასობაში გვაგულიანებენ, ყურადღება მაძამ შლეზინგერზე გადავიტანოთ. ფლობერის მკვლევარებს სჯერათ, რომ ეს ურთიერთობა ბოლოს და ბოლოს შედგა: ან 1848 წელს, ან, უფრო საფიქრებელია, 1843 წლის დასაწყისში.

წარსული სიშორეში დაკარგული სანაპირო ზოლია, ჩვენ კი ისევ იმ ბორანში ვსხედვართ. კიჩოს მოაჭირთან ტელესკოპებია ჩამწკრივებული. თითოეული მათგანი გარკვეული მანძილით გვიახლოვებს ნაპირს. თუ ბორანი ატორტმანდა, ერთ-ერთ ტელესკოპთან მუდმივად ვილაც იდგება. ვიფიქრებთ, რომ სრულ, უცვლელ სიმართლეს გვეტყვის, მაგრამ ეს ილუზიაა. ბორანი ისევ სწორდება და ჩვეულ საქმიანობას ვუბრუნდებით:

ფაციფუცით გადავდივართ ერთი ტელესკოპიდან მეორესთან, ვხედავთ, როგორ იდღაბნება კონტური. მერე სხვა ტელესკოპთან გადავდივართ, ველოდებით, როდის დაინმინდება გამოსახულება; და როცა ეს მოხდება, გვგონია, რომ ყველაფერი თვითონ მოვახერხეთ.

ზღვა იმდღევანდელზე წყნარია, არა? ჩრდილოეთით ისევ ის შუქია, რომელიც ბოდენმა დაინახა. როგორია ეს მოგზაურობა არაბრიტანელთა თვალით - როცა უხერხულობისა და საუზმის

ქვეყანაში მიემგზავრებიან? ნერვიულად ხუმრობენ ნისლსა და შვრიის ფაფაზე? ფლობერმა ლონდონი შიშისმომგვრელად მიიჩნია; თქვა, არაჯანსაღი ქალაქია და pot-au-feu-ს ვერსად იპოვიო. მეორე მხრივ, ბრიტანეთი იყო შექსპირის, ნათელი აზროვნებისა და პოლიტიკური თავისუფლების სამშობლო - მინა, სადაც ვოლტერი გულთბილად მიიღეს და ზოლა თავს აფარებდა.

ახლა რა არის? ევროპის პირველი ჯურღმული, როგორც ცოტა ხნის წინ უწოდა ერთმა ჩვენმა პოეტმა. სწორედ ასეთი იქნებოდა ევროპის პირველი ჰიპერმარკეტი. ვოლტერმა კომერციისადმი ჩვენი დამოკიდებულება და სნობიზმის ნაკლებობა შეაქო, რაც ახალგაზრდებს ბიზნესმენობის საშუალებას აძლევდა. ახლა ტურისტები ერთი დღით ჩამოდიან ჰოლანდიიდან და ბელგიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან, აღტაცებულები არიან ჩვენი ფუნტის მერყეობით და ერთი სული აქვთ, Marks & Spencer-ში შედგან ფეხი. კომერცია, ვოლტერის თქმით, ის საფუძველი იყო, რომელზეც ჩვენი ერის სიდიადე აიგო. ახლა ესღა გვიცავს გაკოტრებისგან.

ბორნიდან ჩამოსვლისას ყოველთვის მინდა წითელ დერეფანში გავლა. საბაჟოს წესებს არასოდეს ვარღვევ. არასოდეს შემომიპარებია მცენარეები, ძაღლები, წამლები, უმი ხორცი ან ცეცხლსასროლი იარაღი. და მაინც, განუწყვეტლივ ვატყობ ჩემს თავს სურვილს, მოვტრიალდე და წითელი დერეფნისკენ გავეშურო. ყოველთვის ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვაღიარებდე, რომ ხელმოცარული და ვბრუნდი კონტინენტიდან და საჩვენებელი არაფერი მაქვს. ამას ხომ არ წაიკითხავდით, სერ? დიახ. გაიგეთ, სერ? დიახ. რამე გაქვთ დეკლარირებისთვის, სერ? დიახ, მინდა დეკლარაციაში ჩავწერო ფრანგული სურდო, სახიფათო სიყვარული ფლობერისადმი, ბავშვური აღფრთოვანება ფრანგული საგზაო ნიშნებით და იმ შუქის სიყვარული, რომელსაც მაშინ ვხედავ, როცა ჩრდილოეთით ვიყურები. ამ ყველაფერზე არის გადასახადი? უნდა იყოს.

ჰო, მართლა, კიდევ ის ყველი მაქვს, Brillat-Savarin. ჩემ უკან რომ კაცი დგას, იმასაც აქვს. ვუთხარი, ყველი ყოველთვის უნდა

აჩვენო საბაჟოზე-მეთქი. უბრალოდ თქვით: ყველი.

იმედია, იდუმალი პიროვნება არ გგონივართ. თუ გამაღიზიანებელი გეჩვენებით, ალბათ იმიტომ, რომ შეცბუნებული ვარ. ხომ გითხარით, გახსნილი თამაში არ მომწონს, მაგრამ ვცდილობ, რაღაცები გაგიადვილოთ. მისტიფიკაცია იოლია. ყველაზე ძნელი სათქმელის მკაფიოდ გადმოცემაა. მელოდიის დაწერაზე უფრო იოლია, სულ არ დაწერო. გარითმვაზე უფრო იოლია, სულ არ გარითმო. ნამდვილად არ ვგულისხმობ, რომ ხელოვნება თესლის პაკეტზე დაბეჭდილი ინსტრუქციასავით მკაფიო უნდა იყოს. იმას ვამბობ, რომ მისტიფიკატორს უფრო ენდობი, თუკი იცი, რომ განზრახ ცდილობს, ძნელად გასაგები იყოს. პიკასოს ბოლომდე ენდობი, რადგან შეეძლო, ენგრივით ეხატა.

მაგრამ სად არის ხსნა? რა უნდა ვიცოდეთ? ყველაფრის ცოდნა არ არის საჭირო. ყოვლისმცოდნეობა გვაბნევს. პირდაპირობაც გვაბნევს. ანფასში დახატული პორტრეტი შემოგყურებს და ჰიპნოზს გიკეთებს. ფლობერი, თავის პორტრეტებსა და ფოტოებზე, ჩვეულებრივ, განზე იყურება - მის მხერას ვერ დაიჭერთ. კიდევ იმიტომ იყურება განზე, რომ ის, რასაც თქვენს მხარს იქით ხედავს, გაცილებით საინტერესოა, ვიდრე თქვენი მხარი.

პირდაპირობა ადამიანებს აბნევს. ჩემი სახელი გითხარით: ჯეფრი ბრაითუეიტი. დაგეხმარათ? ცოტათი. ბოლოს და ბოლოს, ეს უკეთესია, ვიდრე „ბ.“ ან „ჯ.“, ან „კაცი“, ან „ყველის მოყვარული“. რომ არ გენახეთ, რას იფიქრებდით სახელის მიხედვით? საშუალო კლასის პროფესიონალი; შესაძლოა, ადვოკატი იყოს; რომელიღაც მიყრუებული კუთხის ბინადარი; ხორკლიანი ტვიდის პიჯაკი აცვია; ულვაში სამხედრო წარსულზე მიანიშნებს - შეიძლება, ამით თავიც მოჰქონდეს; გონიერი ცოლი ჰყავს; არ არის გამორიცხული, შაბათ-კვირას აფროსნობით ერთობოდეს; უფრო ჭინის კაცია, ვიდრე ვისკისა; და ასე შემდეგ.

მე ექიმი ვიყავი, და ვარ - ამ პროფესიის პირველი წარმომადგენელი ჩემს გვარში. როგორც ხედავთ, ულვაში არა მაქვს, თუმცა მაქვს სამხედრო წარსული - ჩემი ასაკის კაცი ამას

თავს ვერ აარიდებს. ვცხოვრობ ესექსში, რომელიც ყველაზე უსახურია და ამდენად ყველზე მისაღები მშობლიურ საგრაფოებს შორის. ვისკი მიყვარს, ჭინი - არა; ტვიდი - სულ არა. არც აფროსნობა. როგორც ხედავთ, თქვენს ვარაუდებს რაღაც დაემთხვა, თუმცა ყველაფერი - არა. რაც შეეხება ჩემს ცოლს, გონიერი ნამდვილად არ იყო. ეს სიტყვა ყველაზე ნაკლებად შეეფერებოდა. წელანაც გითხარით, რბილ ყველში ინექციით რაღაც ნამალი შეჰყავთ, რომ სწრაფ მომნიფებას ხელი შეუშალონ. მაგრამ ყოველთვის მნიფდება - ასეც უნდა იყოს. რბილი ყველი ფუჭდება, მაგარი ყველი ქვავდება. ორივე ობდება.

წიგნის დასაწყისში ჩემი ფოტოს მოთავსებას ვაპირებდი. პატივმოყვარეობის გამო კი არა, უბრალოდ, თქვენს დასახმარებლად. მაგრამ ძველი ფოტოა, დაახლოებით ათი წლის წინ გადაღებული. უფრო

ახალი არა მაქვს. ასეა, გარკვეული ასაკის შემდეგ სურათებს აღარ გიღებენ. უფრო სწორად, მხოლოდ ოფიციალურ შემთხვევებში გიღებენ: დაბადების დღეებზე, ჯვრისწერებზე, შობას. აღაჟღაჟებული და გახალისებული პერსონა ჭიქით ხელში, მეგობრებისა და ოჯახის გარემოცვაში - რამდენად რეალური, რამდენად სანდოა ეს თვალსაჩინოება? რას გაამჟღავნებს ჩემი ჯვრისწერის ოცდახუთი წლის იუბილეს ფოტოები? სიმართლეს ნამდვილად არა. ჰოდა, ალბათ სჭობდა, არც არასდროს გადაეღოთ.

ფლობერის დისშვილი კაროლინი ამბობს, სიცოცხლის ბოლოს მწერალს გული სწყდებოდა, ცოლ-შვილი რომ არ ჰყავდაო. თუმცა ამას საკმაოდ თავშეკავებულად მოგვითხრობს - იხსნებს, მეგობართან სტუმრობის შემდეგ როგორ მიუყვებოდნენ სენის ნაპირს. „სწორად ცხოვრობენ, - თქვა გუსტავმა. მასპინძლის ოჯახსა და მომხიბვლელ, გულდია ბავშვებს გულისხმობდა. ჰო, - ჩაილაპარაკა გულდამძიძებულმა, - სწორად ცხოვრობენ. ფიქრი აღარ შევანყვეტინე, აღარ შევანუხე. მდუმარედ მივყვებოდი გვერდით. ეს ჩვენი ერთ-ერთი უკანასკნელი სეირნობა იყო“.

სჭობდა, შეეწუხებინა. მართლა ასე ფიქრობდა? იქნებ ეს უნებლიე ახირება იყო კაცისა, რომელიც ნორმანდიაში

ეგვიპტეზე ოცნებობდა და ეგვიპტეში - ნორმანდიაზე? თუ მასპინძლის შექების გარდა კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა? ბოლოს და ბოლოს, ქორწინების ინსტიტუტის შექება რომ ნდომებოდა, შეეძლო, დისშვილთან საკუთარ მარტოობაზე დაეჩივლა - უბრალო აღიარებით: „შენ სწორად მოიქეცი“. მაგრამ ასე არ გააკეთა. რასაკვირველია, კაროლინი სწორად არ მოიქცა. ცოლად გაჰყვა უნებისყოფო კაცს, რომელიც გაკოტრდა; მერე კი ქალმა ქმრის დახმარება სცადა და ბიძამისი გააკოტრა. კაროლინის ამბავი ჭკუისსასწავლებელია - და ნაღვლიანი, ფლობერისთვის.

ქალის მამა ისეთივე უნებისყოფო იყო, როგორც შემდეგ მისი ქმარი გახდა. მამობა გუსტავმა გაუწია. „სანუკვარ მოგონებებში“ კაროლინი ეგვიპტიდან ბიძამისის დაბრუნებას იხსენებს. მაშინ პატარა გოგო იყო... ერთ საღამოს სახლში მოულოდნელად გუსტავი მოდის, ბავშვს გააღვიძებს, საწოლიდან ამოიყვანს და სიცილი აუტყდება, რადგან გოგოს თავის ზომაზე გაცილებით გრძელი ღამის პერანგი აცვია. ლოყებს მაგრად დაუკოცნის. გარედან იმ წუთის შემოსულია: ცივი, ნამით გაჟღენთილი ულვაშები აქვს. გოგოს შეეშინდება და როცა დაბლა დასვაძენ, შვებით ამოისუნთქავს. რა არის ეს, თუ არა სახელმძღვანელოში აღწერილი სურათი: მამის ამაღელვებელი დაბრუნება ოჯახში - დაბრუნება ომიდან, საქმიდან, საზღვარგარეთიდან, ქალების ტყვეობიდან, ხიფათიდან?

გოგონას სულში იძვრენდა. ლონდონში დიდი გამოფენა ხელში აყვანილს მოატარა. ამჯერად გოგოს გუსტავის მკლავებში ყოფნა უხაროდა, შიშისმომგვრელ ხალხმრავლობაში უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. ბიძამისი ასწავლიდა ისტორიას: პელოპიდასა და ეჰამინონდის ამბავს; ასწავლიდა გეოგრაფიას - ბაღში ნიჩაბი და წყლით სავსე ვედრო ჩაჰქონდა და თვალსაჩინოებისთვის ნახევარკუნძულებს, კუნძულებს, ზღვის ყურეებსა და კონცხებს უშენებდა. კაროლინს უყვარდა მასთან გატარებული ბავშვობა, ამ მოგონებებმა გააძლებინა და გადაატანინა ზრდასრულს ცხოვრების უიღბლობა. 1930 წელს 83 წლის კაროლინი ექს-ლე-ბენში უილა კეზერს შეხვდა და ოთხმოცი წლის წინ გუსტავის კაბინეტის კუთხეში, ფარდაგზე გატარებული საათები გაიხსენა: კაცი მუშაობდა, გოგო კითხულობდა - მკაცრ, მაგრამ ამაყ მდუმარებაში. „გოგოს

უყვარდა, როცა კუთხეში მიწოლილი ფიქრობდა, ვითომ გალიაში იყო ჩაკეტილი რომელიღაც ნადირთან ერთად - ვეფხვთან, ლომთან ან დათვთან. ნადირს მცველი უკვე გადაეყლაპა და ახლა ვინც კარს გააღებდა, იმას დაახტებოდა. ამ ნადირთან გოგო „სავსებით უსაფრთხოდ და თავდაჯერებულად იყო“, - ჩაიცინა კაროლინმა“.

მერე გოგო გაიზარდა. ამას გარდაუვალი ამბები მოჰყვა. გუსტავი კარგი მრჩეველი ვერ გამოდგა და კაროლინი უნებისყოფო კაცს გაჰყვა ცოლად. სნობი გახდა, მხოლოდ მაღალ საზოგადოებაზე ფიქრობდა. ბოლოს ბიძამისის გაგდება სცადა სწორედ იმ სახლიდან, სადაც ასწავლეს, თუკი რამ რიგიანი იცოდა.

ეპამინონდი თებელი მხედართმთავარი იყო და ყოველგვარი სიქველის ცოცხალ განსახიერებად ითვლებოდა. მეომრის სახელი გადამწყვეტ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში დაიმკვიდრა, დააარსა ქალაქი მეგალოპოლისი. მომაკვდავს ვიღაცამ დაატირა, რომ შთამომავლობა არ ჰყავდა. მხედართმთავარმა უპასუხა: „მე ორი შვილი დამრჩა, ლეუქტრა და მანტინეა“ - ეს ის ადგილები იყო, სადაც ორი ყველაზე სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ფლობერს შეეძლო ასევე ეთქვა: „მე ორი შვილი დამრჩა: ბუვარი და პეკიუში“ - რადგან მისი ერთადერთი ბავშვი, დისშვილი, რომელიც ქალიშვილად ექცა, ზრდასრულობისას გაუუცხოვდა. კაროლინისა და მისი ქმრისთვის ფლობერი „მომხმარებელი“ გახდა.

გუსტავი კაროლინს ლიტერატურას ასწავლიდა. ქალის სიტყვებით, „კარგად დაწერილი არც ერთი წიგნი არ მიაჩნდა სახიფათოდ“. გადავინაცვლოთ სამოცდაათი წლით წინ, სრულიად განსხვავებულ ოჯახში, საფრანგეთის სხვა ნაწილში. ამჯერად იქ დაგვხვდება წიგნებში თავჩარგული ბიჭი, დედა და დედის მეგობარი, მადამ პიკარი. მოგვიანებით ბიჭმა მემუარები დაწერა. ისევ ციტატას მოვიშველიებ: „მადამ პიკარის აზრით, ბავშვისთვის ყველაფრის წაკითხვის ნება უნდა დაერთოთ: არც ერთი წიგნი არ შეიძლება იყოს სახიფათო, თუკი ის კარგადაა დაწერილი“. ბიჭმა იცის მადამ პიკარის ხშირად მოსმენილი თვალსაზრისი, სათავისოდ იყენებს მის სტუმრობას და დედამისს ერთი

ცნობილი რომანის წაკითხვის ნებართვას სთხოვს. „თუკი ჩემი საყვარელი შვილი ამ ასაკში ასეთ წიგნებს კითხულობს, - ამბობს დედა, - როცა გაიზრდება, რაღას გააკეთებს?“ „რაც ამ წიგნებშია აღწერილი“, - პასუხობს ბიჭი. ეს იყო ყველაზე საზრიანი შეპასუხება მის ბავშვობაში. ფრაზა საოჯახო ისტორიაში შევიდა, და საფიქრებელია, რომ ბავშვს რომანის წაკითხვის უფლებაც მოუპოვა. ბიჭი იყო ჟან-პოლ სარტრი. წიგნი იყო „მადამ ბოვარი“.

სამყარო წინ მიდის? თუ მხოლოდ წინ და უკან ტორტმანებს ბორანივით? ერთი საათია, რაც ინგლისის სანაპიროს გამოვცდით და მონმენდილი ცა ქრება. ბოლომდე ღრუბლები და წვიმა მიგვაცილებენ. ამინდის ცვლილებასთან ერთად ბორანი რყევას იწყებს, ბარში მაგიდები ისევ შეუდგებიან ჟღერიალა საუბარს. რატარატარატარატა. ფატაფატაფატაფატა. ძახილი - პასუხი, ძახილი - პასუხი. ახლა ისე ჟღერს ჩემთვის, როგორც ცოლ-ქმრობის ბოლო საფეხური: ორი განცალკევებული მხარე, იატაკზე თავიანთ ადგილებს მიჭაჭვული; სანამ განვიმდება, რაღაც უმნიშვნელოზე ლაყობენ. ჩემი ცოლი... არა, ახლა არა, ჯერ არა.

გეოლოგიური კვლევებისას პეკიუშე ვარაუდობს, რა მოხდებოდა, ლა-მანშის ქვეშ მიწისძვრა რომ მომხდარიყო. წყალი ატლანტის ოკეანეს მიაწყდებოდა, - ასკვნის ის, - ინგლისისა და საფრანგეთის სანაპიროები შეზანზარდებოდა, ადგილს იცვლიდა და ისევ შეერთდებოდა, სრუტე კი აღარ იქნებოდა. მეგობრის წინასწარმეტყველების გაგონებაზე ბუვარი თავზარდაცემული გარბის. მე კი, ჩემი მხრივ, არა მგონია, საჭირო იყოს ასეთი პესიმისტობა.

ყველის ამბავი ხომ არ დაგავინწყდებათ? მაცივარში ქიმიური ნაყოფი არ გამოიყვანოთ. არ მიკითხავს, დაოჯახებული ხართ? გილოცავთ, ან პირიქით - ვითარების მიხედვით.

მე მგონი, ამჯერად წითელ დერეფანში უნდა გავიარო. ვგრძნობ, რომ მარტო ველარ ვძლებ. ღირსი მასგრეივის აზრით, ფრანგი დოუანიერს ჯენტლმენებივით იქცეოდნენ, ინგლისური საბაჟოს ოფიცრები კი ყაჩაღები იყვნენ. მაგრამ ჩემი აზრით, ყველა თავაზიანია, თუკი რიგიანად ექცევი.

8 - ფლობერის გზამკვლ შედგენილი მატარებლების მეთვალყურის მიერ

1 ფლობერისთვის ზედგამოჭრილი იყო სახლი კრუასეში - გრძელი, თეთრი შენობა, მე-18 საუკუნის მამული სენის ნაპირას. განცალკევებულად იდგა, თუმცა არც ისე მოშორებით რუანიდან და შესაბამისად, პარიზიდანაც. პატარა არ ეთქმოდა - დიდებული, ხუთფანჯრიანი კაბინეტი ჰქონდა. თუმცა არც ისე დიდი იყო და ფლობერს შეეძლო, აშკარა უზრდელობის გარეშე მოესპო სტუმრებისთვის მისვლის ნადილი. ეს იმის საშუალებასაც აძლევდა, რომ თუ მოისურვებდა, აუძღვრეველი მხერა გაეყოლებინა გვერდით ჩავლილი ცხოვრებისთვის: შეეძლო, ტერასიდან ბინოკლით ეთვალეირებინა სასეირნო გემი, კვირას ლანჩზე რომ მიჰყავდა ადამიანები ლა ბუიეში. თავის მხრივ, მოსეირნეებიც მისჩვეოდნენ cet original de Monsieur Flaubert-ს და გული სწყდებოდათ, თვალს თუ ვერ შეავლებდნენ ნუბიურ ხალათსა და აბრეშუმის არახჩინში გამონყოფილ კაცს, რომანისტის მხერით რომ ჰასუხობდა ხოლმე.

კაროლინი აღწერს თავისი ბავშვობის მშვიდ საღამოებს კრუასეში. ეს იყო უცნაური ménage: გოგონა, ბიძა, ბებია - სამი თაობის თითო წარმომადგენელი, იმ ვიწრო სახლებივით, თითო სართულზე თითო ოთახი რომ აქვთ (ფრანგები ასეთ სახლებს უძახიან un bâton de perroquet-ს - თუთიყუშის ქანდარას). ქალი იხსენებს, როგორ ისხდნენ ხოლმე სამივენი პატარა პავილიონის აივანზე და როგორ ადევნებდნენ თვალყურს ღამის დარბაისლურ მობრძანებას. გაღმა ნაპირზე მხოლოდ სილუეტს თუ გაარჩევდნენ - ცხენის ფიგურას, რომელიც ბუქსირის ბილიკზე რაღაცას მიათრევდა; შორიახლოს დროდადრო სუსტი შხაპუნი გაისმოდა - მეთევზეები სატყუარად პატარა თევზს უგდებდნენ გველთევზას და ისიც სრიალით

მიჰყვებოდა ჭავლს.

რატომ გაიმეტა ექიმმა ფლობერმა დევილის მამული ამ სახლის საყიდლად? ტრადიციულად, მიიჩნევენ, რომ თავშესაფარი უნდოდა ინვალიდი შვილისთვის, რომელმაც ის-ის იყო, ეპილეფსიის პირველი შეტევა გადაიტანა. თუმცა დევილის მამული ისედაც გაიყიდებოდა. პარიზი - რუანის სარკინიგზო ხაზი ჰავრისკენ უნდა წასულიყო და სწორედ ექიმ ფლობერის მიწაზე უნდა გაეგლო; მის ნაწილს გაყიდვა არ ასცდებოდა. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეპილეფსიამ გუსტავი ცხვარივით შეაგდო შემოქმედებით განმარტოებაში. ისიც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ იქ რკინიგზამ მიიყვანა.

2 გუსტავი საფრანგეთში რკინიგზის მომსწრე პირველ თაობას ეკუთვნოდა. ეს გამოგონება სძულდა. ჯერ ერთი, ეს ტრანსპორტის საძაგელი სახეობა იყო. „ისე მბებრდება მატარებელში ყოფნა, რომ ხუთი წუთის შემდეგ მონყენილობისგან ყმუილს ვინყებ. მგზავრებს მიტოვებული ძაღლის ხმა ჰგონიათ. არა, არა, ეს მუსიე ფლობერია - ოხრავს“. მეორეც, სადილობისას სუფრასთან რაღაც ახალი გაჩნდა: მატარებლის მონყენილობა. ამ თემაზე საუბრისგან ფლობერს *colique des wagon* ემართებოდა. 1843 წლის ივნისში ამბობს, რკინიგზა მესამე ყველაზე მოსაწყენი რამეა, რაც შეიძლება წარმოიდგინო, მადამ ლაფარჟისა და ორლეანელი ჰერცოგის სიკვდილის შემდეგო (პირველი დარიშხანით წამლავდა ხალხს, მეორე წინა წელს საკუთარ კარეტაში მოკლეს). ლუიზ კოლემ, რომელსაც თანამედროვე ქალად მოჰქონდა თავი, საკუთარ პოემაში „გლეხი ქალი“ პერსონაჟ ჯარისკაცს, ჟანს, ომიდან რომ ბრუნდება თავისი ჟანეტონის საძებნელად, მატარებლის ორთქლის გრძელი კვალი დაანახა. ფლობერმა ეს სტრიქონი გადახაზა. „ჟანს ეგეთი რამე სულ ფეხებზე ჰკიდია, - ნაიბუზღუნა მან, - ჩემი არ იყოს“.

თუმცა თავად რკინიგზა კი არ სძულდა - სძულდა ის, თუ როგორ აცდუნებდა რკინიგზა ადამიანებს პროგრესის ილუზიით. რა აზრი ჰქონდა სამეცნიერო წინსვლას ზნეობრივი წინსვლის გარეშე? უბრალოდ, რკინიგზის საშუალებით უფრო მეტი ადამიანი მოახერხებდა გადაადგილებას, შეხვედრას და სულელურად მოქცევას. ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წერილში,

რომელიც თხუთმეტი წლის ასაკში დაწერა, ფლობერი ჩამოთვლის თანამედროვე ცივილიზაციის უკეთურობებს: „რკინიგზები, სანამლაკები, ოყნები, კრემიანი ნამცხვრები, სამეფო ოჯახების წევრები და გილიოტინა“. ორი წლის შემდეგ რაბლზე დაწერილ ესეში მტრების სიას მთლიანად ცვლის, პირველი პუნქტის გარდა: „რკინიგზები, ქარხნები, ქიმიკოსები და მათემატიკოსები“. ეს აღარ შეუცვლია.

3 „ხელოვნება ყველაფერზე აღმატებულია. ლექსების წიგნი რკინიგზას სჯობს“.

პირადი ჩანაწერები, 1840

4 ჩემი აზრით, რკინიგზის ფუნქცია ფლობერის სასიყვარულო ურთიერთობაში ლუიზ კოლესთან საკმაოდ დაკნინებულია. განვიხილოთ მათი ურთიერთობის მიმდინარეობა. ქალი პარიზში ცხოვრობდა, კაცი - კრუასეში. კაცი დედაქალაქში არ ჩადიოდა, ქალს მასთან სოფელში სტუმრობის უფლება არ ჰქონდა. ასე რომ, ერთმანეთს შუაგზაზე ხვდებოდნენ, მანტთან, სადაც Hôtel du Grand Cerf იყო ერთი-ორი ღამის მგზნებარე გატაცებისა და ფუჭი დაპირებების ადგილი. ამას მომდევნო ეტაპი მოჰყვა: ლუიზი უფრო მალ-მალე ითხოვდა პაემანებს. გუსტავი თავს არიდებდა. ლუიზი ეხვეწებოდა, ბრაზობდა, ემუქრებოდა. გუსტავი უხალისოდ უთმობდა და კიდევ ერთ შეხვედრაზე თანხმდებოდა. ეს საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა საიმიხოდ, რომ კაცს ჟინი მოეკლა, ქალს კი მოლოდინი გასჩენოდა. ასე ბუზღუნით მიათრევდნენ ამ ურთიერთობას. ნეტავ ოდესმე თუ უფიქრია გუსტავს ამ ქალაქის სხვა, უფრო ადრეული სტუმრის ბედისწერაზე? სწორედ მანტის აღებისას ჩამოვარდა ცხენიდან უილიამ დამპყრობელი და გადაჰყვა კიდევ ამ დაშავებას -

მოგვიანებით გარდაიცვალა რუანში.

ინგლისელის მიერ აგებული პარიზი - რუანის რკინიგზა 1843 წლის 9 მაისს გაიხსნა - თითქმის სამი წლით ადრე, სანამ გუსტავი და ლუიზი ერთმანეთს გაიცნობდნენ. მანტის გზა თითოეულს ერთი დღიდან ორიოდე საათამდე შეუმოკლდა. წარმოიდგინეთ ამ მანძილის გავლა რკინიგზის გარეშე.

მგზავრობა დილიჯანსით ან მდინარის გემით მოუწევდათ. დაღლილები იქნებოდნენ და ალბათ - ისეთი გაღიზიანებულები, რომ ერთმანეთის დანახვაც აღარ ენდომებოდათ. დაღლილობა სურვილზე მოქმედებს. თუმცა, ამ სიძნელების გათვალისწინებით, ალბათ მეტის მოლოდინიც ჰქონდათ: მეტი დრო - იქნებ კიდევ ერთი დღეც - და მეტი ემოციები. რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩემი თეორიაა, მაგრამ თუკი ჩვენს საუკუნეში ტელეფონმა ადიულტერი თან გააიოლა და თან გაართულა (საიდუმლო შეხვედრებიც გაადვილდა და შემონებაც), წინა საუკუნეში რკინიგზას იგივე ეფექტი ჰქონდა (ვინმეს ჩაუტარებია რკინიგზისა და ადიულტერის გავრცელების შედარებითი კვლევა? წარმომიდგენია, სოფლის მღვდლები როგორ ქადაგებდნენ ეშმაკის ქმნილებაზე და როგორ დასცინოდნენ მათ ამის გამო; მაგრამ თუკი მართლაც ასე იყო, ხალხს ვერ გაამტყუნებ). რკინიგზა მისწრება გამოდგა გუსტავისთვის: მანტში წასვლა-წამოსვლისთვის ბევრი წვალემა აღარ სჭირდებოდა. ლუიზის საყვედურები კი ალბათ ასატანი საფასური იყო ასეთი ხელმისაწვდომი სიამოვნებისთვის. რკინიგზა მისწრება გამოდგა ლუიზისთვის: როგორი მკაცრი წერილებიც არ უნდა მიეწერა გუსტავს, ახლა არც ისე შორს იყო, და მომდევნო წერილში აუცილებლად ეტყოდა, შეგვიძლია, ისევ შევხვდეთ, ბოლოს და ბოლოს, სულ რაღაც ორი საათი გვაშორებსო. რკინიგზა მისწრება გამოდგა ჩვენთვის, ვისაც ახლა შეგვიძლია ამ წერილების კითხვა - წერილებისა, გაჭიანურებული და მუდამ ზღვარზე მყოფი ეროტიკული ურთიერთობის შედეგად რომ დაინერა.

5ა. 1846 წლის სექტემბერი. პირველი შეხვედრა მანტში. ერთადერთი პრობლემა გუსტავის დედა იყო. მისთვის ჯერ ოფიციალურად არ ეცნობებინათ ლუიზის არსებობის შესახებ. დიახ, მადამ კოლე იძულებული იყო, ყველა სასიყვარულო წერილი გუსტავისთვის მაქსიმ დიუ კამპის მეშვეობით გაეგზავნა, რომელიც მათ ახალი კონვერტით გადააგზავნიდა ხოლმე. რას ამბობდა მადამ ფლობერი გუსტავის უეცარ, ღამეულ გაუჩინარებაზე? რისი თქმა შეეძლო მისთვის შვილს? ტყუილის, რასაკვირველია. *une petite histoire que ma mère a crue*, - ექვსი წლის ბავშვივით ამაყად ტრიაბახობდა იგი, როცა მანტში მიდიოდა.

მაგრამ მაშინ ფლობერს მისი petite histoire არ სჯეროდა. იმ დროს ნაკლები ეძინა, ვიდრე გუსტავსა და ლუიზს. რაღაც არ ასვენებდა - იქნებ ბოლო დროს მაქსიმ დიუ კამპისგან მოზღვავებული წერილები. მეორე დღეს რუანის სადგურზე წავიდა და მატარებლიდან ჩამოსულ ვაჟს, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა სიამაყისა და სექსის კვალი, ბაქანზე დახვდა. „კრინტი არ დაუძრავს, არ უსაყვედურია, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, რომ ნებისმიერი საყვედური სჯობდა“.

განშორების სევდაზე ლაპარაკობენ. დაბრუნების დანაშაულზე რაღას იტყვიან?

ბ. რასაკვირველია, ლუიზსაც შეეძლო ბაქნის სცენის გათამაშება. ყველამ იცოდა მისი ეჭვიანობის ამბავი. ხანდახან გუსტავს მეგობრებთან სადილობისას დაატყდებოდა ხოლმე თავს. გამუდმებით მეტოქეს ეძებდა. მაგრამ მეტოქე არ ჰყოლია, ემა ბოვარის თუ არ ჩავთვლით. ერთხელ მაქსიმ დიუ კამპი ჩაინერს: „ფლობერი პარიზიდან რუანში მიდიოდა, როცა ის ქალი ვაგზლის მოსაცდელ დარბაზში შევარდა და ისეთი აყალმაყალი ატეხა, რომ რკინიგზის მოხელეები იძულებულები გახდნენ, ჩარეულიყვნენ. ფლობერი განადგურებული იყო და ემუდარებოდა, შემბრალო, მაგრამ იმან არ დაინდო“.

6 ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ ფლობერმა ლონდონის მეტროთი იმგზავრა. ციტატა მომყავს 1865 წლის სამოგზაურო დღიურიდან:

ორშაბათი, 16 ივნისი (ნიუჰევენთან მომავალი მატარებელი). რამდენიმე უღიმღამო სადგური პლაკატებით, სწორედ ისე, როგორც პარიზის საგარეუბნო სადგურებში. ჩასვლა „ვიქტორიაზე“.

ორშაბათი, 3 ივლისი. ვიყიდე რკინიგზის განრიგი.

პარასკევი, 7 ივლისი. მიწისქვეშა რკინიგზა - ჰორნსი. მისი ფარმერ... ჩარინგ კროსამდე - დასათვალიერებლად.

საჭიროდ არ ჩაუთვლია ბრიტანული და ფრანგული რკინიგზების შედარება. გულდასაწყვეტია. თორმეტი წლით ადრე ბულონის სადგურზე ჩასული ჩვენი მეგობარი, ღირსი გ.მ.

მასგრეივი, გაოგნებული იყო ფრანგული სისტემით: „ბარგის მიღების, აწონის, მონიშვნისა და გადახდის წესები მარტივი და საუცხოოა. წესრიგი, სიზუსტე და პუნქტუალობა ხელს უწყობს ყოველი დეპარტამენტის გამართულად მუშაობას. უაღრესი თავაზიანობისა და კომფორტის წყალობით (კომფორტი საფრანგეთში!) ყოველი შეთანხმება სასიამოვნოა; და ეს ყველაფერი ზედმეტი ყვირილისა და მღელვარების გარეშე, რაც ასე ჭარბადაა პადინგტონში - რომ აღარაფერი ვთქვათ მეორე კლასის ვაგონებზე, ჩვენს პირველ კლასს რომ არ ჩამოუვარდება. სირცხვილი ინგლისს!“

7 „რკინიგზა: ნაპოლეონს რომ ჰქონოდა, ვერავინ დაამარცხებდა. ყოველთვის აღტაცება უნდა მოგგვაროს ამ გამოგონებამ. თქვი: „მე, მუსიე, მე, ახლა რომ გელაპარაკებით, ამ დილით X-ში ვიყავი... X საათზე წამოვედი მატარებლით; საქმე მოვითავე და X საათზე უკან დავბრუნდი“.

„მიღებული იდეების ლექსიკონი“

8 მატარებელში რუანში ჩავჯექი (Rive Droite). ლურჯი

კლასტმასის სკამები დამხვდა და გაფრთხილება ოთხ ენაზე - ფანჯრიდან არ გადაიხაროთო. როგორც შევნიშნე, ამ რჩევის გადმოსაცემად ინგლისურს მეტი სიტყვები სჭირდება, ვიდრე ფრანგულს, გერმანულსა და იტალიურს. ლითონის ჩარჩოში ჩასმული, შავ-თეთრი ფოტოსურათის ქვეშ დავჯექი - ილ-დ'ორელონში გადაღებული სათევზაო ნავების ფოტო იყო. ჩემ გვერდით ხანშიშესული წყვილი Paris-Normandie-ში კითხულობდა ამბავს fou d'amour ყასბის შესახებ, რომელმაც შვიდსულიანი ოჯახი ამოხოცა. ფანჯარაზე პატარა, წებოვანი ფურცელი მიეკრათ. ასეთი ადრე არ მენახა: „Ne jetez pas l'énergie par les fenêtres en les ouvrant en période de chauffage“ არ გადააგდოთ ენერგია ფანჯრიდან - რა არაინგლისური ფრაზა იყო: ლოგიკური, თუმცა იმავდროულად ძალიან უცნაური.

იცით, დაკვირვებული ადამიანი ვარ. ბილეთი 35 ფრანკი ღირს. მგზავრობას დაახლოებით ერთი საათი სჭირდება: ფლობერის დროს ორჯერ მეტ დროს მოანდომებდით. პირველი გაჩერება უასელში იყო: მერე მოდიოდა ლე ვოდრეი - ville nouvelle და

გაიონი (ობეჟუა), თავისი Grand Marnier-ს სანყოფეანით. მასგრევი ამბობდა, სენის გაყოლებაზე ჰეიზაჟები ნორფოლკს მაგონებსო: „ასეთი ინგლისური ჰეიზაჟები ევროპის არც ერთ რეგიონში არ მინახავს“. კონდუქტორი კარის ჩარჩოზე კომპოსტერს აკაკუნებს: ლითონი - ლითონზე! ბრძანება, რომელსაც ემორჩილები. ვერნონი. მერე, ხელმარცხნივ, ფართო სენა მიგაცილებს მანტში.

რესპუბლიკის მოედანი #6 მშენებარე ობიექტი იყო. თითქმის დაესრულებინათ საცხოვრებელი კორპუსი - ნიმუში თავდაჯერებული უზურპატორის მიაშიტობისა. კი, მაგრამ Grand Serf აქ არ იყო? ჰო, ნამდვილად, - მითხრეს tabac-ში. დაახლოებით ერთი წლის წინ ჯერ კიდევ მდგარა ძველი შენობა. Hôtel -ისგან კარიბჭის ორი მაღალი, ერთმანეთისგან ოცდაათი ფუტით დაშორებული ქვის სვეტილა შემორჩა. უიმედოდ შევყურებდი ამ სვეტებს. მატარებელში ვერაფრით ვერ შევძელი წარმოდგენა, როგორ მგზავრობდა ამ გზაზე ძალღვივით აყბუვლებული ფლობერი. ახლა, პილიგრიმობის ამ მონაკვეთზე, კარიბჭის სვეტები ვერ მეხმარებოდა, რომ ფიქრით წლების წინ დავბრუნებულიყავი და გუსტავისა და ლუიზის მხურვალე პაემანები წარმომედგინა. ან რატომ უნდა დამხმარებოდა? წარსულს თავხედურად ვექცევით, გვგონია, რომ ასე გამოვტყუებთ ნამდვილ ფრისსონ-ს. რატომ ველით, რომ იგი ჩვენს თამაშს აჰყვება?

ბუზლუნით შემოვიარე ეკლესია (მიშლენის გზამკვლევაში ერთი ვარსკვლავითაა შეტანილი), გაზეთი ვიყიდე, ყავა დავლიე, წავიკითხე fou d'amour charcutier-ს ამბავი და გადავწყვიტე, შემდეგი მატარებლით უკან დავბრუნებულიყავი. სადგურისკენ მიმავალ გზას ფრანკლინ რუზველტის გამზირი ჰქვია, თუმცა რეალობა ნაკლებად შთამბეჭდავია, ვიდრე სახელწოდება. გამზირის ბოლომდე ორმოცდაათი იარდი მექნებოდა დარჩენილი, როცა ხელმარცხნივ კაფე-რესტორანი მომხვდა თვალში. Le Perroquet ერქვა. გარეთ, ტროტუარზე, ხისგან გამოთლილ ჭყეტელა, მწვანებუმბულებიან თუთიყუშს ნისკარტით ლანჩის მენიუ ეკავა. შენობას გაპრიალებული ხის ექსტერიერი ჰქონდა - აი, ისეთი, ვითომ სიძველეს რომ ჰმატებს. არ ვიცი, ფლობერის დროს ასე იყო თუ არა. ის კი ვიცი, რომ წარსული ხან ლაფში ამოსვრილი გოჭია, ხან ბუნაგში

შემაღული დათვი, ხან კი წამით გაელვებული თუთიყუში - ორი დამცინავი თვალი, ტყიდან რომ შემოგანათებს.

9 ფლობერის პროზაში მატარებლებს უმნიშვნელო ადგილი უკავია. თუმცა ეს ახირებულობაზე კი არა, წესრიგიანობაზე მიგვანიშნებს: მისი ნაწარმოებების უმეტესობა წინ უსწრებს იმ დროს, როცა ნორმანდიას ინგლისელი მიწისმთხრელები და ინჟინრები დაატყდნენ თავს. „ბუვარი და პეკიუში“ უკვე რკინიგზის ეპოქაში იჭრება. საკვირველია, რომ ამ თავნება გადამწერთაგან არც ერთს არ გამოუთქვამს აზრი ტრანსპორტის ახალ სახეობაზე.

მატარებლები მხოლოდ „გრძნობათა აღზრდაში“ გვხვდება. პირველად მათ დამბრეზების soirée-ზე ახსენებენ, ისიც სასხვათაშორისოდ - ეტყობა, სასაუბროდ მაინცდამაინც მიმზიდველ თემად არ მიიჩნევენ. პირველი ნამდვილი მატარებელი და პირველი ნამდვილი მოგზაურობა მეორე ნაწილის მესამე თავში გვხვდება, როცა ფრედერიკი კრეილში მიემგზავრება მაღამ არნუს შეცდენის იმედით. ფლობერი თავისი მოგზაურის ღიმილისმომგვრელ მოუთმენლობას აღწერს და მგზავრობას თბილი ღირიზმით ავსებს: ფანჯრიდან გაჰყურებს, პატარა სასცენო დეკორაციებივით როგორ მისრიალებენ ამწვანებული მინდვრები, სადგურები; ორთქლმავლის ფაფუკი კვამლი ერთხანს ბალახზე ცეკვავს, მერე კი იფანტება. რომანში კიდევ რამდენიმე სარკინიგზო მოგზაურობაა. მგზავრები ბედნიერები ჩანან. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი არ ყბუის მიტოვებული ძაღლივით. და თუმცა ფლობერმა ბრაზიანად ამოჭრა მაღამ კოლეს „გლახ ქალში“ სტრიქონი ჰორიზონტზე მორბენალი კვამლის შესახებ, ამან ხელი არ შეუშალა, დაეტოვებინა საკუთარი პეიზაჟი (მესამე ნაწილი, მეოთხე თავი): „ორთქლმავლის კვამლი ჰორიზონტალურ ზოლად განელილიყო, გიგანტური სირაქლემას ბუმბულივით, რომლის ბოლო შორს იკლავნებოდა, თითქოს ქარმა წაიღო“.

მწერლის თვალსაზრისი მხოლოდ ერთ ადგილას ჩანს. პელერენი, მხატვარი, ფრედერიკის მეგობრების წრეში რომ ტრიალებს - ვაცი, რომელიც დასრულებული თეორიებითა და დაუსრულებელი ნახატებითაა ცნობილი - ნახატს დაასრულებს,

რაც იშვიათად ხდება. ფლობერი თავს უფლებას აძლევს, ჩაიღიბოს: „რესპუბლიკა, პროგრესი თუ ცივილიზაცია წარმოდგენილი იყო იესო ქრისტეს ფიგურით, რომელიც ორთქლმაგალს უღრან ტყეში მიაქანებდა“.

10 გუსტავის

ბოლოს წინა წინადადება (ჯერ კიდევ ფეხზე მდგომს თავბრუ დაეხვა, მაგრამ არც კი შეშფოთებულა): „მე მგონი, გული მიმდის და კიდევ კარგი, რომ ეს დღეს მემართება; ხვალ, მატარებელში, თავშისაფები გახდებოდა“.

11 გავჩერდით. კრუასე დღეს. იქ, სადაც ფლობერის სახლი იდგა, ვეება ქალაქის ფაბრიკა რახრახებს. შიგნით შევვებტე, სიამოვნებით დამათვალაიერებინეს. შევყურებდი დგუშებს, ორთქლს, უზარმაზარ ქვაბებსა და სადინრებს: რამდენი სისველეა საჭირო ისეთი მშრალი ნივთის წარმოსაქმნელად, როგორც ქალაქია. ჩემს გამცილებელს ვკითხე, ისეთ ქალაქდს თუ აკეთებთ, წიგნებისთვის რომ გამოდგეს-მეთქი. ქალმა მიპასუხა, ყველანაირ ქალაქდს ვაკეთებთო. შევატყვე, რომ ექსკურსია სენტიმენტალური ვერ იქნებოდა. ზემოთ ქალაქდის უზარმაზარი, დაახლოებით 20 ფუტი სიგანის დოლი ნელ-ნელა მიემართებოდა კონვეიერისკენ. ზომით გარემოსთვის შეუფერებელი იყო და პოპ-სკულპტურის გამომწვევი ნიმუში გეგონებოდა. შევნიშნე, ტუალეტის ქალაქდის გიგანტურ რგოლს ჰგავს-მეთქი. მასპინძელმა დამიდასტურა, სწორედ ეგ არისო.

არც რახრახა ფაბრიკის გარეთ იდგა სიჩუმე. საბარგო მანქანები აყრუებდნენ გზას, რომელიც ერთ დროს საბუქსირე ბილიკი ყოფილა. მდინარის ორივე ნაპირზე ხიმიჩების გადამზიდავები მიგრუხუნებდნენ. ერთ გემსაც არ ჩაუვლია საყვირის გარეშე. ფლობერი ჰყვებოდა ხოლმე, როგორ ეწვია ერთხელ პასკალი კრუასეს. ადგილობრივი ლეგენდა ჯიუტად ამტკიცებდა, რომ აბატმა პრევომ აქ დაწერა „მანონ ლესკო“. ახლა იქ აღარავინაა დარჩენილი, რომ ასეთი ზღაპრები გაიმეოროს, და აღარც ისინი არიან, ვინც ამას დაიჯერებდა.

პირქუში, ნორმანდიული წვიმა ცრიდა. გამახსენდა ცხენის

სილუეტი შორეულ ნაპირზე და სუსტი შხაპუნი, როცა მეთევზე წყალში სატყუარას აგდებდა. ნეტავ დღესაც არიან გველთევზები ამ უღიმღამო კომერციულ წყალსაცავში? თუ გადარჩნენ, ალბათ დიზელისა და სადებიინფექციო ხსნარის გემო ექნებათ. თვალი ავაყოლე მდინარეს და უეცრად პატარა, მთრთოლავი მატარებელი შევნიშნე. ლიანდაგი მანამდეც დავინახე - გზასა და წყალს შორის იყო დაგებული; ახლა წვიმას გაეპრიალებინა და თითქოს იღიმებოდა. არც დავფიქრებულვარ, ისე ვივარაუდე, მანდ ალბათ დოკების ამწეები დადიოდნენ-მეთქი. სულ ტყუილად: სატვირთო მატარებელი დაახლოებით ასი იარდის მოშორებით იდგა და მზად იყო ფლობერის პავილიონის გვერდით ჩასაგრუხუნებლად. როცა გაუსწორდებოდა, უეჭველად დამცინავად მიაკივლებდა. ალბათ შხამები, ოყნები და კრემიანი ნამცხვრები მოჰქონდა, ან სანოვაგე - ქიმიკოსებისა და მათემატიკოსებისთვის. ამის დანახვა აღარ მინდოდა (ხანდახან ირონიას მწარე ხელი აქვს, დაუნდობელია). მანქანაში შევძვერი და იქაურობას გავშორდი.

9 -

ფლობერის აპოკრიფი

ეს არ არის, რაც ააშენეს. ეს არის, რაც დაანგრის.

ეს არ არის სახლები. ეს არის სივრცეები სახლებს შორის.

ეს არ არის ქუჩები, რომლებიც არსებობს. ეს არის ქუჩები,

რომლებიც აღარ არსებობს.

მაგრამ ეს ისიცაა, რაც არ აუშენებიათ. ეს არის სახლები, რომლებზეც ოცნებობდნენ და რომლებსაც ხატავდნენ. ეს არის წარმოსახული ბულვარები; გაუკვალავი სასეირნო ბილიკი კოტეჯებს შორის. ეს trompe-l'oeil ჩიხია, რომელიც შეგიტყუებს და დაგაჯერებს, რომ ნათელ გამზირზე გახვალ.

ვითომ რამე მნიშვნელობა აქვს წიგნებს, რომლებიც მწერალს არ დაუწერია? იოლია მათი დავიწყება. იოლია, ირწმუნო, რომ აპოკრიფული ბიბლიოგრაფია მხოლოდ უვარგის იდეებს, სამართლიანად მივიწყებულ პროექტებს, თავდაპირველ, შემაცბუნებელ აზრებს უნდა შეიცავდეს. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ასე იყოს: თავდაპირველი აზრი ხშირად საუკეთესოა - მეორე აზრმა კი განდევნა, მაგრამ მესამემ ისევ თავის ადგილას დააბრუნა. ისევ ხდება, რომ იდეა ხარისხიანობის გამოცდას ვერ უძლებს, მაგრამ მასზე უარს მაინც არ ამბობენ. წარმოსახვა ყოველწლიურად ხომ არ ისხამს ნაყოფს - ღონიერი ხეხილივით. მწერალმა ყველაფერი უნდა მოაგროვოს, რასაც შეძლებს: მასალა ხან ძალიან ბევრია, ხან ძალიან ცოტა, ხან საერთოდ არ არის. უხვმოსავლიან წლებში ყოველთვის მოიძებნება ცხაურიანი ხის გობი - სადმე გრილ, ბნელ სხვენში, მწერალი ნერვიულად რომ მიადგება ხოლმე დროგამოშვებით. ღმერთო დიდებულო! სანამ დაბლა იჯდა და თავგადაკლული მუშაობდა, ზემოთ, სხვენში, რაღაცას ჭკნობა შეჰპარვია, ლპობის მაუწყებელი ლაქები გასჩენია, ობი ფიფქებივით მოსდებია. ახლა რაღა ქნას?

ფლობერთან აპოკრიფი მეორე ჩრდილივითაა. თუკი

ცხოვრების ყველაზე საამური ეპიზოდი ბორდელში წარუმატებელი ვიზიტია, შესაძლოა, წერის ყველაზე საამური ეპიზოდი იმ წიგნზე ფიქრი იყოს, რომელიც არასდროს დაწერილა, არ შებღალულა განსაზღვრული ფორმით, და რომელსაც არ სჭირდება გამომხეურება იმ ადამიანების თვალწინ, ვისი მხერაც ნაკლებად მოსიყვარულეა, ვიდრე ავტორისა.

რასაკვირველია, შეიძლება, გამოქვეყნებული ნაწარმოებებიც სადავო გახდეს: ფლობერს საკმარისი დრო და ფული რომ ჰქონოდა, იქნებ ბევრი რამ სხვა თვალთ დაენახა და თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც მოენესრიგებინა. იქნებ „ბუვარი და პეკიუშე“ დაესრულებინა. იქნებ „მადამ ბოვარი“ არ გაემართლებინა (რამდენად სერიოზულად ვეკიდებით გუსტავის გაღიზიანებას ამ წიგნის განსაკუთრებული პოპულარობით? ძალიან სერიოზულად); და იქნებ „გრძნობათა აღზრდასაც“ სხვანაირი დასასრული ჰქონოდა. დიუ კამპი წერს, როგორი შეშფოთებულია მისი მეგობარი წიგნის ისტორიული უიღბლობის გამო: გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ საფრანგეთ-პრუსიის ომი დაიწყო, გუსტავს კი მიაჩნდა, რომ სედანში შემოჭრა და débâcle დიდებული, საჭაროდ გაცხადებული და ეჭვმიუტანელი დასკვნა იქნებოდა რომანისა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, თვალი მიგვედევნებინა თაობის ზნეობრივი დაცემისთვის.

„წარმოგიდგენიათ, - ამბობს ფლობერი დიუ კამპის ჩანაწერში, - მთავარი სათქმელი შეიძლება ცალკეული შემთხვევების მეშვეობით ითქვას. მაგალითად, არის ერთი ეპიზოდი, რომელიც თავისი მნიშვნელოვნებით გამორჩეული იქნებოდა. კაპიტულაციას ხელი მოენერა, არმია დატყვევებულია, იმპერატორი დიდი კარეტის კუთხეში მიმჯდარა. მოლუშულია, ჩამქრალი მხერა აქვს, სიგარეტს ეწევა წონასწორობის შესანარჩუნებლად. მის გულში ქარიშხალი ბობოქრობს, მაგრამ ცდილობს, აუღელვებელი ჩანდეს. თან ახლავს ადიუტანტი და პრუსიელი გენერალი. სამივე დუმს, სამივე თავდახრილია, სამივეს გული ტკივილით აქვს სავსე.

გზავარედინზე პროცესიას ტყვეების კოლონა შეაჩერებს. მცველებად რამდენიმე ულანი მიჰყვება, ქუდები გვერდზე

მოუგდიათ და ხიშტებიანად სხედან ცხენებზე. კარეტა იძულებულია, გაატაროს ადამიანების ნაკადი, რომელიც ტაატით მიიწევს წინ მზის სხივებით განითლებული მტვრის ღრუბელში. მხრებში მოხრილი კაცები ძლივძლივობით მიათრევენ ფეხებს. იმპერატორი უსიცოცხლო თვალებით შესცქერის ხალხს. რა უცნაურია საკუთარი ჯარების ასე თვალიერება. ახსენდება ადრინდელი დათვალიერებები, დოლების გრიალი, აფრიალებული დროშები, ოქროსსირბებიან მუნდირებში გამონყოფილი გენერლები, ხმლებით რომ ესალმებოდნენ და მცველების მჭექარე ხმა: „Vივე ლ'ემპერეურ!“

ერთი ტუსაღი სცნობს და მხედრულად ესალმება, მერე - კიდევ ერთი. კიდევ, კიდევ.

უეცრად მწკრივიდან ზუავი გამოდის, მუშტს უღერებს და უყვირის: „აჰა! აქა ხარ, შე ავკაცო! შენი დაღუპულები ვართ!“

მერე ათი ათასი კაცი ღრიალებს - ლანძღვენ, მუშტებს მუქარით უღერებენ, კარეტას აფურთხებენ. ასე ჩაივლიან - ლანძღვა-გინებით. იმპერატორი უძრავად რჩება - არც ნიშანს იძლევა და არც კრინტს ძრავს. უბრალოდ, გაიფიქრებს: „ეს ის ხალხია, ვისაც ჩემს პრეტორიანულ გვარდიას უძახდნენ!“

აბა, რას იტყვი? ძლიერი ეპიზოდია, არა? ხომ ამაღელვებელი ფინალური სცენა გამოვიდოდა ჩემი „გრძნობათა ალზრდისთვის“? ვერაფრით ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, რომ ხელიდან გავუშვი“.

ვინ იცის, სადარდებელია თუ არა ასეთი დასასრულის დაკარგვა. როგორ ვაფასებთ ამ ამბავს? დიუ კამპმა ალბათ უფრო უხეშად გვიამბო, ფლობერიც ბევრ რამეს შეცვლიდა გამოქვეყნებამდე. მისი ჩანაფიქრი ნათელია: fortissimo კულმინაცია, ზოგადი დასკვნა ერის კონკრეტულ მარცხზე. მაგრამ სჭირდება კი წიგნს ასეთი დასასრული? 1848 წელი გავიარეთ და 1870-ც

გჭირდება? სჯობს, რომანი გულგატეხილობით დასრულდეს. ორი მეგობრის ნაღვლიანი მოგონება სჯობს სალონში ამტყდარ

მიტქმა-მოტქმას.

რიგიანი აპოკრიფისთვის საჭიროა სისტემა.

1 ავტობიოგრაფია. „ოდესმე ძემუარების წერა თუ გადავწყვიტე - თავი თუ მოვაბი, კარგად მხოლოდ ეს გამოძივა - იქ თქვენი ადგილიც იქნება, მერე რა ადგილი! რადგან თქვენ დიდი სარკმელი გაჭერთ ჩემი არსებობის კედლებში“, - გუსტავი ამას ლუიზ კოლეს სწერს ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წერილში. შვიდწლიან პერიოდში (1846 - 53) დროდადრო მიანიშნებს დაგეგმილ ავტობიოგრაფიაზე, შემდეგ კი ოფიციალურად განაცხადებს, ამ საქმეზე უარს ვამბობო. იქნებ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა პროექტი პროექტისთვის? „ძემუარებში შენზე დავწერ“ ლიტერატურული არშიყობის ერთ-ერთი მარჯვე კლიშეა. ისევე, როგორც: „ფილმში გადაგიღებ“, „დაგხატავ და უკვდავებას მოგანიჭებ“, „თქვენს ყელს მარმარილოში ვხედავ“ და ა.შ. და ა.შ.

2 თარგმანები. უფრო დაკარგული ნაწარმოებები, ვიდრე წმინდა წყლის აპოკრიფები. აქ უნდა აღვნიშნოთ: ა) ჯულიეტ ჰერბერტის თარგმნილი „მადამ ბოვარი“, რომელიც რომანისტმა ნახა და „შედევრად“ გამოაცხადა; ბ) 1844 წლის წერილში ნახსენები თარგმანი: „კანდიდი“ ოცჯერ წავიკითხე. ინგლისურად ვთარგმნე...“ ეს სასკოლო სავარჯიშოს არ ჰგავს: უფრო საკუთარი ნებით ნაკისრი შეგირდობა უნდა იყოს. გუსტავის წერილების დამტვრეული ინგლისურით თუ განვსჯით, სავარაუდოა, რომ თარგმანმა ორიგინალის ჩანაფიქრს უნებლიედ კომიკური ქვეტექსტი დაუმატა. წესიერად ინგლისური ტოპონიმებიც კი ვერ გადმოუტანია: 1866 წელს, შენიშვნებს რომ ინერდა მინტონის ფერად ფილებზე სამხრეთ კენსინგტონის მუხუებში, სტოუკ-აფონ-ტრენტი „სტროუკ-აფონ-ტრენდად“ გადაუკეთებია.

3 პროზა. აპოკრიფების ეს ნაწილი უამრავ ყმაწვილურ ნაწერს შეიცავს, რაც უმთავრესად ფსიქობიოგრაფიისთვისაა სასარგებლო. თუმცა სიყმაწვილეში ვერდანერილი წიგნები განსხვავდება იმ წიგნებისგან, რომლებიც ვერ დანერა მოგვიანებით, როცა თავისი პროფესია საქვეყნოდ გამოაცხადა. არის დაუნერელი წიგნები, რომლებზეც პასუხისმგებლობა

გეკისრება.

1850 წელს, ეგვიპტეში ყოფნისას, ფლობერი ფიქრებით ორი დღე უტრიალებს მოთხრობას მიკერიინზე - მეოთხე დინასტიის ღვთისმოსავ ფარაონზე, რომელსაც თავისი წინამორბედების მიერ დახურული ტაძრების ხელახლა გახსნას მიაწერენ. თუმცა ბუიესადმი მიწერილ წერილში რომანისტი თავის პერსონაჟს უხეშად ახასიათებს, როგორც „მეფეს, რომელიც თავის ქალიშვილს ხმარობს“. შესაძლოა, ფლობერი დააინტერესა იმის გაგებამ (ან გახსენებამ), რომ 1837 წელს მეფის სარკოფაგი ბრიტანელებმა ამოთხარეს და ლონდონში გაგზავნეს. შეიძლება, გუსტავმა სარკოფაგი 1851 წელს დაათვალიერა, როცა ბრიტანეთის მუზეუმს ეწვია.

ამასწინათ მეც მოვინდომე დათვალიერება. მითხრეს, სარკოფაგი მუზეუმის საინტერესო ექსპონატად არ ითვლება და 1904 წლის მერე არ გამოფენილაო. გადმოტანისას მეოთხე დინასტიისა ეგონათ, მაგრამ მოგვიანებით ოცდამეექვსე დინასტიისა აღმოჩნდა: კაცმა არ იცის, მუმიის ნარჩენები მიკერიინისაა თუ არა. განზილებული კი დავრჩი, მაგრამ თან შვებით ამოვისუნთქე: ფლობერს თავისი პროექტი რომ გაეგრძელებინა და მეფის აკლდამის ზუსტი აღწერილობაც გამოეყენებინა, მერე? დოქტორი ენიდ სტარკის ყბიდან რა ამოვიდოდა, სახეზე ააფარებდა კიდეც ერთ შეცდომას ლიტერატურაში.

(იქნებ დოქტორ სტარკის სტატიაც მივუძღვნა ჩემს ჭიბის გზამკვლევაში. თუ ეგ მეტისმეტად მკაცრი შურისძიება იქნება? „ს“ - სადი თუ „ს“ - სტარკი? სხვათა შორის, კარგად ჯდება ბრაითუეიტის აღიარებული იდეების ლექსიკონში. თან მივუთითებ: ფლობერზე ყველაფერი უნდა იცოდე - აი, ამ პიროვნებასავით! კიდეც რამდენიმე სტატია და მოვათავებ. როგორც ვატყობ, ასო X საქმეს გააძნელებს. X-ზე ფლობერის ლექსიკონშიც არაფერია).

1850 წელს კონსტანტინოპოლიდან ფლობერი სამ პროექტზე იწერება: „დონ ჟუანის ღამე“ (გეგმის შედგენას ვერ გასცდა); „ანუბისი“ - ამბავი „ქალზე, რომელსაც უნდა, რომ ღმერთმა იხმაროს“; და „ჩემი ფლამანდიური რომანი ყმაწვილ ქალზე,

რომელიც კვდება უმანკო და მიუწვდომელი... პატარა, პროვინციულ ქალაქში, ბოსტნის ბოლოს, კომბოსტოებსა და ლელქაშს შორის...“ გუსტავი თავის წერილში ბუიეს შესჩვიის, პროექტის გულდასმით დაგეგმვა სახიფათოაო: „სამწუხაროდ, მეჩვენება რომ თუ შეგიძლია, ასე დანვრილებით იმსჯელო შვილებზე, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან, მათი მამობის თავი არა გქონია“. მოცემულ შემთხვევებში, გუსტავს „თავი არ ჰქონია“. თუმცა ზოგს მიაჩნია, რომ მესამე პროექტში ჩანს ბუნდოვანი მონახაზი „მადამ ბოვარისა“ ან „უმანკო გულისა“.

1852-3 წლებში გუსტავი სერიოზულ გეგმებს აწყობს. „სპირალი“ - ეს უნდა ყოფილიყო „დიდებული, მეტაფიზიკური, ფანტასტიკური და მყვირალა რომანი“, რომლის გმირიც ფლობერიული, გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს, ბედნიერია სიზმრებში და უბედურია რეალურ ცხოვრებაში. დასკვნა, რასაკვირველია, ასეთია: ბედნიერება მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს.

1853 წელს ცოცხლდება ფლობერის „ძველი ოცნება“: რომანი რაინდობაზე. არიოსტოს მიუხედავად, ასეთი პროექტის განხორციელება მაინც შესაძლებელიაო, აცხადებს გუსტავი. თემას რამდენიმე ელემენტი უნდა დაამატოს - „ძრწოლა და მეტი პოეზია“.

1861 წელს: „დიდხანს ვფიქრობდი რომანზე სიგიჟის შესახებ, ან უფრო იმაზე, როგორ გიჟდება ადამიანი“. დიუ კამპის სიტყვებით, ფლობერმა დაახლოებით ამ პერიოდში ან ოდნავ მოგვიანებით დაიწყო ფიქრი რომანზე თეატრის

შესახებ. იჭდა არტისტულ ფოიეში, იწერდა მომეტებულად გულახდილი მსახიობი ქალების ნაამბობს. „მხოლოდ ლე საჟი შეეხო სინამდვილეს „ჟილ ბლასში“. მე ვი მას მთელი სიშიშვლით წარმოვაჩენ, რადგან შეუძლებელია წარმოდგენა, თუ რა სასაცილოა სინამდვილე“.

ამას რომ ამბობდა, ფლობერს უნდა სცოდნოდა - ნებისმიერი დასრულებული რომანი, ალბათ, ხუთ-შვიდ წელიწადს წაიღებდა. ამდენად, მისი ნაკლებ მნიშვნელოვანი პროექტების უმეტესობა უცილობლად ქოთანშივე ითუხთუხებდა და

ამოშრებოდა. ცხოვრების ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ოთხი მთავარი იდეა უჩნდება, და კიდევ თავშესაქცევი მეხუთე - ერთგვარი roman trouvé.

ა. „ჰარელ-ბეი“, აღმოსავლური ამბავი. „უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო და ფული რომ მქონდეს, აღმოსავლეთში დავბრუნდებოდი - თანამედროვე აღმოსავლეთის, სუეცის ყელის აღმოსავლეთის შესასწავლად. ამ თემაზე მოზრდილი წიგნის დაწერა ჩემი ძველი ოცნებაა. ვისურვებდი, მეჩვენებინა ცივილიზებული ადამიანი, რომელიც ბარბაროსად იქცევა, და ბარბაროსი, რომელიც ცივილიზებულ ადამიანად იქცევა. ამგვარად წარმომედგინა კონტრასტი ორ სამყაროს შორის, რომლებიც საბოლოოდ ერთიანდებიან... მაგრამ დავაგვიანე“.

ბ. წიგნი თერმოპილეს ბრძოლის შესახებ, რომლის დაწერასაც გეგმავდა „ბუვარი და ჰეკიუშეს“ დასრულების მერე.

გ. რუანელი ოჯახის რამდენიმე თაობის ამსახველი რომანი.

დ. თუკი ჭიაყელას შუაზე გაჭრი, თავი ახალ კუდს გამოიბამს. კიდევ უფრო საკვირველია, რომ კუდიც ახალ თავს გამოიბამს. ასე დაემართა „გრძნობათა აღზრდას“ სავალალო დასასრულს: წარმოშვა მთელი რომანი, სახელად „ნაპოლეონ III-ის ეპოქაში“, რომელსაც მოგვიანებით „პარიზული სამეფო კარი“ დაერქვა. „მე დავწერ რომანს იმპერატორზე, - გადმოგვცემს დიუ კამპი ფლობერის სიტყვებს, - მოვყვები საღამოს მიღებებზე Compiègne-ში, თავისი ელჩებით, მარშლებით და სენატორებით, ორდენები რომ უჟღარუნებთ, როცა წელში მოხრილები იმპერიის პრინცს ხელზე ემთხვევიან. დიახ! ეს პერიოდი რამდენიმე საუცხოო წიგნს მოამარაგებდა მასალით“. ე. Roman trouvé იპოვა შარლ ლაპიერმა, La Nouvelliste de Rouen-ის რედაქტორმა. ერთ საღამოს, კრუასეში სადილობისას, ლაპიერმა ფლობერს მადმუაზელ დე პ...ს... სკანდალური ისტორია უამბო. ქალი ნორმანდიის დიდგვაროვან ოჯახში იყო დაბადებული, ურთიერთობა ჰქონდა სამეფო კართან და იმპერატრისა ეჟენის წიგნებს უკითხავდა. ამბობდნენ, მისი სილამაზე წმინდანსაც აურევდა გზა-კვალსო. უეჭველია, ქალსაც სწორედ საკუთარმა სილამაზემ აურიო გზა-კვალი: მისი დათხოვნის მიზეზი საიმპერატორო გვარდიის ოფიცერთან

დაუფარავი კავშირი გახდა. შემდგომში ქალი ერთ-ერთი პარიზული დემიონდის დედოფლად იქცა და 1860-იანი წლების ბოლომდე მართავდა loucher ვარიანტს სამეფო კარისა, საიდანაც გააძევეს. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ქალი თავის ამაღლასთან ერთად სადღაც გაუჩინარდა, მერე კი მისი ვარსკვლავი ჩაქრა. როგორც ამბობდნენ, გარყვნილების ფსკერზე დაეშვა. და მაინც, ბოლო რომ კეთილი გამოსულიყო (პროზაშიც და ქალისთვისაც), დაამტკიცა, რომ ძალა შესწევდა, ისევ დამდგარიყო ფეხზე: კავალერიის ოფიცრის საყვარელი გახდა. სიცოცხლის ბოლოს ადმირალის კანონიერი ცოლი იყო.

ფლობერი აღტაცებული დარჩა ამ ამბით: „იცით, ლაპიერ, რომანის თემა მომეცით, ის ქალი ჩემი ბოვარის ორეულია. ბოვარი მალალ საზოგადოებაში. რა მიძხიდველი სახეა!“ ამბავი მაშინვე ჩაინიშნა და ჩანაწერების გაკეთებასაც შეუდგა. მაგრამ რომანი არ დაწერილა. ჩანაწერები ვერავინ იპოვა.

ეს დაუწერელი წიგნები გვტანჯავს, არ გვასვენებს. თუმცა ისინი შეიძლება, გარკვეულწილად, გაცოცხლდნენ, შეივსონ და ხელახლა წარმოგვიდგნენ. შეიძლება, აკადემიებში შეისწავლონ. პირსი აუგებელი ხიდია, თუმცა თუ დიდხანს უყურეთ, შეიძლება, მოგეჩვენოთ, რომ ლა-მანშის მეორე ნაპირიდან შესცქერით. დაუწერელი წიგნის ყუებიც ასეა.

უცხოვრებელი ცხოვრებების საქმე როგორღაა? ეს ალბათ კიდევ უფრო მეტად გვტანჯავს. ესაა ნამდვილი აპოკრიფები. „ბუვარი და პეკიუმეს“ ნაცვლად „თერმოპილები“? კარგი, ეს წიგნი მაინცაა. მაგრამ თუკი გუსტავმა თვითონ იცვალა გეზი? ბოლოს და ბოლოს, ადვილია, არ იყო მწერალი. ადამიანების უმეტესობა მწერალი არ არის და არც არაფერი უშავდება. ერთხელ ფრენოლოგმა - კარიერის დამდგენელმა XIX საუკუნეში - ფლობერს უთხრა, თქვენთვის ზედგამოჭრილი ნადირების მომთვინიერებლობააო. არც ისე შორსაა სიმართლისგან. გაიხსენეთ ციტატა: „გიჟებსა და ცხოველებს ვიზიდავ“.

ეს არ არის მხოლოდ ცხოვრება, რომელიც ვიცით. ეს არ არის მხოლოდ ცხოვრება, რომელიც წარმატებით დაგვიმალებს. ეს არ

არის მხოლოდ ტყუილები ცხოვრების შესახებ, რომელთაგან ახლა ზოგიერთი უნდა დავიჭეროთ. ეს არის ცხოვრება, რომელიც არ უცხოვრია.

„მეფე უნდა ვიყო, თუ უბრალოდ - ღორი?“ - წერს გუსტავი „პირად ჩანანერებში“. ცხრამეტი წლისას ყველაფერი მარტივი გგონია. არის ცხოვრება და არის სიცოცხლე ცხოვრების გარეშე; ცხოვრება - პატივმოყვარეობის სამსახურში, ან ცხოვრება - ღორულად ჩაფლავებული. სხვები ცდილობენ, მომავალზე გელაპარაკონ, მაგრამ მათი ბოლომდე არასოდეს გჯერა. „ბევრი რამ მიწინასწარმეტყველეს, - წერს გუსტავი ამ პერიოდში, - 1) რომ ვისწავლი ცეკვას; 2) რომ ცოლს შევირთავ. ვნახოთ - მე არ მჯერა“.

არც ცოლი შეურთავს და არც ცეკვა უსწავლია. ცეკვის ისეთი მოწინააღმდეგე იყო, რომ მისი რომანების მამაკაცმა პერსონაჟებმაც მხარი

აუბეს - ისინიც უარს ამბობდნენ ცეკვაზე.

სანაცვლოდ რა ისწავლა? სანაცვლოდ ისწავლა, რომ ცხოვრება არ არის არჩევანი - მკვლელობით გაიკვლიო გზა ტახტისკენ თუ საღორეში ჩაეფლო; რომ არიან ღორივით მეფეები და მეფური ღორები; რომ შეიძლება, მეფეს ღორისა შურდეს; და რომ ცხოვრების გარეშე გატარებული სიცოცხლის შესაძლებლობა ყოველთვის მტანჯველად იცვლება და გასავლელი ცხოვრების უხერხულობებზე მორგება გინევს.

ჩვიდმეტი წლის ასაკში აცხადებს, რომ უნდა მთელი ცხოვრება ზღვის პირას, დანგრეულ ციხე-კოშკში გაატაროს.

თვრამეტი წლის ასაკში გადაწყვეტს, რომ რომელიღაც ჭირვეულმა ქარმა შეცდომით გადააგდო საფრანგეთში. ამბობს, რომ კოხინხინის იმპერატორადაა დაბადებული, 36-საუენიან ჩიბუხებს უნდა აბოლებდეს, 6000 ცოლი და 1400 ყმაწვილი უნდა ჰყავდეს. ის კი, მეტეოროლოგიური შემთხვევითობის გამო ადგილნაცვალი, უზარმაზარი, დაუოკებელი სურვილების, უსაშველო მოწყენილობისა და მთქნარების ამარაა დარჩენილი.

ცხრამეტი წლისა ფიქრობს, რომ სწავლის დასრულების შემდეგ თურქეთში წავა და გახდება თურქი, ან მეჯორე იქნება ესპანეთში, ან აქლემების მწყემსი ეგვიპტეში.

ოცი წლისას ისევ უნდა მეჯორეობა, თუმცა ახლა ესპანეთში ანდალუზიას სჯერდება. სხვა კარიერული შესაძლებლობებიც ესახება: ლაზარონე-ს ცხოვრება ნეაპოლში. თუმცა ბოლოს თანახმაა, იყოს ეკიპაჟის მეეტლე და ნიძსა და მარსელს შორის იაროს. მერე რა? დღესდღეობით ბურჟუებიც კი იოლად მოგზაურობენ, რაც სატანჯველად ექცა მას, ვისი „გულიც ბოსფორის ტყვეა“.

ოცდაოთხი წლისა - როცა მამაც და დაც სულ ახალი გარდაცვლილი ჰყავს - ფიქრობს, როგორ იცხოვრებს, როცა დედაც აღარ ეყოლება: ყველაფერს გაყიდის და იცხოვრებს რომში, სირაკუზში ან ნეაპოლში.

ისევ ოცდაოთხი წლისა ლუიზ კოლეს გაეცნობა, როგორც უსაზღვროდ ახირებული ახალგაზრდა, და არწმუნებს, რომ დიდხანს და ძალიან სერიოზულად ფიქრობდა სმირნაში წასვლასა და ბანდიტობაზე. „ერთ დღესაც წავალ, სადმე შორს ვიცხოვრებ, და ჩემს სახელს ველარავინ გაიგონებს“. შესაძლოა, ლუიზი ცოტათი გაახალისა კიდევ ოსმალური ავაზაკობის ამბავმა. ახლა უფრო ლოკალური მნიშვნელობის ფანტაზიები იბადება. აი, თავისუფალი რომ იყოს, მიატოვებდა კრუასეს და მასთან გადავიდოდა საცხოვრებლად პარიზში. წარმოიდგენს ერთად ცხოვრებას, მათ ცოლ-ქმრობას, სიამტკბილობას, ორმხრივ სიყვარულსა და ორმხრივ მეგობრობას. წარმოიდგენს, როგორ ეყოლებოდათ შვილი. წარმოიდგენს ლუიზის სიკვდილს და შემდეგ - საკუთარ სინაზეს უდედოდ დარჩენილ ბავშვზე ზრუნვისას (სამწუხაროდ, არ ვიცით ლუიზის პასუხი ამ აღმაფრენაზე). თუმცა ეს ეგზოტიკური გატაცება საოჯახო იდილით დიდხანს არ გრძელდება. ერთ თვეში ზმნის დრო იცვლება. „ბე მგონი, შენი ქმარი რომ ვყოფილიყავი, ერთად ბედნიერები ვიქნებოდით. ბედნიერები რომ ვიქნებოდით, მერე ერთმანეთი შეგვძულდებოდა. ეს ჩვეულებრივი ამბავია“. ლუიზისგან მადლიერებას ელიან - გუსტავის შორსმჭვრეტელობამ ასეთი უვარგისი ცხოვრება აარიდა.

სამაგიეროდ, ისევ ოცდაოთხი წლის გუსტავს რუკა გაუშლია და დიუ კამპთან ერთად გეგმავს აზიაში დიად მოგზაურობას, რომელიც ექვს წელიწადს გაგრძელდება და მათი უხეში გამოთვლით, სამი მილიონ ექვსასი ათას ფრანკზე ცოტა მეტი დაჯდება.

ოცდახუთი წლისას ბრამინობა უნდა: მისტიკური ცეკვა, გრძელი თმა, წმინდა ზეთით ალაპლაპებული სახე. ოფიციალურად უარყოფს სურვილს, იყოს მწყემსი, ავაზაკი ან თურქი. „ახლა ან ბრამინობა მინდა, ან არაფერი - ეს უფრო მარტივია“. ნურაფერიც ნუ იქნები, - აქებებს ცხოვრება. ღორობა უფრო მარტივია.

ოცდაცხრა წლისა, ჰუმბოლდტით შთაგონებული, მოინდომებს, ყველაფერს გაეცალოს და სამხრეთ ამერიკაში იცხოვროს, სავანებში, და მისი ამბავი აღარავინ გაიგოს.

ოცდაათი წლისა ფიქრობს - მთელი სიცოცხლე ფიქრობდა - თავის წინა ინკარნაციებზე, აპოკრიფულ ან მეტაფსიქიკურ ცხოვრებებზე უფრო საინტერესო ეპოქებში: ლუი XIV-ის, ნერონისა და პერიკლეს დროს. მისი ერთ-ერთი წინა ინკარნაცია ეჭვგარეშეა: ოდესღაც რომის იმპერიაში მოხეტიალე კომედიანტების დასის ხელმძღვანელი იყო - სანდომიანსახიანი თაღლითი; ქალებს სიცილიაში ყიდულობდა და მსახიობებად ჰყავდა. მყვირალა ნაზავი მასწავლებლისა, სუტენიორისა და მსახიობისა (იმდროინდელი ცხოვრება გუსტავს პლატონის კითხვამ გაახსენა: ამან მოჰგვარა le frisson historique). აქვე უნდა აღვნიშნოთ გუსტავის წინაპრები აპოკრიფებიდან: აჩემებული ჰქონდა, ძარღვებში წითელი ინდიელების სისხლი მიჩქეფსო. სულ მთლად ასე არ უნდა იყოს, თუმცა მისი ერთ-ერთი წინაპარი XVII საუკუნეში კანადაში გადასახლებულა და თახვებზე ნადირობა დაუწყია.

ჯერ კიდევ ოცდაათი წლისა თითქოს უფრო რეალურ ცხოვრებას გეგმავს, თუმცა იმგვარად, რომ ცხოვრების გარეშე გატარებული სიცოცხლისგან დიდად არ განსხვავდება. ბუიესთან ერთად თავს იქცევს - ვითომ ბერიკაცები, უკურნებელი სენით დაავადებულთა თავშესაფრის პაციენტები არიან, ქუჩებს ჰგვიან და ერთმანეთს ებუტბუტებიან იმ ბედნიერ

დროზე, როცა ოცდაათი წლისანი იყვნენ და ლა-როშ-გუიონში ფეხით დადიოდნენ. გამასხრებულ სიბერეს ვერც ერთმა ვერ მიაღწია: ბუიე ორმოცდარვა წლისა გარდაიცვალა, ფლობერი - ორმოცდათვრამეტისა.

ოცდათერთმეტი წლისა ლუიზს ეუბნება - ჰიპოთეზად აწვდის - ვაჟიშვილი რომ მყოლოდა, დიდი სიამოვნებით ვუშოვიდი ქალებსო.

იმავე წელიწადს გულგატეხილი ფლობერი ლუიზს მოკლედ

ეტყვის: ლიტერატურაზე ხელი უნდა ავიღო. წავა და მასთან იცხოვრებს - მასში იცხოვრებს, მის მკერდში თავჩარგული. ყელში ამომივიდა ტვინის მასტურბაცია ფრაზების ამოსაფრქვევადო. მაგრამ ეს ფანტაზია შიშისმომგვრელ ოინბაზობას ჰგავს; წარსულ დროშია ნათქვამი - ვითომ გუსტავმა სისუსტის ჟამს წარმოიდგინა, რომ ამას აკეთებდა. ყოველთვის ერჩია, საკუთარ ხელეებში ჩაერგო თავი, ვიდრე ლუიზის მკერდში.

ოცდათორმეტი წლისა ლუიზთან აღიარებს, როგორ ოცნებობდა საათობით: წარმოიდგენდა, რას იზამდა, წელიწადში მილიონი ფრანკი რომ ჰქონოდა. ასეთ ოცნებებში მსახურები ბრილიანტებით მოოჭვილ ფეხსაცმელებს გახდიდნენ; ყურს მიუგდებდა საკუთარ კარეტაში შებმული ცხენების ხალისიან ჭიხვინს; ამ დიდებული ცხენების შემყურე ინგლისელები შურით გასკდებოდნენ; ხამანწკების ბანკეტებს გამართავდა და სასადილო ოთახში გაკრულ შპალერზე აყვავებული ჟასმინის ბუჩქებიდან ბრჭყვიალა სკვინჩები გამოფრთხილდებოდნენ. მაგრამ ეს იაფი ოცნება იყო წელიწადში მილიონიანი შემოსავლისთვის. დიუ კამპი აღწერს გუსტავის ოცნებებს „პარიზულ ზამთარზე“ - ეს უნდა ყოფილიყო ექსტრავაგანტური შერწყმა რომის იმპერიის ფუფუნებისა, რენესანსის დახვეწილობისა და „ათას ერთი ღამის“ ფეერიისა. „ზამთარი“ სრულიად სერიოზულად ჰქონდა დაანგარიშებული და ხარჭი, „დიდი-დიდი“, თორმეტი მილიონი ფრანკი გამოდიოდა. დიუ კამპი დასძენს: „როცა ეს ოცნებები მოერეოდა, თითქმის შეუვალი ხდებოდა, გაბრუებულ ოპიუმის მწვეკელს ემსგავსებოდა. თითქოს თავი ღრუბლებში ჰქონდა და ოქროს

სიზმარში ცხოვრობდა. ეს ჩვევა ერთი-ერთი მიზეზი იყო, რომ სტაბილურად მუშაობა უჭირდა“.

ოცდათხუთმეტი წლისა ამჟღავნებს „სანუკვარ ოცნებას“: იყიდოს პატარა პალაზხო დიდი არხის ნაპირას. რამდენიმე თვის შემდეგ ფლობერის უძრავ ქონებას ოცნებებში ემატება ჩარდახი ბოსფორზე. კიდევ რამდენიმე თვეც და მზადაა, აღმოსავლეთში გაემგზავროს, იქ დარჩეს, იქ მოკვდეს. ბეირუთში მცხოვრებმა მხატვარმა კამილ როჟიემ სტუმრად მიიწვია. შეეძლო წასვლა. აი, ასე, უბრალოდ. შეეძლო, და არ წავიდა.

ოცდათხუთმეტი წლის ასაკში აპოკრიფული ცხოვრება, ცხოვრების გარეშე გატარებული სიცოცხლე ნელ-ნელა ქრება. მიზეზი ნათელია: ნამდვილი ცხოვრება დაიწყო. გუსტავი ოცდათხუთმეტისა იყო, როცა „მადამ ბოვარი“ წიგნად გამოვიდა. ფანტაზიები აღარ არის საჭირო, უფრო სწორად, ახლა განსხვავებული, კონკრეტული, პრაქტიკული ფანტაზიების მოთხოვნილება ჩნდება. მსოფლიოსთვის ის კრუასეს განდეგილის როლს ითამაშებს, პარიზელი მეგობრებისთვის - სალონების იდიოტისა, ჟორჟ სანდისთვის - ღირსი მამა კრუშარის, მოდური იეზუიტის როლს, რომელსაც მაღალი საზოგადოების ქალების აღსარებების მოსმენა ეხალისება. მეგობრების ვინრო წრისთვის წმინდა პოლიკარპეს როლს ითამაშებს - იმ პირქუში სმირნელი ეპისკოპოსისა, დროულად რომ აღესრულა წამებისას, ოთხმოცდათხუთმეტი წლის ასაკში. იგი წინასწარ გამოეხმინა ფლობერს - ყურები დაიცო და წამოიძახა: „ოჰ, ღმერთო! რა ეპოქაში მარგუნე დაბადება!“ მაგრამ ასეთი შემზარავი ალიბით ვეღარ ისარგებლებს, ამ პიროვნებებს ვეღარ ამოეფარება. ისინი სათამაშოები არიან, ცნობილი მწერლის ხელდასხმით შექმნილი ალტერნატიული ცხოვრებებით. სმირნაში აღარ გარბის საავაზაკოდ. ამის ნაცვლად, სმირნის წარმატებულ ეპისკოპოსს უხმობს და მის სახეს ირგებს. ფლობერი მხეცების მომთვინიერებელი კი არა, ველური ცხოვრების მომთვინიერებელი გამოდგა. აპოკრიფული სიმშვიდე დასრულებულია: ახლა შეიძლება, წერა დაიწყო.

10 - საწინააღმდეგო მოსაზრებები

რა გვანდომებს ყველაზე უარესის ცოდნას? იქნებ დაგვღალა საუკეთესოს ცოდნისკენ სწრაფვამ? ცნობისმოყვარეობა ყოველთვის თრგუნავს ანგარებას? თუ ყველაფერი უფრო მარტივადაა და უარესის ცოდნის სურვილი მხოლოდ სიყვარულის რჩეული უკუღმართობაა?

ხანდახან ეს ცნობისმოყვარეობა მავნე ფანტაზიებსაც იწვევს. ერთი პაციენტი მყავდა, ორმოცდახუთი წლის სოლიდური კაცი, რომელსაც წარმოსახვის ნასახიც არ ჰქონდა. ერთხელაც გამომიტყდა, ცოლთან სექსის დროს თურმე იმის წარმოდგენა მოსწონდა, ვითომ ქალი ნეტარებით იყო გაშხლართული მთასავით იდაღგოების, გამონკეპილი ინდოელი მეზღვაურების, აფუთფუთებული ჯუჯების ქვეშ. გამაოგნე! შემაძრწუნე! - მოითხოვს ფანტაზია. სხვებისთვის ძიება უფრო რეალურია. მე ვიცნობდი წყვილებს, რომლებიც ერთმანეთის უღირსი ქცევით ამაყობდნენ: ყოველი მათგანი მეორის სიბრიყვეზე, ამპარტავნებასა თუ უსუსურობაზე ლაპარაკობდა. სინამდვილეში რას ეძებდნენ? როგორც ჩანს, იმას, რასაც ვერ პოულობდნენ, რაზეც ხელი არ მიუწვდებოდათ. იქნებ საბოლოო დასტურს, რომ ადამიანთა მოდგმას ძვალ-რბილში აქვს გამჭდარი გარყვნილება, რომ ცხოვრება მხოლოდ იმბეცილის თავში გაჩენილი ჭყეტელა კოშმარია?

ელენი მიყვარდა და ყველაზე უარესის ცოდნაც მინდოდა. არასოდეს გამომიწვევია. ჩვეულებისამებრ, ვფრთხილობდი, თავს ვიცავდი, არაფერს ვეკითხებოდი, მაგრამ მინდოდა, ყველაზე უარესი მცოდნოდა. ელენი ასე არ მელოლიავებოდა. ვუყვარდი - ეს თავისთავად იგულისხმებოდა, ავტომატურად მეთანხმებოდა, თითქოს ამ საკითხის განხილვა არც ღირდა - მაგრამ უპირობოდ სჯეროდა იმ ყველაფრის, რაც კი ჩემში საუკეთესო იყო. ამით განვსხვავდებოდი. ის არ ეძებდა კარს

გულის საიდუმლო კუნჭულში შესაღწევად - კუნჭულში, სადაც ხსოვნა და მიცვალებულები ინახება. ხანდახან კარს კი მიაგნებ, მაგრამ არ იღება, ხანდახან გაიღება და თვალში არაფერი მოგხვდება, თაგვის ჩონჩხის გარდა. ბოლოს და ბოლოს, შეიხედე მაინც. სინამდვილეში ამით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან: საიდუმლოების ქონა-არქონით კი არა, ყველაფრის ცოდნის სურვილით და უსურვილობით. ჩემი აზრით, ეს ინტერესი სიყვარულის ნიშანია.

წიგნების შემთხვევაშიც ასეა. რასაკვირველია, ზუსტად ასე არა, მაგრამ დიდი განსხვავება არ არის. თუ მწერლის ნამუშევარი სიამოვნებას განიჭებს, თუ ხალისით გადადიხარ გვერდიდან გვერდზე (თუმცა თუ შეგანყვეტინებენ, არ ბრაზობ), ესე იგი, ძხად ხარ, დაუფიქრებლად მოიწონო ავტორი. გჯერა, რომ კარგი ბიჭია. მაგარი ტიპია. რაო? რას ამბობენ? პატარა სკაუტები - „მგლის ლეკვები“ მიახრჩო და მათი სხეულებით კობრისებრი თევზები გამოკვებო? ოჰ, არა, დარწმუნებული ვარ, ეს არ ჩაუდენია: მაგარი ტიპია, კარგი ბიჭია. მაგრამ თუ გიყვარს მწერალი, თუ დამოკიდებული გახდი მისი გონიერების წვეთოვანზე, თუკი გინდა, ფეხდაფეხ მისდით და მიაგნო - რამდენიც არ უნდა დაგიშალონ - მაშინ ბევრს ვერაფერს გაიგებ. მანკიერებასაც ეძებ. „მგლის ლეკვები“, არა? ოცდაშვიდი იყო თუ ოცდარვა? მერე მათი პატარა ყელსახვევების ნაკუნებით კილტი შეკერა? და მართალია, რომ ეშაფოტზე ასვლისას იონას წიგნიდან წარმოთქვამდა ციტატას? და რომ თავისი კობრების გუბურა ადგილობრივ ბოისკაუტებს უანდერძა?

სწორედ ესაა განსხვავება. საყვარელზე ან ცოლზე ცუდ ამბავს რომ იგებ - ღალატი იქნება ეს თუ გულგრილობა, სიგიჟე თუ თვითმკვლელობის მცდელობა - თითქოს შვებას გრძნობ. ცხოვრება ნამდვილად ისეთია, როგორც მეგონა; ახლა რა ვქნათ, მოვილხინოთ განზილებების აღსანიშნავად? საყვარელ მწერალზე ცუდი ამბის გაგებისას მისი დაცვის სურვილი გიჩნდება. წელანაც ამას ვგულისხმობდი: იქნებ მწერლის სიყვარული ყველაზე წმინდა, ყველაზე მტკიცე ფორმაა სიყვარულისა. და დაცვაც უფრო იოლია. საქმე ისაა, რომ კობრები გადაშენების პირას არიან და ყველამ იცის - თუკი მკაცრ ზამთარს წვიმიანი გაზაფხული მოჰყვა და წმინდა ურსინის დღემდე არ გამოიღარა - დაკეპილი „მგლის ლეკვების“

გარდა საკვები არ ექნებათ. რასაკვირველია, მწერალმა იცოდა, რომ ამ დანაშაულისთვის ჩამოახრჩობდნენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ადამიანს გადაშენება არ ემუქრება, და ივარაუდა, ქვეყანა არ დაიქცევა, ოცდაშვიდ (თუ ოცდარვა თქვით?) „მგლის ლეკვსა“ და ერთ საშუალო ავტორს (სასაცილოდ თავმდაბალი იყო თავისი ტალანტის შეფასებისას) თუ გავწირავ თევზის მთელი სახეობის გადასარჩენადო. შორსაც გაიხედეთ: რაში გვჭირდებოდა ამდენი „მგლის ლეკვი“? გაიზრდებოდნენ და ბოისკაუტები გახდებოდნენ. და თუკი მაინც ვერ ამოდიხართ სენტიმენტალობის ჭაობიდან, ამ ამბავს ასე შეხედეთ: კობრების გუბურის დამთვალეირებლებისთვის მიყიდული საშვებით იმდენი ფული მოგროვდა, რომ ბოისკაუტებმა იმ არემარეში რამდენიმე ეკლესია ააგეს და ინახავენ კიდევ.

განვაგრძოთ. წაიკითხეთ პოლიციის ოქმი. ამას ველოდი. ოღონდ არ დაგავიწყდეთ: გუსტავი საბრალდებო სკამზე ადრეც მჯდარა. ამჯერად რამდენი ბრალდებაა?

1 რომ კაცობრიობა სძულდა.

დიახ, დიახ, რასაკვირველია. სულ მაგას ამბობთ. ორგვარად გიპასუხებთ. პირველი - მოდი, ჯერ მთავარი ვთქვათ: დედამისი უყვარდა. ეს არ გითბობთ სულელ, სენტიმენტალურ, მეოცე საუკუნის გულს? მამამისი უყვარდა. და უყვარდა. დისშვილი უყვარდა. მეგობრები უყვარდა. აღტაცებული იყო ზოგიერთი პიროვნებით. მაგრამ მისი კეთილგანწყობა ყოველთვის განსაკუთრებული იყო - ყველა მოსურნეს როდი ურიგებდა. ჩემი აზრით, ეს

სრულიად საკმარისია. თქვენ მეტს მოითხოვთ? გინდათ, რომ „უყვარდეს კაცობრიობა“, ადამიანთა მოდგმა მწყემსოს? ეგ სულ ცარიელი ლაყობაა. კაცობრიობის სიყვარული ისეთი მნიშვნელოვანია და ისეთი უმნიშვნელო, როგორც წვიმის წვეთების სიყვარული, ან ირმის ნახტომის სიყვარული. თქვენ ამბობთ, რომ კაცობრიობა გიყვართ? იქნებ ამით თავს იწონებთ, რომ ცხოვრება გაიადვილოთ? იქნებ თავს ირწმუნებთ, რომ სწორ გზაზე დგახართ?

მეორე: თუნდაც კაცობრიობის სიძულვილი ჰქონოდა - თუმცა მე

ვიტყოდი, რომ მასზე მაღალი აზრისა ვერ იყო - ცდებოდა? თქვენ აშკარად საკმაოდ მაღალი აზრისა ხართ კაცობრიობაზე: თქვენთვის ესაა საირიგაციო სისტემები, მისიონერული მუშაობა და მიკროელექტრონიკა. როგორმე აპატიეთ, რომ ამ ყველაფერს სხვა თვალთ უყურებდა. როგორც ჩანს, ეს საკითხი ვრცლად უნდა განვიხილოთ. მაგრამ ნება მიბოძეთ, ჯერ მოკლედ მოგახსენოთ და XX საუკუნის ერთი თქვენი ბრძენის, ფროიდის სიტყვები შეგახსენოთ. ხომ მეთანხმებით, რომ ანგარებიანი კაცი არ არის? გნებავთ მისი დასკვნა ადამიანთა მოდგმაზე, სიკვდილამდე ათი წლით ადრე რომ გააკეთა? „გულის სიღრმეში უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ძვირფასი თანამოძმეები, მცირე გამონაკლისის გარდა, უვარგისები არიან“. ამას ამბობს კაცი, რომელიც ამ საუკუნეში, უმეტესობის რწმენით, ყველაზე ღრმად ჩასწვდა ადამიანის გულს. უცნაურია, არა?

მაგრამ მოიცა - დროა, დააკონკრეტოთ.

2 რომ სძულდა დემოკრატია.

La démocrasserie, როგორც უნოდა ტენისადმი მიწერილ წერილში. რომელი გირჩევნათ: democrappery თუ democrassness? ან იქნებ democrappiness? დიახ, მართალია, გულზე არ ეხატებოდა. თუმცა ამის გამო არ უნდა დაასკვნათ, რომ უპირატესობას ანიჭებდა ტირანიას ან აბსოლუტურ მონარქიას, ან ბურჟუაზიულ მონარქიას, ან ბიუროკრატიულ ტოტალიტარიზმს, ან ანარქიას, ან სხვა რამეს. მთავრობის ჩინური მოდელი ერჩია - მანდარინების მმართველობა; თუმცა უდავოდ აღიარებდა, რომ საფრანგეთში მისი დანერგვა არ გამოვიდოდა. მანდარინების მმართველობა თქვენ უკან გადადგმულ ნაბიჯად გეჩვენებათ? კი, მაგრამ ვოლტერს ხომ მიუტევეთ განათლებული მონარქიით აღტაცებას. მაშ, რატომ არ უნდა ვაპატიოთ ფლობერს, რომ ერთი საუკუნის შემდეგ აღტაცებას ჰგვრიდა განათლებული ოლიგარქია? ყოველ შემთხვევაში, რაღაც ლიტერატურულ, ბავშვურ ფანტაზიებს მაინც არ ელოლიავენოდა: სხვებზე უკეთ მწერლები შეძლებენ მსოფლიოს მართვასო.

მთავარი ისაა, რომ ფლობერს დემოკრატია სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ეტაპი ეგონა და ამბობდა, მხოლოდ

პატივმოყვარობა გვაფიქრებინებს, რომ ეს მმართველობის ყველაზე დახვეწილ, ყველაზე ღირსეულ ფორმას წარმოადგენსო. მას სჯეროდა - უფრო სწორად, ამის დანახვა არ გასჭირვებია - კაცობრიობის მარადიული ევოლუციისა და მისი სოციალური ფორმების განვითარებისა: „დემოკრატია ისევე არ არის კაცობრიობის ბოლო სიტყვა, როგორც არ იყო მონობა, ან ფეოდალიზმი, ან მონარქია“. მმართველობის საუკეთესო ფორმა არის ის, რომელიც კვდება, - ამბობდა ფლობერი, - რადგან ეს ნიშნავს, რომ იგი გზას უთმობს რაღაც სხვასო.

3 რომ არ სჯეროდა პროგრესისა.

მის დასაცავად XX საუკუნეს მოვიშველიებ.

4 რომ საკმარისად არ აინტერესებდა პოლიტიკა.

„საკმარისად“? ყოველ შემთხვევაში, აღიარებთ, რომ აინტერესებდა. ტაქტიანად მიანიშნებთ, რომ არ მოსწონდა, რასაც ხედავდა (მართალია), და თუკი მეტს ნახავდა, იქნებ თქვენსავით ეფიქრა (არ არის მართალი). მე გამოვყოფდი ორ მოსაზრებას - პირველს დახრილი შრიფტით ჩავსვამ, რაკი ეს თქვენი საყვარელი ფორმაა. ლიტერატურა შეიცავს პოლიტიკას და არა პირიქით. ეს არ არის მოდური თვალსაზრისი, არც მწერლებში და არც პოლიტიკოსებში, მაგრამ იმედია, მაპატიებთ. ის რომანისტები, ვინც საკუთარ ნაწერს პოლიტიკის იარაღად მიიჩნევენ, ჩემი აზრით, მწერლობას აკნინებენ და სულელურად განადიდებენ პოლიტიკას. არა, იმას კი არ ვამბობ, რომ მათ პოლიტიკური მოსაზრებები ან პოლიტიკური განცხადებები უნდა აეკრძალოთ. უბრალოდ, თავიანთი ნაწერების ამ ნაწილს ჟურნალისტიკა უნდა დაარქვან. მწერალი, რომელიც ფიქრობს, რომ რომანი პოლიტიკაში მონაწილეობის ყველაზე ეფექტური გზაა, ჩვეულებრივ, ცუდი მწერალი, ცუდი ჟურნალისტი და ცუდი პოლიტიკოსია.

დიუ კამპი ყურადღებით ეკიდებოდა პოლიტიკას, ფლობერი - სასხვათაშორისოდ. რომელი გირჩევნიათ? პირველი. და რომელი უფრო დიდი მწერალი იყო? მეორე. და რა იყო მათი პოლიტიკა? დიუ კამპი აპათიურ მელიორისტად იქცა, ფლობერი „გააფთრებული ლიბერალი“ დარჩა. გიკვირთ? ფლობერს

საკუთარი თავი აპათიურ მელიორისტად რომ დაეხასიათებინა, მაინც ამას დავასკვნდი: ანმყო უცნაურად პატივმოყვარეა - ჰგონია, წარსული მომეტმასნებაო. ანმყო ჩავლილი საუკუნის რომელიმე დიდი ფიგურისკენ იხედება და ფიქრობს: ნეტავ ეს კაცი ჩვენს მხარეს იყო თუ არა? კარგი ვინმე იყო? ეს ადასტურებს, რომ აწყობს თავდაჯერებულობა აკლია: თან უნდა, რომ წარსულს დაეპატრონოს, გადანყვიტოს, მისაღებია თუ არა იგი პოლიტიკურად, და თან მოითხოვს, რომ წარსული ეპირფერებოდეს, მხარზე ხელს უტყაპუნებდეს და ეუბნებოდეს, კარგად მუშაობ, ეგრე განაგრძეო. თუ ამას გულისხმობთ, როცა ამბობთ, მუსიე ფლობერს „საკმარისად არ აინტერესებდა“ პოლიტიკაო, მაშინ ვშიშობ, ჩემმა კლიენტმა თავი დამნაშავედ უნდა

სცნოს.

5 რომ კომუნის წინააღმდეგი იყო.

კაცმა რომ თქვას, ზემოთ ნათქვამით, ნაწილობრივ, ამ ბრალდებასაც ვუპასუხე. მაგრამ გასათვალისწინებელია ჩემი კლიენტის წინდახედულება და წარმოუდგენლად დამყოლი ხასიათი: ის სასტიკი წინააღმდეგი იყო ადამიანების მიერ ერთმანეთის ხოცვისა. თუ გნებავთ, ამას ზიზღიანობა დაარქვით, მაგრამ არ იწონებდა და მორჩა. უნდა ვაღიარო, რომ თავად არასდროს არავინ მოუკლავს; არც კი უცდია. პირობას დებს, რომ მომავალში გამოსწორდება.

6 რომ პატრიოტი არ იყო.

თუ ნებას დამრთავთ, ჩავიციინებ. ჰა-ჰა. ასე სჯობს. მე მეგონა, დღევანდელ დღეს პატრიოტიზმი ცუდი რამე იყო. მეგონა, ყველას სამშობლოს ღალატი გვერჩია მეგობრების ღალატს. ასე არ არის? რა, ისევ თავდაყირა დადგა ყველაფერი? აბა, რა გითხრათ? 1870 წლის 22 სექტემბერს, როცა პრუსიელების შეპოტევას ელოდნენ, ფლობერმა რევოლუციური იყიდა. კრუასეში სხვადასხვა ჯურის მოხალისეთა რაზმს წვრთნიდა. ღამღამობით რაზმი საპატრულოდ გაჰყავდა. ეუბნებოდა, გაქცევა თუ დავაპირე, მესროლეთო. მერე კი, იმ დროისათვის, ქალაქში პრუსიელები რომ შევიდნენ, აღმოჩნდა, რომ არც

არაფერი შეეძლო, მოხუცი დედის მოვლის გარდა. შეიძლებოდა, რომელიმე სამხედრო-სამედიცინო კომისიისთვის მიემართა, მაგრამ აღტაცებით ვინ მიეგებებოდა 48 წლის სიფილისიან ეპილეპტიკოსს? თან არავითარი სამხედრო გამოცდილება არ გააჩნდა, თუ უდაბნოში ნადირობისას შეძენილ ჩვევებს არ ჩავთვლით.

7 რომ უდაბნოში ნადირს ხოცავდა.

ოჰ, თუ ღმერთი გნამთ. ჩვენ ვითხოვთ noli contendere-ს. სხვათა შორის, პატრიოტიზმის საკითხი არ დამისრულებია. შეიძლება, მოკლედ მოგახსენოთ რომანისტი ბუნებაზე? რა არის ყველაზე იოლი, ყველაზე კომფორტული მწერლისთვის? რამე მიულოცოს საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს: აღტაცება გამოთქვას მისი კუნთებით, ტაში დაუკრას მის პროგრესს, ალერსიანად გამოაჯავროს მის სისულელეებს. „მე ისევე ვარ ჩინელი, როგორც ფრანგი“, - აცხადებდა ფლობერი. არა, მე მგონი, უფრო ჩინელია: პეკინში რომ დაბადებულიყო, უეჭველად იქაც გააწილებდა პატრიოტებს. უდიდესი პატრიოტიზმია, პირში უთხრა შენს ქვეყანას, როცა ის სამარცხვინოდ, სულელურად, უკეთურად იქცევა. მწერალი ყველასთან გულისხმიერი და ბუნებით მიუსაფარი უნდა იყოს: მხოლოდ მაშინ ხედავს მკაფიოდ. ფლობერი ყოველთვის მხარში უდგას უმცირესობებს: „ბედუინს, ერეტიკოსს, ფილოსოფოსს, მწირს, პოეტს“. 1867 წელს ორმოცდასამი ბოშა დაბანაკდა კურ-ლა-რენში, რამაც რუანელების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ფლობერს მათი იქ ყოფნა ახარებდა და ფულს აძლევდა ხოლმე. უეჭველია, გინდათ, თავზე ხელი გადაუსვათ ამის გამო. რომ სცოდნოდა, მომავალი თაობების მოწონებას დაიმსახურებდა, ალბათ ფულს თავისთვის დაიტოვებდა.

8 რომ ცხოვრებაში ჩართული არ იყო.

„თქვენ შეგიძლიათ, აღწეროთ ღვინო, სიყვარული, ქალები იმ პირობით, რომ არა ხართ ლოთი, საყვარელი, ქმარი ან მწკრივში ჩამდგარი რიგითი. როცა ცხოვრებაში მონაწილეობთ, მას ნათლად ვერ ხედავთ: ან მეტისმეტად გტანჯავთ ან მეტისმეტად გახარებთ“. ეს არ არის ბრალდებულის პასუხი, ეს

არის საჩივარი, რომ ბრალდება ცუდადაა ჩამოყალიბებული. რას გულისხმობთ ცხოვრებაში? პოლიტიკას? ეგ უკვე გავიარეთ. ემოციურ ცხოვრებას? თავისი ოჯახის, მეგობრებისა და საყვარლების წყალობით გუსტავს ეს ჯვარი ბევრჯერ უტარებია და ველარაფერი გააკვირვებდა. იქნებ ქორწინებას გულისხმობთ? უცნაური ბრალდებაა, თუმცა ეგეც ძველია. ცოლ-ქმრობაში უკეთესი რომანები იწერება, ვიდრე მარტოხელობაში? მრავალშვილიანი მწერლები უკეთესი მწერლები არიან, ვიდრე უშვილოები? სიამოვნებით ვნახავდი თქვენს სტატიისტიკას.

მწერლისთვის ის ცხოვრებაა საუკეთესო, რომელიც ნიჭის უკეთ გამოვლინებაში ეხმარება. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ უკეთ ვიცით, მისთვის რა სჯობს? ფლობერი ბევრ სხვა მწერალზე უფრო „ხართული“ იყო, თქვენს ტერმინს თუ ვიხმართ - ჰენრი ჯეიმსი მასთან შედარებით მონაზონი გეგონებათ. იქნებ ფლობერი სპილოს ძვლის კოშკში ცხოვრებას ცდილობდა...

გა. რომ სპილოს ძვლის კოშკში ცხოვრებას ცდილობდა.

მაგრამ ჩაფლავდა. „მუდამ ვცდილობდი, სპილოს ძვლის კოშკში მეცხოვრა, მაგრამ უწმინდურობის ტალღა ეხეთქება მის კედლებს, და ძირის გამოთხრით ემუქრება“.

სამ საკითხზე უნდა შევჩერდე. პირველი: მწერალი შეძლებისდაგვარად ირჩევს იმის ჩარჩოებს, რასაც თქვენ ცხოვრებაში ჩართვას ეძახით. რეპუტაციის მიუხედავად, ფლობერმა სანახევრო პოზიცია აირჩია. იცოდა, რომ „სუფრულ სიმღერებს ლოთი არა წერს“. თუმცა არც უსმელ კაცს გამოუვა. ფლობერმა ეს ყველაზე უკეთ გადმოსცა, როცა თქვა, რომ მწერალი ცხოვრებაში ფრთხილად უნდა შედიოდეს, როგორც ზღვაში - ოღონდ წელამ

დე.

მეორე: როცა მკითხველები საყვედურებს გამოთქვამენ რომელიმე მწერლის ცხოვრების გამო - ესა და ეს რატომ არ გააკეთა? რატომ არ გააპროტესტა, როცა გაზეთებმა ესა და ეს

გამოაქვეყნეს? რატომ არ იყო უფრო ჩართული ცხოვრებაში? სინამდვილეში ეს ერთ მარტივ, პატივმოყვარეობით სავსე კითხვას ხომ არ ნიშნავს: რატომ არ არის ჩვენნაირი? მაგრამ მწერალი რომ უფრო მეტად ჰგავდეს მკითხველს, მაშინ მწერალი კი არა, მკითხველი იქნებოდა. მორჩა და გათავდა.

მესამე: საიდან მოდის საყვედურების მოთხოვნილება, როცა საქმე წიგნებს ეხება? ალბათ

სინანული იმის გამო, რომ ფლობერი უფრო მეტად ჩართული არ იყო ცხოვრებაში, მხოლოდ ფილანტროპული სურვილი არ არის: ბებერ გუსტავს ცოლ-შვილი რომ ჰყოლოდა, ასეთი მოღუშული ხომ არ იქნებოდა იმ აურზაურში? აი, პოლიტიკაში რომ ემარჯვა, ან კარგ სამუშაოზე რომ მონყობილიყო, ან თავისი ძველი სკოლის ხელმძღვანელი რომ გამხდარიყო, ასეთი კარჩაკეტილი ხომ აღარ იქნებოდა? ალბათ მიგაჩნიათ, რომ წიგნებში ისეთი შეცდომებია, რომლებიც შეიძლება, მწერლის ცხოვრების შეცვლით გამოსწორებულიყო. თუ ასეა, ხმამაღლა უნდა განაცხადოთ. მე კი ვერაფრით ვიფიქრებ, რომ, მაგალითად, „მადამ ბოვარიში“ პროვინციული მანერები მაინცდამაინც კარგად არ არის აღწერილი და ეს გამოსწორდებოდა, ავტორს ყოველ საღამოს სიდრის ჭიქები რომ ეჭახუნებინა ვინმე ნიკრისის ქარიანი ნორმანდიელი bergère-ისთვის.

9 რომ პესიმისტი იყო.

აჰ, თანდათანობით ვხვდები, რას გულისხმობთ. გინდათ, რომ მისი წიგნები ცოტა უფრო მხიარული იყოს, ცოტა... როგორ გითხრათ, ცხოვრების გამხალისებელი? რა უცნური აზრისა ხართ ლიტერატურაზე. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ბუქარესტში მიიღეთ? არ ვიცოდი, რომ ავტორები პესიმისტობისგან უნდა დავიცვათ. ეს რაღაც ახალია. მაგაზე უარს ვამბობ. ფლობერმა თქვა: „ხელოვნებას კეთილი განზრახვით არ ქმნი“. ამასაც ამბობს: „პუბლიკას უნდა ნაწარმოებები, რომლებიც მის ოცნებებს ესაღბუნება“.

10 რომ არ ასწავლის დადებით თვისებებს.

ახლა კი გახსნილად თამაშობთ. მაშ ასე უნდა შევაფასოთ ჩვენი მწერლები - თავიანთი „დადებითი თვისებებით“? კეთილი, ალბათ ცოტა ხანს თქვენებურად უნდა ვითამაშო: სასამართლოში ასეა საჭირო. გაიხსენეთ ყველა ბინძური სასამართლო პროცესი „მადამ ბოვარიტ“ დაწყებული და „ლედი ჩატერლის საყვარელით“ დამთავრებული: იქ ყოველთვის არის თამაშის ელემენტი, იცავ - თმობ. შეიძლება, ვინმემ ამას ტაქტიკური თვალთმაქცობა უწოდოს (ეს წიგნი სექსუალურია? არა, მილორდ, ჩვენი მოსაზრებით, ნებისმიერ მკითხველს გულს აურევს და მიბადვის სურვილს დაუკარგავს. ეს წიგნი ადიულტერს აქეზებს? არა, მილორდ, გაიხსენეთ, ბოლოს რა საწყალობლად ისჯება ცოდვილი ქალი, რომელიც დროდადრო სიამოვნებას თავანწყვეტით ეძლევა. ეს წიგნი ქორწინებას უტევს? არა, მილორდ, ის საძაგელ და უიბედო ქორწინებას ასახავს, რათა ყველამ იცოდეს, რომ მხოლოდ ქრისტიანული სწავლების მიმდევრობით იქნება მათი ქორწინება ბედნიერი. ეს წიგნი ღვთისმგმობია? არა, მილორდ, რომანისტის აზრები უმნიშვნელოა). რასაკვირველია, ეს წარმატებული სიტყვა იყო სასამართლოზე, მაგრამ ხანდახან მწარედ ვნანობ, რომ ჭეშმარიტ ლიტერატურულ ნაწარმოებზე საუბრისას ადვოკატმა გამომწვევად არ უპასუხა ბრალდებას (ეს წიგნი სექსუალურია? მილორდ, სწორედ მაგის იმედი გვაქვს! ადიულტერს აქეზებს და ქორწინებას უტევს? მიზანში მოარტყით, მილორდ, ჩემი კლიენტი სწორედ მაგას ცდილობდა. ეს წიგნი ღვთისმგმობელია? თუ ღმერთი გნამთ, მილორდ, ეგ საქმე ისევე აშკარაა, როგორც თედოს სახვევი ჭვარცმულ ქრისტეზე. აბა, სხვა თვალთ შეხედეთ, მილორდ: ჩემი კლიენტი ფიქრობს, რომ უმეტესი ღირებულებები საზოგადოებისა, რომელშიც ის ცხოვრობს, ყარს, და იმედი აქვს, ამ წიგნით ხელს შეუწყობს გარყვნილებას, მასტურბაციას, ადიულტერს, მღვდლების ჩაქოლვას, და - რაკი მცირე ხნით ყურადღება მოგვაქციეთ, მილორდ - გარყვნილი მოსამართლეებისთვის ყურის აწევას. დაცვას სათქმელი აღარაფერი აქვს.).

მოკლედ: ფლობერი გასწავლის, სიმართლეს თვალი გაუსწორო და შედეგებმა თვალი არ მოგჭრას; გასწავლის, მონტენთან ერთად გეძინოს ეჭვის ბალიშზე; გასწავლის, ჩასწვდე რეალობის შემადგენელ ნაწილებს და შენიშნო, რომ ბუნება

ყოველთვის ჟანრების შერწყმა; გასწავლის ენის ზედმინევნიტ ზუსტად გამოყენებას; გასწავლის, არ გაეკარო წიგნს ზნეობრივი თუ სოციალური აბების საძიებლად - ლიტერატურა ფარმაცოპია არ არის. იგი გასწავლის სიმართლის, მშვენიერების, გრძნობისა და სტილის უპირატესობას. თუკი მის პირად ცხოვრებას იკვლევ, გასწავლის გამბედაობას, სტოიციზმს, მეგობრობას; გონიერების, სკეპტიციზმისა და მახვილგონიერების მნიშვნელობას; იაფფასიანი პატრიოტიზმის სისულელეს; სიკეთეს უნარისა, ჩაიკეტო საკუთარ ოთახში; ფარისევლობის სიძულვილს; დოქტრინის ბრმად მიმდევრის უნდობლობას; გამართულად ლაპარაკის აუცილებლობას. მოგწონთ მწერლების ამგვარი აღწერა (მე გულზე დიდად არ მეხატება)? საკმარისია? სულ ესაა, რისი თქმაც ამ წუთას შემიძლია: მე მგონი, ჩემი კლიენტი შევაცბუნე.
11 რომ სადისტი იყო.

სისულელეა. ჩემი კლიენტი გულჩვილი ვაცია. დამისახელეთ თუნდაც ერთი სადისტური ან უკეთური რამ, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩაუდენია. ყველაზე ცუდ რამეს გეტყვით, რაც მასზე ვიცი: წაასწრეს, რომ ერთ წვეულებაზე - ვაცმა არ იცის, რა მიზეზით - უხეშად მოექცა ერთ ქალს. როცა ჰკითხეს, ასე რატომ მოიქეციტო, უპასუხა: „იმიტომ, რომ შეიძლება, ჩემს კაბინეტში შემოსვლა მოუნდეს“. ესაა ყველაზე უარესი, რაც კი ჩემი კლიენტის შესახებ ვიცი - თუ არ ჩავთვლიტ შემთხვევას ეგვიპტეში, როცა სიფილისი ჰქონდა და კახპასტან დანოლა მოინდომა. ვაღიარებ, ვერ იყო წესიერი საქციელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გოგო ჩვეულებრივ უსაფრტხოების ზომებს იცავდა: მოსტხოვა, დაგატვალიერებო, და როცა ამან იუარა, გუდა-ნაბადი აუკრა.

რასაკვირველია, სადს კითხულობდა. რომელი განატლებული ფრანგი მწერალი

არ კითხულობს? გავარკვია, რომ ამჟამადაც პოპულარული ყოფილა პარიზელ ინტელექტუალებში. ჩემმა კლიენტმა ძმებ გონკურებს უტხრა, სადი გასართობი სისულელეაო. დიახ, რამდენიმე საშინელი ეპიზოდი დაიმახსოვრა. ახალისებდა საშინელებების მოყოლა. მის ადრეულ ნაწარმოებებშიც არის შემზარავი პასაჟები. მეუბნებით, რომ „სადისტური წარმოსახვა“

ჰქონდა? გაკვირვებული ვარ. აზუსტებთ: „სალამბო“
თავზარდამცემი ძალადობის სცენებს შეიცავს. გპასუხობთ:
თქვენ გგონიათ, ეგრე არ მომხდარა? თქვენ გგონიათ, უძველეს
მსოფლიოში მხოლოდ ვარდის ფურცლები, ბარბითის მუსიკა
და დათვის ქონით დაბეჭდილი, თავლით სავსე გაბერილი
კასრები იყო?

11ა. რომ მის წიგნებში ბევრი ცხოველი იხოცება.

ის უოლტ დისნეი არ არის, არა. გეთანხმებით, სისასტიკე
აინტერესებდა. ყველაფერი აინტერესებდა. სადიც და ნერონიც.
მაგრამ მოუსმინეთ, რას ამბობს მათზე: „ამ ურჩხულებმა
ისტორია ამიხსნეს“. უნდა დავძინო, რომ ამ დროს ჩვიდმეტი
წლისაა. ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი ციტატა შემოგთავაზოთ:
„მიყვარს დამარცხებულები, მაგრამ გამარჯვებულებიც
მიყვარს“. როგორც გითხარით, ესწრაფვის, იყოს ჩინელიც და
ფრანგიც. ლივორნოში მიწისძვრაა: ფლობერი არ მოთქვამს
თანაგრძნობის გამო. მიწისძვრისას დაღუპულ ადამიანებს
ისევე თანაუგრძნობს, როგორც საუკუნეების წინ დახოცილ
მონებს, რომელიღაც ტირანის ბრძანებით მბრუნავ სალეს
ქვებზე სიკვდილით რომ დასაჯეს. შეძრწუნებული ხართ? ამას
ჰქვია ისტორიული წარმოსახვა. ამას ჰქვია მოქალაქეობა, არა
მარტო მსოფლიოსი, არამედ ყველა დროისა. ფლობერისთვის
ეს ნიშნავს, იყო „უფლისმიერი ძმა ყოველი სულდგმულისა,
ჟირაფითა და ნიანგით დაწყებული და ადამიანით
დამთავრებული“. ამას ჰქვია, იყო მწერალი.

12 რომ ის იყო საბაგლად უხეში ქალებთან.

ქალებს უყვარდათ. ფლობერს მათ გვერდით ყოფნა ახარებდა,
ქალებს - მისი სიახლოვე. გალანტური იყო, მოარშიყე. მათ
ლოგინში უწვებოდა. უბრალოდ, ცოლად შერთვა არ უნდოდა. ეს
ცოდვანა? შესაძლოა, გუსტავის ზოგიერთი სექსუალური კავშირი
მისი დროისა და კლასისთვის პიკანტური ჩანდა, მაგრამ XIX
საუკუნეში ვინ აირიდებდა გამათრახებას? ყოველ შემთხვევაში,
სექსუალურ საქმეებში პატიოსნების მომხრე იყო: ალბათ
ამიტომ ერჩია გრიზეტებს კახპები. ამგვარმა პატიოსნებამ
ბევრი ისეთი თავშისაყვამი გაუჩინა, რასაც თაღლითობა
აარიდებდა - თუნდაც ლუიზ კოლესთან. როცა სიძარტლე

უთხრა, ისე გამოვიდა, რომ უგულოდ მოექცა. მაგრამ ის ქალიც წუპაკი იყო, არა? (ნება მიბოძეთ, თავადვე ვუპასუხო ჩემს კითხვას. მე მგონი, იყო - ასე ჩანს. თუმცა შეთანხმებულები ვართ, რომ მხოლოდ გუსტავისგან ვისმენთ ამ ამბავს. შეიძლება, ვინმემ ქალის ნაამბობზეც დაწეროს: დიახ, იქნებ ლუიზ კოლეს ვერსიაც აღგვედგინა? ამის გაკეთებაც შეეძლო. ჰო, ეგრე ვიზამ).

თუ შეიძლება, ვიტყვი, რომ თქვენი ბრალდებებიდან ბევრ რამეს შეიძლება გადავხედოთ და ხელახლა დავალაგოთ ერთი სათაურით: რომ გავეცანით, არ მოვწონებოდით. შეიძლებოდა, დანაშაულის აღიარებაზე დაგვთანხმებოდა, ოღონდ ერთი პირობით - ამ დროს ჩვენს სახეებს თუ დაინახავდა.

13 რომ სჯეროდა მშვენიერების.

მე მგონი, ყური დამიგუბდა. ალბათ გოგირდი დამიგროვდა. ერთი წუთი მაცალეთ, ცხვირზე ხელს მოვიჭერ და ყურებიდან დავაცემინებ.

14 რომ დაავადებული იყო სტილით.

ეგ სულ ლაყბობაა. დღემდე გგონიათ, რომ რომანი, გალების ქვეყანასავით, სამ ნაწილად იყოფა? იდეა, ფორმა და სტილი? თუ ასეა, ეტყობა, პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამთ პროზაში. გნებავთ სენტენციები წერისთვის? ძალიან კარგი. ფორმა ფიქრის სხეულზე მოხურული ლაბადა არ არის (ეს ძველი შედარებაა, ფლობერისდროინდელი); ფორმა თავადაა ფიქრის სხეული. ვერ წარმოიდგენთ იდეას ფორმის გარეშე, ან ფორმას იდეის გარეშე. ხელოვნებაში ყველაფერი შესრულებაზეა დამოკიდებული: შეიძლება ტილის ამბავი ისეთივე მშვენიერი იყოს, როგორც ალექსანდრეს ამბავი. უნდა წეროთ თქვენი გრძნობების თანახმად, უნდა დარწმუნდეთ, რომ ეგ გრძნობები ნამდვილია, და სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია. თუ სტრიქონი კარგია, ის არც ერთ სკოლას აღარ ეკუთვნის. პროზაული სტრიქონი ისეთივე უზადო უნდა იყოს, როგორც პოეტური სტრიქონი. თუ ისე მოხდა, რომ კარგად წერო, ვერ მოგედავებიან, იდეა არა გაქვთო.

ყველა ეს სენტენცია ფლობერისაა, ერთის გარდა. ის ბუიესია.

15 არ სჯეროდა, რომ ხელოვნებას სოციალური დანიშნულება ჰქონდა.

არა, არ სჯეროდა. ეს მოსაწყენია. „თქვენ უნუგეშობით ავსებთ ადამიანებს, - სწერდა ჟორჟ სანდი, - მე მათ ნუგეშს ვგვრი“. ამაზე ფლობერმა უპასუხა: „თვალეხს ვერ შევიცვლი“. ხელოვნების ნაწარმოები პირამიდაა, რომელიც სულ ტყუილად დგას უდაბნოში: ძირში ტურები აფსამენ, წვერისკენ ბურჟები მიფოფხავენ. განაგრძეთ ეს შედარება. გინდათ, რომ ხელოვნება მკურნალი იყოს? გამოიძახეთ AMBULANCE GEORGE SAND. გინდათ, რომ ხელოვნება სიმართლეს გეუბნებოდეთ? გამოიძახეთ AMBULANCE FLAUBERT: ოღონდ ნუ გაგიკვირდებათ, თუკი მოვა და ფეხზე გადაგივლით. მოუსმინეთ ოდენს: „პოეზია არაფერს ცვლის“. ნუ წარმოიდგენთ, თითქოს ხელოვნება იმისთვისაა, რომ სულიერად აგამაღლოთ, სიფაქიზე და თავდაჯერებულობა შეგძინოთ. ხელოვნება brassière არ არის - ყოველ შემთხვევაში, ინგლისური თვალთახედვით არა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ brassière ფრანგულად სამაშველო

ჟილეტიცაა.

ახლა ჩემი ამბავი მოისმინეთ. დაბეჯითებით მოვითხოვ. აბა, ხელი გამიყარეთ, აი, ასე, და უბრალოდ გავიაროთ. Quai-ზე გავისეირნოთ და ხიდზე გადავიდეთ - მაგ ხიდზე არა, მეორეზე. იქნებ სადმე კონიაკიც დავლიოთ, დაველოდოთ, სანამ გაზის ფარნები ბუუტვას დაიწყებს და მერე უკან გამოვუყვით. წავიდეთ, ჩემი ხომ არ გეშინიათ? მაშ, რატომ მიყურებთ ეგრე? სახიფათო ქალი გგონივართ? კარგი რა, ეგ მლიქვნელობაა - ვიღებ ქათინაურს. ან იქნებ... იქნებ ის გაშინებთ, რაც უნდა გითხრათ? აჰა... რას იზამთ, ახლა ძალიან დაგვიანებულია. ხელკავი უკვე გამომდეთ - ხელს ველარ მკრავთ. ბოლოს და ბოლოს, თქვენზე უფროსი ვარ. ჩემი დაცვა გევალებათ.

ჭორები არ მაინტერესებს. თუ გინდათ, თითები მკლავზე ჩამომიდურეთ. დიახ, მანდ. ახლა პულსი გამისინჯეთ. ამაღამ შურისძიების გუნებაზე არა ვარ. ზოგიერთი მეგობარი მეუბნება, ლუიზ, ცეცხლს ცეცხლით უნდა უპასუხო, სიცრუეს - სიცრუითო. მაგრამ არ მინდა. რასაკვირველია, თავის დროზე ტყუილიც მითქვამს. კიდევ - რა სიტყვაა, თქვენს სქესს რომ უყვარს? - ინტრიგებსაც ვხლართავდი, მაგრამ ქალი მაშინ ხლართავს, როცა სუსტია, შიშის გამო ცრუობს. კაცები ინტრიგებს ხლართავენ, როცა ძლიერები არიან - ამპარტავნების გამო ცრუობენ. არ მეთანხმებით? მხოლოდ გამოცდილება მაღაპარაკებს. თქვენი დაკვირვებით, შეიძლება, სხვაგვარად იყოს, არ გამოვრიცხავ. მაგრამ ხედავთ, რა მშვიდად ვარ? მშვიდად ვარ, რადგან ვგრძნობ, რომ ძლიერი ვარ. მერე? რაკი ძლიერი ვარ, იქნებ ინტრიგებს კაცივით ვხლართავ? კარგი, ნუ გავართულებთ.

ჩემს ცხოვრებაში გუსტავის შემოსვლა სულაც არ მჭირდებოდა. ფაქტები გაიხსენეთ. ოცდათხუთმეტი წლისა ვიყავი, ლამაზი, ცნობილი. ჯერ ექსი დავიპყარი, მერე - ჰარიზი. ორჯერ მივიღე აკადემიის ჭილდო პოეზიისთვის. შექსპირი მქონდა ნათარგმნი, ვიქტორ ჰიუგო დას მიძახდა, ბერანჟე - მუზას. რაც შეეხება პირად ცხოვრებას: ჩემი ქმარი თავის პროფესიაში

გამორჩეული კაცი იყო. ჩემი მფარველი თავისი ეპოქის ყველაზე ბრწყინვალე ფილოსოფოსი გახლდათ. ვიქტორ კუზენი არ წაგიკითხავთ? უნდა წაიკითხოთ. მომწესხველი გონების პატრონი. ერთადერთი კაცი, ვისაც წამდვილად ესმოდა პლატონი. თქვენი ფილოსოფოსის, მისტერ მილის მეგობარი. კიდევ ჩემს ცხოვრებაში იყო - ან მალე უნდა ყოფილიყო - მიუსე, ვინი, შამფლერი. თაყვანისმცემლებით არ ვტრიაბახობ, არ მჭირდება. მაგრამ ხომ გესმით ჩემი. მე სანთელი ვიყავი, ის - ფარვანა. სოკრატეს რჩეულმა მოწყალება გაიღო და უცნობ პოეტს ღიმილი უბოძა. მე ნადავლი გავხდი. გუსტავი ჩემი არ ყოფილა.

ერთმანეთს პრადიესთან შევხვდით. ჩემთვის ეს ამბავი ბანალური იყო, მისთვის - არა. მოქანდაკის სახელოსნო, თავისუფალი საუბარი, შიშველი მოდელი, დემიმონდისა და ცოტა უკეთესი საზოგადოების ნაზავი. ჩემთვის ნაცნობი გარემო იყო (რამდენიმე წლის წინ იქ გაშეშებულბურგიან მედიკოს-სტუდენტს ვეცეკვე, აშილ ფლობერი რომ ერქვა) და რასაკვირველია, დამთვალეირებლად არ მივსულვარ: პრადიეს მოდელად უნდა დავკდომოდი. გუსტავი კი... არ მინდა, მკვახედ ვილაპარაკო, მაგრამ როგორც კი თვალი შევაავლე, მაშინვე მივხვდი, რა ტიპი იქნებოდა: ტანმოსული, ულაზათო პროვინციელი, მონადინებული და გახარებული, რომ, როგორც იქნა, არტისტულ წრეებში აღმოჩნდა. ვიცი, როგორ ლაპარაკობენ პროვინციელები - ვითომ თავდაჯერებულად, სინამდვილეში კი შიშით: „პრადიესთან შეიარე, ბიჭო, მანდ მსახიობი ქალები ტრიალებენ. რომელიმეს საყვარლად გაიხდი, და მადლიერიც დაგრჩება“. ტულუზსა თუ პუატიეში, ბორდოსა თუ რუანში ბიჭი არ ამხელს, მაგრამ სული მისდის ხანგრძლივ მოგზაურობაზე დედაქალაქში, თავი კი სავსე აქვს სნობიზმითა და ავხორცობით. მაშინვე ყველაფერს მივხვდი, რადგან მეც პროვინციელი ვიყავი. ექსიდან თორმეტი წლის წინ გამოვემგზავრე. გრძელი გზა გამოვიარე. ჩამოსულს ერთი შეხედვით ვცნობდი.

გუსტავი ოცდაოთხი წლისა იყო. მე თუ მკითხავთ, ასაკი მთავარი არ არის. მთავარი სიყვარულია. საყვარლის ძებნა რომ დამეწყო - ვადიარებ, ჩემი ქმარი წარმატებებით ვერ გამოირჩეოდა და ფილოსოფოსთან მეგობრობაც იმუჟამად

გართულებული ბქონდა... ჰოდა, საყვარლის ძებნა რომ დამენყო, გუსტავს არ ავირჩევდი. მაგრამ მსუქანი ბანკირების ატანა არ შემეძლო. გარდა ამისა, შენ არ ირჩევ, ხომ ასეა? შენ გირჩევენ. ხმას გაძღვევენ სიყვარულის არჩევნებში საიდუმლო კენჭისყრით, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ასაკში სხვაობის გამო სირცხვილით არ ვნითლდები? რატომ უნდა ვნითლდებოდე? კაცები ისეთი კონფორმისტები ხართ სიყვარულში, ისეთი პროვინციული წარმოსახვა გაქვთ. ამიტომაც იძულებული ვხდებით, გეფეროთ, მხარში ამოგიდგეთ პატარა ტყუილებით. ასე რომ, მე ოცდათხუთმეტი წლისა ვიყავი, გუსტავი - ოცდაოთხისა. მორჩა და გათავდა. იქნებ ამ საკითხზე შეჩერება გნებავთ. მაშინ ვუპასუხებ თქვენს მდუმარე შეკითხვას. თუ გინდათ, რომ წყვილის მენტალური მდგომარეობა გამოიკვლიოთ ამგვარი ურთიერთობის დაწყებისას, მე ნუ მიყურებთ. გუსტავს დააკვირდით. რატომ? ორ თარიღს დაგისახელებთ. მე 1810 წელს დავიბადე, სექტემბრის 15-ში. გახსოვთ გუსტავის მადამ შლეზინგერი - ქალი, რომელმაც პირველი იარა დაუტოვა მის ნორჩ გულს; ქალი,

რომლის გვერდითაც ყველაფერი უიმედო და განწირული იყო; ქალი, რომლითაც მალულად ტრაბახობდა და რომლის გამოც გული გაიქვავა (და კიდევ ჩვენს სქესს აბრალებთ უაზრო რომანტიკულობას)? ჰოდა, შემთხვევით გავიგე, რომ ეს მადამ შლეზინგერიც 1810 წელს დაბადებულა, და ისიც სექტემბერში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩემი დაბადებიდან რვა დღის შემდეგ, 23-ში. ხედავთ?

მაგ მზერას კარგად ვიცი. როგორც ვხვდები, გნებავთ, გიამბოთ, როგორი საყვარელი იყო გუსტავი. ვიცი, კაცები ასეთ რამეებზე გატაცებით და ცოტა აგდებულად ლაპარაკობენ - თითქოს ჰყვებოდნენ, ბოლოს რა მიირთვეს, კერძებს კი ერთიმეორის მიყოლებით აღწერდნენ. ხაზგასმული გულგრილობით! ქალები ეგრე არ იქცევიან. უკიდურეს შემთხვევაში, თხრობისას რამეს თუ იწუნებენ, ეს ძალიან იშვიათადაა ფიზიკური ნაკლი. კაცებს კი გულს უამებთ ამაზე ლაპარაკი. ჩვენ იმას ვეძებთ, რაც პიროვნებაზე მიგვანიშნებს - კარგი იქნება თუ ცუდი. კაცები მხოლოდ იმას ეძებენ, რაც

ესაღბუნებათ. იცით, რა პატივმოყვარეები არიან ლოგინში? ქალებზე გაცილებით პატივმოყვარეები. არ ვიცი, შეიძლება, სხვაგან ქალებსა და მამაკაცებს შორის ნაკლები განსხვავება იყოს.

ცოტა უფრო თავისუფლად გიპასუხებთ, რადგან თქვენ ისა ხართ, ვინც ხართ; და რადგან გუსტავზე ვლაპარაკობ. ადამიანებისთვის ჭკუის სწავლება უყვარდა, ხშირად საუბრობდა ხელოვანის პატიოსნებაზე, ამბობდა, კაცმა ბურჟუასავით არაფრის დიდებით არ უნდა ილაპარაკოსო. ჰოდა, ფარდას თუ ოდნავ გადავწევ, მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს.

ჩემი გუსტავი მგზნებარე იყო. ღმერთია მონბე, ყოველთვის მიჭირდა შეხვედრაზე მისი დაყოლიება, მაგრამ თუ შევიყრებოდით... მართალია, ხშირად ძალიან ვჩხუბობდით, მაგრამ ღამით - არასოდეს. გაშმაგებით ვეხვეოდით ერთმანეთს. საოცარი გააფთრება და ალერსიანი ცელქობა ერთმანეთზე იყო გადაჭაჭვული. მდინარე მისისიპის წყლით სავსე ბოთლი მოჰქონდა, რომ ჩემთვის მკერდზე ეპკურებინა სიყვარულის ნიშნად. ჯან-ღონით სავსე, ახალგაზრდა კაცი იყო და ეს სიძლიერე აღფრთოვანებით მავსებდა. ერთხელ წერილი გამომიგზავნა და ხელი ასე მოაწერა: „შენი ველური ბიჭი ევერონიდან“.

რასაკვირველია, სხვა ახალგაზრდა, ღონიერი კაცებივით, ერთი ილუზია ჰქონდა - ეგონა, რომ ქალები ვნებას ღამის განმავლობაში განახლებული შეტევების რაოდენობით აფასებენ. კეთილი, ნაწილობრივ ასეა: მაგას ვინ უარყოფს? ეგ შთაბეჭდავია, არა? მაგრამ საბოლოოდ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გარკვეული დროის შემდეგ ამ თემამ სამხედრო ელფერი შეიძინა. ერთხელ გუსტავმა იმ ქალებზე ლაპარაკისას, ვისთანაც ერთობოდა, ვიღაც კახპა ახსენა Rue de la Cigogne-დან და დაიტრაბახა: „ხუთჯერ დავახალე ტყვიები“. ასეთი ლაპარაკი იცოდა. მე ეს ხეპრულ ლაყბობად მიმაჩნდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი - ხომ გესმით, ორივე ხელოვანები ვიყავით. თუმცა მეტაფორა არ გამომპარვია. ალბათ რაც უფრო მეტჯერ ესვრი, მით უფრო დარწმუნებული ხარ, რომ მოკალი. ესაა, რაც კაცებს უნდათ? თავიანთი ვაჟკაცობის დასტურად

გვაძი სჭირდებათ? ვეჭვობ, რომ ასეა და ქალებსაც არ ავიწყდებათ, გადამწყვეტ წუთში პირფერობით წამოიძახონ: „ოჰ, კვდები! კვდები!“ ან რამე ამდაგვარი. სასიყვარულო ორთაბრძოლის შემდეგ ხშირად ვგრძნობ, რომ აზროვნება უკიდურესად გამახვილებული მაქვს, საგნებს უფრო მკაფიოდ ვხედავ, ვგრძნობ, რომ ჰოეზია მოდის ჩემთან. მაგრამ ვიცი, არ ივარგებს, გმირთაგმირს ბუტბუტით ხელი შევუშალო. ამის მაგივრად ვმაიმუნობ - ვითომ კმაყოფილი მკვდარი ვარ.

ღამის სამფლობელოში ჩვენს შორის ჰარმონია სუფევდა. გუსტავი მორცხვი არ იყო. გემოვნებაც მრავალფეროვანი ჰქონდა. მე კი - თამამად გეტყვით - უეჭველად ყველაზე ლამაზი, ყველაზე ცნობილი, ყველაზე სასურველი ქალი ვიყავი, ვისთანაც კი ოდესმე წოლილა (თუკი მეტოქე მყავდა, ეს მხოლოდ უცნაური მხეცი იქნებოდა; ამაზე მოგვიანებით გეტყვით). ბუნებრივია, ხანდახან ნერვიულობდა ჩემი სილამაზის შემყურე. ხან კი - კაცმა არ იცის, რატომ - ნასიამოვნები იყო საკუთარი თავით. თუმცა ესეც გასაგებია. ვინ ჰყავდა ჩემამდე? რასაკვირველია, კახპები, გრიზეტები და მეგობრები. ერნესტი, ალფრედი, ლუი, მაქსი. სტუდენტების ბანდა - ჩემთვის სწორედ ასეთები იყვნენ. სოდომიით განმტკიცებული ძმობა. არა, ალბათ, ეგრე არ იყო. არც ვიცი, ზუსტად ვინ, ზუსტად როდის, ზუსტად რა... თუმცა ის კი ვიცი, რომ გუსტავი არასოდეს იღლებოდა la pipe-ს შესახებ ორაზროვანი გამოთქმებით. ისიც ვიცი, რომ არ იღლებოდა ჩემი ცქერით, როცა პირქვე ვინექი.

იცით რა, მე სხვანაირი ვიყავი. კახპებთან ყველაფერი მარტივად იყო. გრიზეტებისთვისაც შეიძლებოდა გადაგეხადა. კაცები სხვანაირები იყვნენ - მეგობრობას, როგორი გულითადიც არ უნდა იყოს, საზღვრები აქვს. მაგრამ სიყვარული? თავდავიწყება? და პარტნიორობა, თანასწორობა? ამის გარისკვას ვერ ბედავდა. მე მხოლოდ ქალი ვიყავი, რომელიც საკმარისად იზიდავდა; და შიშის გამო ჩემი დამცირება არჩია. მე თუ მკითხავთ, გუსტავი უნდა გვეცოდებოდეს.

ყვავილებს მიგზავნიდა ხოლმე. განსაკუთრებულ ყვავილებს. უჩვეულო საყვარლის ჩვეულება. ერთხელ ერთი ვარდი

გამომიგზავნა. კვირა დილით მოენყვიტა კრუასეში, თავისი ბაღის ღობეზე. „კვოცნი ამ ყვავილს, -

მომწერა მან, - სწრაფად მიიდე ტუჩებზე, და მერე - შენც იცი, სად... მშვიდობით! ათასი კოცნა. შენი ვარ საღამოდან დილამდე, დილიდან საღამომდე“. ვინ გაუძლებს ასეთ გრძნობებს? ვარდს ვაკოცე და იმ ღამით, საწოლში, იქ მოვათავსე, სადაც მითხრა. დილით, როცა გავიღვიძე, ვნახე, რომ ძილში მოძრაობისას ვარდი სურნელოვან ფურცლებად დაშლილიყო. ზენრებს კრუასეს სურნელი ასდიოდა - იმ ადგილისა, სადაც მალე ამეკრძალებოდა მისვლა, თუმცა ეს ჯერ არ ვიცოდი. ერთი ფურცელი ფეხის თითებს შორის მოქცეულიყო, მარჯვენა ბარდაყს კი შიგნიდან თხელი ნაკანრი დაჰყვებოდა. მგზნებარე და მოუქნელ გუსტავს ვარდის ღეროზე ეკლების მოშორება დავინწყებოდა.

შემდეგი ყვავილი ასეთი ბედნიერი არ ყოფილა. გუსტავი ბრეტანში გაემგზავრა. შევცდი, სკანდალი რომ მოვანყვე? სამი თვე! წელიწადიც არ იყო გასული, რაც ერთმანეთს ვიცნობდით, მთელმა პარიზმა იცოდა ჩვენი ვნების ამბავი, და იმან დიუ კამპის გვერდით სამი თვის გატარება არჩია! შეგვეძლო, ჟორჟ სანდი და შოპენი ვყოფილიყავით, ან კიდევ უფრო დიდებული წყვილი! გუსტავმა კი თავისი არ დაიშალა და გაქრა, რომ სამი თვე იმ თავის პატივმოყვარე ბიჭთან გაეტარებინა. შევცდი, სკანდალი რომ მოვანყვე? რაო, ეს ამკარა შეურაცხყოფა არ იყო? ჩემი დამცირების სურვილი არ იყო? ჰოდა, იცით, რა თქვა, როცა სახალხოდ მოვახსენე, რასაც ვფიქრობდი (მე არ მრცხვენია სიყვარულის - რატომ უნდა მრცხვენოდეს? თუ საჭირო გახდებოდა, რკინიგზის სადგურის მოსაცდელ ოთახშიც ვეტყოდი სათქმელს.)? თქვა, რომ დავამცირე - წარმოგიდგენიათ? ასე ბრძანა, შენზე ხელი ამიღიაო. Ultima - აი, ასე დავანერე უკანასკნელ წერილს, რომელიც გამგზავრებამდე გამომიგზავნა.

რასაკვირველია, ეს მისი ბოლო წერილი არ ყოფილა. დაიწყო თუ არა ბოდიალი იმ მოსაწყენ სოფელში - ვითომ ძალიან აინტერესებდა მიტოვებული châteaux და ჩამოფხავებული ეკლესიები (სამი თვე!) - მაშინვე მოვენატრე. წერილს წერილზე მიგზავნიდა. დაიწყო ბოდიშები, აღიარებები, ხვენწა-მუდარა,

მიპასუხეო. ყოველთვის ეგეთი იყო. კრუასეში ყოფნისას ცხელ ქვიშასა და მოციმციმე ნილოსზე ოცნებობდა. ნილოსზე იყო და ნოტიო ნისლები და მოციმციმე კრუასე ენატრებოდა.

სინამდვილეში მოგზაურობა კი არა, მოგზაურობის იდეა მოსწონდა. მოგზაურობის მოგონებები ატკბობდა და არა თავად მოგზაურობა. ერთში კი ვეთანხმები დიუ კამპს - ამბობდა, გუსტავისთვის მოგზაურობა დივანზე წოლას და თვალწინ ჩავლილი პეიზაჟების ცქერას ნიშნავსო. რაც შეეხება მათ სახელოვან მოგზაურობას აღმოსავლეთში, დიუ კამპი (დიახ, აუტანელი დიუ კამპი, გაუტანელი დიუ კამპი) აცხადებდა, გუსტავმა მოგზაურობის მეტი წილი აპათიურ მდგომარეობაში გაატარაო.

და მაინც, იმ გამოყრებულ და გადაკარგულ პროვინციაში თავის უვარგის თანამგზავრთან ერთად აღმა-დაღმა რომ დანანნალებდა, გუსტავმა კიდევ ერთი ყვავილი გამომიგზავნა. შატობრიანის საფლაავზე მოეწყვიტა. მწერდა წყნარ ზღვაზე სენ-მალოსთან, ვარდისფერ ცაზე, ტკბილ ჰაერზე. მშვენიერი პეიზაჟია, არა? რომანტიკული საფლაავი კლდოვან კონცხზე. იქ დიდი კაცი წევს, თავი ზღვისკენ აქვს, ყურს უგდებს ტალღების მიმოქცევის მარადიულობას. ახალგაზრდა მწერალი, სულში გენიოსის სიმები რომ უთრთის, მუხლს იყრის სამარესთან, თვალს ადევნებს, როგორ ნელ-ნელა იშრიტება საღამოს ცაზე ვარდისფერი, ფიქრობს - ისე, როგორც ჭაბუკებს სჩვევიათ - მარადისობაზე, ცხოვრების წარმავლობასა და ნუგეშის სიდიადეზე. შემდეგ წყვეტს ყვავილს, რომელსაც ფესვები შატობრიანის ნეშტში აქვს გადგმული და უგზავნის თავის მშვენიერ მიჯნურს პარიზში... განა შეიძლებოდა, გული არ ამჩუყებოდა ამგვარი ჟესტით? რასაკვირველია, არა. ისიც შევნიშნე, რომ თუკი საფლაავზე მოწყვეტილ ყვავილს უგზავნი ქალს, ვინც ცოტა ხნის წინ მიღებულ წერილს Ultima დაანერა, მას ექო მოჰყვება. და ისიც თვალში მომხვდა, რომ გუსტავის წერილი გამოგზავნილი იყო პონტორსონიდან, რომელიც ორმოცი კილომეტრითაა დაშორებული სენ-მალოს. იქნებ ეს ყვავილი გუსტავმა თავისთვის მოწყვიტა, მაგრამ ორმოცი კილომეტრი რომ გამოიარა, მობეზრდა? ან იქნებ... ამგვარი ვარაუდი მხოლოდ იმიტომ გამიჩნდა, რომ არც ჩემთვისაა უცხო გუსტავის გადამდები სულისკვეთება. იქნებ სადმე სხვაგან მოწყვიტა? იქნებ ამ ჟესტზე მოგვიანებით იფიქრა? ვინ

აირიდეებს l'esprit de l'escalier-ს, თუნდაც შეყვარებულობისას?

ჩემი ყვავილი - რომელიც ყველაზე უკეთ დამამახსოვრდა - სწორედ იქ იყო მოწყვეტილი, სადაც გითხარით: უინძორის პარკში. კრუასეში ჩემი ტრაგიკული ვიზიტის მერე, როცა დამამცირეს და არ მიმიღეს - სისასტიკის, ტკივილისა და საშინელების მერე. უეჭველია, სხვადასხვა ვერსია გექნებათ მოსმენილი. სიმართლე კი სულ მარტივია.

უნდა მენახა. უნდა გველაპარაკა. სიყვარულს ისე ვერ მოიშორებ, როგორც პარიკმახერს იშორებ. ჩემთან, პარიზში არ ჩამოდიოდა. ჰოდა, მე თვითონ წავედი. რუანის მატარებელში ჩავჯექი (ამჯერად მანტი უკან დამრჩა). ნიჩბებიანი ნავით დავუყუვი მდინარეს კრუასესკენ. სანამ ბებერი მენავე დინებას ებრძოდა, ჩემს გულში იმედი ებრძოდა შიშს. გამოჩნდა მომხიბვლელი, დაბალი, თეთრი, ინგლისური სტილის სახლი. მომეჩვენა, რომ მომცინარე სახლი იყო. ნაპირზე გადავედი. რკინის გისოსებიან ჭიშკარს მივანექი. იქით

ალარ შემიშვეს. გუსტავმა არ შემიშვა. ვიღაც მენახირე დედაბერმა გამომავდო. ის ვაჟბატონი არ გამოვიდა. მოწყალეობას მოიღებდა და სასტუმროში მნახავდა. ჩემმა ქარონმა ნიჩბები მოუსვა და უკან წამაბრძანა. გუსტავი ცალკე გამოემგზავრა გემით. მდინარეზე გაგვისწრო და ჩემზე ადრე ჩავიდა. ეს იყო ფარსი, ეს იყო ტრაგედია. სასტუმროში წავედით. მე ვლაპარაკობდი, მაგრამ მას არ ესმოდა. ვლაპარაკობდი შესაძლებელ ბედნიერებაზე. იმან მითხრა, ბედნიერების საიდუმლო ისაა, რომ ახლა უნდა იყო ბედნიერიო. ჩემი გულისტკივილი არ ესმოდა. თავშეკავებულად მომეხვია. ესეც დამამცირებელი იყო. მითხრა, ვიქტორ კუზენს გაჰყუვი ცოლადო.

ინგლისში გავიქეცი. საფრანგეთს წუთითაც ვეღარ ავიტანდი. ჩემმა მეგობრებმა დამიდასტურეს, სადმე წასვლა სჭობსო. ლონდონში გავემგზავრე. იქ გულთბილად მიმიღეს. გამორჩეულ ადამიანებთან წარმადგინეს. გავიცანი მაზინი, გავიცანი გრაფინია გვიჩიოლი. მართალია, გრაფინიასთან შეხვედრამ გამომაცოცხლა - მაშინვე დავმეგობრდით - მაგრამ თან დამაღარდიანა. ჟორჟ სანდი და შოპენი, გრაფინია

გვიჩიოლი და ბაირონი... ნეტავ ოდესმე იტყვიან: ლუიზ კოლე და ფლობერი? გამოგიტყდებით, ამაზე ფიქრში მრავალი სევდიანი დღე გამიტარებია, თუმცა ვცდილობდი, ამ საკითხს ფილოსოფიურად მივდგომოდი. რა გველოდა? რა მელოდა? ისევ და ისევ ვეკითხებოდი საკუთარ თავს - მართლა ცუდია სიყვარულში ამბიციურობა? მიპასუხეთ.

უინძორში წავედი. მახსოვს სუროთი დაფარული, მოხდენილი, მრგვალი კოშკი. დავეხეტებოდი პარკში და გუსტავისთვის ხვართქლას ვკრეფდი. უნდა გითხრათ, რომ მდაბიოსავით არაფერი გაეგებოდა ყვავილებისა. ბოტანიკური თვალსაზრისით კი არა - ამ მხრივ ალბათ ყველაფერი ისწავლა გარკვეულ პერიოდში, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამე (გარდა ქალის გულისა) - არამედ სიმბოლური მნიშვნელობით. ყვავილების ენა ძალიან ელეგანტური ენაა: მოქნილი, მოხდენილი, ზუსტი. ყვავილების მშვენიერება ეხმიანება იმ გრძნობის მშვენიერებას, რომლის გადმოსაცემადცაა განკუთვნილი ესა თუ ის ყვავილი... ესაა ბედნიერება, რომელიც ხანდახან ნაჩუქარი ლაღით მონიჭებულ ბედნიერებასაც ახუნებს. და ამ სიხარულს ამძაფრებს ის, რომ ყვავილი ჭკნება. მაგრამ როცა დაჭკნება, იქნებ იმან სხვა გამოგიგზავნოს...

გუსტავს ამეებისა არაფერი გაეგებოდა. იმ ყაიდის ვაცი იყო, ვინც დიდი ხნის გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით ისწავლის ერთი-ორ ფრაზას ყვავილების ენიდან: თაიგულის გულში მოთავსებული გლადიოლუსი ღეროზე ყვავილების რაოდენობით მიგანიშნებს, რომელ საათზეა დანიშნული პაემანი; პეტუნია გატყობინებს, რომ წერილი ხელში ჩაიგდეს. გუსტავი მხოლოდ ტლანქ და პრაქტიკულ მნიშვნელობას გაიგებდა. აიღეთ ვარდი (ფერს მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ყვავილების ენაზე ხუთი სხვადასხვა მნიშვნელობაა ხუთი სხვადასხვა ვარდისთვის), ჯერ ტუჩებზე მიიდეთ და მერე ბარძაყებს შორის მოითავსეთ. გუსტავს მხოლოდ ასეთი ველური არშიყობა ეხერხებოდა. დარწმუნებული ვარ, ვერ მიხვდებოდა ხვართქლას მნიშვნელობას; ან თუ ეცდებოდა, მაინც არასწორად გაიგებდა. ხვართქლათი სამი შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს. თეთრი ნიშნავს: რატომ გამირბიხარ? ვარდისფერი: გეხვევი. ცისფერი: უკეთეს დღეებს დაველოდები. ალბათ მიხვდებით, რომელი

ფერის ყვავილი შევარჩიე უინძორის პარკში.

საერთოდ, ესმოდა კი ქალების? ხშირად მეეჭვებოდა. მახსოვს, მისი ნილოსელი კახპის, ქუჩუკ ჰანემის გამო ვიჩხუბეთ. გუსტავი მოგზაურობის ჩანაწერებს ინახავდა. ვთხოვე, წამაკითხე-მეთქი. უარი მითხრა. კიდევ ვთხოვე. კიდევ. ბოლოს დამანება. ის გვერდები... სასიამოვნო საკითხავი ვერ არის. ის, რითაც აღმოსავლეთი გუსტავს აჯადოებდა, მე დამამცირებლად ჩავთვალე. კურტიზანი, ძვირადღირებული კურტიზანი, სანდალოზის ხის ზეთით იზინტლება, რომ მოფუთფუთე ბაღლინჯოების გულისამრევი სიმყრალე დამალოს. გეკითხებით, ესაა ამამალლებელი? ესაა მშვენიერი? ესაა საუცხოო? ესაა შესანიშნავი? თუ ბინძური, საზიზღარი და უბადრუკია?

მაგრამ მთავარი ესთეტიკის საკითხი არ არის - ეგ არა. როცა ავიძრიბე, გუსტავმა ეს ეჭვიანობაში ჩამომართვა (ცოტათი კი ვიეჭვიანე - ვინ არ იეჭვიანებდა, საყვარელი კაცის დღიური რომ წაეკითხა და ენახა, რომ მას ერთხელაც არ ახსენებს, სამაგიეროდ, ვნებიანი შეძახილებით იგონებს მკბენარებით სავსე კახპებს?). გასაგებია, ჩემზე იფიქრა, უბრალოდ, ეჭვიანობსო. მაგრამ მოუსმინეთ მის არგუმენტს, მოუსმინეთ, როგორ ესმის ქალის გული. ქუჩუკ ჰანემზე არ იეჭვიანო, - მითხრა მან, - აღმოსავლელი ქალია. აღმოსავლელი ქალი დაზგაა, მაგისტვის ყველა კაცი ერთია. ჩემ მიმართ არაფერს გრძნობდა; აღარც ვახსოვარ. მთვლემარე წრეში ცხოვრობს: მონევა და აბანოებში სიარული, ქუთუთოების შეღებვა და ყავის სმა. რაც შეეხება ფიზიკურ სიამოვნებას, ალბათ ვერც ვერაფერსა გრძნობს, რადგან ადრეულ ასაკში მოაჭრეს ის სახელოვანი კვირტი, ნეტარების მომნიჭებელი ადგილიო.

რა შვებაა! რა ნუგეშია! არ უნდა ვიეჭვიანო, რადგან ის ქალი არაფერს გრძნობდა! და ეს კაცი ამტკიცებს, ადამიანის გულს ვიცნობო! ის ქალი დასახიჩრებული მანქანა იყო, თან გუსტავი აღარც ახსოვდა; და ამან უნდა მანუგეშოს? ამ აგრესიული ნუგეშის გადამკიდე, ნაკლებს კი არა, მეტს ვფიქრობდი იმ უცნაურ ქალზე, რომელსაც ნილოსის პირას ეუფლებოდა. სრულიად სხვადასხვანაირები ვიყავით. მე დასავლელი ვიყავი, ის - აღმოსავლელი, მე საღ-სალამათი, ის - დასახიჩრებული. მე

გულს ვთავაზობდი გუსტავს,

ის მცირე ხნით ფიზიკურად უკავშირდებოდა. მე დამოუკიდებლობისა და ფანტაზიების ქალი ვიყავი, ის კი - გალიაში ჩასმული არსება, კაცებთან ვაჭრობაზე დამოკიდებული. მე მონესრიგებული ვიყავი - მოვლილი და კულტურული, ის - ბინძური, აქოთებული და ველური. შეიძლება, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ამ ქალმა დამაინტერესა. ამბობენ, მონეტას ყოველთვის თავისი უკანა მხარე ხიბლავსო. წლების შემდეგ, ეგვიპტეში მოგზაურობისას, მისი მოძებნა ვცადე. ეშნეჰში წავედი. ვიპოვე მისი უბადრუკი ქოხი, მაგრამ შინ არ დამხვდა. შეიძლება, გაიგო, რომ მივდიოდი და დაემალა. შეიძლება, სჯობდა კიდევ, რომ ვერ შევხვდით. მონეტა ვერასდროს დაინახავს თავის უკანა მხარეს.

გუსტავი, რასაკვირველია, თავიდანვე მამცირებდა. უფლება არ მქონდა, უშუალოდ მისთვის მიმენერა. წერილები დიუ კამპის მეშვეობით უნდა გამეგზავნა. კრუასეში სტუმრობის უფლება არ მქონდა. არც იმის უფლება მქონდა, რომ დედადამის შევხვედროდი, თუმცა, ფაქტიურად, ერთხელ იმ ქალთან წარმადგინეს კიდევ - ჰარიზში, რომელიღაც შესახვევში. შემთხვევით გავიგე: თურმე მაღამ ფლობერი ფიქრობდა, რომ მისი ვაჟი საბაგლად მექცეოდა.

სხვანაირადაც მამცირებდა. მატყუებდა. თავის მეგობრებთან მაძაგებდა. სამართლიანობის წმინდა სახელით მასხარად იგდებდა ბევრ ჩემს ნაწერს. თავი ისე ეჭირა, ვითომ არ იცოდა, რომ უსაშველოდ ღარიბი ვიყავი. ტრაბახობდა იმ ფაქტით, რომ ეგვიპტეში სიყვარულის ავადმყოფობა ვიღაც ხუთგროშიანი კურტიზანისგან გადაედო. უხამსად და საჯაროდ იძია ჩემზე შური „მაღამ ბოვარის“ ფურცლებზე - ის ბეჭედი გაამასხარავა, ერთ დროს რომ მივეცი სიყვარულის ნიშნად. და ეს კაცი აცხადებდა, ხელოვნება პიროვნული არ უნდა იყოსო!

ნება მიბოძეთ, გიამბოთ, როგორ მამცირებდა გუსტავი. როცა ჩვენი სიყვარული იწყებოდა, ერთმანეთს საჩუქრებს ვჩუქნიდით - პატარა სახსოვრებს, ხშირად უმნიშვნელო ნივთებს, რომლებიც თითქოს მათ მჩუქებელს ჰგავდა. თვეების, წლების განმავლობაში დაჰფოფინებდა ჩემს პატარა საშინაო

ქოშებს, თავის დროზე რომ დავუტოვებ; მერე ალბათ დანვა. ერთხელ პრეს-პაპიე გამომიგზავნა - სწორედ ის პრეს-პაპიე, საწერ მაგიდაზე რომ ედო. ძალიან ამიჩუყდა გული. მეჩვენებოდა, რომ ერთი მწერალი მეორეს ამაზე უკეთესს ვერაფერს აჩუქებდა: სადაც ადრე მისი პროზა იყო, ახლა ჩემი ლექსები იქნებოდა. შეიძლება, ამას ძალიან ხშირად აღვნიშნავდი. შეიძლება, მაღლიერებას ძალიან ხშირად გამოვხატავდი. და იცით, რას მეუბნებოდა გუსტავი? სულ არ მადარდებს ეგ პრეს-პაპიე რომ მოვიშორე, სხვადა მაქვს და თავის საქმეს ისიც აკეთებსო. მკითხა, არ გაინტერესებს, რა არისო? თუ გინდა, მითხარი-მეთქი. მომახსენა, რომ მისი ახალი პრეს-პაპიე უკანა ანძის ნაწილი იყო (ამ დროს ვეება ზომაზე მიმანიშნებელი ჟესტი გააკეთა), რომელიც მამამისმა სამშობიარო მაშით ამოაძრო ბებერ მეზღვაურს უკანალიდან. მერე ისე განაგრძო, თითქოს მრავალი წლის განმავლობაში ამაზე უკეთესი არაფერი მოუსმენიაო. მეზღვაურს უთქვამს, წარმოდგენა არა მაქვს, მანდ როგორ მოხვდა ანძის ნაწილიო. ეს რომ თქვა, თავი უკან გადააგდო და ახარხარდა. ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, როგორ გაიგეს, რომელ ანძას ჩამოსტყდა ნაფოტი.

რატომ მამცირებდა ასე? იქნებ ის თვისებები, თავდაპირველად რომ ხიბლავდა - ჩემი ხალისიანობა, ჩემი თავისუფლება, კაცებთან თანასწორობის განცდა - ბოლოს უკვე აღიზიანებდა? შეყვარებულებს ხშირად ემართებათ ასე. არა, დარწმუნებული ვარ, ეგ არაფერ შუაშია. თავიდანვე ასე უცნაურად, დათვურად იქცეოდა, მაშინაც კი, როცა ყველაზე მეტად იყო შეყვარებული. მეორე წერილში მწერდა: „ბავშვის ეტლის დანახვისას საფლავი მაგონდება. შიშველი ქალის დანახვისას მისი ჩონჩხი მიდგას თვალწინ“. ეს ჩვეულებრივი საყვარლის გრძნობები არ იყო.

შთამომავლობა ალბათ მარტივად უპასუხებს კითხვებს: იმიტომ მიზზეუბდა ცხვირს, რომ ვიმსახურებდი; და რაკი გენიოსი იყო, ყველაფერს სწორად აფასებდა. ასე არ არის და არც არასდროს ყოფილა. ჩემი ეშინოდა: ამიტომაც არ მინდობდა. ჩემი ეშინოდა - ჩვეულებრივად და უჩვეულოდ. პირველ შემთხვევაში, ეშინოდა ისე, როგორც ბევრ კაცს ეშინია ქალების: მათი შეყვარებულები (ან ცოლები) ხომ მოხარშულს იცნობენ. ზოგიერთ კაცს

ზრდასრულობა უჭირს: უნდათ, რომ ქალებმა გაუგონ და ყველა საიდუმლოს უმჟღავნებენ; მერე კი, როცა გაუგებენ, სწორედ ამისთვის სძულთ ქალები.

მეორე შემთხვევაში - ეს უფრო მნიშვნელოვანია! - ჩემი ეშინოდა, რადგან საკუთარი თავის ეშინოდა. ეშინოდა, თავდავიწყებით არ შევყვარებოდი. ეს არ იყო უბრალო ძრწოლა - ჩემს კაბინეტში შემოიჭრება და მარტობას დაძირღვევსო. ეს იყო ძრწოლა იმის გამო, რომ შეიძლებოდა, მის გულში შევჭრილიყავი. სასტიკი იყო, რადგან ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. ჩემი თავიდან მოშორება კი იმიტომ უნდოდა, რომ ეშინოდა, თავდავიწყებით არ შევყვარებოდი. იმასაც გეტყვით, რომ გულის სიღრმეში მჭეროდა: გუსტავისთვის, რომელიც ამას წესიერად ვერც კი ხვდებოდა, მე სიცოცხლის განსახიერება ვიყავი. ამიტომ ჩემზე უარის თქმა კიდევ უფრო აცოფებდა, რადგან ამისა ძალიან რცხვენოდა. მაგრამ მე რა დავაშავე? მიყვარდა. განა ბუნებრივი არ იყო, რომ

მსურდა, მისთვისაც მიმეცა საპასუხო სიყვარულის შესაძლებლობა? მხოლოდ ჩემთვის კი არა, მისთვისაც ვიბრძოდი. არ მესმოდა, რატომ არ უნდა მიეცა საკუთარი თავისთვის სიყვარულის უფლება. ამბობდა, რომ ბედნიერებისთვის სამი წინაპირობა იყო საჭირო: სიბრიყვე, ეგოისტობა და ჭანძრთელობა, და რომ მხოლოდ მეორე თვისებაზე დადებდა თავს. ვედავებოდი, ვეჩხუბებოდი, მაგრამ იმის დაჯერება უნდოდა, რომ ბედნიერება შეუძლებელი იყო. ეს რაღაც უცნაურად ანუგეშებდა.

ამ კაცის სიყვარული ძნელი იყო, რაც მართალია, მართალია. თავშეკავებული გახლდათ, გულჩათხრობილი. ამის რცხვენოდა, ამის გამო დაძაბული იყო. ერთხელ მითხრა, ნამდვილი სიყვარული უძლებს განშორებას, სიკვდილს, ღალატს; ნამდვილ შეყვარებულებს შეუძლიათ, ათი წელიწადი გაატარონ შეხვედრის გარეშეო (ჩემზე ასეთი შენიშვნები შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა; უბრალოდ, ვასკვნიდი, რომ თავს უფრო თავისუფლად იგრძნობდა, თუ შორს ვიქნებოდი, ვულალატებდი ან მოკვდებოდი). მოსწონდა თავის მოტყუება, რომ შეყვარებული იყო; მე კი არასოდეს მინახავს ასეთი ჭირვეული სიყვარული. „ცხოვრება ცხენით სიარულს ჰგავს, - მომწერა

ერთხელ, - ადრე ჭენება მიყვარდა, ახლა სეირნობა მიყვარს“. ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო, ეს რომ დაწერა. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ნაადრევად დაბერება. მე კი... ჭენება მიყვარს! ჭენება! ქარით აფრიალებული თმა, თავშეუკავებელი, გულიანი სიცილი!

მის პატივმოყვარეობას ესაღბუნებოდა ფიქრი, რომ ჩემზე იყო შეყვარებული. მჯერა, რომ ფარულ სიამოვნებასაც ანიჭებდა ჩემი სხეულის მარადიული სურვილი და ამაზე უარის თქმა. საკუთარი თავისთვის რაღაცის აკრძალვა ისევე აღელვებდა, როგორც სურვილების დაკმაყოფილება. მეუბნებოდა, ქალების უმეტესობასთან შედარებით ქალურობა გაკლიაო; ხორციით ქალი ხარ, სულით - კაციო; nouveau ჰერმაფროდიტი ხარ, მესამე სქესის არსებო. ეს სულელური თეორია ბევრჯერ გამიძიებია, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ თავის თავს უმეორებდა: რაც უფრო მეტად ჩამიხშობდა ქალურობას, მით უფრო ნაკლებად დასჭირდებოდა, რომ ჩემი საყვარელი ყოფილიყო.

ბოლოს დავრწმუნდი, რომ ჩემგან ყველაზე მეტად ინტელექტუალური პარტნიორობა უნდოდა - ორი გონების რომანი. იმ წლებში თავაუღებლად მუშაობდა „ბოვარიზე“ (თუმცა შეიძლება, არც ისე თავაუღებლად, როგორც აცხადებდა) და დღის ბოლოსთვის, რაკი ფიზიკური განტვირთვა არ გამოსდიოდა, რადგან ამაზე ხელი არ მიუწვდებოდა, ინტელექტუალურად ისვენებდა. მიუჭდებოდა მაგიდას, აიღებდა ფურცელს და ჩემთან საუბრისას იცლებოდა. ვერ არის სასიამოვნო სურათი, არა? არც მინდოდა, რომ ყოფილიყო. გუსტავთან დაკავშირებულ ამბებზე თვალის დახუჭვის დრომ ჩაიარა. სხვათა შორის, მისისიპის წყალი არასოდეს უპკურებია ჩემთვის მკერდზე. ბოთლი ერთადერთხელ გამოჩნდა ჩვენს ურთიერთობაში - ტაბურელის წყალი გავუგზავნე თმის ცვენის შესაჩერებლად.

რომ იცოდეთ, ეს გონებრივი რომანი ჩვენი გულების რომანზე ადვილი არ ყოფილა. გუსტავი ხან უხეში, მოუქნელი, შარიანი და ამპარტავანი იყო, ხან - ალერსიანი, სენტიმენტალური, ხალისიანი და ერთგული. წესები არ იცოდა. უარს ამბობდა ჩემი იდეების ჯეროვნად აღიარებაზე, ისევე, როგორც - ჩემი გრძნობების ჯეროვნად აღიარებაზე. აბა რა, ისედაც

ყველაფერი იცოდა. მომახსენა, რომ გონებრივად თვითონ სამოცი წლისა იყო, მე კი - ოცის. მომახსენა, რომ თუ მუდამ წყალს დავლევდი და ღვინოს არასოდეს გავეკარებოდი, კუჭის კიბო დამემართებოდა. მომახსენა, რომ ვიქტორ კუზენს უნდა გავყოლოდი ცოლად (სხვათა შორის, ვიქტორ კუზენის აზრით, გუსტავ ფლობერს უნდა გავყოლოდი ცოლად).

თავის ნაწერებს მიგზავნიდა. „ნოემბერი“ გამომიგზავნა. სუსტი და უფერული იყო. კრინტი არ დამიძრავს, ჩემი აზრი ჩემთვის შევიწინახე. „გრძნობათა აღზრდა“ გამომიგზავნა. დიდი აღტაცება არ გამოუნვევია, მაგრამ როგორ შემეძლო, არ შემექო? დამტუქსა, რატომ მოგწონსო. „წმინდა ანტუანის ცდუნება“ გამომიგზავნა. გულწრფელად გამოვხატე აღტაცება. ისევ დამტუქსა. მარწმუნებდა, ის ნაწილები, შენ რომ მოგეწონა, ყველაზე იოლად დასაწერი იყო. რაღაცების შეცვლა შევთავაზე - ძალიან ფრთხილად. განაცხადა, ეგ წიგნს გააფუჭებსო. „გაოგნებული“ იყო იმ „გადაჭარბებული აღტაცებით“, ჩემში „გრძნობათა აღზრდამ“ რომ გამოიწვია! აი, როგორ უხდის მადლობას შექებისთვის უცნობი პროვინციელი, არსად არაფერი რომ არ გამოუქვეყნებია, პარიზელ პოეტს (რომელზეც, მისივე თქმით, შეყვარებულია). ჩემი კომენტარები მის ნაწარმოებებზე მხოლოდ იმით იყო ფასეული, რომ საბაბს აძლევდა, ჩემთვის ლექცია წაეკითხა ხელოვნებაზე.

რასაკვირველია, ვიცოდი, რომ გენიოსი იყო. ყოველთვის შესანიშნავ პროზაიკოსად მიმაჩნდა. თავად კი აკნინებდა ჩემს ტალანტს, მაგრამ ეს არ არის მიზეზი, რომ მეც დავაკნინო. ის აუტანელი დიუ კამპი კი არა ვარ, ამაყად რომ იჩემებდა გუსტავთან მრავალწლიან მეგობრობას და ყოველთვის უარყოფდა მის გენიოსობას. ნამყოფი ვარ იმ სადილებზე, სადაც ჩვენი თანამედროვეების ღირსებებს განიხილავდნენ და დიუ კამპს ყოველი ახალი სახელის ხსენებისას უსაზღვრო თავაზიანობით შეჰქონდა შესწორებები საზოგადო თვალსაზრისში. „კარგი, ჰო, დიუ კამპ, - მიმართა ვიღაცამ, ცოტა არ იყოს, გაგულისებით, - ჩვენს ძვირფას გუსტავზე რას იტყვით?“ დიუ კამპმა მოწყალედ გაიღიმა და ყოვლისმცოდნე ხეპრესავით პატარა თითისწვერები ერთმანეთზე დააკაკუნა. „ფლობერი იშვიათი

ღირსების მწერალია, - განაცხადა მან; მე კი გუსტავის გვართ მოხსენიებამ გამაოგნა, - მაგრამ ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს გენიოსობაში“. იფიქრებდით, მეძუარებისთვის ვარჯიშობსო.

რაც შეეხება ჩემს ნაწერებს! ბუნებრივია, გუსტავს ვუგზავნიდი ხოლმე. მეუბნებოდა, დუნე, სუსტი და ბანალური სტილი გაქვსო. ჩიოდა, რომ ჩემს ბუნდოვან და პრეტენზიულ სათაურებს პედანტი ქალის სუნი ასდიოდა. სკოლის მასწავლებელივით მიხსნიდა, რა განსხვავებაა saisir-სა და s'en saisir-ს შორის. ქება იყო, თუ მეტყოდა, ისე ბუნებრივად წერ, როგორც ქათამი დებს კვერცხებსო; ან კრიტიკით მიწასთან რომ გაასწორებდა ნაწარმოებს და დასძენდა: „ყველაფერი, რაც არ მომინიშნავს, ჩემი აზრით, კარგია ან შესანიშნავი“. მეუბნებოდა, თმა მხოლოდ დიდხანს ვარცხნის მერე იწყებს პრიალს და იგივე შეიძლება ითქვას სტილზეო. მეუბნებოდა, არ ჩავძირულიყავი ნამუშევარში და რაღაცები არ გამეპოეტურებინა (არადა, პოეტი ვარ!). მეუბნებოდა, ხელოვნების სიყვარული გაქვს, მაგრამ ხელოვნების რელიგია - არაო.

რასაკვირველია, უნდოდა, იმდენი მეწერა, რამდენსაც თვითონ წერდა - შეძლებისდაგვარად. ამგვარი პატივმოყვარეობა ხშირად შემინიშნავს მწერლებში. რაც უფრო ცნობილია მწერალი, მით უფრო გამძაფრებული აქვს პატივმოყვარეობა. ფიქრობენ, რომ ყველამ მათსავით უნდა წეროს: ისე კარგად არა, რასაკვირველია, მაგრამ იმავე ყაიდაზე. ამგვარადვე სჭირდებათ მთებს ახლომახლო გორაკები.

დიუ კამპი ამბობდა ხოლმე, გუსტავის გულში პოეზიის სიყვარულის მისხალიც არ არისო. მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, მაგრამ უნდა დავეთანხმო. გუსტავი ყველას ლექციებს გვიკითხავდა პოეზიაზე - ჩვეულებრივ, ეს ბუიეს ლექციები უფრო იყო - მაგრამ პოეზიისა არაფერი გაეგებოდა. თვითონ ლექსებს არ წერდა. ამბობდა, მინდა, პროზას პოეზიის სიძლიერე და სიმაღლე მივანიჭოო, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს პროექტი, პირველ რიგში, პოეზიის შეკვეცას და დაკნინებას გულისხმობდა. უნდოდა, მისი პროზა ყოფილიყო ობიექტური, მეცნიერული, პიროვნულობას მოკლებული, თვალსაზრისებს მოკლებული. ჰოდა, გადაწყვიტა, რომ პოეზიაც ამ პრინციპების

თანახმად უნდა შექმნილიყო. აბა, მითხარით, როგორ დაწერთ სასიყვარულო ლექსს, რომელიც იქნება ობიექტური, მეცნიერული და პიროვნულობას მოკლებული. აბა, მითხარით! გუსტავი გრძნობებს ეჭვის თვალით უყურებდა, სიყვარულისა ეშინოდა, და თავისი ნევროზი არტისტულ კრედომდე აამაღლა.

გუსტავის პატივმოყვარეობა მხოლოდ ლიტერატურული არ ყოფილა. მას მარტო ის კი არ სჭეროდა, რომ ყველას მასავით უნდა ეწერა, არამედ ისიც, რომ ყველას მასავით უნდა ეცხოვრა. უყვარდა ჩემთან ეპიქტეტუსის ციტირება: თავი შეიკავე, დამალე შენი ცხოვრება! ამას მე მეუბნებოდა! მე! ქალს, პოეტს, სიყვარულის პოეტს! უნდოდა, ყველა მწერალს შეუმჩნევლად ეცხოვრა პროვინციაში, არად ჩაეგდო ბუნებრივი გულისწადილი, ცხვირი აეზუებინა რეპუტაციისთვის, მარტოობის დამქანცველი საათები სანთლის მბუტავ შუქზე ბუნდოვანი ტექსტების კითხვაში გაეტარებინა. არ ვიცი, შეიძლება, ეს იყოს სწორი გზა გენიოსის გამოსაზრდელად; მაგრამ ეს ტალანტის მოგუდვის გზაც არის. გუსტავს ეს არ ესმოდა. ვერ ხედავდა, რომ ჩემი ტალანტი დამოკიდებული იყო წამიერ გაელვებაზე, უეცარ გრძნობაზე, მოულოდნელ შეხვედრაზე, მე ვიტყოდი - ცხოვრებაზე.

გუსტავს რომ შესძლებოდა, განდეგილად გადამაქცევდა - პარიზელ განდეგილად. ყოველთვის მირჩევდა, ხალხს მოვრიდებოდი, მავანისა და მავანის წერილებზე არ მეპასუხა, სერიოზულად არ მოვკიდებოდი ამა თუ იმ თაყვანისმცემელს, გრაფი X საყვარლად არ ჩამეთვალა. ამტკიცებდა, რომ ჩემს საქმეს იცავდა, რომ საზოგადოებაში გატარებული ყოველი საათი ჩემს სამუშაოს აკლდებოდა. მაგრამ მე ეგრე არ ვმუშაობდი. ჭრიჭინას უღელს ვერ დაადგამ და წისქვილის ქვებს ვერ აჰკიდებ.

რასაკვირველია, გუსტავი თავის პატივმოყვარეობას უარობდა. დიუ კამპი ერთ წიგნში - დამავინწყდა, რომელში; ქვეყნის წიგნები ჰქონდა, - განიხილავს, თუ როგორ ვნებს ადამიანს მეტისმეტი მარტოობა. ამბობს, მარტოობა ცრუ მრჩეველია, რომელიც მკერდში იკრავს და უნანავებს პატარა ტყუპებს: ეგოიზმსა და პატივმოყვარეობასო. გუსტავმა, ბუნებრივია, ეს

პირად შეტევად მიიღო. „ეგოიზმი? - მომწერა მან, - კარგი, ეგრე იყოს. მაგრამ პატივმოყვარეობა? არაფრის დიდებით. სულ სხვაა სიამაყე: გამოქვაბულის ბინადარი ნადირია, უდაბნოში რომ დაეხეტება. პატივმოყვარეობა კი თუთიყუშია, რომელიც ტოტიდან ტოტზე დახტის და საქვეყნოდ ჭყიპინებს“. გუსტავს თავი ნადირად მიაჩნდა - წარმოედგინა, რომ პოლარული დათვი იყო, თავშეკავებული, მოუხელთებელი და მარტოსული. მეც არ ვენინააღმდეგებოდი და ამერიკული პრერიის ველურ ბიზონს ვეძახდი. მაგრამ იქნებ სინამდვილეში მხოლოდ თუთიყუში იყო.

ფიქრობთ, რომ მეტისმეტად ხისტი ვარ? მიყვარდა. ამიტომაც მაქვს უხეშობის უფლება. იცით რა, გუსტავი ცხვირს უბზუებდა დიუ კამპს Legion d'honneur-ის სურვილისთვის, რამდენიმე წლის მერე კი თვითონ მიიღო. გუსტავი ცხვირს უბზუებდა მაღალ საზოგადოებას, სანამ პრინცესა მათილდავალთას გადააფარებდა. გსმენიათ რამე გუსტავის ხელთათმანების ანგარიშებზე იმ დღეებში, როცა სანთლებით გაბრდღვიალებულ დარბაზებში დაკუნტრუშებდა? მკერავისა ორი ათასი ფრანკი ემართა, აქედან ხუთასი ფრანკი ხელთათმანების ვალი ჰქონდა. ხუთასი ფრანკი! „ბოვარიში“ მხოლოდ რვაასი ფრანკი მიიღო. დედამისს მიწის გაყიდვა მოუხდა მისი ვალების გასასტუმრებლად. ხუთასი ფრანკი

ხელთათმანებში! თეთრი დათვი თეთრ ხელთათმანებში? არა, არა: თუთიყუში, თუთიყუში ხელთათმანებში.

ვიცი, ჩემზე რასაც ამბობენ. ვიცი, რას ლაპარაკობენ მისი მეგობრები. ამბობენ, ისეთი პატივმოყვარე იყო, რომ ეგონა, ცოლად შეირთავდაო. მაგრამ გუსტავი წერილებს მწერდა და აღწერდა, როგორ ვიცხოვრებდით, თუკი ვიქორწინებდით. ჰოდა, ვცდებოდი, იმედი რომ მქონდა? ამბობენ, თავხედობა იყო, კრუასეში ჩასულიყო და უხერხული სცენა მოეწყო მისი კარის ზღურბლთანო. მაგრამ როცა გუსტავი გავიცანი, ხშირად მწერდა ჩემს მომავალ ვიზიტებზე მის სახლში. ჰოდა, ვცდებოდი, იმედი რომ მქონდა? ამბობენ, ისეთი პატივმოყვარე იყო, რომ ეგონა, შეიძლებოდა, მას და გუსტავს ლიტერატურული ნაწარმოები ერთად დაენერათო. მაგრამ გუსტავი მეუბნებოდა, რომ ჩემი ერთ-ერთი მოთხრობა შედეგრი

იყო და ჩემი ერთ-ერთი ლექსი ქვას დაძრავდა. ჰოდა, ვცდებოდი, იმედი რომ მქონდა?

ისიც ვიცი, რას იტყვიან ჩვენზე, როცა აღარ ვიქნებით. შთამომავლობა ნაჩქარევ დასკვნებს გამოიტანს: ესაა მისი ბუნება. ადამიანები გუსტავის მხარეს დაიჭერენ. ჩემს გულისთქმას სწრაფად ჩასწვდებიან, მერე ჩემს კეთილშობილებას ჩემსავე საწინააღმდეგოდ შემოაბრუნებენ და ცხვირს ამიბზუებენ იმ საყვარლების გამო, ვისაც ვირჩევდი. გამომიყვანენ ქალად, ვინც კინაღამ უტიფრად ჩაერია იმ წიგნების შექმნაში, რომლებსაც ასეთი სიამოვნებით კითხულობენ. ვილაცა - შეიძლება, თვით გუსტავიც კი - ჩემს წერილებს დაწვავს, მისი წერილები კი (რომლებიც სათუთად მაქვს შენახული ჩემსავე საზიანოდ) გადარჩება იმათი ცრურწმენების დასტურად, ვისაც რამის გაგება დაეზარა. მე ქალი ვარ. და კიდევ მწერალი, რომელმაც თავისი წილი დიდება სიცოცხლეშივე გახარჯა. სწორედ ამ ორი გარემოების გამო არ ველი შთამომავლობისგან არც დიდ თანაგრძნობას, არც დიდ გულისხმიერებას. გული თუ მწყდება? ბუნებრივია, მწყდება. მაგრამ ამაღამ შურისძიების გუნებაზე არა ვარ. დამთბობი ვარ, როგორც დაგპირდით. აბა, ერთხელაც ჩამომიცურეთ თითები მაჯაზე. აჰა, ხომ გეუბნებოდით.

12 - ბრავიტუეიტის მიღ იდებების ლექსიკონი

აღმოსავლეთი

ჭურჭელი, რომლითაც „მადამ ბოვარი“ ცეცხლზე გამოაწრთეს. ფლობერი ევროპიდან რომანტიკოსი წავიდა და აღმოსავლეთიდან რეალისტი დაბრუნდა (იხ. ქუჩუკ ჰანემი).

აშილი

გუსტავის უფროსი ძმა. მწუხარე სახის, გრძელწვერა მამაკაცი. საექიმო საქმე და სახელი მამისგან მემკვიდრეობით ერგო. ოჯახის იმედის გამართლება აშილმა იტვირთა. ამან გუსტავს თავისუფლება მისცა და მწერლობა შეაძლებინა. გარდაიცვალა ტვინის დარბილებისგან.

აშშ

ფლობერი იშვიათად ახსენებს თავისუფლების მიწას. მის მომავალზე წერს: „უტილიტარული იქნება, მილიტარისტული, ამერიკული და კათოლიკური - ძალიან კათოლიკური“. ალბათ ვატიკანს კაპიტოლიუმი ერჩია.

ბუიე, ლუი

გუსტავის ლიტერატურული სინდისი, ბეზიაქალი, ჩრდილი, მარცხენა სათესლე ჭირკვალი და ორეული. მეორე სახელი - ჰიაცინტი. დიდი ადამიანისთვის აუცილებელი, წარუმატებელი Doppelgänger. მცირედი უკმაყოფილებით გავიხსენოთ მისი თავაზიანი შენიშვნა მორცხვი ქალიშვილისადმი: „როცა მკერდი ბრტყელია, გული უფრო ახლოსაა“.

გონკურები

გაიხსენეთ გონკურების ნათქვამი ფლობერზე: „უსაზღვროდ ალალი ბუნებისაა, მაგრამ ბოლომდე გულახდილად არასდროს ამბობს, რას გრძნობს, რა სტანჯავს, ან რა უყვარს“. მერე სხვა რამეებიც გაიხსენეთ გონკურებზე: შურიანი, გაუტანელი ძმები. გაიხსენეთ ასევე დიუ კამპის, ლუიზ კოლეს, ფლობერის დისშვილის, თავად ფლობერის გაუტანლობა. ახლა კი მრისხანედ იკითხეთ: ვიცნობთ კი ვინმეს?

დიუ კამპი, მაქსიმ

ფოტოგრაფი, მოგზაური, კარიერისტი, პარიზის ისტორიკოსი, აკადემიკოსი. წერდა ფოლადის კალმებით, გუსტავი კი სანერად ბატის ფრთას ხმარობდა. ასწორებდა „მადამ ბოვარის“ Revue de Paris-ისთვის. თუკი ბუიე გუსტავის alter ego-ა, დიუ კამპი არის მისი სოციალური მე. ლიტერატურულ წრეებში განკიცხულად იქცა მას მერე, რაც თავის მემუარებში გუსტავის ეპილეფსია ახსენა.

დონ კიხოტი

გუსტავი ბებერი რომანტიკოსი იყო? გიჟდებოდა უხამს, მატერიალისტურ საზოგადოებაში ბედის ანაბარა მიტოვებულ მეოცნებე, მოხეტიალე რაინდზე. „Madame Bovary, c'est moi“ არის მინიშნება სერვანტესის პასუხზე, როცა ამ უკანასკნელს სასიკვდილო სარეცელზე ჰკითხეს, ვინ შთაგაგონათ თქვენი სახელოვანი გმირიო (იხ. ტრანსვესტიზმი).

ეპილეფსია

სტრატეგიული ხრიკი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მწერალ ფლობერს, გვერდი აეკლო ტრადიციული კარიერისთვის; ადამიან ფლობერს - თავი აერიდებინა ცხოვრებისთვის. საკითხავი მხოლოდ ის არის, რა ფსიქოლოგიურ დონემდე იყო განვითარებული ეს ტაქტიკა. იყო თუ არა მისი სიმპტომები ფსიქოსომატური ფენომენი?

მეტისმეტად ბანალური იქნებოდა, უბრალოდ, ეპილეფსია რომ ჰქონოდა.

ვოლტერი

რას ფიქრობდა XIX საუკუნის დიდი სკეპტიკოსი XVIII საუკუნის დიდ სკეპტიკოსზე? იყო თუ არა ფლობერი თავისი ეპოქის ვოლტერი? იყო თუ არა ვოლტერი თავისი ეპოქის ფლობერი? „Histoire de l'esprit humain, histoire de la sottise humaine“. ეს რომელმა თქვა?

ზოლა, ემილ

დიდი მწერალი ჰასუხს აგებს თავის მიმდევრებზე? ვინ ვის ირჩევს? შეგიძლია თუ არა, რომ ამრეზით შეხედო იმათ ნაწარმოებებს, ვინც ოსტატს გიძახის? მეორე მხრივ, ნუთუ გულწრფელად გაქებენ? ვინ ვის უფრო სჭირდება: ოსტატი შეგირდს თუ შეგირდი ოსტატს? განიხილეთ დასკვნის გარეშე.

ივეტო

„ნახე ივეტო და მოკვდი“. ამ ნაკლებად ცნობილი ეპიგრამის წყარო თუ გკითხეს, იდუმალი ღიმილით უპასუხე. ხმა არ ამოიღო.

ირონია

თანამედროვე ჩვევა: ან ეშმაკის დამლა, ან სულის მოთქმა ჭანსადი ფსიქიკისთვის. ფლობერის პროზა სვამს კითხვას: განა ირონია ხელს უშლის თანაგრძნობას? მის ლექსიკონში არ არის სტატია ირონიაზე. შესაძლოა, სწორედ ესაა ირონიაზე მიმანიშნებელი.

კახპეზი

XIX საუკუნეში ვისაც სიფილისი არ ჰქონდა, გენიოსობაზე თავს

ვერ დადებდა. გამბედაობის ამ წითელ მედალს ატარებდნენ ფლობერი, დოდე, მოპასანი, ჟიულ დე გონკური, ბოდლერი და ა.შ. დარჩა კი ისეთი მწერალი, ვინც ეს დაავადება აიცილა? თუ ვინმე დარჩა, ალბათ ჰომოსექსუალი იყო.

კოლე, ლუიზ

ა) მოსაწყენი, აბეზარი, თავქარიანი ქალი. არც თვითონ ჰქონდა ტალანტი და ვერც სხვის გენიალურობას ხედავდა. ცდილობდა, ქორწინების ხაფანგში შეეტყუებინა გუსტავი. წარმოიდგინეთ აჭყივლებული ბავშვები! წარმოიდგინეთ უბედური გუსტავი! წარმოიდგინეთ ბედნიერი გუსტავი!

ბ) გამბედავი, ვნებიანი, სრულიად დაუფასებელი ქალი. ჯვარს ეცვა უგულო, გაუსაძლისი, პროვინციელი ფლობერის სიყვარულით. მართალი იყო, როცა ჩიოდა: „გუსტავი არასოდეს არაფერზე მწერს, გარდა ხელოვნებისა და საკუთარი თავისა“. პროტოფემინისტი, რომელმაც ერთადერთი ცოდვა ჩაიდინა - სხვისი გაბედნიერება მოინდომა.

მადამ ფლობერი

გუსტავის ზედამხედველი, მესაიდუმლე, ძიძა, პაციენტი, ბანკირი და კრიტიკოსი. ერთხელ უთხრა: „ჩასციებიხარ მაგ წინადადებებს! მაგან გამოგჭამა გული“. ფლობერის აზრით, „დიდებული“ შენიშვნა იყო (იხ. ჟორჟ სანდი).

ნორმანდია

გამუდმებით წვიმს. დასახლებულია ფლიდი, ამაყი, სიტყვაძუნწი ხალხით. გადახარეთ თავი ცალ მხარეს და შენიშნეთ: „რასაკვირველია, არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ ფლობერი ნორმანდიელი იყო“.

პრუსიელები

თეთრხელთათმანებიანი ბარბაროსები, სანსკრიტის მცოდნე

საათების ქურდები. ესენი კანიბალებზე ან კომუნარებზე უარესები არიან. როცა პრუსიელები კრუასედან წავიდნენ, სახლს დეზინფექცია დასჭირდა.

რეალიზმი

გუსტავი ახალი რეალიზმის მიმდევარი იყო? ამ იარლიყს ყოველთვის საჭაროდ უარყოფდა: „რეალიზმი მძულდა და ამიტომ დავწერე „მადამ ბოვარი“. გალილემომ საჭაროდ უარყო, რომ დედამინა მზის გარშემო ბრუნავდა.

სანდი, ჟორჟ

ოპტიმისტი, სოციალისტი, ჰუმანისტი. გაცნობამდე ცხვირს უბზუებდნენ, გაიცნობდნენ და უყვარდათ. გუსტავის მეორე დედა. ერთხელ კრუასეში დარჩა და ამ სტუმრობის შემდეგ თავისი ნაწარმოებები გამოუგზავნა (77-ტომიანი გამოცემა).

სარტრი, ჟან-პოლ

ათი წელი მოანდომა „ოჯახის იდიოტის“ წერას. ამ დროში მაოისტური ტრაქტატების დაწერა შეეძლო. ქედმაღალი ლუიზ კოლე გამუდმებით გულს უწვრილებდა გუსტავს, რომელსაც მხოლოდ ის უნდოდა, რომ მისთვის თავი დაენებებინათ. დასკვნა: „სიბერეში დროის დაზოგვას მისი გაფლანგვა სჭობს“.

ტრანსვესტიზმი

გუსტავი სიჭაბუკეში: „არის დღეები, როცა ქალობა გწყურია“. გუსტავი მონიფულობაში: „Madame Bovary, c'est moi“. „საფუძვლიან“ დაკვირვებად შეაფასა თავისი ექიმის ნათქვამი, „ისტერიული დედაბერი“ ხარო.

ფლობერი, გუსტავ

კრუასეს განდეგილი. პირველი თანამედროვე რომანისტი. რეალიზმის მამა. რომანტიზმის ჯალათი. ბალზაკისა და ჯოისის დამაკავშირებელი პონტონის ხიდი. პრუსტის წინამორბედი. დათვი თავის ბუნაგში. ბურჟუაზიის მოძულე ბურჟუა. ეგვიპტეში „ულვაშის მამა“. წმინდა პოლიკარპი, კრუშარი, კარაფონი, le Vicairre-გენერალ, მაიორი, ბებერი Seigneur, სალონების იდიოტი. ასე მოიხსენებდნენ კაცს, რომელიც არად აგდებდა მიმართვის ნატიფ ფორმებს: „პატივი სახელს უტეხს, ტიტულები ავნინებს, სამსახური აჩლუნგებს“.

ქსილოფონი

გლოცვენსპიელ

ქუჩუკ ჰანები

ლაკმუსის რეაქცია. გუსტავს უნდა აერჩია: ეგვიპტელი კურტიზანი თუ ჰარიზელი პოეტი ქალი - ერთი მხრივ, ბალლინჯოები, სანდალოზის ზეთი, გაპარსული ბოქვენი, კლიტორიდექტომია და სიფილისი; მეორე მხრივ - სიფაქიზე, ლირიკული პოეზია, შედარებითი სექსუალური ერთგულება და ქალთა უფლებები. გუსტავმა ოქროს შუალედის პოვნა მოახერხა.

წერილები

აჰყევით ანდრე ჟიდს და ფლობერის წერილებს შედევი უწოდეთ. აჰყევით სარტრს და თქვით, რომ ეს პრეფროიდული პაციენტის თავისუფალი ასოციაციის სრულყოფილი მაგალითია. მერე გულისთქმას აჰყევით.

ჰერბერტი, ჯულიეტ

„მის ჯულიეტის“. ჯერჯერობით მეცნიერებს სათანადოდ არ

შეუფასებიათ XIX საუკუნის შუა წლებში ინგლისელი
გუვერნანტების ზნეობა საზღვარგარეთ.

13 -

ნამდვილი ამბავი

რაც არ უნდა იფიქროთ, ეს ნამდვილი ამბავია.

როცა ის კვდება, თავდაპირველად თითქოს არც გიკვირთ. სიყვარულის რაღაც ნაწილი სიკვდილისთვის ემზადება. როცა კვდება, თქვენს სიყვარულში ეჭვიც არ გეპარებათ. სწორად გაიგეთ. ეს ერთ-ერთი ნაწილია.

ამის შემდეგ მოდის სიგიჟე. მერე - მარტოობა: მოჩვენებითი სიმარტოვე კი არა, რომელსაც ელოდით, ქვრივობის საინტერესო მარტვილობა კი არა, არამედ, უბრალოდ, მარტოობა. თქვენ გგონიათ, რომ ეს გეოლოგიური მოვლენასავით იქნება - თავბრუსხვევა ციცაბო ხეობაში - მაგრამ ეგრე არ არის. ეს მხოლოდ დარდია - ისეთივე ყოველდღიური, როგორც სამსახური. ექიმები რას ვამბობთ? ძალიან ვწუხვარ, მისის ბლანკ, აუცილებლად გექნებათ დარდის პერიოდი, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ამას მოერევიტ. გირჩევთ, ყოველ საღამოს ორი აბი მიიღოთ. იქნებ რამე ახალი მოიფიქროთ, მისის ბლანკ. ვთქვათ, მანქანა შეაკეთოთ, ჯგუფურ ცეკვებზე იაროთ... ნუ ღელავთ, ექვს თვეში ყველაფერი გაივლის. ნებისმიერ დროს შემომიარეთ. ჰო, მართლა, ექთანო, როცა ეს ქალი დარეკავს, უბრალოდ, უთხარით, გაიმეოროს, რაც დავუნიშნე. არა, მისი ნახვა აუცილებელი არ არის. კარგი რა, ეგ ხომ არ მომკვდარა - ცხოვრებას ნათელი მხარეც აქვს. რა თქვა, რა მქვიაო?

მერე ეს შენც გემართება. ამაში არაფერია დიადი. გლოვისთვის დრო ყოველთვის ბევრი გაქვს. სხვა აღარაფერი დაგრჩენია, დროის გარდა. ბუვარი და ჰეკიუშე გვარიგებენ, როგორ დაკვინიწყოთ გარდაცვლილი მეგობრები. ტროტულა (სალერნოს სკოლიდან) ამბობს, რომ ღორის ფარშირებული გული უნდა ჭამო. შეიძლება, მივიღო კიდევ ეს დარიგება. დალევა ვცადე, მაგრამ რას მიშველის? სასმელი გათრობს, სხვა რა შეუძლია? ამბობენ, მუშაობა ყველაფრის მკურნალიაო. სულაც არა. ხანდახან დაღლილობასაც კი ვერა გრძნობ: ამას ნევროზულ ლეთარგიამდე მიჰყავხარ და ეგ არის. თუმცა იმედად დრო

გრჩება. დრო, დრო გჭირდება. მეტი დრო. წინ დიდი დროა.

ზოგს ჰგონია, რომ ლაპარაკი გინდა. გეკითხებიან: „გინდა ელენზე ლაპარაკი?“ მიგანიშნებენ, რომ არ შეიძინევენ, თუ ნერვები გიმტყუნებს. ხან ლაპარაკობთ, ხან - არა. სულ ერთია. სიტყვები მაინც ვერაფერს ამბობს. უფრო სწორად, შესაფერისი სიტყვები არ არსებობს. „ენა ძველ, გაბზარულ ჩაიდანსა ჰგავს, რომელზეც დათვის საცეკვაოს ვაკაკუნებთ, არადა, გვინდა, ვარსკვლავებს ავუჩუყოთ გული“. ლაპარაკობ და ხვდები, რომ მძიმე დანაკარგზე საუბრისას ენა სულელურად არაადეკვატურია. თითქოს სხვის დარდზე ლაპარაკობ. მიყვარდა. ბედნიერები ვიყავით. მენატრება. იმას არ ვუყვარდი. ბედნიერები არ ვიყავით. მენატრება. ლოცვების რაოდენობაც შეზღუდულია: რაღაცას ბუტბუტებ.

„შეიძლება, ძალიან გიჭირს, ჯეფრი, მაგრამ მაგასაც მოერევი. განა ზერელედ ვეკიდები შენს დარდს. უბრალოდ, ცხოვრებაში ბევრი რამე მინახავს. ვიცი, რომ მოერევი“. ამ სიტყვებს საკუთარ თავს ეუბნები დანიშნულების წერისას (არა, მისის ბლანკ, ყველა აბი უნდა მიიღოთ. ნუ გეშინიათ, ეს წამლები არ მოგკლავთ), და მართლაც გამოდიხარ ამ მდგომარეობიდან. ერთი წლის შემდეგ, ხუთი წლის შემდეგ. მაგრამ ისე კი არა, როგორც მატარებელი გამოდის გვირაბიდან - გაჩახჩახებულ მზეში რომ გამოვარდება და სწრაფად, ტორტმანით ჩახრიგინდება თავქვე, ლა-მანშისკენ. ისე გამოდიხარ, თოლია რომ ამოძვრება ხოლმე წყალზე გაშლილი ნავთობის ლაქიდან. ფრთები მთელი ცხოვრება გაზინტლული რჩება.

და მაინც, ყოველდღე მასზე ფიქრობ. ხანდახან ამ ადამიანის - მკვდრის - სიყვარულით დაქანცული წარმოიდგენ, რომ ცოცხალია და გესაუბრება, რაღაცას გინონებს. დედამისის სიკვდილის შემდეგ ფლობერი მნე ქალს სთხოვდა, დედის ძველ, კუბოვრულ კაბაში გამოწყობილიყო და აპოკრიფული რეალობით გაეოგნებინა. გამოსდიოდა და თან არ გამოსდიოდა. დაკრძალვიდან შვიდი წელი იყო გასული და ისევ ცრემლები წასკდებოდა ხოლმე იმ ძველი კაბის დანახვისას, ოთახიდან ოთახში რომ გადადიოდა. ეს წარმატებაა თუ მარცხი? მოგონებები თუ ფარ-ხმლის დაყრა? ვიცი, კი, სად იწყება ის მდგომარეობა, როცა დარდს მივეცემით და ამით

ვითომდა ვტკბებით? „ნაღვლიანობა ცოდვას“ (1878).

იქნებ ცდილობ, თავი აარიდო საყვარელი ადამიანის სახებას. დღესდღეობით, ელენის გახსენებისას, ვცდილობ, იმ სეტყვაზე ვიფიქრო, რუანს 1853 წელს რომ დაატყდა. „დიდებული სეტყვა იყო“, - მისწერა გუსტავმა ლუიზს. კრუასეში შპალერები განადგურდა, ყვავილები ნაფლეთებად იქცა, ბოსტანი თავდაყირა დადგა. სხვაგან მოსავალი განადგურდა და ფანჯრები ჩაიმსხვრა. მხოლოდ მეშუშეებს უხაროდათ - მეშუშეებს და გუსტავს. ნანგრევები აღტაცებას ჰგვრიდა: ბუნებამ ხუთ წუთში კვლავ თავისი წესრიგი დაამყარა და ნაცარტუტად აქცია ის ხანმოკლე, ხელოვნური წესრიგი, რომელიც ადამიანმა თავისი ჭკუით დაადგინა. ნესვის სათბურზე უფრო ბრიყული რა უნდა იყოს? - კითხულობს გუსტავი. ტაშით ხვდება ხოშკაკალას, მინები რომ ჩაამსხვრია. „ხალხი ძალიან იოლად იჯერებს, რომ მზის ფუნქცია კომბოსტოების დამსხვილებაა“.

ეს წერილი სიმშვიდეს მგვრის. მზის ფუნქცია კომბოსტოების დამსხვილება არ არის, მე კი ნამდვილ ამბავს გიყვებით.

ის 1920 წელს დაიბადა, 1940 წელს გათხოვდა, 1942 და 1946

წლებში შვილები გააჩინა, 1975 წელს გარდაიცვალა.

ისევ თავიდან დავიწყებ. ამბობენ, ტანმორჩილი ადამიანები აკურატულები არიანო. ელენზე ამას ვერ იტყოდი. დაახლოებით ხუთი ფუტი სიმაღლისა იყო, მაგრამ მოუქნელად მოძრაობდა, სულ რაღაცას ეჯახებოდა და ბორძიკობდა. სხეული ადვილად ულილავდებოდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა. ერთხელ პიკადილიზე უყურადღებოდ გადადიოდა და მკლავზე ხელი ვტაცე. პალტო და ბლუზა კი ეცვა, მაგრამ მეორე დღეს მაინც დაეტყო მკლავზე მონითალო ლაქა, თითქოს რობოტმა მოუჭირა მარწუხიო. დალილავებულ ადგილზე არაფერი უთქვამს, და როცა დავანახე, ვერც გაიხსენა, როდის გადადიოდა ქუჩაზე თავაღერილი.

ისევ თავიდან დავიწყებ. ერთადერთი, უსაყვარლესი შვილი იყო და ერთადერთი, უსაყვარლესი ცოლი. ბევრს უყვარდა, თუ ეს

შესაფერისი სიტყვაა მის საყვარლებზე საუბრისას. სხვა გზა არა მაქვს, ეს სიტყვა უნდა ვთქვა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მეტიმეტი ჰატივია ზოგიერთისთვის. მე ძალიან მიყვარდა. ბედნიერები ვიყავით. მენატრება. იმას არ ვუყვარდი. ბედნიერები არ ვიყავით. მენატრება. შეიძლება, ყელში ამოუვიდა, რომ უყვარდათ. ოცდაოთხი წლის ფლობერმა თქვა, მოვმნიფდიო - ჩემზე ადრე მომნიფდა, მართალია. იმიტომ, რომ მე სათბურში გავიზარდე. ჩემი ცოლი მომეტებულად უყვარდათ? ადამიანები იშვიათად უყვართ მომეტებულად, მაგრამ ალბათ შეიძლებოდა, ელენი ასე ჰყვარებოდათ. იქნებ, უბრალოდ, სხვა თვალთ უყურებდა სიყვარულს? რატომ გვგონია, რომ ამაზე ყველა ერთი აზრისაა? იქნებ ელენისთვის სიყვარული მხოლოდ მალბერის ნავმისადგომი იყო - აღელვებული ზღვიდან ნაპირზე გადმოსვლის ადგილი? იქ ცხოვრება ალბათ შეუძლებელია: ნაპირზე გამოაღწიე და ეგ არის. ახლა გზა განაგრძე. მერე ძველი სიყვარული? ძველი სიყვარული ჟანგიანი ტანკია, ფილებით მოპირკეთებულ მონუმენტს რომ დარაჯობს: აქ ერთ დროს რაღაც გაუთავისუფლებიათ. ძველი სიყვარული სანაპიროზე ჩამწკრივებულ ფარდულებსა ჰგავს - ნოემბერში.

ერთხელ სოფლის ლუდხანაში, სახლისგან მოშორებით, ყური მოვკარი ორი კაცის საუბარს ბეტი კორინდერზე. შეიძლება, სწორად არ ვწერ, მაგრამ ეს სახელი და გვარი ჰქონდა. სულ გაიძახოდნენ, ბეტი კორინდერი, ბეტი კორინდერიო. არც ერთხელ არ უთქვამთ: ბეტი, ან ის ქალი, კორინდერი თუ ვიღაც... არა, სულ ბეტი კორინდერი. სწრაფი, ყოჩაღი ქალი ჩანდა. თუმცა სისწრაფე, რასაკვირველია, ყოველთვის გაზვიადებულია, როცა ის ლაპარაკობს, ვისაც განძრევა ეზარება. ერთი სიტყვით, ეს ბეტი კორინდერი ყოჩაღი ქალი ყოფილა და ლუდხანაში ჩამომსხდარი თვალხარბი კაცები უშნოდ ქირქილებდნენ. „ხომ იცი, რას ამბობენ ბეტი კორინდერზე“. ეს განცხადება იყო, კითხვა კი არა, თუმცა მერე კითხვაც მოჰყვა: „რა განსხვავებაა ბეტი კორინდერსა და ეიფელის კოშკს შორის? აბა, თქვი, რა განსხვავებაა ბეტი კორინდერსა და ეიფელის კოშკს შორის?“ ჰაუზა დასაფიქრებლად. „ეიფელის კოშკში ყველა არ შემძვრალა“. წამოვნითლდი. ჩემი ცოლი ორასი მილის იქით იყო, და მაინც ავიღენე. იქნებ სადაც ის დაეხეტებოდა, იქაც ასე ქირქილებდნენ თვალხარბი კაცები? რა ვიცი. ალბათ ვაზვიადებ.

შეიძლება, არც გავნითლებულვარ. შეიძლება, არც არაფრად ჩამიგდია. სად ჩემი ცოლი და სად ბეტი კორინდერი. სულ ერთია, როგორც არ უნდა ყოფილიყო ის ბეტი კორინდერი.

1872 წელს საფრანგეთის ლიტერატურულ საზოგადოებაში ბევრს დავობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ მოღალატე ქალს. ქმარს უნდა დაესაჯა თუ უნდა ეპატიებინა? ალექსანდრე დიუმა-შვილმა თავის წიგნში „კაცი-ქალი“ მარტივი გამოსავალი მონახა: „მოკლას!“ ეს წიგნი ერთი წლის განმავლობაში 37-ჯერ გამოიცა.

თავდაპირველად მეწყინა. თავდაპირველად გავბრაზდი და თავი შემძულდა. რა იყო სანერვიულო - ის, რომ ჩემი ცოლი სხვა კაცებთან წვებოდა? თუ ის, რომ მე არ ვწვებოდი სხვა ქალებთან? იქნებ, ის, რომ ელენი ყოველთვის გულთბილად მექცეოდა? განა იმიტომ, რომ ღალატის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდა - უბრალოდ, გულთბილად მექცეოდა. თავდაუზოგავად ვმუშაობდი. მიმაჩნდა, რომ კარგი ცოლი იყო. დღეს ამას ვერ იტყვი, მაგრამ ჩემთვის კარგი ცოლი იყო. სასიყვარულო თავგადასავლები იმიტომ არ მქონდა, რომ მაინცდამაინც არც მინდოდა. გარდა ამისა, გარყვნილი ექიმის სტერეოტიპი ზიზღს იწვევს. ელენს ჰქონდა რომანები, რადგან, ჩემი ვარაუდით, ასე უნდოდა. ბედნიერები ვიყავით. ბედნიერები არ ვიყავით. მენატრება. „როცა ცხოვრებას სერიოზულად ეკიდები, ეს დიდებულია თუ სისულელეა?“ (1855).

ძნელია, გადმოსცე, როგორ არ ეკარებოდა ეს ამბები ელენს. გარყვნილი არ იყო. სული არ გაუქვავდა. ვალებს არასოდეს იღებდა. ხანდახან გარეთ იმაზე მეტხანს რჩებოდა, ვიდრე საჭირო იყო. საყიდლებზე წასული ხშირად საეჭვოდ ხელცარიელი ბრუნდებოდა (არადა, ყიდვისას ბევრი რჩევა არ იცოდა). მერჩია, უფრო იშვიათად დარჩენილიყო ქალაქში რამდენიმე დღით, თეატრებში სასიარულოდ. მაგრამ თავი ღირსეულად ეჭირა: მხოლოდ თავისი საიდუმლო ცხოვრების თაობაზე მატყუებდა. ამაზე იმპულსურად ცრუობდა - წინდაუხედავად, თითქმის შემაცბუნებლად. თუმცა სხვა დროს ყოველთვის მართალს ამბობდა. მაგონდება „მადამ ბოვარის“ მბრალმდებლის მიერ ფლობერის ხელოვნებაზე ნათქვამი

ფრაზა: „რეალისტურია,

მაგრამ წინდაუხედავი“.

ღალატით გაცისკროვნებული ცოლი უფრო სასურველი ხომ არ იყო ქმრისთვის? არა, არანაირად. ამასაც ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ელენი გარყვნილი არ იყო. ამჟღავნებდა თუ არა იმ ლაჩრულ მორჩილებას, რასაც ფლობერი მოღალატე ქალის დამახასიათებლად მიიჩნევს? არა. განა მას, ემა ბოვარივით, „ადიულტერმა აღმოაჩენინა ქორწინების ბანალურობა“? ამაზე არასოდეს გვილაპარაკია (შენიშვნა: „მადამ ბოვარის“ პირველ გამოცემაში წერია „მისი ქორწინების ბანალურობა“. ფლობერი აპირებდა, 1862 წლის გამოცემაში მდედრობითი სქესის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მისი ამოეგდო და ამდენად, ფრაზის მნიშვნელობა განეზოგადებინა. ბუიემ სიფრთხილე ურჩია - მხოლოდ ხუთი წელი იყო გასული სასამართლოს შემდეგ. ასე რომ, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც მხოლოდ ემას და შარლს ადანაშაულებს, უცვლელად დარჩა 1862 და 1869 წლების გამოცემებში. ის საბოლოოდ 1872 წლის გამოცემაში ამოაგდეს და ზოგადი ბრალდებაც ოფიციალური გახდა). იქნებ ელენი სადმე წააწყდა ნაბოკოვის იმ ფრაზას, სადაც მწერალი ამბობს, რომ ბანალურობისგან თავის დაღწევის ყველაზე ბანალური გზა ადიულტერია? არა მგონია. ელენი ასეთი კატეგორიებით არ აზროვნებდა. ის არ იყო გამომწვევი, თავისუფალი სული, რომელსაც ყველაფერი გააზრებული აქვს. ის იყო ადამიანი, რომელიც სულ ჩქარობს, სადღაც მიისწრაფვის, გარბის, თვალს ეფარება. შეიძლება, მე უარეს დღეში ჩავაგდე. ის, ვინც ყველაფერს აპატიებს და ვისაც თავდავიწყებით უყვარს, შეიძლება, იმაზე უფრო გამაღიზიანებელია, ვიდრე თვითონ ჰგონია. „ადამიანი იტანჯება, თუკი არ ცხოვრობს მასთან, ვინც უყვარს, და კიდევ უფრო იტანჯება, თუკი ცხოვრობს მასთან, ვინც არ უყვარს“ (1847).

სიმაღლით სულ რაღაც ხუთი ფუტი იყო. ფართო, მშვიდი სახე ჰქონდა, ოდნავ შეფაკლული ლოყებით. არ წითლდებოდა. თვალები, როგორც გითხარით, მომწვანო-მოლურჯო ჰქონდა. ეცვა ნებისმიერი ტანსაცმელი, რის ჩაცმასაც ურჩევდა იდუმალი მითქმა-მოთქმა ქალების მოდაზე. იოლად იცინოდა,

იოლად ულილავდებოდა სხეული. სულ ფაციფუცობდა. სულ გარბოდა: ხან კინოთეატრში - თუმცა ორივემ ვიცოდით, რომ დაკეტილი დახვდებოდა; ხან ზამთრის ფასდაკლებებზე - ივლისში; ხან ნათესავთან დასარჩენად, რომლისგანაც მეორე დილით ღია ბარათი მოგვდიოდა საბერძნეთიდან. ამ დროს მისი მოქმედებების მოულოდნელობა უფრო თვალშისაცემი იყო, ვიდრე თავად სურვილი. „გრძნობათა აღზრდაში“ ფრედერიკი მადამ არნუს უხსნის, რომ როზანეტი საყვარლად გაიხადა „სასონარკვეთის გამო, თითქოს თავის მოსაკლავად“. რასაკვირველია, ეშმაკური ახსნაა, მაგრამ სიმართლეს ჰგავს.

ელენის საიდუმლო ცხოვრება შეწყდა, როცა ბავშვები გაჩნდნენ და აღდგა, როცა ისინი სკოლაში წავიდნენ. ხანდახან, რომელიმე დროებითი მეგობარი განზე გამიხმობდა ხოლმე. რატომ ჰგონიათ, რომ ამის ცოდნა გინდა? უფრო სწორად, რატომ ჰგონიათ, რომ არ იცი? რატომ ვერ ხვდებიან, რა დაუნდობელია შეყვარებულის ცნობისმოყვარეობა? ამ დროებით მეგობრებს რატომ არ უნდათ, გაგაფრთხილონ უფრო მნიშვნელოვანი რამის შესახებ: იმის შესახებ, რომ ქალს აღარ უყვარხარ? თანდათანობით გავინაფე სიტყვის ბანზე აგდებაში, ვეუბნებოდი, რომ ელენი ჩემზე გაცილებით გულდია იყო, მივანიშნებდი, რომ ექიმებზე ყოველთვის ჭორაობენ; ან უცებ ვეტყოდი: „წაიკითხე იმ საშინელი წყალდიდობის ამბავი ვენესუელაში?“ ასეთ დროს - შეიძლება, ვცდებოდი - მაგრამ სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ელენს ვღალატობდი.

საკმაოდ ბედნიერები ვიყავით. ასე ამბობენ ხოლმე, არა? რამდენად ბედნიერია საკმაოდ ბედნიერი? გრამატიკული შეცდომასავით ჟღერს - საკმაოდ ბედნიერი, ისევე, როგორც საკმაოდ განუძეორებელი - მაგრამ სიტყვის მასალაა. როგორც ვთქვი, ელენი ვალებს არ იღებდა. ორივე მადამ ბოვარი (ხალხს ავიწყდება, რომ შარლი ორჯერ იყო დაქორწინებული) ფულმა გაანადგურა. ჩემი ცოლი ეგეთი არასდროს ყოფილა. რამდენადაც ვიცი, არც საჩუქრებს იღებდა.

ბედნიერები ვიყავით. ბედნიერები არ ვიყავით. საკმაოდ ბედნიერები ვიყავით. სასონარკვეთა ცუდია? განა ეს ბუნებრივი მდგომარეობა არ არის გარკვეული ასაკის შემდეგ? მე ახლა ვარ ამ მდგომარეობაში. ის უფრო ადრე იყო. რიგი მოვლენების

მერე რაღა რჩება განმეორებისა და გაუარესების გარდა? ვის უნდა ცხოვრების გაგრძელება? ექსცენტრულებს, რელიგიურებს, არტისტულებს (ხანდახან) - ადამიანებს, რომლებსაც საკუთარ მნიშვნელოვნებაზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. რბილი ყველი იშლება, მაგარი - ქვავდება. ორივე ობდება.

ჩემი ვარაუდები უნდა გაგიზიაროთ. რაღაც უნდა გამოვიგონო კიდევ (თუმცა ეს არ მიფიქრია, როცა ვთქვი, ნამდვილი ამბავი-მეთქი). მის საიდუმლო ცხოვრებაზე არასდროს ვლაპარაკობდით. ასე რომ, უნდა მოვიფიქრო, როგორ მივიდე სიმართლემდე. ელენი დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იყო, როცა ეს განწყობილება შეეტყო (არა, ეგ არა: ყოველთვის ჯანმრთელი იყო. მენოპაუზამაც სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩაიარა). ადრე ჰყავდა ქმარი, შვილები, საყვარლები, ჰქონდა სამსახური. მერე ბავშვები სახლიდან წავიდნენ. ქმარი თითქმის სულ წასული იყო. მეგობრები ჰყავდა. ჰქონდა ის, რასაც ინტერესებს უწოდებენ, თუმცა, ჩემგან განსხვავებით, წინდაუხედავად არ ყოფილა გატაცებული მკვდარი უცხოელებით - რომ გაძლება მიეცათ. საკმარისად მოგზაურობდა. არ ჰქონდა განუხორციელებელი ამბიციები (თუმცა „ამბიცია“, ჩემი აზრით, მეტიმეტად მძაფრი სიტყვაა

იმ იმპულსის აღსანიშნავად, ადამიანებს რაღაცებს რომ აკეთებინებს). რელიგიური არ იყო. მეტი რაღა ვთქვა?

„ჩვენნაირ ადამიანებს სასონარკვეთის რელიგია უნდა ჰქონდეთ. კაცი თავის ბედისწერას უნდა შეეფერებოდეს, ასე ვთქვათ, თავისი ბედისწერასავით გულგრილი უნდა იყოს. როცა შავი ორმოს პირას დგას და ჩასცქერის, უნდა იმეორებდეს: „ეგრე იყოს! ეგრე იყოს!“ - ასე სიმშვიდეს შეინარჩუნებს“. ელენს ეს რელიგიაც კი არ ჰქონდა. ან რატომ უნდა ჰქონოდა? ჩემ გამო? სასონარკვეთილი ადამიანებისგან მოითხოვენ, საკუთარ თავზე უარი თქვან და ჯერ სხვებზე იფიქრონ. ეს უსამართლოდ მეჩვენება. რატომ ავკიდოთ ამ ადამიანებს სხვების კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობის ტვირთი, როცა საკუთარიც ამძიმებთ?

შეიძლება, სხვა რამეც იყო. ზოგს, ასაკი რომ ემატება, თითქოს

უფრო სჯერა საკუთარი მნიშვნელოვნება. ზოგი პირიქითაა. მერე მე რა? ჩემს ჩვეულებრივ ცხოვრებას განსჯიან, უაზროდ მიიჩნევენ და დაივიწყებენ, რადგან სხვას ნაკლებად ჩვეულებრივი ცხოვრება აქვს? არ ვამბობ, რომ ჩვენი მოვალეობაა, საკუთარ თავზე უარი ვთქვათ იმათ გამო, ვისი ცხოვრებაც უფრო საინტერესო გვგონია. ამ მხრივ, ცხოვრება კითხვას წააგავს. წელანაც ვთქვი: თუ პროფესიონალ კრიტიკოსს უკვე ნათქვამი და გავრცობილი აქვს შენი ყველა მოსაზრება ამა თუ იმ წიგნზე, მაშინ რა აზრი აქვს შენს კითხვას? მხოლოდ ის, რომ შენია. ცხოვრებაც ასეა. რატომ უნდა განვლო? იმიტომ, რომ შენია. მაგრამ თუკი ასეთი პასუხისა მაინცდამაინც აღარ გჯერა, მაშინ?

სწორად გამიგეთ. არ ვამბობ, რომ ელენი სასონარკვეთამდე საიდუმლო ცხოვრებამ მიიყვანა. ღმერთმანი, მისი ცხოვრება იგავ-არაკი არ არის. არც არავისი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩემი ცოლის საიდუმლო ცხოვრებაც და სასონარკვეთაც მისი გულის კუნჭულში იყო და ჩემთვის მიუწვდომელი რჩებოდა. ვერც ერთს შევხებოდი და ვერც მეორეს. ვცდილობდი? რასაკვირველია, ვცდილობდი. მაგრამ არ გამკვირვებია, როცა ეს განწყობა დაეუფლა. „ბედნიერებისთვის სამი რამაა საჭირო: სიბრყვე, ეგოისტობა და ჯანმრთელობა. თუმცა სიბრყვის გარეშე დანარჩენები უსარგებლოა“. ჩემს ცოლს მხოლოდ ჯანმრთელობა ჰქონდა.

ცხოვრება უმჯობესდება? იმ ღამეს ტელევიზორში ვნახე, როგორ დაუსვეს ეს კითხვა ლაურეატ პოეტს. „ჩემი აზრით, ძალიან კარგი დღეს მხოლოდ სტომატოლოგიაა“, - უპასუხა მან. სხვა არაფერი გაახსენდა. ძველი თაობის აკვიატებული აზრია? არა მგონია. ახალგაზრდობაში გგონია: ბებრები ცხოვრების გაუარესებაზე იმიტომ ჩივიან, რომ სინანულის გარეშე სიკვდილი გაიადვილონ. როცა ბერდები, გაღიზიანებს, რომ ახალგაზრდები ყველაზე უმნიშვნელო სიახლეებსაც კი ტაშისცემით ხვდებიან - ვთქვათ, ახალი სარქველის ან კბილანას გამოგონებას - და მსოფლიოს ბარბაროსობა არ ანაღვლებთ. არ ვამბობ, რომ რამე უარესდება. უბრალოდ, ვამბობ: გინდ უარესდებოდეს, ახალგაზრდები ვერ შენიშნავდნენ. ძველი დროება კარგი იყო, რადგან მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და არ ვიცოდით, რა უმეცარი შეიძლება

იყოს ახალგაზრდა.

ცხოვრება უმჯობესდება? მე ჩემს პასუხს გეტყვით, სტომატოლოგიის ეკვივალენტს. დღევანდელ ცხოვრებაში ძალიან კარგი არის სიკვდილი. თუმცა კიდევ შეიძლება გაუმჯობესება. მახსენდება, როგორ კვდებოდნენ ადამიანები XIX საუკუნეში. მწერლის სიკვდილი არაფრით გამოირჩევა. უბრალოდ, მის სიკვდილს აღწერენ. ვფიქრობ ფლობერზე, დივანზე რომ იწვა მოცელილი - ახლა ვინ იცის, რით? - ეპილეფსიით, აპოპლექსიით ან სიფილისით, ან იქნებ ამ სამი დაავადების ავბედითი ერთიანობით. თუმცა ზოლამ ამას une belle mort დაარქვა - თითქოს გოლიათმა მწერს თითი დააჭირაო. ვფიქრობ ბუიეზე, სიკვდილის წინ, ბოდვისას, გონებაში გამალებული რომ თხზავდა ახალ პიესას და აცხადებდა, გუსტავს უნდა წავუკითხოო. ვფიქრობ, როგორ ნელ-ნელა ჩაინავლა ჟიულ დე გონკური: ჯერ თანხმობებზე ბორძიკობდა, ს თანდათანობით თ-დ გადაექცა; მერე საკუთარი წიგნების სათაურებს ველარ იხსენებდა; ამის მერე გონებასუსტობის ტანჯული ნიღაბი (მისი ძმის სიტყვებია) დაეფინა სახეზე; ბოლოს სასიკვდილო სარეცლის მოლანდებები და შიშები დაეწყო და მთელი ღამეები ხრიალით სუნთქავდა, თითქოს სველ ხეს ხერხავენო (ესეც მისი ძმის სიტყვებია). ვფიქრობ მოპასანზე, იგივე სენი ნელ-ნელა რომ უნგრევდა გონებას, გიჟის პერანგით რომ გადაიყვანეს პასიში, ექიმ ბლანშის სანატორიუმში; ეს ექიმი კი პარიზულ სალონებს ართობდა ახალ-ახალი ამბებით სახელოვან პაციენტზე. ვფიქრობ ბოდლერზე, ასევე სასტიკად რომ კვდებოდა - ენაწართმეული ედავებოდა ნადარს ღმერთის არსებობაზე და უხმოდ მიუთითებდა დაისზე; რემბოზე, მარჯვენა ფეხი ამპუტირებული რომ ჰქონდა და ნელ-ნელა ჰკარგავდა შეგრძნებებს მარცხენაში, ყველაფერზე უარს ამბობდა და საკუთარ გენიასაც ამპუტაციას უკეთებდა - „Merde pour la poésie“; დოდეზე, „ორმოცდახუთი წლიდან კოჭლობით რომ მიჩლახუნდა სამოცდახუთ წლამდე“ - სახსრები განადგურებული ჰქონდა და მახვილგონიერებისა და მიძინადველობის დასაბრუნებლად ერთ საღამოს მორფის ხუთ ინექციას იკეთებდა; თვითმკვლელობაც სცადა - „მაგრამ ადამიანს ამის უფლება არა აქვს“.

„როცა ცხოვრებას სერიოზულად ეკიდები, ეს დიდებულია თუ

სისულელეა?“ (1855). ელენი ინვა, ყელში და გადახვეულ წინამხარში მილაკები ჰქონდა გაჩრილი.

მოგრძო ყუთიდან ვენტილატორი ჟანგბადს აწვდიდა, რასაც მონიტორი ადასტურებდა. რასაკვირველია, იმპულსური საქციელი იყო - ყველაფერს გაექცა, დაუსხლტა. „მაგრამ ადამიანს ამის უფლება არა აქვს“? მაინც გააკეთა. უსიტყვოდ. სასონარკვეთის რელიგია არ აინტერესებდა. მონიტორზე ელექტროკარდიოგრამის შტრიხი იხაზებოდა - ნაცნობი ჩანაწერი. მდგომარეობა სტაბილური იყო, მაგრამ უიმედო. დღეს პაციენტის ანკეტაში არ იწერება: „აეგ“ - „არ ექვემდებარება გამოჯანმრთელებას“. ზოგს ეს უგულობად მიაჩნია. ამის ნაცვლად ვწერთ: „N 333“. საბოლოო ევფემიზმი.

ელენს დავხედე. გარყვნილი ქალი არ იყო. მისი ამბავი სუფთაა. მე თვითონ გამოვრთე. მკითხეს, მინდოდა თუ არა, რომ იმათ გაეკეთებინათ. მაგრამ მე მგონი, ჩემი ხელით ერჩია. ბუნებრივია, ამაზე არასოდეს გვილაპარაკია. რთული არ არის. ვენტილატორზე ღილაკს თითს აჭერ და ბოლო ფრაზას კითხულობ ელექტროკარდიოგრამის სტრიქონზე: გამოსამშვიდობებელი ავტოგრაფი სწორი ხაზით მთავრდება. მილაკებს გამოაძრობ, მერე ხელებს გაუსწორებ. ამას სწრაფად აკეთებ, თითქოს ცდილობ, პაციენტი არ შეაწუხო.

პაციენტი. ელენი. ასე რომ, იმ კითხვაზე შეგეძლოთ, გეპასუხათ, რომ მე მოვკალი. ეგრეც შეგეძლოთ. მე გამოვრთე. მე შევწყვიტე მისი სიცოცხლე. დიას.

ელენი. ჩემი ცოლი. ის, ვისიც ნაკლებად მესმის, ვიდრე ასი წლის წინ გარდაცვლილი უცხოელი მწერლისა. ვცდები თუ ასეც უნდა იყოს? წიგნებში ნათქვამია: მან ეს გააკეთა ამიტომ და ამიტომ... ცხოვრება ამბობს: მან ეს გააკეთა. წიგნებში რაღაცები ახსნილია. ცხოვრებაში - არა. სულ არ მიკვირს, რომ ადამიანებს წიგნები ურჩევნიათ. წიგნები ცხოვრებას აზრს აძლევს. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ უამრავი ცხოვრება, რომლებსაც ისინი აზრს აძლევენ, სხვა ადამიანების ცხოვრებაა, შენი საკუთარი - არასოდეს.

შეიძლება, აქტმა გამძაფრებული მაქვს. ჩემი მდგომარეობა

სტაბილურია, თუმცა უიბედო. შეიძლება, ეს, უბრალოდ, ტემპერამენტზეა დამოკიდებული. გაიხსენეთ „გრძნობათა აღზრდა“: ბორდელში წარუმატებელი ვიზიტი და იქაური გაკვეთილი. ნუ მონანილეობ: ბედნიერება წარმოსახვაშია და არა ქმედებაში. სიამოვნებას ჯერ მოლოდინი გვანიჭებს, მოგვიანებით - მოგონება. ესაა ფლობერისეული ტემპერამენტი. შეადარეთ დოდეს ამბავსა და ტემპერამენტს. მონაფეობისას მისი ვიზიტი ბორდელში ისეთი წარმატებული გამოდგა, რომ იქ ორი-სამი დღე დარჩა. გოგოები პოლიციის რეიდის შიშით მალავდნენ, ოსპის შეჭამანდით უმასპინძლდებოდნენ და თავს დაჰფოფინებდნენ. ძლივძლივობით დააღწია თავი ამ თავბრუდამხვევ განსაცდელს. მოგვიანებით აღიარა, რომ მთელი ცხოვრება გაჰყვა ქალის კანის შეხების მძაფრი სურვილი და მთელი სიცოცხლე ზარავდა ოსპის შეჭამანდი.

ზოგი თავს იკავებს და აკვირდება: ორივე აშინებს - განზილებაც და სურვილის ასრულებაც. სხვები თავაღერებულები ეშვებიან უფსკრულში, ხარობენ და რისკავენ - უარეს შემთხვევაში, რამე საშინელი ავადმყოფობა შეეყრებათ, უკეთეს შემთხვევაში, გადარჩებიან; და რჩება მხოლოდ ზიზღი - სხვა არაფერი. მე ვიცი, რომელ ბანაკს ვეკუთვნი; და ვიცი, სად მოვძებნი ელენს.

ცხოვრებისეული სენტენციები: Les unions complètes sont rares. კაცობრიობას ვერ შეცვლით, მხოლოდ მისი შეცნობა შეგიძლიათ. ბედნიერება აღისფერი ლაბადაა, დაძონძილი სარჩულით. შეყვარებულები სიამის ტყუპებს ჰგვანან: ორი სხეული ერთი სულით; მაგრამ თუკი ერთი მეორეზე ადრე მოკვდება, გადარჩენილს გვამის თრევა მოუწევს. სიამაყე გვაიძულებს, გამოსავალი ვეძებოთ - გამოსავალი, მიზანი, საბოლოო შედეგი; მაგრამ რაც უფრო უძკობესდება ტელესკოპი, მით უფრო მეტი ვარსკვლავი ჩნდება. კაცობრიობას ვერ შეცვლით, მხოლოდ მისი შეცნობა შეგიძლიათ. Les unions complètes sont rares.

სენტენცია სენტენციებზე. ნაწერის შესახებ სიმართლის ჩამოყალიბება მანამდეც შეიძლება, სანამ თუნდაც ერთ სიტყვას გამოაქვეყნებ; ცხოვრების შესახებ სიმართლის ჩამოყალიბება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა რამის შეცვლა უკვე დაგვიანებულია.

„სალამბოს“ მიხედვით, კართაგენული სპილოს გამრეკის აღჭურვილობა ხის ჩაქუჩისა და სატეხს შეიცავდა. თუკი შუა ბრძოლაში გაჩნდებოდა საფრთხე, რომ შეიძლებოდა ცხოველი უმართავი გამხდარიყო, გამრეკს ნაბრძანები ჰქონდა, მისთვის თავი გაეჩეხქვა. როგორც ჩანს, ასეთი საფრთხე რეალური იყო: სპილოებს ბრძოლის წინ გასააფთრებლად ჯერ ღვინის, საკმევლისა და წინაკის ნაზავით ათრობდნენ, მერე შუბებით აწვალებდნენ.

ბევრი ჩვენგანი ვერ გაბედავს ხის ჩაქუჩისა და სატეხის ხმარებას. ელენმა გაბედა. ხანდახან უხერხულობას ვგრძნობ ადამიანების თანაგრძნობის გამო. მინდა, ვთქვა: „ეს მისთვის უარესია“ - მაგრამ არ ვამბობ. მერე, როცა გადაწყვიტეს, სიკეთე გამოეჩინათ, გასეირნებას დამპირდნენ, თითქოს პატარა ბავშვი ვიყავი, და მოურიდებლად სცადეს ჩემი ალაპარაკება ჩემსავე სასიკეთოდ (რატომ ჰგონიათ, რომ არ ვიცი, ჩემთვის რა სჯობს?). ნება დამრთეს, ცოტა ხანს დავმჯდარიყავი და ელენზე მეფიქრა. ვფიქრობ 1853 წლის სექტვანზე, ჩამტვრეულ ფანჯრებზე, განადგურებულ მოსავალზე, ჩამოგლეჯილ შპალერზე, გაჩანაგებულ ნესვის სათბურებზე. ნესვის სათბურზე უფრო ბრიყული რა უნდა იყოს? ტაშით შეეგებეთ ქვებს, რომლებიც ფანჯრებს ამტვრევენ. ადამიანებმა, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევი დასკვნა გამოიტანეს მზის ფუნქციის შესახებ. მზის ფუნქცია კომბოსტოების დამსხვილება არ არის.

14 -

საგამოცდო ფურცელი

კანდიდატებმა უნდა უპასუხონ ოთხ კითხვას: ორივე კითხვას ა განყოფილებიდან და ორ კითხვას ბ განყოფილებიდან. ყველა ნიშანი დაიწერება პასუხების სისწორის მიხედვით; არც ერთი - გადმოცემის უნარის ან ხელწერის მიხედვით. ნიშნები ჩამოაკლდება სახუმარო ან თავდაჯერებულად მოკლე პასუხებისთვის. დრო: სამი საათი.

განყოფილება ა: ლიტერატურული კრიტიკა

ნაწილი I

ბოლო წლებში გამომცდელებისთვის ნათელი გახდა, რომ კანდიდატებს სულ უფრო უჭირთ, განასხვავონ ხელოვნება და ცხოვრება. ყველა ამტკიცებს, მესმის მათ შორის რა განსხვავებააო, მაგრამ აღქმა მეტად მრავალფეროვანია. ზოგიერთისთვის ცხოვრება მდიდარი და ნოყიერია, ძველი გლეხური რეცეპტითაა დამზადებული - მხოლოდ ნატურალური პროდუქტებისგან, ხელოვნება კი უსახური კომერციული ნაწარმია, რომელიც ხელოვნური საღებავებისა და სანელებლებისგან მზადდება. სხვებისთვის ხელოვნება ნამდვილზე ნამდვილი რამაა - სავსე, ცოცხალი, ემოციებით დატვირთული; ცხოვრება კი ყველაზე უბადრუკ რომანზე უარესია, თავისი მწირი სიუჟეტით, მოსაწყენი და გაიძვერა პერსონაჟებით; მახვილგონიერებას მოკლებული, გაჭიანურებული, უსიამოვნო სცენებით და იოლად გამოსაცნობი კვანძის გახსნით. ამ უკანასკნელი თვალსაზრისის მიმდევრებს ლოგან პირსოლ სმიტის სიტყვების გამეორება უყვართ: „ხალხი ამბობს, ცხოვრება მაგარი რამეაო, მაგრამ მე კითხვა მირჩევნია“. კანდიდატებს ურჩევენ, პასუხებში ეს ციტატა არ გამოიყენონ.

შემოთავაზებული განცხადებებიდან ან სიტუაციებიდან აარჩიეთ ორი და განიხილეთ ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთმიმართება.

ა) „გუშინწინ ტუკის მახლობელ ტყეში, ერთ მშვენიერ ადგილას, წყაროსთან სიგარის რამდენიმე ნამწვსა და რამდენიმე ნაჭერ *pâté*-ს მოვკარი თვალი; პიკნიკი ჰქონიათ! სწორედ ეს აღვწერე „ნოემბერში“ თერთმეტი წლის წინ! მაშინ ეს გამოვიგონე, იმ დღეს კი გამოვცადე. ყველაფერი, რასაც გამოიგონებ, მართალია: ეჭვიც არ შეგეპაროს. პოეზია ისეთივე ზუსტი

საგანია, როგორც გეომეტრია... საფრანგეთის ოც სოფელში უთუოდ ახლაც იტანჯება და ქვითინებს ჩემი საწყალი ბოვარი!“

წერილი ლუიზ კოლეს, 14 აგვისტო, 1853

ბ) პარიზში ფლობერი დახურული ეკიპაჟით დადიოდა - ლუიზ კოლეს ემალებოდა, რომ თავიდან აერიდებინა შეხვედრა და სავარაუდოდ, შეცდენა. რუანში ლეონი დახურულ ეკიპაჟს აიყვანს ემა ბოვარის შესაცდენად. ჰამბურგში, „მადამ ბოვარის“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ, სექსის მიზნით ეკიპაჟის დაქირავება შეიძლებოდა. ამ ეკიპაჟებს ბოვარებს უძახდნენ.

გ) (როცა მისი და, კაროლინი კვდებოდა) „თვალეები მარმარილოსავით მშრალი მაქვს. უცნაურია, პროზაში აღწერილი სევდიანი ამბავი როგორ მაიძულებს, თვალეები ფართოდ გავახილო და გრძნობები ცრემლებად დავღვარო, ნამდვილი დარდი კი გულს მიქვავენს, სიმწრით მივსებს, და თვალზე მომდგარი გრძნობა ბროლის ნამსხვრევებად იქცევა“.

წერილი მაქსიმ დიუ კამპს, 15 მარტი, 1846

დ) „შენ მეუბნები, რომ სერიოზულად მიყვარდა ის ქალი [მადამ შლეზინგერი]. არა, არ არის მართალი. უბრალოდ, წერისას კალამი ძლიერ გრძნობებს მიღვიძებს და ამიტომაც ადრესატს სერიოზულად ვეკიდებოდი - მხოლოდ წერისას. ის, რაც გულზე არ მეკარება დანახვისას თუ გაგონებისას, ხშირად მაფორიაქებს, მალიზიანებს ან გულს მტკენს, თუ ამაზე ვლაპარაკობ ან ვწერ - განსაკუთრებით წერის დროს. ეს ერთ-ერთი თვისებაა ჩემი ოინბაზური ბუნებისა“.

წერილი ლუიზ კოლეს, 8 ოქტომბერი, 1846

ე) ჯუზეპე მარკო ფიესკიმ (1790 - 1836) ლუი ფილიპეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობით გაითქვა სახელი. მან ტამპლის ბულვარზე ბინა იქირავა და Société des Droits de l'Homme-ის ორ წევრთან ერთად ააწყო „ემბაკის მანქანა“, რომელიც შედგებოდა თოფის ოცი ლულისაგან, ერთდროულად რომ ისროდა. 1835 წლის 28 ივლისს, როცა ლუი ფილიპემ თავის

სამ ვაჟთან და მრავალრიცხოვან ამაღასთან ერთად ჩაიარა ბულვარზე, ფიესკიმ ხსენებული ხელსაწყოდან ესროლა პატივცემულ საზოგადოებას.

რამდენიმე წლის შემდეგ ფლობერი იქვე აშენებულ სახლში დაბინავდა, ტამპლის ბულვარზე.

ვ) „დიახ, ნამდვილად! ეს პერიოდი [ნაპოლეონ III-ის მმართველობისა] მოზრდილი წიგნების მასალას მოგვცემს. შესაძლოა, საყოველთაო ჰარმონიის გათვალისწინებით, coup d'état და მისი ყველა შედეგი მხოლოდ იმისთვის იყო გამიზნული, რომ უნარიან კალმოსნებს მასალა ჰქონოდათ რამდენიმე მიმზიდველი სცენის აღწერისთვის“.

ფლობერის სიტყვები დიუ კამპის

„ლიტერატურული მოგონებების“ მიხედვით

ნაწილი II

წარმოდგენილი ციტატების კვალდაკვალ, თვალი მიადევნეთ, როგორ არბილებს ფლობერი დამოკიდებულებას კრიტიკოსებისა და კრიტიკის მიმართ:

ა) „სრული სიბრყვია: 1) ლიტერატურული კრიტიკა, როგორც არ უნდა იყოს, ცუდი თუ კარგი; 2) არამსმელთა საზოგადოება...“

პირადი რვეული

ბ) „უანდარმებში არის რაღაც უცილობლად გროტესკული და სიცილს ვერ ვიკავებ; კანონის ეს ბურჯები ჩემთვის ისეთივე კომიკური სანახავია, როგორც რწმუნებულები, მოძრიგებელ-მოსამართლეები და ლიტერატურის პროფესორები“.

„ნაპირსა და მინდორზე“

გ) „კაცის ფასი შეგიძლია მისი მტრების რაოდენობით გაიგო, ხელოვნების ნაწარმოების მნიშვნელობა - თავდასხმების რაოდენობით. კრიტიკოსები რწყილებივით არიან: სუფთა

თეთრეული უყვართ და ნებისმიერ მაქმანზე გიჟდებიან“.

წერილი ლუიზ კოლეს, 14 ივნისი, 1853

დ) „ლიტერატურულ იერარქიაში კრიტიკას ყველაზე დაბალი რანგი უკავია: ფორმით - თითქმის ყოველთვის და ზნეობრივი ღირებულებით - უცილობლად. კრიტიკა უფრო დაბლა დგას, ვიდრე ლექსებით თამაში და აკროსტიქი, რომლებიც, სულ ცოტა, გამომგონებლობას მაინც მოითხოვენ“.

წერილი ლუიზ კოლეს, 14 ივნისი, 1853

ე) „კრიტიკოსი! მარადიული უსახურობა, რომელიც ცხოვრობს გენიოსის ხარჯზე, მისი სახელის გატეხისა და ექსპლუატაციის

ხარჯზე! მოფუთფუთე მაისის ხოჭოს მოდგმა, უმშვენიერეს ფურცლებს რომ ეტყეპება დასანაკუნებლად! ისე ამომივიდა ყელში სტამბები და მათი ბოროტად გამოყენება, რომ თუკი იმპერატორი ხვალვე აკრძალავს ბეჭდვას, პარიზში ჩოქვით ჩავალ და უკანალს დავუკოცნი მაღლიერების ნიშნად“.

წერილი ლუიზ კოლეს, 2 ივლისი, 1853

ვ) „რა იშვიათად ესმით ლიტერატურა! თქვენ გეგონათ, რომ ენების, არქეოლოგიის, ისტორიის და ა.შ. ცოდნა უშველიდა საქმეს. ვერ მოგართვით! ვითომ განათლებული ადამიანები კიდევ უფრო ბრიყვდებიან, როცა ხელოვნებასთან აქვთ საქმე. სწორედ ის უსხლტდებათ, რაც ხელოვნებაა. მათთვის ანოტაციები უფრო საინტერესოა, ვიდრე ტექსტი. ყავარჯნებს მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ფეხებს“.

წერილი ჟორჟ სანდს, 1 იანვარი, 1869

ზ) „რა იშვიათად შეხვდებით კრიტიკოსს, რომელმაც იცის, რაზე ლაპარაკობს“.

წერილი ეჟენ ფრომანტენს, 19 ივლისი, 1876

თ) კრიტიკის ძველი სტილი სძაგდათ და ახლის გასაცნობად თეატრალური რეცენზიები მოძებნეს გაზეთებში. რა

თავდაჯერებულობაა! რა სიჭიუტია! რა უწესობაა!
შეურაცხყოფილი შედეგები და იაფფასიანი ნაწერის
თაყვანისცემა! ვითომ სწავლულთა შეცდომები და ვითომ
გონებამახვილთა სიბრყვე!“

„ბუვარი და პეკიუშე“

განყოფილება ბ

ეკონომიკა

ფლობერი და ბუიე ერთ სკოლაში დადიოდნენ, ერთნაირი
იდებები ჰქონდათ და საზიარო კახპები ჰყავდათ. ერთნაირი
ესთეტიკური პრინციპები, ერთი და იგივე ლიტერატურული
ამბიციები. ორივემ დრამატურგიაშიც სცადა ბედი. ფლობერი
ბუიეს ასე იხსენიებდა: „ჩემი მარცხენა სათესლე ჭირკვალი“. 1854 წელს ბუიემ ერთი ღამე გაატარა მანტის სასტუმროში, სადაც გუსტავი და ლუიზი ჩერდებოდნენ ხოლმე: „შენს საწოლში მეძინა, - მოახსენა მან, - და შენს ტუალეტში მოვისაქმე (რა უცნაური სიმბოლიკაა!)“ პოეტი ყოველთვის მუშაობდა თავის სარჩენად, რომანისტი - არასოდეს. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა მათი ნაწერები და რეპუტაცია, ფინანსები რომ გაეცვალათ.

გეოგრაფია

„სხვაგან არსადაა ისეთი ძილისმომგვრელი ატმოსფერო, როგორიც ამ რეგიონში. ვეჭვობ, ამან განაპირობა, რომ ფლობერი ნელა და ძნელად მუშაობდა. ეგონა, სიტყვებს ვებრძვიო და ცას ებრძოდა. შეიძლება, სხვა ჰავის პირობებში, ჰაერის სიმშრალით შთაგონებული ნაკლებად მომთხოვნი ყოფილიყო, ან ნაკლები თავგამოდებით მიეღწია ამავე შედეგებისთვის“ (ჟიდი, დაწერილია კიუვერვილში, სენ-მარიტიმში, 1931 წლის 26 იანვარს). განიხილეთ.

ლოგიკა (მედიცინასთან ერთად)

ა) აშილ-კლეოპას ფლობერმა, პაექრობისას, უმცროს ვაჟს სთხოვა, აეხსნა, რისთვის იყო საჭირო ლიტერატურა. გუსტავმა ქირურგ მამას კითხვა შეუბრუნა და სთხოვა, აეხსნა, რისთვის იყო საჭირო ელენთა: „ამაზე არც შენ იცი რაზე და არც მე, იმის გარდა, რომ იგი აუცილებელია ჩვენი სხეულისთვის. ასევე აუცილებელია პოეზია ჩვენი სულისთვის“. ექიმი ფლობერი დამარცხდა.

ბ) ელენთა შედგება ლიმფოიდური ქსოვილის (თეთრი პულპის) და ვასკულარული ქსელისგან (წითელი პულპისგან). მნიშვნელოვანია სისხლიდან ძველი ან დაშავებული წითელი უჯრედების მოშორებისთვის. იგი აქტიურად მონაწილეობს ანტისხეულების წარმოქმნაში: სპლენექტომირებული ადამიანის ორგანიზმში ნაკლები ანტისხეული წარმოიქმნება. დადგენილია, რომ ტეტრაპეპტიდი, სახელად ტუფტსინი წარმოიქმნება ცილისგან, რომელსაც ელენთა გამოყოფს. ამ ორგანოს მოშორება, განსაკუთრებით, ბავშვობაში, ზრდის მენინგიტისა და სეფსისის განვითარების შანსებს. ელენთა აღარ განიხილება, როგორც აუცილებელი ორგანო: შეიძლება მისი მოშორება ადამიანის აქტივობაში მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე.

გაიგეთ რაზე?

ბიოგრაფია (ეთიკასთან ერთად)

მაქსიმ დიუ კამპმა ლუიზ კოლესთვის ასეთი ეპიტაფია შეთხზა: „აქ განისვენებს ქალი, რომელმაც სახელი გაუტეხა ვიქტორ კუზენს, მასხრად აიგდო ალფრედ დე მიუსე, გალანძლა გუსტავ ფლობერი და სცადა ალფონს კარის მოკვლა. Requiescat in pace“. დიუ კამპმა ეს ეპიტაფია „ლიტერატურულ მოგონებებში“ გამოაქვეყნა. ვინ გამოდის უკეთესი: ლუიზ კოლე თუ მაქსიმ დიუ კამპი?

ფსიქოლოგია

ე1 დაიბადა 1855 წელს.

ე2 ნაწილობრივ 1855 წელს დაიბადა.

ე1-ს უღრუბლო ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ მოზარდობისას გამოავლინა მიდრეკილება ნერვული კრიზისისკენ.

ე2-ს უღრუბლო ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ მოზარდობისას გამოავლინა მიდრეკილება ნერვული კრიზისისკენ.

ე1 ეწეოდა უწესო სქესობრივ ცხოვრებას კეთილგონიერი ადამიანების თვალში.

ე2 ეწეოდა უწესო სქესობრივ ცხოვრებას კეთილგონიერი ადამიანების თვალში.

ე1 მიიჩნევდა, რომ ფინანსურად უჭირდა.

ე2-მ იცოდა, რომ ფინანსურად უჭირდა.

ე1-მა თავი მოიკლა ციანიდის მუავით.

ე2-მ თავი მოიკლა დარიშხანით.

ე1 იყო ელინორ მარქსი.

ე2 იყო ემა ბოვარი.

„მადამ ბოვარის“ პირველი ინგლისური თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა, ელინორ მარქსის იყო.

განიხილეთ.

ფსიქოანალიზი

1845 წელს, ლამალგში, ფლობერმა თავისი სიზმარი ჩაიწერა. დაფიქრდით მის მნიშვნელობაზე: „მესიზმრა, რომ დედაჩემთან ერთად მივსეირნობდი მაიმუნებით სავსე ტყეში. რაც უფრო შორს მივდიოდით, მით მეტი მაიმუნი იყო. იცინოდნენ და ხის ტოტეებზე დახტოდნენ. უფრო და უფრო მრავლდებოდნენ; უფრო და უფრო დიდრონები იყვნენ; გზაზე გველოებოდნენ. სულ მე მიყურებდნენ და შემეშინდა. დიდ წრეში მოგვაქციეს:

ერთ-ერთს უნდოდა, ჩემთვის ხელი გადაესვა და ხელი მომვიდა. თოფი ვესროლე მხარში - სისხლი წამოუვიდა. საზარლად აყვირდა. მერე დედაჩემმა მკითხა: „რატომ დაჭერი? შენი მეგობარია. რა დაგიშავა? ვერ ხედავ, რომ უყვარხარ? ზუსტად

შენნაირია!“ მაიმუნი მიყურებდა. გული მომიკვდა და გავიღვიძე... ისეთი გრძნობით, რომ მე და ცხოველები ერთნი ვართ, ნაზი გრძნობა და პანთეისტური ერთობა გვაკავშირებს“.

ფილატელია

გუსტავ ფლობერი ფრანგულ მარკაზე (დენომინაცია 8F + 2F) 1952 წელს გამოჩნდა. ესაა ჩვეულებრივი პორტრეტი „ე. ჟიროს მიხედვით“, რომელზეც რომანისტი, ოდნავ ჩინური ფიზიონომიით, უჩვეულოდ არის გამონწყობილი თანამედროვე, საყელოიან პერანგსა და ჰალსტუხში. მარკა ყველაზე დაბალი ღირებულებისაა ეროვნული დახმარების ფონდისთვის გამოცემულ სერიაში: ყველაზე მაღალი დენომინაციები ეძღვნება (აღმავალი რიგით): მანეს, პუანკარეს, ჰაუსმანს და ტიერს.

რონსარი პირველი ფრანგი მწერალი იყო, რომელიც მარკაზე გამოჩნდა. ვიქტორ ჰიუგო სამ სხვადასხვა მარკაზე აღბეჭდეს 1933 - 1936 წლებში, მათ შორის ერთ-ერთი მარკა უმუშევარი ინტელექტუალების დახმარების ფონდის სერიიდან იყო. ანატოლ ფრანსის პორტრეტი ამ საქველმოქმედო ფონდს 1937 წელს დაეხმარა, ბალზაკისა კი - 1939 წელს. დოდეს წისქვილი 1936 წელს გაჩნდა მარკაზე. პეტენისტურ საფრანგეთში პატივი მიაგეს ფრედერიკ მისტრალს (1941) და სტენდალს (1942). სენტ-ეკზიუპერი, ლამარტინი და შატობრიანი მარკებზე 1948 წელს გამოჩნდნენ, ბოდლერი, ვერლენი და რემბო - 1951 წელს, გამალებული დეკადანსის დროს. ამ წელიწადმა ფილატელისტებს აჩუქა ალფრედ დე მიუსეც, რომელმაც ფლობერი ლუიზ კოლეს საწოლში კი ჩაანაცვლა, მაგრამ კონვერტებზე გამოჩენა ერთი წლით დაასწრო.

ა) ამის გამო ფლობერს ცხვირი უნდა ავუბზუოთ? თუ ასეა, მაშინ მეტ-ნაკლებად აგდებულად უნდა ვეკიდებოდეთ მიშლეს (1953), ნერვალს (1955), ჟორჟ სანდს (1957), ვინის (1963), პრუსტს (1966),

ზოლას (1967), სენტ-ბევს (1969), მერიმეს და დიუმას (1970), ან გოტიეს (1972)?

ბ) გამოთვალეთ, ფრანგულ მარკაზე მოხვედრის რა შანსები აქვთ, ვთქვათ, ლუი ბუიეს, მაქსიმ დიუ კამპს ან ლუიზ კოლეს.

ფონეტიკა

ა) კაიროში ფლობერი Hôtel du Nil-ში ცხოვრობდა 1850 წელს. სასტუმროს ერთ-ერთი მფლობელის გვარი ბუვარე იყო. პირველი რომანის მთავარ გმირი გვარად ბოვარია; ბოლო რომანის მთავარი გმირი გვარად ბუვარია. პიესაში „კანდიდატი“ არის გრაფინია დე ბუვინი; პიესაში „გულების ციხე-სიმაგრე“ არის ბუვინიარი. ეს ყველაფერი განზრახაა გაკეთებული?

ბ) თავდაპირველად ფლობერის გვარი Revue de Paris-ში შეცდომით დაბეჭდეს - ფობერი. Rue de Richelieu-ზე ცხოვრობდა ბაყალი, გვარად ფობე. როცა La Presse-მა რეპორტაჟი დაბეჭდა „მადამ ბოვარის“ სასამართლოზე, ავტორი ფუბერად მოიხსენიეს. მარტინი, ჟორჟ სანდის femme de confiance, მას ფლამბარს უძახდა, კამილ როჟიე, ბეირუთში მცხოვრები მხატვარი - ფოლბერს. „ხვდები ამ ხუმრობის მარტლს?“ - სწერდა გუსტავი დედადისს (რა ხუმრობის? როგორც ჩანს, იგულისხმება მინიშნება რომანისტის წარმოსახვით სახეზე: როჟიეს მოფიქრებული გვარი „გიჟ დათვს“ ნიშნავდა). ბუიემაც აიტაცა ფოლბერი. მანტში, სადაც ლუიზს ხვდებოდა ხოლმე, იყო კაფე „ფლამბერი“. ყველაფერი დამთხვევაა?

გ) დიუ კამპის თანახმად, გვარი „ბოვარი“ უნდა წარმოითქვას მოკლე o-თი (როგორც სიტყვაში bother). დავუჯეროთ? რატომ?

თეატრალური ისტორია

შეაფასეთ შემდეგი სასცენო მითითებების განხორციელების ტექნიკური სიძნელეები („გულების ციხე-სიმაგრე“, აქტი VI, სცენა VIII):

დიდი ქვაბი, რომლის სახელურებიც ფრთებად გადაიქცევა, ჰაერში აიწევა, გადაყირავდება და ისე იზრდება ზომაში, რომ მთელი ქალაქის თავზე დალივლივებს; ამასობაში ქვაბიდან გადმოსული ბოსტნეული - სტაფილო, თაღგამი და პრასი - ჰაერში რჩება და სხივმოსილ თანავარსკვლავედად გადაიქცევა.

ისტორია (ასტროლოგიასთან ერთად)

განიხილეთ გუსტავ ფლობერის შემდეგი წინასწარმეტყველებანი:

ა) (1850) „თითქმის შეუძლებლად მეჩვენება, რომ ინგლისს კიდევ დიდი დრო დასჭირდეს ეგვიპტის გასაკონტროლებლად. ადენი უკვე ინგლისის ჯარებითაა სავსე. ამაზე ადვილი რა უნდა იყოს: უბრალოდ, სუეცის გადაკვეთა და ერთ მშვენიერ დილას კაირო წითელმუნდირიანებით გაივსება. ეს ახალი ამბავი საფრანგეთამდე ერთი-ორი კვირის მერე მოაღწევს და ყველას ძალიან გაგვიკვირდება! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა!“

ბ) (1852) „კაცობრიობა თავის თავს სრულყოფს, ადამიანი კი უარესდება. როცა ყველაფერი ეკონომიკური ინტერესების უბრალო კონტრბალანსზეა დაყვანილი, სადღა დარჩება ზნეობის ადგილი? როცა ბუნება ისეა დათრგუნული, რომ თავდაპირველი ფორმა დაკარგული აქვს, პლასტიკურ ხელოვნებას რა ელის? და ასე შემდეგ. ამასობაში მომავალი უფრო და უფრო პირქუში ჩანს“.

გ) (1870, საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებისას) „ეს რასობრივი კონფლიქტების დაბრუნების ნიშანია. სანამ საუკუნე ჩამთავრდება, ერთბაშად მილიონობით მოკლული ადამიანი შეგვრჩება. აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ, ძველი სამყარო ახლის წინააღმდეგ. რატომაც არა?“

დ) (1850) „დროდადრო გაზეთს გადავშლი ხოლმე. მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება. ჩვენ ვულკანის პირას ვი არ ვცეკვავთ, არამედ ტუალეტის ხის რგოლზე, და მეჩვენება, რომ ეს რგოლი მთლიანად დამპალია. მალე საზოგადოება თავქვე დაეშვება ციცაბოზე და ცხრაბეტი

საუკუნის განავალში ჩაიხრჩობა. დიდი ღრიანცელი ატყდება“.

ე) (1871) „ინტერნაციონალისტები მომავლის იეზუიტები
არიან“.

მერე თუთიყუში? ესეც ასე, თითქმის ორი წელი დამჭირდა თუთიყუშის ფიტულის საქმის გასარკვევად. პირველად რომ დავბრუნდი რუანიდან, წერილები დავაგზავნე, მაგრამ ამაოდ. რამდენიმეზე არც კი მიპასუხეს. ეტყობა, იფიქრეს, ერთი შერევილი ბებერია, ვითომ მეცნიერი, წვრილმანებს ებლაუჭება და ასე საცოდავად ცდილობს, სახელი გაითქვასო. არადა, კაცმა რომ თქვას, ახალგაზრდები ბებრებზე უფრო შერევილებიც არიან, ეგოისტებიც, თავსაც არ უფრთხილდებიან და იტანჯავენ, და საერთოდაც, გიჟებივით იქცევიან. უბრალოდ, პრესა მოწყალე თვალით უყურებთ. როცა ვინმე ოთხმოცი, სამოცდაათი ან ორმოცდაათოთხმეტი წლის ასაკში იკლავს თავს, ამას ან ტვინის დარბილებით ხსნიან, ან მენოპაუზის შემდგომი დეპრესიით, ან ამბობენ, პათივმოყვარე ხეპრე იყო და უნდოდა, თავისიანებისთვის საბოლოოდ მოეკლა გული დანაშაულის განცდითო. როცა ოცი წლის ახალგაზრდა იკლავს თავს, ამას ჰქვია ცხოვრების უბადრუკ პირობებთან შეგუებაზე უარის ამაყად თქმა - არა მარტო გამბედაობის დემონსტრირება, არამედ მორალური და სოციალური ამბოხი. ცხოვრება? ეგ ბებრებს ჰქონდეთ და ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ. რასაკვირველია, ნამდვილი სიგიჟეა. ამას ვამბობ, როგორც ექიმი.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ფლობერის თვითმკვლელობაზე ვარაუდებიც ნამდვილი სიგიჟეა. ერთი კაცის ახირებაა: ერთი რუანელის, რომელსაც ედმონდ ლედუ ჰქვია. ეს ფანტაზიორი ორჯერ გამოჩნდება ფლობერის ბიოგრაფიაში და ყოველ გამოჩენაზე ჭორებს ავრცელებს. მისი პირველი აბდაუბდაა, რომ ფლობერი დანიშნული იყო ჯულიეტ ჰერბერტზე. ლედუ ამტკიცებდა, რომ ნანახი ჰქონდა „წმინდა ანტუანის ცდუნების“ ეგზემპლარი, რომელზეც გუსტავს ჯულიეტისთვის წაენწერა: „A ma fiancée“. უცნაურია, რომ ეს ლონდონში კი არ ნახა, სადაც ჯულიეტ ჰერბერტი ცხოვრობდა, არამედ რუანში. უცნაურია, რომ ეს ეგზემპლარი სხვას არავის უნახავს. უცნაურია, რომ წიგნი არ შემონახულა. უცნაურია, რომ

ფლობერს არასოდეს უხსენებია ამგვარი ნიშნობა. უცნაურია, რომ ეს აქტი სრულიად ეწინააღმდეგება მწერლის მრწამსს. ისიც უცნაურია, რომ ლედუს სხვა ცილისმწამებლური განცხადებები - თვითმკვლელობაზე - ასევე ეწინააღმდეგება მწერლის მტკიცე შეხედულებებს. აბა, მოუსმინეთ: „კარგი იქნება, თავმდაბლობაში მივბადოთ დაჭრილ ცხოველებს, ხმაამოუღებლად რომ მიიყუჩებიან ხოლმე კუთხეში. ქვეყანა სავსეა ადამიანებით, ღრიალით რომ ეწინააღმდეგებიან განგებას. ადამიანი, თუნდაც თავაზიანობის გამო, ამგვარ საქციელს უნდა ერიდოს“. ისევ ციტატა, რომელიც არ მავინყდება: „ჩვენნაირ ადამიანებს სასონარკვეთის რელიგია უნდა ჰქონდეთ... როცა შავი ორმოს პირას დგას და ჩასცქერის, უნდა იმეორებდეს: „ეგრე იყოს! ეგრე იყოს!“ - ასე სიმშვიდეს შეინარჩუნებს“.

ეს არ არის თვითმკვლელის სიტყვები. ეს არის სიტყვები კაცისა, რომელსაც სტოიციზმი ისევე ღრმად აქვს გამჭდარი, როგორც პესიმიზმი. დაჭრილი ცხოველები თავს არ იკლავენ. და თუ ხვდები, რომ შავ ორმოში ჩახედვა გამშვიდება, შიგ არ ჩახტები. ეგებ ეს იყო ელენის სისუსტე: შავ ორმოში ჩახედვა ვერ შეძლო. დროდადრო მხოლოდ ცალი თვალთ იჭყიტებოდა. ერთი ჩახედვაც კი სასონარკვეთას მოჰგვრიდა და გაქცევას აფიქრებინებდა. ზოგი თვალს არიდებს შავ ორმოს, ზოგი ყურადღებას არ აქცევს. ვინც გამუდმებით შიგ იყურება, იმას აკვიატებული აზრები შეიპყრობს ხოლმე. ელენმა ზუსტი დოზა აირჩია: ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ექიმის ცოლობა ვითომდა დაეხმარა.

ლედუ თვითმკვლელობაზე ასე გვიამბობს: ფლობერმა აბაზანაში ჩამოიხრჩო თავი. ჩემი აზრით, ეს უფრო დამაჯერებელია, ვიდრე იმის თქმა, საკუთარ თავს დასაძინებელი აბებით სიკვდილის განაჩენი გამოუტანაო. სინამდვილეში კი... ასე მოხდა: ფლობერი დილით ადგა, ცხელი აბაზანა მიიღო, აპოპლექსიური შეტევა დაემართა და თავის კაბინეტში, დივანთან მიბარბაცდა. მომაკვდავი სწორედ იქ დახვდა ექიმს, რომელმაც მოგვიანებით გარდაცვალების მონშობა გასცა. აი, ასე მოხდა. ასეთი იყო ამბის დასასრული. ფლობერის ყველაზე ადრეული ბიოგრაფი თვითონ ესაუბრა ხსენებულ ექიმს. მორჩა. ლედუს ვერსიაში კი მოვლენები ასე

ლაგდება: ფლობერი ჩაჯდა ცხელ აბაზანაში, ჯერჯერობით უცნობი მეთოდით ჩამოიხრჩო თავი, მერე ამოძვრა, თოკი დამალა, კაბინეტში გაბარბაცდა, დივანზე დაენარცხა და ექიმის დანახვისას, აპოკლექსიური შეტევის სიმპტომების სიმულირებით, მოახერხა, მომკვდარიყო. მართლა სასაცილოა.

ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ არისო. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არც ეგრეა საქმე. ედმონდ ლედუ საუკეთესო მაგალითია სპონტანური კვამლისა. და მაინც, ვინ იყო ეს ლედუ? როგორც ჩანს, არავინ იცის. ვერაფერში ვერ ივარგა. სრული არარაობა. მხოლოდ ორი ტყუილით არსებობს. შეიძლება, ფლობერის ოჯახიდან ოდესმე ვინმემ რამე დაუშავა (იქნებ აშილმა ბურსიტი ვერ მოურჩინა?) და ამანაც მშვენივრად იძია შური. მოახერხა, რომ ფლობერზე დაწერილი წიგნების უმეტესობა ბოლო ნაწილში თვითმკვლელობის ვერსიას განიხილავს და ბოლოს ყოველთვის უარყოფს ამ ვარაუდს. როგორც ხედავთ, აქაც ასეა. კიდევ ერთი ხანგრძლივი გადახვევა თემიდან. ზნეობის საკითხებზე აღშფოთებით ლაპარაკი საქმეს მხოლოდ შეაფერხებს. ჰოდა, გადავწყვიტე, თუთიყუშებზე დამეწერა. ბოლოს და ბოლოს, ლედუს ამათხე თეორია არ ჰქონდა.

მე კი მაქვს. თან არა მხოლოდ თეორია.

წელანაც გითხარით, ამან მთელი ორი წელიწადი წამართვა. არა, ტრაბახი გამომივიდა: სინამდვილეში ვგულისხმობ, რომ კითხვის დასმიდან ჰასუხის ჰოვნამდე ორი წელიწადი გავიდა. ერთ-ერთმა ყველაზე კუდაბზიკა აკადემიკოსმა, რომელსაც მივწერე, ისიც კი მიჰასუხა, ეგ ვის აინტერესებსო. რას იზამ, თავის ტერიტორიას იცავდა. თუმცა მეორემ მუსიე ლუსიენ ანდრიე დამისახელა.

გადავწყვიტე, მისთვის აღარ მიმეწერა. საბოლოოდ, ჩემმა წერილებმა დიდი ვერაფერი მარგო. 1982 წლის აგვისტოში რუანში გავემგზავრე. Grand Hôtel du Nord-ში გავჩერდი, Gros Horloge-ზე რომ არის მიშენებული. ჩემი ოთახის კუთხეში უშნოდ დამალული კანალიზაციის მილი ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ღრიალით მიტეკდა - როგორც ჩანს, მთელი სასტუმროს სიბინძურე ამ მილში გადიოდა. ნასადილევს წამოწოლილი

ვუსმენდი, გალები სპორადულად რომ იცლიდნენ კუჭს. მერე Gros Horloge ჩამოჰკრავდა - ეს ხმამაღალი ჟღარუნი ისე ახლოს მესმოდა, თითქოს ჩემი გარდერობიდან მოდიოდა. ვფიქრობდი, ნეტავ აქ რა დამაძინებს-მეთქი.

ჩემი ეჭვი არ გამართლდა. ათი საათის შემდეგ კანალიზაციის მილი ჩაწყნარდა. Gros Horloge-იც. შეიძლება, დღისით ტურისტული ატრაქციონით იყენებს, მაგრამ რუანი კურანტების გამორთვაზეც ზრუნავს, როცა სტუმრები დასაძინებლად ემზადებიან. სანოლში გულადმა ვინეჯი, შუქი ჩამქრალი მქონდა და ფლობერის თუთიყუშზე ვფიქრობდი: ფელისიტესთვის ის იყო სულიწმინდის გროტესკული, მაგრამ ლოგიკური ვერსია, ჩემთვის - მწერლის ხმის მოფარფატე, მოუხელთებელი სიმბოლო. მომაკვდავ ფელისიტეს თუთიყუში სასწაულებრივი სახით დაუბრუნდა და ზეცაში შეეგება. ძილი მერეოდა და ვფიქრობდი, ნეტავ რა დამესიზმრება-მეთქი.

თუთიყუშები არ დამსიზმრებია. რკინიგზა დამესიზმრა. ვითომ ბირმინგემში სხვა მატარებელზე გადავჯექი. ომის პერიოდი იყო. მოშორებით, ბაქნის ბოლოში, დაცვის ვაგონი მოძრაობდა. ჩემოდანი წვივზე მესახუნებოდა. შუქმენიღბული მატარებელი, მბჟუტავი ნათურებით განათებული სადგური. განრიგი, რომელსაც ვერ ვკითხულობდი. გადღაბნილი ციფრები. აღარც იმედი. აღარც მატარებლები. სასონარკვეთა, მიუსაფრობა, სიბნელე.

თქვენ გგონიათ, ასეთი სიზმრიდან აზრს თუ გამოიტან, ახდება? მაგრამ სიზმრებს სულ არ ადარდებთ, ახდებიან თუ არა, და არც დელიკატურობით გამოირჩევიან. სადგურის სიზმარი, რომელიც სამ თვეში ერთხელ მესიზმრება, უბრალოდ მეორდება, კინოფილმის ფირივით გაუთავებლად ტრიალებს, სანამ არ გავიღვიძებ, გულდამძიმებული და დათრგუნული. იმ დილით დროისა და განავლის ხმებმა ერთდროულად დასჭექა და გამაღვიძა. Gros Horloge და ჩემი კუთხის კანალიზაციის მილი. დრო და განავალი. ვითომ გუსტავი არ გაიცინებდა?

Hôtel-Dieu ისევ იმ ხმელმა, თეთრხალათიანმა gardien-მა მომატარა. მუზეუმის სამედიცინო განყოფილებაში ისეთი რამ შევნიშნე, რაც ადრე გამომრჩენოდა: ოყნა „შენი-ხელით-

გაიკეთე“. გუსტავ ფლობერის საძულველი: „რკინიგზები, შხამები, ოყნები, კრემიანი ნამცხვრები...“ ოყნა შედგებოდა ხის ვიწრო ტაბურეტისგან, ცარიელი შპრიცისა და ვერტიკალური სახელურისგან. სკამზე ფეხებგაჩაჩხული დაჯდებოდი, შპრიცს თავის ადგილას მოათავსებდი, წყალს სახელურით შეიჭუმბავდი და ნელ-ნელა გაივსებოდი. ბოლოს და ბოლოს, ამ დროს თავზე მაინც არავინ გადგას. მე და gardien-მა გულიანად ვიცინეთ. როცა ვუთხარი, ექიმი ვარ-მეთქი, ღიმილით მიპასუხა, ისეთ რამეს გაჩვენებთ, რომ უეჭველად დაგაინტერესებთო, და გავიდა.

დაბრუნებულმა მუყაოს დიდი ფეხსაცმლის ყუთი მოიტანა, რომელშიც ორი კარგად შენახული ადამიანის თავი იდო. კანი დაუზიანებლად შემორჩენოდათ, თუმცა დროს ყავისფერი გაეხადა - ისეთი ყავისფერი, მოცხარის ჯემის ძველ ქილას რომ დაჰკრავს ხოლმე. კბილების უბეტესობა ადგილზე ჰქონდათ, მაგრამ თვალები და თმა აღარ შერჩენოდათ. ერთისთვის ხეშეში, შავი პარიკი ჩამოეცვათ და შუშის თვალები ჩაესვათ (ფერი აღარ მახსოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ემა ბოვარის თვალებივით მოუხელთებელი ფერის არ იქნებოდა). ეტყობა, ცდილობდნენ, თავი ნამდვილს დამსგავსებოდა, მაგრამ პირიქით გამოსვლოდათ: საზარელი სათამაშო გეგონებოდათ, საშიში სახე სახუმარო ნივთების ვიტრინიდან.

Gardien-მა ამიხსნა, რომ ეს თავები საავადმყოფოში აშილ-კლეოპას ფლობერის წინამორბედის, ჟან-ბატისტ ლომონიეს ნამუშევარი იყო. თურმე ლომონიე გვამების შენახვის ახალ მეთოდებს იკვლევდა და ქალაქმა ნება დართო, ექსპერიმენტები სიკვდილით დასჯილი ბოროტმოქმედების თავებზე ჩაეტარებინა. გამახსენდა ერთი შემთხვევა გუსტავის ბავშვობიდან. ერთხელ, ექვსი წლის ასაკში, ძია პარენტან ერთად სეირნობისას გილიოტინასთან ჩაუვლია. სულ ცოტა ხნის წინ ვიდაც სიკვდილით დაესაჯათ: ქვეზე სისხლი ბზინავდა. ეს ამბავი იმედიანად ვახსენე, მაგრამ gardien-მა თავი გააქნია. მშვენიერი დამთხვევა იქნებოდა, მაგრამ თარიღები აცდენილიაო. ლომონიე 1818 წელს გარდაიცვალა. გარდა ამისა, ფეხსაცმელების ყუთში ჩასახლებული ორი სუბიექტი, როგორც ჩანს, გილიოტინაზე არ დაუსჯიათ. ყბის ქვეშ ღრმა ნაჭდევი მაჩვენა, სახრჩობელას ყულფის კვალი. როცა მოპასუნმა

ფლობერის ცხედარი ნახა კრუასეში, კისერი ჩამუქებული და გასივებული ჰქონდა. აპოკლექსიის დროს ასე ხდება. ეს იმის ნიშანი არ არის, რომ ვინმემ აბაზანაში თავი ჩამოიხრჩო.

მუზეუმის თვალყურება განვაგრძეთ და ბოლოს მივალწიეთ ოთახს, სადაც თუთიყუში იყო. „ჰოლაროიდი“ ამოვიღე. ფოტოების გადაღების ნება დამრთეს. სანამ ილღიაში ფირი მქონდა ამოდებული და გამჟღავნებას ველოდებოდი, მცველმა წერილის ქსეროასლზე მიმითითა. იგი პირველივე ვიზიტისას შევნიშნე. ფლობერი - მაძამ ბრენს,

28 ივლისი, 1876: „იცით, რა მიდგას მაგიდაზე ბოლო სამი კვირა? თუთიყუშის ფიტული. ზის და მდარაჯობს. მისი დანახვა უკვე მალეზიანებს, მაგრამ ადგილს არ ვუცვლი, თუთიყუშის მოდგმაზე ფიქრი რომ არ მომშორდეს - ახლა მოხუცი შინაბერასა და თუთიყუშის სიყვარულზე ვწერ“.

- ისაა, - თქვა gardien-მა და მინის ხუფზე დააკაკუნა, - ის თუთიყუშია.

- და მეორე?

- მეორე თვითმარქვიაა.

- თქვენ რა იცით?

- მაგის გაგებას რა უნდა. ეს რუანის მუზეუმიდანაა, - ქანდარის ბოლოზე მრგვალი დაძლია დამანახა, მეორე მუზეუმის სარეგისტრაციო ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერის ფოტოასლზე მიმითითა. ფლობერის მიერ ნათხოვარი ნივთები იყო ჩამოთვლილი. პუნქტების უმეტესობა ჩანწერილი ჰქონდათ სამუზეუმო სტენოგრაფიული ნიშნებით, რომლებიც ვერ გავშიფრე, მაგრამ ამაზონური თუთიყუშის თხოვება მკაფიოდ იყო აღნიშნული. ბოლო სვეტში მონიშვნები მიუთითებდა, რომ ფლობერმა ყველა ექსპონატი დააბრუნა, რაც ათხოვეს - თუთიყუშის ჩათვლით.

ცოტა არ იყოს, განზილებული დავრჩი. ყოველთვის სენტიმენტალურად - თუმცა უსაფუძვლოდ - ვვარაუდობდი, რომ თუთიყუში მწერლის ნივთებში იპოვეს მისი სიკვდილის შემდეგ

(უეჭველია, ამიტომაც მყავდა საიდუმლოდ გამორჩეული კრუასეს ჩიტი). რასაკვირველია, ფლორასლი არაფერს არ ამტკიცებდა, გარდა იმისა, რომ ფლორებმა თუთიყუში მუზეუმიდან ითხოვა და მერე დააბრუნა. მუზეუმის დამლა კი საეჭვო იყო, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს იტყოდი...

- ჩვენი თუთიყუში ნამდვილია, - კიდევ ერთხელ გაიმეორა gardien-მა, როცა მაცილებდა. თითქოს როლები გავცვალებთ: დარწმუნება იმას სჭირდებოდა, მე კი არა.

- დარწმუნებული ვარ, მართალი ბრძანდებით.

მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული. კრუასეში გავებგზავრე და მეორე თუთიყუშს სურათი გადავუღე. ესეც თავს იწონებდა მუზეუმის დამლით. დავეთანხმე gardienne-ს, რომ მისი თუთიყუში აშკარად ავთენტური იყო, Hôtel-Dieu-ს ჩიტი კი - უცილობლად თვითმარქვია.

ლანჩის შემდეგ Cimetière Monumental-ზე წავედი. „ბურჟუაზიის სიძულვილი ყველა სათნოების დასაწყისია“, - წერდა ფლორები. თუმცა თვითონ რუანის ყველაზე დიდებულ ოჯახებს შორისაა დაკრძალული. ლონდონში ერთ-ერთი მოგზაურობისას ის ჰაიგეიტის სასაფლაოს ეწვია და თქვა, მეტისმეტად მონესრიგებულიაო. „თითქოს ეს ხალხი თეთრ ხელთათმანებში დაიხოცა“. Cimetière Monumental-ზე ადამიანებს შლეიფებითა და სრული აღკაზმულობით ასაფლავებდნენ, თავიანთ ცხენებთან, ძაღლებთან და ინგლისელ გუვერნანტებთან ერთად.

გუსტავის საფლავი პატარა და მოკრძალებულია. თუმცა ამ გარემოში გეგონება, ის კი არ უნდოდათ, რომ ხელოვანის, ბურჟუაზიის მოძულის სამარე ყოფილიყო, არამედ ცდილობდნენ, წარუმატებელი ბურჟუას საფლავს დამსგავსებოდაო. საოჯახო ნაკვეთზე მესრად შემოვლებულ მოაჯირს დავეყრდენი - მკვდარსაც კი შეგიძლია, უძრავი ქონების პატრონი იყო - და ჩემი „უმანკო გული“ ამოვიღე. მეოთხე თავის დასაწყისში ფლორები ძალიან მოკლედ აღწერს ფელისიტეს თუთიყუშს: „ლულუ ერქვა. ტანი მწვანე ჰქონდა, ფრთების ბოლოები - ვარდისფერი, შუბლი - ცისფერი და ყელი

- ოქროსფერი“. ჩემი ორი ფოტოსურათი შევადარე. ორივე თუთიყუშს მწვანე ტანი და ვარდისფერი ფრთის წვერები ჰქონდა (ოღონდ Hôtel-Dieu-ს ჩიტისა უფრო ვარდისფერი იყო). ცისფერი შუბლი და ოქროსფერი ყელი? ასეთი Hôtel-Dieu-ს თუთიყუში იყო. კრუასეს თუთიყუშს პირიქით ჰქონდა: ოქროსფერი შუბლი და მოცისფრო-მწვანე ყელი.

მართლა ის უნდა ყოფილიყო. ყველაფერი დაემთხვა. მუსიე ლუსიენ ანდრიეს დავურეკე და ზოგადად ავუხსენი, რა მაინტერესებდა. მიმიწვია, ხვალ შემომიარეთო. როცა მისამართი მომცა - rue de Lourdines - წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა სახლი, საიდანაც მელაპარაკებოდა: მკვიდრად ნაგები, ბურჟუაზიული - ფლობერის მკვლევრის საცხოვრებელი. მანსარდის სახურავში ჩასმული œil-de-boeuf; მოვარდისფრო აგური, მეორე იმპერიის სტილი; შიგნით - მშვიდი სერიოზულობა, შეძინული წიგნის თაროები, გაპრიალებული მაგიდები და პერგამენტის აბაჟურები. ღრმად ჩავისუნთქე მამაკაცური სურნელი.

ჩემი ნაჩქარევად აგებული სახლი გამონაგონი გამოდგა. ფლობერის მკვლევრის სახლი სინამდვილეში ერთ უბადრუკ რაიონში იდგა - მდინარის გადაღმა, რუანის სამხრეთ ნაწილში, სადაც გზისპირებზე ჩამწვრივებულ აგურის შენობებს შორის პატარა სახელოსნოები ჩაჭედდებოდა. საბარგო მანქანები ძლივძლივობით ეტეოდნენ ვიწრო ქუჩებში. აქვე იყო რამდენიმე მაღაზია და ბარი, სადაც plat du jour-ად tête de veau-ს შემოგთავაზებდნენ. სანამ rue de Lourdines-ს მიაღწევდი, მაჩვენებელი რუანის სასაკლაოზე მიგითითებდა.

მუსიე ანდრიე ზღურბლზე მელოდებოდა. ტანმორჩილი, ხანშიშესული კაცი იყო, ტვიდის პიჯაკი და საშინაო ფლოსტები ეცვა. ტვიდის ქუდი ეხურა. ლაცკანზე სამფეროვანი აბრეშუმის ლენტის ეკეთა. ქუდი მოიხადა, ხელი ჩამომართვა და ისევ დაიხურა. ამიხსნა, ადვილად ვცივდები, განსაკუთრებით, ზაფხულშიო. ტვიდის ქუდი არც სახლში მოუხდია. ზოგს შეიძლებოდა, ეს ახირებად ჩაეთვალა, მაგრამ მე - არა. ამას ვამბობ, როგორც ექიმი.

მაცნობა, სამოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ, Société des Amis de

Flaubert-ის მდივანი გახლავართ, ცოცხლად დარჩენილი უხუცესი წევრი ვარო. მაგიდას აქეთ-იქიდან მივუსხედით. ოთახის კედლები დახუნძლული იყო ძველებური წვრილმანებით: სამახსოვრო გრაფიურებით, ფლობერის მედალიონებით, Gros Horloge-ის ნახატით, რომელიც მუსიე ანდრიეს თვითონ შეესრულებინა. იქაურობა პატარა

იყო და ნივთებით სავსე, საინტერესო და პირადული: ფელისიტეს ოთახის ან ფლობერის პავილიონის უფრო მონესრიგებულ ვარიანტს ჰგავდა. მუსიე ანდრიემ მუყაოზე მისი მეგობრის მიერ დახატული საკუთარი პორტრეტი მაჩვენა. ნახატზე მსროლელს კალვადოსის დიდი ბოთლი ჰქონდა ამოჩრილი ჯიბიდან. უნდა მეკითხა, რატომ გამოიყვანეს ჩემი სათნო და გულითადი მასპინძელი ასეთ გააფთრებულ ავაზაკად, მაგრამ არ ვკითხე. ამოვიღე ენიდ სტარკის წიგნი „ფლობერი: დაოსტატება“ და სატიტულო გვერდზე დაბეჭდილი სურათი ვაჩვენე.

- C'est Flaubert, ça? - ვკითხე საბოლოო დასტურისთვის.

ჩაიცინა.

- C'est Louis Bouilhet. Oui, oui, c'est Bouilhet, - აშკარად პირველად არ ვკითხეს. ერთი-ორი დეტალი დავაზუსტე და მერე თუთიყუშები ვახსენე.

- აჰ, თუთიყუშები. ორნი არიან.

- დიახ. იცით, რომელია ნამდვილი და რომელია თვითმარქვია?

ისევ ჩაიცინა.

- კრუასეს მუზეუმი 1905 წელს დააარსეს, - მიჰასუხა მან, - მეც იმ წელიწადს დავიბადე. ბუნებრივია, დაარსებას არ შევსწრებივარ. რალაცემს მოუყარეს თავი, ალბათ თვითონაც ნახავდით. - თავი დავუქნიე. - ბევრი ვერაფერი მოაგროვეს. უამრავი რამე დაიფანტა. მაგრამ კურატორმა გადაწყვიტა, რომ იყო ერთი ნივთი, რაც შეიძლებოდა მოედებნა - ფლობერის თუთიყუში. ლულუ. ჰოდა, წავიდნენ ბუნებისმეტყველების

მუზეუმში და უთხრეს, თუ შეიძლება, დაგვიბრუნეთ ფლობერის თუთიყუში, ჰავილიონისთვის გვინდაო. მუზეუმშიც უპასუხეს, კი, ბატონო, წამობრძანდითო.

მუსიე ანდრიეს ეს ამბავი ადრეც ექნებოდა ნაამბობი. იცოდა, პაუზა სად მოუხდებოდა.

- ჰოდა, წაიყვანეს კურატორი იქ, სადაც სარეზერვო კოლექციას ინახავდნენ. თუთიყუში გნებავთო? – უთხრეს. წავიდეთ ჩიტების განყოფილებაშიო. გააღეს კარი და რას ხედავენ...

ორმოცდაათი თუთიყუში. Une cinquantaine de perroquets! მერე რა ქნეს? ლოგიკურად მოიქცნენ - გონივრულად. მიიტანეს „უმანკო გული“, ერთად წაიკითხეს, როგორ აღწერდა ფლობერი ლულუს... (ზუსტად ისე, მე რომ გადავიკითხე წინა დღეს) და ის თუთიყუში აირჩიეს, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერებოდა აღწერილობას. ორმოცი წლის მერე, ბოლო ომის შემდეგ, Hôtel-Dieu-ში დაიწყეს კოლექციის შეგროვება. ახლა ისინი მიადგნენ მუზეუმს, თუ შეიძლება, ფლობერის თუთიყუში მოგვეცითო. კი, ბატონო, - უთხრეს მუზეუმში, - აარჩიეთ, ოღონდ კარგად შეამონმეთ, რამე არ შეგეშალოთო. ჰოდა, ამათაც გადაშალეს „უმანკო გული“, გადაამონმეს და აირჩიეს თუთიყუში, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავდა ფლობერის აღწერილს. აი, ასე გაჩნდა ორი თუთიყუში.

- ესე იგი, რაკი პირველად კრუასეს ჰავილიონისთვის აარჩიეს, ნამდვილი თუთიყუში იქ უნდა იყოს?

მუსიე ანდრიემ პასუხისგან თავი შეიკავა. ოდნავ უკან გადაინია ტვიდის ქუდი. მე ჩემი ფოტოები ამოვიღე.

- ამაზე რაღას იტყვით? - თუთიყუშის ნაცნობი აღწერილობა წავუკითხე და კრუასეს ჩიტის შეუსაბამო შუბლსა და მკერდზე გავუმახვილე ყურადღება. მეორედ არჩეული თუთიყუში რატომ უნდა ჰგავდეს წიგნის თუთიყუშს უფრო მეტად, ვიდრე პირველად არჩეული?

- იცით რა, ორი რამე უნდა გაითვალისწინოთ. ჯერ ერთი, ფლობერი ხელოვანი იყო. წარმოსახვით წერდა. და რიტმის გამო ფაქტებსაც ცვლიდა. ეგეთი კაცი იყო. მერე რა, რომ

თუთიყუში ითხოვა, რატომ უნდა დაეცვა სიზუსტე აღწერისას? რატომ არ შეიძლებოდა, ფერები შეეცვალა, თუკი ასე სჭობდა? მეორეც, ფლობერმა მოთხრობის წერა რომ დაასრულა, თუთიყუში მუზეუმს დაუბრუნა. ეს 1876 წელს მოხდა. ოცდაათი წელი გავიდა, სანამ პავლიონს დააარსებდნენ. მოგეხსენებათ, ფიტულებს ჩრჩილი უჩნდება, იშლება. ფელისიტეს თუთიყუშსაც ასე არ მოუვიდა? თივა გამოუცვივდა.

- დიახ.

- შეიძლება, ფერსაც იცვლიან დროთა განმავლობაში. თუმცა რა გითხრათ, ფიტულების ექსპერტი არ ვარ.

- ესე იგი... გულისხმობთ, რომ შეიძლება, ნებისმიერი მათგანი ნამდვილი იყოს? ან სავსებით შესაძლებელია, რომ არც ერთი?

ნელა გაშალა მაგიდაზე დაწყობილი ხელები, ჯადოქრის დამამშვიდებელი ჟესტით. ბოლო კითხვა დავესვი:

- ის თუთიყუშები ისევ მუზეუმში დარჩნენ? ორმოცდაათივე?

- არ ვიცი. არა მგონია. ოციან და ოცდაათიან წლებში, ჩემი ახალგაზრდობისას, დიდად მოდაში იყო ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები. მისაღებ ოთახებში აწყობდნენ. ფიქრობდნენ, ლამაზიაო. ასე რომ, ბევრმა მუზეუმმა თავიანთი კოლექციების ნაწილი გაყიდა - რაც არ სჭირდებოდათ. რისთვის დაიტოვებდნენ ორმოცდაათ ამაზონურ თუთიყუშს? მაინც გაფუჭდებოდა. ახლა რამდენი აქვთ, არ ვიცი. ალბათ მუზეუმმა მეტი წილი თავიდან მოიშორა.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ზღურბლზე მუსიე ანდრიემ ქუდი მომიხადა, წამით დაანახა თავი აგვისტოს მზეს. მე კი ნასიამოვნებშიც ვიყავი და განზილებულიც. ეს პასუხი იყო და არც იყო; დასასრული იყო და არც იყო. ამბავი ხელში მადნებოდა ფელისიტეს უკანასკნელი გულისცემასავით - „ნელ-ნელა დაწყვეტილი შადრევანივით ან მინავლებული ექოსავით“. რას იზამ, იქნებ სწორედ ასე იყო საჭირო.

გამომშვიდობების დრო დადგა. როგორც კეთილსინდისიერ ექიმს შეჰფერის, ფლობერის სამივე ქანდაკებას ჩამოვუარე. რა

მდგომარეობაში დამხვდა? ტრუვილში უღვაშს ისევ შეკეთება სჭირდება, თუმცა საკერებელი მის

ბარდაყზე ახლა ნაკლებად თვალშისაცემია. ბარენტენში მარცხენა ფეხი გაბზარულია, სერთუკს კუთხეში ნახვრეტი აქვს და ტორსს ხავსით ფერდაკარგული ადგილები ლაქებად ატყვია. თვალმოჭუტული შევყურებდი მომწვანო ნიშნებს ფლობერის მკერდზე და ვცდილობდი, კართაგენელ მთარგმნელად წარმომედგინა. რუანში, კარმის მოედანზე, მკვიდრად დგას, 93% სპილენძისა და 7% კალის ნაზავის წყალობით; მაგრამ მაინც ატყვია ზოლები. ყოველ წელს თითქოს ორი ცრემლით მეტი ჩამოსდის და ბრჭყვიალა ძარღვივით ევლება ყელზე. სამართლიანია: ფლობერი ყოველთვის მტირალა იყო. სპილენძის ცრემლები სხეულზე დაედინება, ჟილეტს უღამაზებს და შარვლის გვერდებზე თხელ ზოლებს უვლებს. ესეც სამართლიანია: შეგვახსენებს, რომ მას ისევე უყვარდა სალონური ცხოვრება, როგორც კრუასეში განდეგილობა.

რამდენიმე იარდით ჩრდილოეთით, ბუნებისმეტყველების მუზეუმში, ზედა სართულებზე ამიყვანეს. გამიკვირდა: დარწმუნებული ვიყავი, რომ სარეზერვო კოლექციები სარდაფებში ინახებოდა. დღეს ქვემოთ ალბათ დასასვენებელი ცენტრებია: კაფეტერიები, სასწავლო პლაკატები, ვიდეოთამაშები - ყველაფერი, რაც სწავლას აადვილებს. რატომ ესწრაფვიან სწავლის თამაშად გადაქცევას? მოზრდილებისთვისაც კი ყველაფერს სათამაშოებს ამსგავსებენ. განსაკუთრებით, მოზრდილებისთვის.

პატარა ოთახი იყო, ალბათ რვა ფუტი ათზე, მარჯვნივ - ფანჯრები, მარცხნივ - ჩამწკრივებული თაროები. ჭერზე რამდენიმე ნათურა ეკიდა, მაგრამ ამ ბოლო სართულის აკლდამაში მაინც ბნელოდა. თუმცა, ჩემი აზრით, სულ მთლად აკლდამაც არ იყო: მის ზოგ ბინადარს ისევ გამოიყვანენ დღის შუქზე და ნებას დართავენ, ჩრჩილით შეჭმულ ან ძველმოდურ კოლეგებს ჩაენაცვლოს. ასე რომ, ეს ორმაგი დანიშნულების ოთახი იყო - ნახევრად მორგი და ნახევრად სალხინებელი. სუნიც გაურკვეველი იდგა: რატაც საშუალო ქირურგის კაბინეტისა და რკინა-კავეულის მაღაზიის სუნს შორის.

საითაც კი გავიხედე, ყველგან ჩიტები ისხდნენ. ერთიბეორის მიყოლებით დალაგებული თაროები ჩიტებით იყო სავსე. ყოველი მათგანი ქიმიური ფხვნილით იყო დათოვლილი. მესამე გასასვლელთან წამიყვანეს. ფრთხილად გავიკვლიე გზა თაროებს შორის, თავი ოდნავ მივაბრუნე და ავიხედე. იქ ამაზონური თუთიყუშები ჩამწკრივებულიყვნენ. ორმოცდაათიდან სამიღა დარჩენილიყო. ჭყეტელა ფერები ზედ დაფრქვეულ პესტიციდის მტვერს დაებინდა. იდგნენ და შემომცქეროდნენ - სამი დამცინავი, გამჭოლთვალებიანი, ქერტილიანი, უნესო ბერიკაცივით. უნდა ვაღიარო: ცოტა შერეკილებიც ჩანდნენ. კიდევ ერთი-ორი წუთი შევცქეროდი, მერე ნელ-ნელა გავერიდე.

იქნებ ერთ-ერთი მათგანი იყო.